1168
2005

კვირის პალიტრა

N8 (246) 24/I

ასი 60 თ.

მონანიება — კოზა დავითაშვილი: ზურაბ ქვანიას გარდაცვალების შემდეგ, ბევრ რამეზე დავფიქრდი

განსაკუთრებული შემთხვევა — ყოფილი ცოლ-ქმარი ერთმანეთისთვის საბედოს ეძებს

ზურა ხაჩიძის მეჯვარეს 18-25 წლის გოგონები ურჩევნია

პრობლემა: ნარკომანი ქალები, სუბოტექსის საიდუმლო და „უწყინარი" ანაშა

ლუბა ელიავილის ახალი დეტექტივი: იდუმალი მკვლელობის უცნაური დამთხვევები...



„მე და ბრიგოლია ქვისლები გავხდებით"

„ჩემი აზრით, ამას ღალატი ჰქვია..." — რა შემთხვევაში გადაეა ხხვა არხზე მიშა ანდღულაძე

ქალბატონი მალი — ქართველთა ჩინელი რძალი და დედა

„ნეშტი ორად გავყავით: ერთი ჩინეთში ასვენია, მეორე — წინანდალში..."

ბაკურიანი

სასტუმრო მელოისი

ბაკურიანი, აღმაშენებლის 55
სათაო ოფისი: თბილისი, დ. უზნაძის 113ბ
ტელ: (995 32) 94 23 55; მობ; (899) 24 86 86
ფაქსი: (995 32) 96 05 64

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲠᲐ
№8 (246)
24 თებერვალი - 2 მარტი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„შმუშევრობა – შმუშევრობის უებარი წამალი“ 3
ერთი კითხვა 4
ჭრელი მსოფლიო 4, 5
მონანიება
კობა დავითაშვილი: „გურაბ ქვანიას გარდაცვალების შემდეგ, ბევრ რამეზე დავფიქრდი“ 6
სახე
„ჩემი აზრით, ამას ღალატი ჰქვია...“ – რა შემთხვევაში გადავა სხვა არხზე მიშა ანდღულაძე 8
საპატარძლო
ხატია შამუგია: „მინდა, რომ გურამს გვერდით მართლაც, ღირსეული ქალი ჰყავდეს...“ 10
სასიძო
გურამ ლომიძე: „ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვის დაუკავშირებს ხატია თავის ცხოვრებას...“ 12
კრიმინალი
„მიფრთხილდით, ძმაო, დღეს სისხლი მწყურია!“ 15
სცენა
უიღბლო „ენსის“ გოგონები შოუბიზნესს იმიჯშეცვლილები დაუბრუნდებიან 18
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 20
პრობლემა
ნარკომანი ქალები, სუბოტექსის საიდუმლო და „უწყინარი“ ანაშა 20
მარტივი კითხვები
როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როცა შვილი მისი ხელმეორედ დაქორწინების წინააღმდეგია? 23
შთამომავლობა
ქალბატონი მალი – ქართველთა ჩინელი რძალი და დედა 24
გზავნილები
„ვიდრე მდიდარ და არაძუნწ საქმროს არ „ვიშოვი“, არ გავთხოვდები...“ 27
სალონი
სახის კანს თამბაქო და ხსნადი ყავა ვნებს 30

ნარკომანი ქალები, სუბოტექსის საიდუმლო და „უწყინარი“ ანაშა

ქართველებს ყველაფერი გაზვიადებული გვჩვევია, არც უკულმართობაა ჩვენთვის უცხო. ამის ერთ-ერთ გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სამკურნალო საშუალება – სუბოტექსი – დღეს ჩვენში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ საშუალებად(!) იქცა...

20

„ჩემი აზრით, ამას ღალატი ჰქვია...“ – რა შემთხვევაში გადავა სხვა არხზე მიშა ანდღულაძე

„ჩვენი სასიმამრო ახლა გერმანიაშია, დოქტორანტურაში, რელიგიათმცოდნეობას მისდევს. მის მიერ დაწერილი წიგნი ორივემ წავიკითხეთ, ვიფიქრეთ – კაცი რომ ჩამოვა, ხომ უნდა ვახაროთ, შენს შემოქმედებას გავეცანით-თქო!..“

8

სასიძო-საპატარძლო

როდესაც ამ ინტერვიუს წაიკითხავთ, შესაძლოა, ზოგან გაგელიმოთ კიდეც, იმის გამო, რომ გურამი და ხატია ასე კარგად იცნობენ ერთმანეთის თვისებებს... როგორი გოგონები მოსწონს გურამს, რა თვისება შეიძინა მას შემდეგ, რაც ცხოვრება ხატიას დაუკავშირა და როგორ ქმარს ისურვებდა ყოფილი ცოლისთვის...

10

ქალბატონი მალი – ქართველთა ჩინელი რძალი და დედა

„დედა მიიჩნევდა, რომ მსოფლიოში არ არსებობს იმაზე ლამაზი ადგილი ვიდრე ალაზნის ველი და მთათუშეთია, მამა კი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ყველაზე ლამაზი, მთიანი აჭარაა. დედაჩემის ანდერძის შესაბამისად, მისი ნეშტი ორად გავყავით: ერთი ნაწილი ჩინეთში ასვენია, მეორე კი – წინანდალში...“

24

ჯანმრთელობა
- გაცივება ციფრებითა და ფაქტებით 32
- ასრა ქალებისათვის 33

ტაძარი
როგორ ვებრძოლოთ მემთვრალეობის ცოდვას? 34

დიდმარხვა
უძღები შვილის კვირა 34

კვალი
ქართული ჰიტების მივიწყებული ავტორი – 40-იანი წლების პოეტური ბოჰემის „ღვიძლი შვილი“ 35

ტესტი
ერთგული მკითხველი 37

ვარსკვლავი
გამოცოცხლება მძიმე ტრავმის შემდეგ 38

ბომონდი 40

ქართული დეტექტივი
ლუბა ელიაშვილი. საბედისწერო ვოიაჟი (გაგრძელება) 42

საფეხბურთო მინდვრებზე 46

ეკრანი
ოსკარის ისტორია: ფავორიტები, სკანდალები, კულისები... 48

ავტო 51

კოლეგა
სტუდიიდან გაქცევის მცდელობა, სასურველი მამაკაცის ტიპი და „საქმროს“ თაყვანისმცემელთა დამშვიდების ხერხი 52

თამადა
„პატარა შონგო“ თამადობით შეყვარებულს თავს აწონებს 54

პირველი პაემანი
1.400 ლარის დამჭკნარი ყვავილები და კიდევ... 160 ლარის ყვავილების ვალი 55

შოუბიზნესი 56

მატიანე
111 მედალი – 32 ქართველი ოლიმპიელის მონაგარი 58

ჰოროსკოპი
კვირის (28 თებერვალი – 6 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი
კონსტიტუციურად ღარიბი თუ კონსტიტუციურად მდიდარი? 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

1.400 ლარის დამჭკნარი ყვავილები და კიდევ... 160 ლარის ყვავილების ვალი

თუ ვინმე შეუყვარდა, შეუძლია ეს პირველმა გაამხილოს. ნანუკამ თხუთმეტი წლის ასაკში გაბედული ნაბიჯი გადადგა და გათხოვდა. თუმცა, მისი ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. დანარჩენს კი თავად მისი ნაამბობიდან შეიტყობთ.

55

111 მედალი – 32 ქართველი ოლიმპიელის მონაგარი

ჩვენი ქვეყნის სპორტული წარსულის ყველაზე საამაყო ფაქტების ამსახველი მასალა საქართველოს ოლიმპიურ მუზეუმშია თავმოყრილი... მაგალითად, ძველი ქართული თხილამურების ფორმა გაგაოცებთ... საინტერესოა ასევე ჯვალოს ნაჭრისგან შეკერილი, კრივის ხელთათმანები, რომელთაც ქართველი მოკრივეები მე-19 საუკუნეში იყენებდნენ.

58

„ნაკიანი წელი დასრულდა და ისევ ვიწყებ ბედნიერებას!“

გაზეთები ჯერ კიდევ გასული წლის თებერვალში იუწყებოდნენ იმის შესახებ, რომ ჯულია ორმონდმა საიუბილეოდ საკუთარ თავს შესანიშნავი საჩუქარი მოუმზადა – ის შვილს ელოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჯულიას მოლოდინი არ გამართლდა.

38

საბედისწერო ვოიაჟი

ლუბა ელიაშვილი

მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე. აკურატულად ჩავულაგე ჩემოდნები და შინ დაბრუნებულს, უკვე სადარბაზოში გადგმული დავახვედრე.

ამგვარად, გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, თუ რაოდენ მოსახერხებელია, როცა ცოლს და საყვარელს ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ, ვასიკოს შემთხვევაში არ გამართლდა.

42

„უმუშევრობა – უმუშევრობის უებარი წამალი"

თქვენთვის ახალი ამბავი მაქვს და არც კი ვიცი, რომლით დავიწყო, რადგან ერთი კარგი ამბავია, მეორე – უკეთესი. მოდით, კარგით დავიწყებ და უკეთესს ბოლოსთვის შემოვინახავ:

ალბათ, თქვენც ჩემსავით ჯავრობდით, ხელისუფლებას ღირსეული ოპოზიცია არა ჰყავს და ამით გათამამებულს, დემოკრატიის გზიდან ფეხი არ გადაუცდესო... სულ ტყუილად გვეშინოდა, თორემ ოპოზიცია კი არა, „უარესიც" ჰყოლია: დედაქალაქის მერი რომაა, „დიდი სახლის პატარა მამასახლისი", რაც ზევითაა, ორი იმდენი „მეტროშია" – პირში უცინის ჩვენს მამა-მარჩენალს, თორემ ზურგს უკან ნიუ-იორკს უშენებს შუაგულ თბილისში. თურმე ესეც არ იკმარა, სხვა ქალაქების მერებიც აიყოლია და თბილისის „განიუიორკების" პარალელურად, წყალტუბოს ლასვეგასად აქცევენ, ქუთაისს – ლონდონად, ბათუმს – მადრიდად, ზუგდიდს – პარიზად და ა.შ. ამით ჩვენი მოტყუებული პრეზიდენტი ისე დაიოკებს მოგზაურობის სურვილს და ისე „შემოივლის მსოფლიოს", რომ საქართველოს არც კი გასცდება...

ახლა მეორე და მთავარი: ამდენი წელია ვებრძვით უმუშევრობას და – უშედეგოდ. ჩვენმა რეფორმატორმა მამა-მარჩენალმა ბრძოლის ორიგინალურ მეთოდს მიაგნო: „უმუშევრობა ხომ დიდი ჭირია, ჭირში კი რაც უფრო მეტნი დავდგებით ერთად, მით უკეთესია", ამიტომ უმუშევართა რიცხვის გაზრდა განიზრახა და პირველ რიგში პარლამენტს დაადგა თვალი.

მართალიცაა, 235 კაცის საფიქრალი „რა გვჭირს ბრეგვაძეებს?!" მაგ საქმეს 150 კაციც ყელში ამოუდის. ამით 85 დეპუტატის კაბინეტიც გათავისუფლდება და დარბაზის ცარიელ ნაწილსაც გადატიხრავენ, რომ ფულადი შემოსავალი გაიზარდოს. იმ ფართში გახსნიან რესტორნებს და მიაკრავენ წარწერას: „გარედან სასმლის შემოტანა აკრძალულია"; გახსნიან საუნას და მიაკრავენ იმავე შინაარსის წარწერას: „გარედან ქალების შემოყვანა აკრძალულია"... მთელ ხელფასს პარლამენტშივე დატოვებენ პარლამენტარები და თავისსავე შეტანილ ფულს აიღებენ მეორე თვეში ხელფასად, ისე, რომ ბიუჯეტს „კაპიკიც" არ დააკლდება...

თუმცა, იდეალური არაფერია ამქვეყნად და დეპუტატთა რაოდენობის შემცირებასაც აქვს უარყოფითი მხარე: 235 კაცის ადგილი რომ იყო პარლამენტში, ამის წყალობით რამდენი ძნელად აღსაზრდელი და მამაძაღლობისკენ მიდრეკილების მქონე ახალგაზრდა მოვწყვიტეთ ქუჩას?! ახლა, 85 თავზეხელაღებული რომ გამოვარდება ერთად ქალაქში, პატრული უშველის იმას?!

მერე მილიონი სამუშაო ადგილის გამოთავისუფლება გაახსენდა ჩვენს მერცხალბიჭუნას: ყველაზე მრავალრიცხოვანი პროფესია კი საქართველოში ჟურნალისტობაა – „ყველა ქართველი ხომ ჟურნალისტია, ყველა ქართველი ჟურნალისტი კი – ორჯერ ჟურნალისტი". ჩვენ ბუნებით მოგვდგამს ჟურნალისტობა და ამისთვის დიპლომი და განათლება სულაც არაა საჭირო; შეიძლება წერა-კითხვაც არ იცოდე, მაგრამ მთავარია, გინდოდეს და უკვე ჟურნალისტი ხარ. ამიტომ ახლა „მეოთხე ხელისუფლება" ამოიჩემა „მამაჩვენმა" – ამდენი ხელისუფლება რა საჭიროა, მეც ვეყოფიო და სულ „ოფოფებით" დაიფრინა ჟურნალისტები კანცელარიიდან: – ათასი სტუმარი შემოდის და „ბიძია დამეხმარე, მითხარი ორი სიტყვა"-თი ნუ აწუხებთ და თავს ნუ მჭრითო...

მართალიცაა, თქვენ ნუ მომიკვდებით! ნამეტიანი ვიცით ჟურნალისტებმა; ფოიეშივე დავეტაკებით და ვეკითხებით: „ბატონო იუსტიციის მინისტრო, წელიწადის რომელი დრო უფრო გიყვართ?"

თავზედობაა, პირდაპირ! კაცი ახლა შედის პრეზიდენტთან შეხვედრაზე და შენ რა უფლება გაქვს, უკვე კონკრეტული ტიტულით მიმართო?! ე, შევიდა კაცი იუსტიციის მინისტრად და გამოვიდა გარემოს დაცვის მინისტრად; შევიდა ელჩი, გამოვიდა მინისტრი; შევიდა „პერაშკების" გამყიდველი, გამოვიდა რწმუნებული („ფოკუსნიკია", რა!.).

ამიტომ, ღირსი ვართ ჟურნალისტები იმ ოთახში გამოკეტვის, კანცელარიაში რომ გამოგვიყვეს მესამე სართულზე, უანტენო ტელევიზორით... ისე, ბატონო პრეზიდენტო, „აიეტის" კაბელი მაინც შეგვიერთეთ, რომ ის მაინც გავიგოთ, რა ხდება ქვეყანაზე, ჟურნალისტები ვართ, რაც არ უნდა იყოს!..

P.S. *პრეზიდენტის პრესკონფერენცია კანცელარიაში:*

– გამარ... სად არიან ჟურნალისტები? ვის ველაპარაკო?!

– ქვემოთ არიან, ბატონო პრეზიდენტო. თქვენი ბრძანებით, აქ ამოსვლა ეკრძალებათ.

– დაურიგეთ ტექსტები, რა უნდა შემეკითხონ და ამოუშვით...

პროვოკატორი

ᲗᲐᲠᲗᲚᲘ ᲙᲐᲛᲔᲠᲐ... ᲒᲠᲫᲔᲚᲗᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ასე მიაჩნია ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებას, რომელმაც ამ მოვლენის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი კამპანია წამოიწყო. საინტერესოა ლოზუნგი, რომელიც ამ კამპანიას უდევს საფუძვლად: „გრძელ თმას ბევრი სასარგებლო ნივთიერება ესაჭიროება“, ეს ნივთიერებები კი, თავის ტვინს აკლდება და ამიტომ, უარყოფითად მოქმედებს ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებზე. „თმის სიგრძე ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და მორალური სტატუსის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია“, – აღნიშნა ერთ-ერთმა გამომსვლელმა, ჩრდილოეთ კორეის მთავარი ტელევიზიის ეთერით გამოსვლისას. ქვეყნის ხელისუფალთა აზრით, ცხოვრების სოციალისტურ წესს მამაკაცისთვის მხოლოდ მოკლე თმა შეესაბამება. ასეთი ვარცხ-



ნილობა 5 ვარიანტადაა დაყოფილი – 1-დან 5 სმ-მდე სიგრძის მიხედვით. 50 წელზე უფროსი ასაკის მამაკაცებს ეძლევათ უფლება, 7 სმ-ზე გრძელი თმა ატარონ, რათა სიმელოტე დაფარონ. კორეელ მამაკაცებს ურჩევენ, 15 დღეში ერთხელ შეიჭრან თმა. ცოტა ხნის წინ, ტელევიზიამ ჩაატარა გადაღება ფარული კამერით, რომელიც გრძელთმიანი მამაკაცების გამოვლენას ისახავდა მიზნად. ■

„ᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲗ“

— თსუ-ის მესხეთის ფილიალის რექტორის დაპატიმრებისა ფაქტს ვანო მერაბიშვილის ინტერესებს უკავშირებენ. რა ინფორმაციას ფლობს თქვენი ასოციაცია ამ საკითხთან დაკავშირებით?

ᲐᲜᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ, *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:*

– საქმეში არ არსებობს დანაშაულის ნიშნები. თუ მერაბ ბერიძემ ფული გაფლანგა, ეს უნდა ჩადინა პირადი გამორჩენის მიზნით. მოსამართლის დადგენილებაში კი მითითებულია, რომ მას არც ერთი თეთრი იმ თანხიდან, რომლის არამიზნობრივ განკარგვაშიც ედავებიან, სახლში არ წაუღია. სტუდენტების მიერ გადახდილი თანხა, სამხედრო კათედრის ლექტორების ხელფასებზეა დახარჯული. რაც შეეხება თანამდებობრივი უფლებების გადამეტებას, ასეთი რამ ვერ მოხდებოდა, რადგან ბერიძეს 159 სტუდენტი სამხედრო კათედრაზე თვითნებურად არ ჩაურიცხავს. ამ ბრძანებას ხელს აწერს უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი როინ მეტრეველი, რომლის ნებართვის საფუძველზე, მესხეთის ფილიალში შეიქმნა სამხედრო კათედრა. გავრცელებული ინფორმაციები, რომ სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე აქციები, განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების წინააღმდეგ არის მიმართული, სიცრუეა. ეს არის მოსამართლის მიერ საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგი. სტუდენტები კი აღშფოთებულები არიან და თავიანთ პროტესტს გამოხატავენ იმის გამო, რომ ვიღაცის პირადი ინტერესების მიზეზით, უდანაშაულო ადამიანი ციხეში ზის. პირადად, ვის ინტერესებზეა საუბარი – ასოციაციის წევრები ამის დაკონკრეტებისგან თავს ვიკავებთ. თუმცა, ბოლომდე ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ბერიძე უკანონო პატიმრობაში აღარ მოხვდეს. ■

„ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ „ᲡᲣᲙᲘᲖᲐᲪᲘᲐ“ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ...“

— უშიშროების და შს სამინისტროს შერწყმით მივიღებთ თუ არა განუზომელი ძალაუფლების მქონე სტრუქტურას, რომლის გაკონტროლება პარლამენტსაც კი გაუჭირდება?

ᲘᲕᲚᲘᲐᲜᲔ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐ, *რესპუბლიკური პარტია:*

– მე მაოცებს ის ინერტულობა, რომელსაც პარლამენტი და საზოგადოება ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის მიმართ იჩენს. ამ კანონპროექტით, შს სამინისტროს უფლებები და შესაძლებლობები შეუზღუდავი ხდება. უშიშროების სამინისტრო, მთელი თავისი სტრუქტურებით, შეუერთდება შს სამინისტროს, რაც უამრავ პრობლემას წარმოშობს. პირველ რიგში, ფუნქციონალურად განსხვავებულია პერსონალის გაწვრთნისა და ამოცანების თვალსაზრისით, რაც საზოგადოებისთვის სახიფათო ხდება. ამას მარტივი ახსნა აქვს. სამინისტრო უზარმაზარ ფუნქციებს იძენს, მისი მუშაობა, მნიშვნელოვანწილად გასაიდუმლოებული ხდება, საპარლამენტო და საზოგადოებრივი კონტროლი კი – სიმბოლური. ამ უწყებაში თავს მოიყრის უზარმაზარი ინფორმაცია და ფაქტობრივად, საბჭოთა დროის ენ-კა-ვე-დეს ტიპის სტრუქტურა ჩამოყალიბდება. ეს იქნება უკონტროლო მონსტრი, რომელიც ნებისმიერი მოქალაქის ცხოვრების გაკონტროლებას და მიღებული ინფორმაციის ბოროტად გამოყენებას შეძლებს. პრეზიდენტის განცხადება – ჩვენ სუკი გავაუქმეთო, – ტყუილია. სინამდვილეში ხდება პოლიციის „სუკიზაცია“ და უშიშროების კონტროლის ქვეშ მისი მოქცევა, დღევანდელ სიტუაციაში ამ კანონპროექტის მხარდაჭერა, როგორც პოლიტიკურად, ისე ზნეობრივად – გაუმართლებელია. ■

„კონტრაბანდაზე კონტროლი ელიტურმა ნაწილმა აიღო“

— ხელისუფლების წარმომადგენლებს უკვე უჭირთ იმის უარყოფაც, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კონტრაბანდული ტვირთის შემოდინება ერთიორად გაიზარდა. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამასთან დაკავშირებით?

ნიკო ორველაშვილი, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— კონტრაბანდული ტვირთის შემოდინების ძველი გზები კვლავ ჩვეულ ფუნქციას ასრულებს. საიდანაც მოსახლეობას შემოჰქონდა განუბაჟებელი ტვირთი, იქიდან დღესაც იმავე მოცულობის კონტრაბანდა შემოდის. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თუ მაშინ ამ პროცესში ასობით ადამიანი იყო ჩაბმული, ამჟამად მონოპოლია ათამდე გავლენიანმა პირმა აიღო და შესაბამისად, „შავი ფულიც“ მხოლოდ მათ შორის ნაწილდება. წარმოუდგენელია, ეს ინფორმაცია ქვეყნის პირველ პირებს არ ჰქონდეთ, რადგან კონტრაბანდით „დაზიანებულ“ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა იმ ადამიანების გვარებსაც კი ასახელებს, რომელთა ნებართვითაც, წითელი ხიდის გავლით დატვირთული მანქანები შემოდიან. არ ვიცი, რა ხდება თურქეთის საზღვარზე. ჩემი ინფორმაციით, ასეთივე მდგომარეობაა გორშიც. იქ ყველამ იცის, ვის უნდა მიმართო და გადაუხადო საჭირო თანხა, რომ კონტრაბანდის შემოტანის ნება დაგრთონ. ქვეყნის მასშტაბით სულ რამდენიმე ჯგუფი აკონტროლებს ამ პროცესს. თუ ძველი კონტრაბანდისტებიდან ვინმემ გაბედა და დაკარგული პრივილეგიების აღდგენა მოინდომა, იწყება სპეცოპერაცია!.. ეს არის ჩაკეტილი წრე, სადაც გარკვეულ პირთა ჯგუფი უცხო ძალებს არ აჭაჭანებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: კონტრაბანდაზე კონტროლი ელიტურმა ნაწილმა აიღო ხელში, რიგითი მოქალაქეები ამ პროცესს გამოეთიშნენ, განუბაჟებელი ტვირთი კი ქვეყნის ბიუჯეტს ისევ მძიმე ტვირთად დააწვა.

■

„ხელისუფლების ზეწოლის არ მეშინია“

— მას შემდეგ, რაც თქვენი მოადგილე დააკავეს, თანახმა ხართ, პროფკავშირების ქონების 90% სახელმწიფოს გადასცეთ. რა კავშირშია ეს ორი ფაქტი ერთმანეთთან?

ირაკლი ტულუში, *პროფესიული კავშირების თავმჯდომარე:*

— ჩემი მოადგილის, ლაშა ჭიჭინაძის დაპატიმრება შეიძლება ჩაითვალოს თავმჯდომარეზე ზეწოლის განხორციელებადაც. ეს ალბათ გაფრთხილება იყო, რომელიც ნიშნავდა: თუ არ დავთანხმდებოდი მათ წინადადებას, საქმეს სხვაგვარი მსვლელობა მიეცემოდა. მაგრამ მე მათი გაფრთხილების არ მეშინია. ჩემი მხრიდან კატეგორიული განცხადებები იმ არაკომპეტენტური პირების მიმართ კეთდებოდა, რომლებიც არაკვალიფიციურ დასკვნებს აკეთებდნენ. ჩვენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დავსხედით, მოვილაპარაკეთ და 70%-ზე შევთანხმდით, თუმცა, როგორც ცნობილია, ახლა ეს პროცენტი 90-მდე გაიზარდა. ჩვენ პროფკავშირების ქონებას კი არ ვაბრუნებთ — ნებაყოფლობით გადავცემთ სახელმწიფოს. საერთოდ, აბრუნებენ მითვისებულ ქონებას, ჩვენ კი არავისთვის არაფერი წაგვირთმევია. გადასაცემ ობიექტებს შორის, ძირითადად, პანსიონატები და სანატორიუმებია, მათ შორის — ბორჯომსა და შოვის ხეობაში, ქობულეთსა და ბათუმში, წყალტუბოში, სადაც მთავრობა „ქართული ლას-ვეგასის“ აშენებას გეგმავს. ეს ობიექტები საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვდება, ხელისუფლება ყველაფერს გაყიდის. იმედი გვაქვს, კონსტიტუციურ მოთხოვნას გაითვალისწინებენ და შემოსული თანხიდან გარკვეულ პროცენტს, პროფკავშირებს დაუბრუნებენ — როგორც მიღებული ქონების საზღაურს.

■

ამერიკის „სახალხო არტისტემი“

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად, კინოხელოვნებაში ყველაზე დემოკრატიულ პრემიას — People's choice („ხალხის არჩევანი“)

გადასცემენ. მას მაყურებლები თავიანთ რჩეულ მსახიობებსა და რეჟისორებს ანიჭებენ. ცოტა ხნის წინ, 2004 წლის შედეგების შეჯამებისას გაირკვა, რომ საყვარელ მსახიობ ქალად, ჰოლივუდის ყველაზე ძვირად ღირებული ჯულია რობერტსი დაასახელეს, მსახიობ მამაკაცად — ჯონი დეპი; „წლის მიღწევის“ ნომინაციაში ჯილდოები ერგოთ რენე ზელვეგერსა და ბრედ პიტს. რაც შეეხება „წლის ფილმს“ — ეს წოდება, ჯორჯ ბუშის „მაგინებელ“ სურათს — მაიკლ მურის „9/11 ფარენგეიტით“ — ხვდა წილად. პრესის წარმომადგენელთა კომენტარის მიხედვით, ეს საკმაოდ უცნაურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება სწორედ მურის მიერ მხილებულ ბუშს ერგო. თავად რეჟისორმა აღნიშნული ფაქტი ასე შეაფასა: „ჩვენ დიად ქვეყანაში ვცხოვრობთ, თითოეულ ჩვენგანს ძალზე გვიყვარს იგი და მე გაოცებული ვარ იმით, რომ თქვენ სხვებს შორის ჩემი ფილმი გამოარჩიეთ. მეამყენა ეს და თქვენი უზომოდ მადლიერი ვარ“, — აღნიშნა მაიკლ მურმა და დასძინა, რომ ამ ჯილდოს, აშშ-ის ფარგლებს მიღმა მებრძოლ ამერიკელ ჯარისკაცებს უძღვნის...

■

150-კაციან პარლამენტში ოპოზიციის ადგილი არ იქნება

— „ახლებთან“ შეხვედრის დროს, ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ 7%-იანი ბარიერის დაწევის აუცილებლობას ვერ ხედავს. როგორ ფიქრობთ — საპარლამენტო უმრავლესობა ევროსაბჭოს რეკომენდაციას მხარს არ დაუჭერს?

კოკა გუნცაძე, *„მემარჯვენე ოპოზიცია“:*

— ჩვენს ფრაქციასთან შეხვედრისას, ნოღაიდელმა მოგვახსენა: თურქეთში 10%-იანი საარჩევნო ბარიერია და საქართველოში 7%-იანი რატომ არ მოსწონთ, გასაკვირიაო. როგორც ჩანს, ახალი პრემიერ-მინისტრი ევროსაბჭოს რეკომენდაციის გაზიარებას არ აპირებს. 28 მარტის არჩევნების დროს, ხელისუფლებამ ბარიერის დაწევაზე უარი თქვა. მას სურდა, მთლიანად დაეკავებინა 150 ადგილი, რომელიც პროპორციული წესით აირჩევა. დღეს აცხადებს, რომ 7%-იანი ბარიერი წინასაარჩევნოდ პარტიების გაერთიანებას უწყობს ხელს და გასაუქმებელი არ არისო. თუმცა, თავადაც იცის, რომ ასეთი ხელოვნური ბლოკები პარლამენტში მოხვედრისთანავე, იშლება და ვერც ერთი მათგანი საკანონმდებლო ორგანოში ამინდის შექმნას ვერ ახერხებს. ზოგადად, საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის 7%-იანი ბარიერი ძალიან მაღალია. თუ ეს ციფრი 5%-მდე შემცირება, შესაძლებელი იქნება, პარლამენტი აღარ ჰგავდეს იმ სანოტარო კანტორას, სადაც საკონსტიტუციო უმრავლესობა უპირობოდ ამტკიცებს მთავრობის ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ბარიერის დაწევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როცა საკანონმდებლო ორგანომ მხარი დაუჭირა პარლამენტის წევრთა რაოდენობის 150 კაცამდე შემცირებას. ამ შემთხვევაში, 7%-იანი ბარიერი გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს მრავალპარტიული პარლამენტისთვის. თუ ხელისუფალთა მადას გავითვალისწინებთ, ადვილი მისახვედრია, 150 ადგილიდან, გაყალბების გზით, რამდენს გაიმეტებენ ოპოზიციისთვის. ■

ქალაქის გენგეგმა ჭიაბერაშვილთან ერთად და მის გარეშე...

— თბილისის განაშენიანების ახალმა გეგმამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ინვესტორები ეჭვობენ, რომ ყველა ახალდანიშნული მერი საკუთარ პროექტს წარმოადგენს და მათი ინტერესების უგულებელყოფა მოხდება...

ზურაბ ჭიაბერაშვილი, *ქალაქის მერი:*

— ის ადამიანები, რომლებიც ამ გეგმას დაუპირისპირდნენ, კარგად ვერ გაერკვნენ ძირითად პრინციპებში. ეს არის არა სამშენებლო პროექტი, არამედ სახელმძღვანელო პრინციპები კერძო ინვესტორებისთვის. სამშენებლო სამუშაოებს ჩაატარებს არა მერია, ბიუჯეტის ხარჯებით, არამედ ის ინვესტორი, რომელიც თბილისში ბიზნესის დაწყებას აპირებს. მერია ინვესტორებს სთავაზობს ახალ მიმართულებას. ჩვენ ვაკიდან, მთაწმინდიდან, სოლოლაკიდან მშენებლობის ეპიცენტრი გადაგვაქვს მარცხენა სანაპიროზე. ამ გზით, თბილისის გარეუბნების მცხოვრებთ უჩნდებათ პერსპექტივა, ისეთსავე პირობებში იცხოვრონ, როგორიც ვაკელებსა და საბურთალოელებს აქვთ. ქალაქს 80-იანი წლების შემდეგ, პრაქტიკულად აღარ აქვს განაშენიანების გეგმა. როცა ინვესტორი მოდის და გვეკითხება — მინდა, რაღაცის აშენება და რომელი უბანი ჯობიაო? — პასუხის გაცემა არ შეგვიძლია. გეგმის დამტკიცების შემდეგ, ინვესტორს ეცოდინება, თუ როგორ განვითარდება ქალაქი და სად უფრო მომგებიანი იქნება ამ ბიზნესისთვის ინვესტიციის დაბანდება. რაც შეეხება თავად გენგეგმას — ეს იქნება იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც იმუშავებს ათეულობით წლების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ჭიაბერაშვილი იქნება ქალაქის მერი თუ სხვა პიროვნება. ■

პარლამენტის წევრი, კობა დავითაშვილი, რომელიც ვარდების რევოლუციის პერიოდში, „ხავერდოვანი გადატრიალების“ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, ზურაბ ჟვანიასთან კონფლიქტის გამო, სააკაშვილის გუნდს გამოეყო. იმ პერიოდში, ბატონი კობა აცხადებდა — რომ არა ზურაბ ჟვანია, პრეზიდენტს ოპოზიციაში არ ჩავუდგებოდიო... დღეს, ბატონი კობა ამ თემაზე ემოციის გარეშე ვერ საუბრობს. „მამაო ჩვენოში“ წერია — მიუტევე და მოგეტევება, მე კი ვერ შევძელი, უფრო კორექტული ვყოფილიყავი, დღეს სინანული გვიანიაო, — აცხადებს ბატონი კობა და „გზის“ მკითხველს იმ სურვილზე ესაუბრება, რომელიც პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების შემდეგ გაუჩნდა.

კობა დავითაშვილი: ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, ბევრ რამეზე დავფიქრდი

ხათუნა მაღრაძე

— მე და ზურაბმა 1998 წელს გავიცანით ერთმანეთი. ჯერ იყო საკრებულოს არჩევნები. მე „მოქალაქეთა კავშირის“ სიით ვიყრიდი კენჭს და საკრებულოს წევრი გავხდი. აქედან დაიწყო ჩვენი ურთიერთობაც, რომელიც მოგვიანებით, პარლამენტში გაგრძელდა. საწყის ეტაპზე, სერიოზული პოლემიკა და დაპირისპირება ჩვენ შორის, ცნობილი მიზეზების გამო, არ ყოფილა. პირველი სერიოზული უთანხმოება ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც პარლამენტი ნულოვან ვარიანტს განიხილავდა. ზურაბ ჟვანია მხარს უჭერდა ამ კანონპროექტს, რაც ჩემთვის მიუღებელი იყო. მაშინ გამოვედი საკმაოდ მკაცრი განცხადებებით, საკონსტიტუციო სარჩელისთვის ხელმოწერებსაც ვაგროვებდი. როგორც ჩანს, გამიზნულად, 1 საათით ადრე დაიკე-

ძნელია, იყო პოლიტიკაში
და ცხოვრობდე ეკლესიურად

ტა კანცელარია და ამას შესაბამისი ხმაურიც მოჰყვა... მოგვიანებით, გაიმართა პოლემიკა თავისუფალ ეკონომიკურ ზონასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც, ჩვენი პოზიციები კვლავ არ დაემთხვა ერთმანეთს. ამის შემდეგ ჩამოვყალიბდით, როგორც პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, რადგან მნიშვნელოვან საკითხებზე გვქონდა განსხვავებული პოზიციები.

— რამდენადაც მახსოვს, ნულოვან ვარიანტთან დაკავშირებით, თქვენ და ბატონ ზურაბს საგანგებო შეხვედრაც გქონდათ...

— ეს შეხვედრა ბატონი ზურაბის ინიციატივით შედგა. ჟვანია მარწმუნებდა, რომ მხარი უნდა დამეჭირა წარმოდგენილი ვარიანტისთვის. მე მაშინ საკუთარი პოზიციის ერთგული დავრჩი. მაგრამ ამის გაკეთება კორექტული დიალოგის ფარგლებშიც შეიძლებოდა...

— საკუთარ თავს არაკორექტულობაში ადანაშაულებთ?

— პოლიტიკა არაკორექტულია, ცალკეულ შემთხვევებში, გამომწვევ რეპლიკებსაც არ გამორიცხავს. მაგრამ გული სხვა რამეზე მწყდება. ოპონენტები ერთმანეთის წინააღმდეგ ხშირად გამოდიან კრიტიკულად. იყო ვახტანგ ბოჭორიშვილი, რომელთანაც არაერთხელ შევსულვარ პოლემიკაში, მაგრამ როცა ის ამ ქვეყნიდან წავიდა, სინდისის ქენჯნა არ მქონია, რადგან ყოველთვის ვცდილობდი, გული არ მეტკინა მისთვის. ვიცოდით, რომ ბატონი ვახტანგი ავად იყო, ასაკიც ისეთი ჰქონდა, რომ მისი აღსასრულის მოლოდინში, საკუთარი თავისთვის კონტროლი გაგვეწია და გავფრთხილებოდით, რასაც ვერ ვიტყვი ჟვანიაზე. ახალგაზრდებთან დაკავშირებით, ასეთი რამ ძალიან მოულოდნელია... ბატონი ზურაბის გარდაცვალების შემდეგ, თავში ამომტივტივდა მასთან ურთიერთობის ყველა წვრილმანი, როცა ვერ შევძელი, მხოლოდ საქმის გარშემო „მეტრიალა“ და პიროვნულ მომენტებსაც შევეხე. ამას საკუთარ თავს ვერ ვპატიობ. ჩვენ ქრისტიანები ვართ, მაგრამ სამწუხაროდ, გვავიწყდება ხოლმე რელიგიური მორალი — შეუნდე და მოგეტევება. თუ ვინმეს ვალი გაქვს, აპატიე და დაელოდე მისგანაც პატიებას, თუ გინდა, რომ უზენაესის სამსჯავროს წინაშე ეს ვალები არ მოგეკითხოს...

— თქვენ და ბატონ ზურაბს ბოლო პერიოდში, საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა გქონდათ. მაშინ ფიქრობდით, რომ ის მართალი არ იყო. დღეს პოზიცია შეიცვალეთ?

— სამწუხაროდ, მის სიცოცხლეში ვერ მოვახერხე შენდობის თქმა... პოლიტიკაში აზრთა სხვადასხვაობა დანაშაული არ არის, მაგრამ სინანული დამრჩა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ რაც არ უნდა მნიშვნელოვან საკითხებზე დავუპირისპირდეთ ერთმანეთს, რაც არ უნდა დარწმუნებული ვიყოთ საკუთარი პოზიციის სისწორეში, მაინც არ გადავცდეთ იმ ზღვარს, რომლის მიღმაც იწყება პიროვნული დაპირისპირება და ეს საქმეზეც ცუდად აისახება. ეს ზღვარი, ჩემი აზრით, გადალახული იყო, რის გამოც ძალიან ვწუხვარ.

— ბატონო კობა, ზოგადად პოლიტიკაში სინანულის განცდა რამდენად ხშირია?

— მე მხოლოდ საკუთარ თავზე შემიძლია საუბარი. თუმცა, დარწმუნებული ვარ — ბედის ირონია ნებისმიერ ადამიანს დააფიქრებს. თუკი შეიძლება, ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც დიდების ზენიტშია, ისე წავიდეს ცხოვრებიდან, რომ ვერ მოასწროს იმ ვალების გაქვითვა, რომლებიც ადამიანებს შორის გროვდება, გიჩნდება იმის განცდა, რომ მეტად დაფიქრდე საკუთარ ქმედებებზე. მარადიული მხოლოდ ცვალებადობაა. გამოსავალი მხოლოდ იმაშია, რომ ერთმანეთის მიმართ უფრო გულისხმიერები ვიყოთ.

— როგორც ჩანს, თქვენ ეს სინანული ეკლესიურ აღსარებამდეც მიგიყვანთ.

— ძნელია, იყო პოლიტიკაში და ცხოვრობდე ეკლესიურად. მაგრამ ვეცდები, მოქმედების სტილი შევიცვალო. პოლიტიკაში არიან ერთეულები, რომლებიც ეკლესიურადაც ცხოვრობენ და ყოველდღიურ პრობლემებზეც ადეკვატურად რეაგირებენ. ამას სხვანაირი ნიჭი უნდა. მე არ შემიძლია ფარისევლობა, არ შემიძლია, ეკლესიაში ვიარო, მოვინანიო და მეორე დღეს, იგივე გავაკეთო. თუმცა ვფიქრობ, ეს უბედური შემთხვევა, ჩვენი ზნეობრივად ამაღლების და პოლიტიკურად გაზრდის საუკეთესო ბიძგი შეიძლება გახდეს. ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ყველაზე დიდი სურვილი სწორედ ეს არის. ■



სამწუხაროდ,
მის სიცოცხლეში
ვერ მოვახერხე
შენდობის თქმა...

საზოგადოების აზრით, „შაბათის შოუს“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეა მიშა ანდღულაძე, რომელიც ხან „სტაიანშიკია“, ხან — ტელევიზორის ხელოსანი, ხან კი, ქალის სახის შექმნასაც არ ერიდება და კარგადაც გამოსდის. მისი ყველაზე საყვარელი ფრაზაა: ყოველდღე, კაცო, ყოველდღე-ე-ე?!. ან — გადასარევი, პირდაპირ!.. ვინ იქნება მიშას ქვისლი, რომელიც მერვე საოცრების ტოლფასია? რატომ გააკეთა მან პროთეზი და უღალატებს თუ არა ის ოდესმე „რუსთავი 2-ს“? ყველა საინტერესო კითხვაზე თავად, მხიარული და საზრიანი მიშა ანდღულაძე გვიპასუხებს.

„ჩემი აზრით, ამას ღალატი ჰქვია...“ – რა შეემთხვევაში გაღავა სხვა პრსზე მიშა ანდღულაძე

ნათია ქივიძე

— მიშა, მოდი, საუბარი შენი ნამდვილი პროფესიით დავიწყოთ: ვინ ხარ, რა ხარ და როგორ მოხვდი ჯერ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბში“ და მერე ტელევიზიაში?

— 9 კლასის დამთავრების შემდეგ, სწავლა ერთ-ერთ კოლეჯში განვაგრძე, მერე კი სტომატოლოგიურ უნივერსიტეტში ჩავაბარე, სადაც სწავლასთან ერთად კა-ვე-ენ-საც ვთამაშობდი. სტომატოლოგიური კი დავამთავრე, მაგრამ დიპლომი დღესაც არ ამიღია. მაშინ ერთი მეგობარი მოვიდა და მითხრა — წამოდი ჩვენთან და კა-ვე-ენში ითამაშეო. ასე მოვხვდი უნივერსიტეტის გუნდში.

— ისე, როგორი სტომატოლოგი ხარ? ვინმესთვის კბილი თუ გაგიკეთებია?

— საკმაოდ კარგი ხელი მაქვს. კბილი არავისთვის გამიკეთებია, სამაგიეროდ, პროთეზი გავაკეთე. თავს არ ვიქებ, მაგრამ მართლა კარგად ვხატავ და ესეც მეხმარებოდა კარგი პროთეზის შექმნაში. სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებაც მინდოდა, მაგრამ დედაჩემია სტომატოლოგი და უნდოდა, რომ მეც სტომატოლოგი გავმხდარიყავი. მისი ხათრით კი ჩავბარე ამ ინსტიტუტში, მაგრამ სურვილი ბოლომდე ვერ ავუსრულე, ხუმრობა ვარჩიე... დათო გოგიჩაიშვილმა გვნახა, მოვეწონეთ, მოგვიყვანა „რუსთავი 2-ში“, დაგვაპურა, გვაჭამა და გზაზეც დაგვაყენა. დედაც მიხვდა, რომ ამ საქმიდან უფრო მეტი შემოსავალი მექნებოდა, ვიდრე სტომატოლოგობიდან და ხმა აღარ ამოუღია...

— როგორც ვიცი, სტომატოლოგობაც საკმაოდ სარფიანი საქმეა...

— კი, მაგრამ ის უფრო რთული საქმეა.

— ახლანდელი ხელფასი გყოფნის?

— კი. იმდენი მაქვს, რომ ოჯახში არ შემაქვს.

— როგორც ვიცი, დაოჯახებული არა ხარ, ხომ?

— არა, ჯერ არა, მაგრამ შეყვარებული მყავს. შეიძლება, სულ მალე, დაოჯახებაც გადავწყვიტო. ჩემი რჩეული, მარი უძილაური უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობს. სხვათა შორის, მე და ნიკა გრიგოლია (ე.წ. გამღვიძებელი) მომავალი ქვისლები ვართ, დები გვიყვარს. მარის და, ნიკას შეყვარებულია. ჰოდა, ნიკას დაბადების დღეზე გავიცანით მე და მარიმ ერთმანეთი. ჩემთვის წარმოუდგენელი ფაქტია, რომ მე და გრიგოლია ქვისლები გავხდებით. ეს მერვე საოცრებაა!.. ზუსტად როდის დავქორწინდებით, ჯერ არ ვიცით. ისე, ალბათ კარგი იქნება, მე და ნიკამ ქორწილი ერთად რომ გადავიხადოთ — უფრო იაფად გამოვალთ.

ფაქტობრივად, ორი სამსახური მაქვს: 6 საათამდე, სტუდიაში ვარ, 6-ის მერე კი — მარისთან მივდივარ...

— იმ გოგონების ოჯახი რა ჭკუაზეა, ორი ასეთი მხიარული სასიძო რომ ჰყავს?

— ჩვენი სასიმამრო ახლა გერმანიაშია, დოქტორანტურაში, რელიგიათმცოდნეობას მისდევს. მის მიერ დაწერილი წიგნი ორივემ წავიკითხეთ, ვიფიქრეთ — კაცი რომ ჩამოვა, ხომ უნდა ვახაროთ, შენს შემოქმედებას გავეცანით-თქო!.. ახლა სულმოუთქმელად ველოდებით. აი, ასეთი განათლებული სასიმამრო გვყავს! სასიდედროც არაჩვეულებრივი ქალია. სიტყვა-პასუხი არ ეშლება. „გამარჯობაც“ კარგი იცის და „ნახვამდისაც“. კარგი მზარეულიც არის. მისი ნახელავიდან ყველაზე მეტად პიცა მიყვარს. ჩვენს ხუმრობაზე კი, მარის მთელი ოჯახი პირდაპირ გადარეულია. წესით, სასიამოვნო უნდა იყოს მათთვის, ეკრანზე ჩემი გამოჩენა. სხვათა შორის, ნიკა მე მივიყვანე ჩვენს გუნდში და რამე ხუმრობას რომ მივცემდით ხოლმე, უხაროდა და მაღარიჩში, „პერაშკს“ და რაღაცებს ყიდულობდა ხოლმე, სამჯერ ლუდიც დამალევინა...

— როგორც ვიცი, სამსახურის გამო საკმაოდ მოუცლელი ხარ. სიყვარულისთვის თუ გრჩება დრო?

— არ მრჩება, მაგრამ ვიტოვებ... ფაქტობრივად, ორი სამსახური მაქვს: 6 საათამდე, სტუდიაში ვარ, 6-ის მერე კი — მარისთან მივდივარ. ეს ჩემთვის სხვანაირი „სამსახურია“. ამ დროს, სიყვარულს ვემსახურები.

— შენი კარიერა მგონი, „სტაიანშიკობით“ დაიწყო, არა?

— კი. ადრე მაგარი ეკონომისტიც ვიყავი, მაგრამ მერე ვეღარ გავქაჩე. რატომ-

ღაც ჩემი ტელეგმირებიდან „სტაიანშიკი“ ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა. მაგრამ ეს ჩემთვის სახარბიელო აღარ არის, რადგან მხოლოდ ამით შემოფარგვლა არ მინდა. ჩვენი იუმორი, ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული ფრაზებისგან შედგება: ხან მეზობელს ვაკვირდები, ხან დედას და ა.შ. ხომ ხშირია ფრაზა: „ადექი დროზე, თორემ, ჩაქრება შუქი და დაიწყებ მერე ბორიალსო!“ აი, ასეთი ფრაზები გვაქვს...

— პოპულარობამ რა შეცვალა შენს ცხოვრებაში?

— ადრე ქუჩაში თუ არავინ მიყურებდა, ახლა ჩემს დანახვაზე, თვალები უფართოვდებათ, ზოგს — კარგი გაგებით, ზოგს კი — უცნაურად. ვიღაც გაგეხუმრება და რომ არ აჰყვე, „გაუტყდება“. ერთხელ ასეთი რამ შემემთხვა: თმის შეჭრა მინდოდა და სალონში მივედი. ვიკითხე — მუშაობთ-მეთქი? — დიახ, ბატონო, მობრძანდითო, — მიპასუხეს. შევედი და რას ვხედავ?.. სუფრა აქვთ ვიღაც კაცებს გაშლილი, არაყი მიუდგამთ გვერდით და მეპატიჟებიან. თურმე, სალონი დაკეტილი ყოფილა, მე მიცნეს და შემიპატიჟეს. დავრჩი თმაშეუჭრელი... ჩვენი სამსახურის „სტაიანშიკს“ დღემდე, ნამდვილი „სტაიანშიკი“ ვგონივარ. თავიდან მეგონა, მეკაიფებოდა და ჩვეულებრივად გამოველაპარაკე. მერე სერიოზული „ბაზარი“ გამიბა, მკითხა — თვეში რამდენი გრჩება?.. აქამდე, ფილარმონიასთან ვმუშაობდი, იქ არაფერი კეთდებოდა, თვეში მხოლოდ 18 ლარი მრჩებოდა და აქ ამიტომ გადმოვედიო, — და ა.შ. დღემდე ვერ დავაჯერე, რომ „სტაიანშიკი“ არა ვარ...

— ოჯახის წევრები როგორ ეგუებიან შენს პოპულარობას?

— რა ვიცი. დედაჩემი მაინცდამაინც არ ტრაბახობს ჩემი წარმატებებით. სამაგიეროდ, კონცერტი როცა გვაქვს, მამაჩემის ბიძაშვილის დეიდის ძმა მეუბნება ხოლმე — რატომ არ მომეცი ბილეთი? მე შენთვის სხვა ვარ?! ხომ იცი, როგორ მიყვარხარო! — და ა.შ. ამ დროს, ამ კაცს 10 წელიწადში ერთხელ ვნახულობ და ნორმალურად არც კი ვიცი, ვინ არის. ის კი თავს დებს იმაზე, რომ თურმე, მას გავუზრდივარ... გუშინ კიდევ, დედაჩემს სამსახურში მთავარმა ექიმმა „გამარჯობა“ უთხრა, მოიკითხა და ბოლოს ჰკითხა — მიშა როგორ არისო? — აქამდე კი, ასე არ ხდებოდა, წელიწადში ერთხელ თუ მიესალმებოდა... ერთხელ კიდევ, ვიღაც გოგომ დარეკა ტელეფონზე. ჩემი ძმა საკმაოდ დიდხანს ელაპარაკებოდა და უხაროდა — მაგარი გოგო დავითრიეო. იმ გოგომ ბოლო სიტყვად იცი, რა უთხრა?.. ბილეთი მაჩუქეო!.. ასეთია საქართველოში პოპულარობა. თუ სადმე გამოჩნდები, ყველას მაშინ ახსენდები.

— შენი პოპულარობის გამო შეყვარებული არ ეჭვიანობს?

— არა, მაინცდამაინც ფეხქვეშ არავინ მეგება. თან, არც ჩემთვის იქნება სახარბიელო, ვიღაცამ რომ დამირეკოს და იმას ლაპარაკი გავუბა. ასე რომ, შეყვარებულს ეჭვიანობის საბაბს ნამდვილად არ ვაძლევ. მე კი უცნაურად ეჭვიანი ვარ, ახლაც შეიძლება, უცბად გავგიჟდე... რა თქმა უნდა, ვხუმრობ. მგონი, ეჭვიანი სულაც არა ვარ. ისე, მარის უფრო ნაკლები შანსი აქვს, რომ ეჭვიანობის საბაბი არ ჰქონდეს, რადგან მე უფრო პოპულარული ვარ. თუმცა, ის უფრო ლამაზია და სწორედ მაგაში მირხევს. ასე ვთანაბრდებით — ჩემი პოპულარობა და მისი სილამაზე ბალანსირდება.

გუშინ კიდევ, დედაჩემს სამსახურში მთავარმა ექიმმა „გამარჯობა“ უთხრა, მოიკითხა და ბოლოს ჰკითხა — მიშა როგორ არისო? — აქამდე კი, ასე არ ხდებოდა...

— აზიატი და მომთხოვნი თუ ხარ?

— არც აზიატი ვარ და არც მომთხოვნი. ადამიანისგან მხოლოდ იმას მოვითხოვ, რომ სიყვარული დამანახვოს. ეს ჩემთვის მთავარია. ისე, ქალს ზრდილობა და სიტყვა-პასუხიც ხომ სჭირდება?! ამასაც მოვთხოვ. სტუმარი ხომ უნდა მიიღოს წესიერად?!.

— ოდესმე, ცუდ ხასიათზე ყოფნის დროს თუ მოგიწია სცენაზე გამოსვლამ?

— ცუდ ხასიათზე კვირაში სამ-ნახევარჯერ ვარ ხოლმე, მაგრამ რატომ ვარ ცუდ ხასიათზე, მაგას ვერ ვხვდები. ეტყობა, რადიაციული დღეებია, რუსები გვიშვრებიან... ხომ იცი, დღეს მოდაშია, ყველაფერი რუსებს დააბრალო... თამაშის დროს კი, თუ პროფესიონალი დამაკვირდება, აუცილებლად დაინახავს ჩემს თვალებში სევდას... არა, ასეთი რამ არასოდეს ხდება, რადგან როცა გადაღება გვაქვს, განწყობა თავისთავად მოდის, თუ რაღაც უბედურება არ მოხდა. ძალიან სახალისოა ეს გადაღებები, განსაკუთრებით — „შაბათის შოუ“.

— რატომ გიღალატათ გიგა ნასარიძემ, რომელიც ნიკა ქავთარაძის შოუში გადავიდა?

— ნამდვილად არ ვიცი. ალბათ, იქ ერჩივნა. ჩემი აზრით, ამას მართლა ღალატი ჰქვია. გიგა თვითონ იმათ მიიწვიეს, ალბათ იქ უფრო დიდ ხელფასს უხდიან... რაც არ ვიცი, არ ვიცი.

— შენ რომ შემოგთავაზონ — ჩვენთან გადმოდი და უფრო დიდ ხელფასს გადაგიხდითო, — წახვალ?

— მე არ შემომთავაზებენ, რადგან იციან, რომ არ წავალ. არ მინდა აქედან წასვლა, რადგან რასაც ვაკეთებთ, ჩემი აზრით, ძალიან მაგარი და ყველაზე რეიტინგულია. ორი მილიონ ექვსასი ათასი რომ გადამიხადონ, მაშინ ვეტყვი — კი ვიქნები თქვენთან, მაგრამ ამათაც ვერ მოვშორდები-მეთქი.

— თუმცა, ბევრი მაყურებლის აზრით, ნიკას შოუც საკმაოდ რეიტინგულია...

— მართალია. ჩემი აზრით, „იმედზე“ ასეთი მაგარი გადაცემა არასოდეს გაკეთებულა. ისინიც ნიჭიერები არიან, მაგას ვაღიარებ. მაგრამ რაღაც-რაღაცები არსებობს, რასაც სწორად უნდა განვიხილავ. იუმორის გრძნობა ბევრს აქვს, მაგრამ სწორად ვერ იყენებს.

— როგორ გგონია — მსახიობობას ბოლომდე გაჰყვები თუ ოდესმე, სტომატოლოგის კაბინეტში გიხილავთ?

— არა, სტომატოლოგობას არანაირად არ დავუბრუნდები. თუ ქვეყანა არ დაინგრევა, რა ვიცი... ძალიან მინდა, რომ ვხატო კიდეც, რადგან ძალიან მიყვარს ხატვა. დედა სულ მეუბნება — ერთი პროფესია ხომ მაინც უნდა გქონდეს, რა იცი, რა ხდებაო... რამე თუ მოხდება, მერე მოხვალ და სტომატოლოგი მიშასგან აიღებ ინტერვიუს, თან — ჩემს წარსულ ხუმრობაზეც შემეკითხები რაღაცრაღაცებს... ■

გინდათ შედეგი? გააკეთეთ რეკლამა „გზაში“!

„მინდა, რომ გურამს გვერდით მართლაც, ლირსეული ქალი ჰყავდეს...“

როდესაც შეყვარებულთა წყვილი ოჯახს ქმნის, მომავალს ნათელ ფერებში ხატავს. თითოეული მათგანი დარწმუნებულია, რომ სიცოცხლის ბოლომდე, ისევ ისე ეყვარებათ ერთმანეთი, როგორც ქორწინების დღეს... დარწმუნებული ვარ: რადიო „ფორტუნის“ დიჯეი ხატია შამუგია და „ქუჩის ბიჭების“ წევრი გურამ ლომიძეც სწორედ ასე ფიქრობდნენ, როდესაც ცხოვრება ერთმანეთს დაუკავშირეს და ვერ წარმოიდგენდნენ, რომ სულ რაღაც ოთხიოდე წლის შემდეგ, რუბრიკებში — „სასიძო“ და „საპატარძლო“ წარდგებოდნენ მკითხველის წინაშე... მკითხველმა იცის, რომ ამ „ტყუპი“ რუბრიკით ხან „სასიძოს“, ხან „საპატარძლოს“ წარმოგიდგენდით. მაგრამ დღეს განსაკუთრებული შემთხვევაა: ყოფილ ცოლ-ქმარს (რომელიმეს რომ არ ეწყინოს და არ იეჭვიანოს) ჟურნალის ერთსა და იმავე ნომერში ვუთმობთ ადგილს...

მარი ჯაფარიძე

— **ხატია, ჯერ შენი ოჯახი გაგვაცანი.**

— ამჟამად ვცხოვრობ ჩემს შვილთან და დედასთან ერთად. დედისერთა ვარ. ამიტომ ძალზე მცირერიცხოვანი ოჯახი გვაქვს. მამა სამწუხაროდ, გარდაცვლილია.

— **ახლა შენი ზოგიერთი „ანკეტური“ მონაცემი გაგვაცანი.**

— დავიბადე 1977 წლის 10 აგვისტოს. ჰოროსკოპით ვარ გველის წელში დაბადებული ლომი. ვინც ასტროლოგიაში ასე თუ ისე ერკვევა, ყველა მეუბნება — სახეზე გეტყობა, გველის წელში რომ ხარ დაბადებულიო... გველის მსგავსად, არ მიყვარს ზამთარი. სულ მოწყენილი და საძილედ გამზადებული ვარ. ცოტა შხამიანიც ვარ, მაგრამ წყენისთანავე „ვიკბინები“, გულში ჩახვევა კი არ მიყვარს. ენაც გველივით შუაზე მაქვს გაყოფილი. ძალზე მიყვარს წყალი და ოქრო.

— **შენი ხასიათის კარგი და ცუდი მხარეები გაგვიმხილე.**

— ვარ ძალზე ფეთქებადი ხასიათის, თუმცა, ჩხუბი და ხმამაღალი ლაპარაკი არ მახასიათებს. ტონის აწევის გარეშე, გაღიმებული სახით, შესაძლოა, ადამიანს ისეთი რამ ვუთხრა, რომ მაგრად გავამწარო. ძალზე მიმნდობი ვარ. მგონია, რომ ყველა ადამიანი კეთილი და უბოროტოა, მაგრამ რაც დრო გადის და ასაკი მემატება, ვხვდები, რომ ასე არ არის და ყველას ნდობა არ შეიძლება. ამიტომ ვცდილობ, ფრთხილად ვიყო ადამიანებთან ურთიერთობისას და შევინარჩუნო გარკვეული დისტანცია. ყოველთვის მზად ვარ ახალი მეგობრების შესაძენად. ყველაფერი გულთან ახლოს მიმაქვს. შესაძლოა, ტელევიზიით სიუჟეტი ვნახო გაჭირვებულ ადამიანზე და ცრემლები ვაღვარღვარო ან მეტისმეტი სიხარულის გამო ავტირდე. პასუხისმგებლობის გრძნობა ზომაზე მეტად მაქვს განვითარებული. ყველაზე დიდ ნაკლად მიმაჩნია ის, რომ საშინლად არაპუნქტუალური ვარ, ვაგვიანებ ყველგან და ყოველთვის. საკუთარი შვილის ნათლობაზეც კი, 2 საათით გვიან მივედი. ვცდილობ, ეს ნაკლი გამოვასწორო, მაგრამ ჯერჯერობით არ გამომდის. მიყვარს ხალხმრავლობა, მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა ვარ. ჩემთან ურთიერთობა ძალზე იოლია. არა ვარ მძიმე, არ მიყვარს ადამიანების „დაგრუზვა“ და მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი კარგი თვისებაა. მიხარია, რომ ჩემ გვერდით ადამიანები თავს კარგად გრძნობენ. ღალატის გარდა, ყველაფრის პატიება შემიძლია. შერიგება განსაკუთრებით მაშინ მეიოლება, როცა ვხედავ, რომ ადამიანი საკუთარ დანაშაულს განიცდის.

— **დედისერთები ხშირად, ეგოისტები არიან. შენ თუ გახასიათებს ეს თვისება?**

— ეგოისტი ვარ. მაგრამ იცით, როგორი ეგოისტი ვარ?.. მინდა, რომ ყველა მეგობარს ყველაზე მეტად მე ვუყვარდე. თუ ვინმე მიყვარს, მინდა, რომ ის მხოლოდ მე მეკუთვნოდეს. მიმაჩნია, რომ გამაღიზიანებლად ეგოისტი არა ვარ. ასატანი ვარ...

— **ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ სიყვარული ცხოვრებაში ერთხელ მოდის. შენ რას ფიქრობ ამ საკითხზე?**

— სიყვარული შესაძლებელია, რამდენჯერმე მოვიდეს. როცა ვინმე გიყვარს, ბედნიერი ხარ. რატომ უნდა იყო ადამიანი ისეთი დაწყევლილი, რომ მხოლოდ ერთხელ იყო ბედნიერი მთელი ცხოვრების მანძილზე? რამდენჯერაც ღმერთს უნდა, სიყვარული იმდენჯერ მოვა.

— **რადგან სიყვარულზე ვსაუბრობთ, ორიოდე სიტყვით შენს ყოფილ მეუღლესაც შევეხოთ. ინტერვიუუში ხშირად გითქვამს, რომ თქვენი გაყრის მიზეზი, ხასიათების შეუთავსებლობა იყო. რამდენადაც ვიცი, სინამდვილეში, სხვა ქალის გამო დაშორდით. მართალია?**

— კი, ეს ნამდვილად ასეა. თუმცა, ამის გამო მისთვის სკანდალი არ ამიტეხია. ერთხელაც, როცა მისი ღალატის შესახებ გავიგე და გურამს ამ თემაზე დაველაპარაკე, თვითონ მან მოუწყო იმ გოგოს სკანდალი. დაურეკა და ისეთი გინება და „ფურთხება“ „ჩაუტარა“, რომ ჩემი ჩარევა საჭირო აღარც იყო. თავისი გაფუჭებული საქმე თვითონ უნდოდა, მოეგვარებინა — იმ გოგოს ისეთი შეურაცხყოფა მიაყენა, რომ ეჭვი მაშინვე გამიქარწყლდა. ვიცი, რომ ამის შემდეგ, ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ მე უკვე ველარ ვაპატიე გურამს. მთელი 6 თვე ვყოყმანობდი,

ვერ გადამეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავი. ბოლოს მივიჩნიე, რომ დაშორება ჯობდა... შემდეგ მათ ისევ განაახლეს ურთიერთობა, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ახლა ერთად აღარ არიან.

— იქნებ, ეს მხოლოდ მსუბუქი ფლირტი იყო. რატომ მიანიჭე ასე დიდი მნიშვნელობა?

— არ მეგულება მამაკაცი, რომელსაც ცოლისთვის ერთხელ მაინც არ ეღალატოს, მაგრამ მეუღლე ამას, როგორც წესი, ვერ იგებს. გურამი ძალიან უნიჭო აღმოჩნდა იმ კუთხით, რომ სხვა ქალთან ურთიერთობა ვერ დამალა. ვფიქრობ, ეს იყო ღალატის პირველი მცდელობა, რომელიც კრახით დამთავრდა. ნიჭი სჭირდება იმასაც, რომ იპოვო ისეთი ქალი, რომელთანაც ცოლს ღალატობდე და მან ეს ყველაფერი საიდუმლოდ შეინახოს, არ გაგივრცელოს და შენ მიერ გაგზავნილი მესიჯები ყველას არ წააკითხოს...

— ალბათ ძნელი იყო იმის გადატანა, რომ სიყვარულში მეტოქე გაგიჩნდა...

— მე არ მიმაჩნია, რომ ის ჩემი მეტოქე იყო. როდესაც ქალი ღირსეული მეტოქის გამოჩენას გრძნობს, ის ბრძოლის ჟინით ივსება და ცდილობს, სიყვარული არ დაკარგოს. ჩვენს შემთხვევაში, მაშინვე განქორწინების გადაწყვეტილება მივიღე, რადგან უინტერესო მეტოქესთან ბრძოლის სურვილი არც გამჩენია. ვაღიარებ, რომ გურამი უზომოდ მიყვარდა და ვფიქრობ, სწორედ ამიტომ გამიჭირდა პატიება.

— სულ ახლახან ვნახე გურამის ინტერვიუ ერთ-ერთ ჟურნალში, სადაც ის ამბობს — სერიოზული სიყვარული არასდროს მწვევიაო.

— ჩემთან სულ სხვაგვარად ლაპარაკობს. თუ ამ სიტყვებით პიარს იკეთებს და არ უნდა, თაყვანისმცემელს გული ატკინოს, ეს მისი საქმეა. ახლა ამას უკვე აღარ განვიცდი. ვიცი, რომ მართლა, ძალიან ვუყვარდი და მეც ასევე მიყვარდა. შესაძლოა, სურს, ამ სიტყვებით ვინმეს ასიამოვნოს. თუ რამეში გამოადგება — წეროს, ბატონო...

— ახლა სულ აღარ ეჭვიანობ მასზე?

— მისი პირადი ცხოვრება საერთოდ აღარ მაინტერესებს. მომხრე ვარ იმისა, რომ ოჯახი შექმნას. ძალზე მოხარული ვიქნები, თუ ამ ნაბიჯს გადადგამს.

— როგორ ქალს უსურვებდი მეუღლედ?

— მინდა, რომ გვერდით მართლაც, ღირსეული ქალი ჰყავდეს. ისეთი, ვინც ჩვენს შვილთანაც გამოძებნის საერთო ენას. ჯერჯერობით, მის გვერდით ასეთს ვერავის ვხედავ, რაზეც გული მწყდება. არა უშავს, გაიზრდება, დაღვინდება, გემოვნებაც დაეხვეწება და ჩემს შემცვლელად მართლაც, ღირსეულს იპოვის. ალბათ ასეთს ჯერ ვერ მიაგნო და სწორედ ამის გამო იცვლის ასე ხშირად პარტნიორს...

— სიყვარული თუ გეწვევა, ოჯახს ისევ შექმნი?

— ახლა ალბათ, უფრო გამიჭირდება. მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ გავთხოვდე. ყველაზე დიდი მსხვერპლი, რომელიც სიყვარულისთვის გამიღია, არის ის, რომ დავქორწინდი, რადგან ამის წინააღმდეგი იყვნენ ჩემი ოჯახის წევრები, ნათესავები, ახლობლები. ახლა უკვე კარგად დავფიქრდები და ისე გადავდგამ ამ ნაბიჯს.

— საოჯახო საქმე თუ გეხერხება?

— ვაიმე, სამწუხაროდ, ამ კუთხით თავს ვერ მოვიწონებ. დედამ გამზარდა ასეთი პრინციპით — ოღონდ, შენ ისწავლე, არაფრის გაკეთებას არ გთხოვო. მუშაობაც ძალზე პატარა ასაკიდან დავიწყე. ამის გამო, საოჯახო საქმის სწავლა ვერ მოვასწარი. დიასახლისობა მაინცდამაინც არ მხიბლავს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს — რომ დამჭირდეს, ვერ ვისწავლო...

— შენი მზითვი ჩამოთვალე.

— „იასნია", რომ ჩემს მომავალ ქმარს მზითვში აუცილებლად ერგება სიდედრი, ჩემი შვილი და ჩემი ყოფილი ქმარი. უკვე გითხარით, რომ დედისერთა ვარ და თუ რამ გამაჩნია, ყველაფერი ჩემია — შემცილებელი არავინ მყავს. თანაც, სანერვიულო არაფერი ექნება. თუ ბავშვების „გაკეთება" არ შეეძლება, შვილი უკვე მყავს და ამ მხრივ პრობლემა არ გვექნება...

— ბარემ ისიც გვითხარი, როგორი მამაკაცები მოგწონს.

— მომწონს საინტერესო მამაკაცები. ვიზუალურ მხარეს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რადგან გარეგნობა დიდ როლს თამაშობს პირველი ერთი საათის განმავლობაში — მერე მეორე პლანზე გადადის და რჩება შინაგანი სამყარო... ეს იმას არ ნიშნავს, რომ გარეგნობით კვაზიმოდოს უნდა ჰგავდეს. მამაკაცი უნდა იყოს ძლიერი, მის გვერდით თავს ქალად რომ გრძნობდე. რა თქმა უნდა, ერთგულება უნდა შეეძლოს და აგრეთვე, ყველაფრის შესრულება, რასაც ვინატრებ. მიყვარს სიურპრიზებით ცხოვრება.

— ეს იმას ნიშნავს, რომ მატერიალურად მყარად უნდა იდგეს ფეხზე...

— ალბათ, ასეა. მამაკაცი უნდა იყოს საქმიანი. დილით, რომ გაიღვიძებს, უკვე დადეგმილი უნდა ჰქონდეს მთელი დღე და შინიდან კონკრეტული მიზნით გადიოდეს. ჩემს რჩეულს ძალიან, ძალიან უნდა ვუყვარდე...

— შენს ცხოვრებაში ბოიფრენდის არსებობას გამორიცხავ?

— სულაც არა, რატომ გამოვრიცხავ? ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ყველა ადამიანს პარტნიორი უნდა ჰყავდეს. ქალი მარტო არ უნდა იყოს. ამას მარტო განათხოვარ ქალებზე არ ვლაპარაკობ. ბოიფრენდის არსებობა ოჯახის შექმნამდეც გამართლებულად მიმაჩნია. ყოველთვის უნდა არსებობდეს ადამიანი, რომელსაც ეპრანჭები, მისთვის იძინებ და იღვიძებ, იცვამ და ლამაზდები. მე ჯერჯერობით ბოიფრენდი არ მყავს, რადგან ვერ ვიპოვე ისეთი ადამიანი, როგორიც მინდა. მყავს შვილი, გავიზარდე ტრადიციულ ოჯახში და თავს ბევრის უფლებას ვერ მივცემ: 5 და 10 პარტნიორის გამოცვლა ჩემთვის მიუღებელია. ერთადერთი და განუმეორებელი კი, ჯერ ვერ ვიპოვე. ჯერჯერობით ვარჩევ. ვნახოთ, რა იქნება.

— შენი ყოფილი მეუღლე ხომ არ გააპროტესტებს, შენს ცხოვრებაში სხვა მამაკაცის გამოჩენას?

— არ გააპროტესტებს, მაგრამ გარკვეული რეაქცია ალბათ ექნება, რადგან მისთვის უფრო ძნელი იქნება, ვინმესთან ჩემი დაწყვილების გადატანა, იმიტომ, რომ ჩვენი შვილი ჩემთან იზრდება. მისთვის კი ალბათ მნიშვნელოვანი იქნება ის, თუ როგორი მამაკაცი იქნება მისი შვილის გვერდით და ვინ მიიღებს ნიკუშას აღზრდის პროცესში მონაწილეობას. ერთი თაყვანისმცემელი მყავდა, რომელიც გურამს არ მოსწონდა. სულ მეუბნებოდა — ოღონდ, ეგ არა და სხვა, ვინც გინდა, ის იყოსო. მის აზრს ანგარიში გავუწიე. ასე რომ, თუ ღირსეულ კაცს შევიყვარებ და გურამსაც მოეწონება, არავითარ წინააღმდეგობას არ წავაწყდები. მე გამიხარდება, თუ ის კარგ ოჯახს შექმნის და მას რატომ უნდა ეწყინოს ჩემი გათხოვება?

— შენს სახელზე მოსულ გამოხმაურებებს თუ გაეცნობი?

— მე შენს რუბრიკას ყოველთვის ვკითხულობ და სხვების სახელზე მოსული გამოხმაურებებით ვინტერესდები ხოლმე. როგორ ფიქრობ, ჩემს სახელზე მოსულ მესიჯებს არ წავიკითხავ?.. მაინტერესებს, ვინ გამომეხმაურება და იმედი მაქვს, რომ ლამაზ და კეთილგანწყობილ მესიჯებს მივიღებ.

თუ „საპატარძლო" მოგეწონათ და ფიქრობთ, რომ მისი გულის მონადირებას შეძლებთ, მაშინ დამიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. არ დაგავიწყდეთ, რომ ხატიასთან ერთად, გურამის კეთილგანწყობაც უნდა მოიპოვოთ... გისურვებთ წარმატებას.

■

„ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვის დასოკავშირებს ხალხია თავის ცხოვრებას..."

როდესაც გურამ ლომიძის ინტერვიუს წაიკითხავთ, შესაძლოა, ზოგან გაგელიმოთ კიდეც, იმის გამო, რომ ის და ხატია ასე კარგად იცნობენ ერთმანეთის თვისებებს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე კითხვებზე თითქმის ერთნაირ პასუხებს სცემენ... როგორი გოგონები მოსწონს გურამს, რა თვისება შეიძინა მას შემდეგ, რაც ცხოვრება ხატიას დაუკავშირა და როგორ ქმარს ისურვებდა ყოფილი ცოლისთვის — ყოველივე ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

მარი ჯაფარიძე

— გურამ, რამდენი წლის ხარ?

— 25-ის გავხდები 23 აპრილს. ზოდიაქოთი ვარ მაიმუნის წელში დაბადებული კურო. ჩემს ჰოროსკოპს მაინცდამაინც ვერ ვამართლებ: მაიმუნივით მუდამ ხალისიანი არა ვარ. უფრო სევდიანი ნატურის ვარ. ეს ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარეა ასე. დაკონკრეტება არ მინდა. თუმცა, სულ სევდიანი კი არ ვარ — ხშირად მნახავ მოცინარსაც და მხიარულსაც.

— შენი თვისებებიდან რომელი მოგწონს და რომელი — არა?

— რომ გითხრა, რომელი მომწონს, თავის ქება გამომივა. ასეთ შემთხვევაში ვკობს, სხვამ ილაპარაკოს. თუმცა, მაინც გეტყვი, რომ ვარ მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანი. ბევრი ისეთი თვისება მაქვს, რომელსაც ნაკლად მივიჩნევ, მაგრამ არ დავაკონკრეტებ.

— ბრაზიანი ხარ?

— საკმაოდ ფეთქებადი ხასიათი მაქვს, მაგრამ მაშინ, როცა ძალიან გამაბრაზებენ. ასეთ დროს, ხან ვყვირი, ხან — მუშტს ვაბრახუნებ — სიტუაციას გააჩნია. ხანდახან ვიგინები კიდეც. აბა, სხვანაირად როგორ შეიძლება?

— პუნქტუალური ადამიანი ხარ?

— სამწუხაროდ, არა. ყველგან ვაგვიანებ. ადრე უფრო პუნქტუალური ვიყავი, მაგრამ რაც ჩემი ცხოვრება ხატია შამუგიას დავუკავშირე, მეც თავის ჭკუაზე გადამიყვანა, რადგან თვითონ საოცრად არაპუნქტუალურია.

— ეგ ვიცი, თვითონ ხატიამ მითხრა. ისიც მითხრა, რომ თურმე, ახალი მეორე ნახევრის შერჩევაშიც ეხმარები. მართალია?

— კი, მართალია. მე მას ხელს არ შევუშლი გათხოვებაში, თუ მისი თაყვანისმცემელი არ მომეწონება, ამას დაუფარავად ვეტყვი. რჩევასაც მივცემ და იმედია, ნაწილობრივ მაინც გაითვალისწინებს.

— მაინც, როგორ მეუღლეს ისურვებდი ყოფილი ცოლისთვის?

— პირველ რიგში, უნდა იყოს დინჯი, გაწონასწორებული და ჭკვიანი მამაკაცი. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვის დაუკავშირებს ხატია თავის ცხოვრებას, რადგან იმ მამაკაცთან უნდა იცხოვროს და გაიზარდოს ჩვენი შვილი.

— ...და სულ არ იეჭვიანებ?..

— არანაირად არ ვიეჭვიანებ. ეჭვიანი საერთოდ არა ვარ და არც ახლა გამიჩნდება ეს გრძნობა.

— ასე იოლად „გაასხვისებ" ყოფილ ცოლს?

— დიახ. მარტო რატომ უნდა იყოს? აუცილებელია, რომ გვერდით ვიღაც ჰყავდეს, აუცილებლად ღირსეული და კარგი.

— კარგი, დავანებოთ ხატიას თავი. ახლა ვისთან ერთად ცხოვრობ?

— ვცხოვრობ მარტო, მაგრამ პაატა ხაჩიე ისე ხშირად არის ჩემთან, რომ ფაქტობრივად, მასთან ერთად ვცხოვრობ.

— სახლს თვითონ აწესრიგებ? კერძს ვინ გიმზადებს?

— 15 წლის ასაკიდან, მარტო ვცხოვრობ და საკუთარი თავის მოწესრიგება თავად მიწევს. წესრიგი ძალზე მიყვარს. რამდენიმე დღის განმავლობაში ბინა რომ არ დავალაგო, ისეთი ქაოსი იქნება, რომ ვერაფერს მიაგნებ. ახალ იმის საშუალება მაქვს, რომ მყავდეს დამხმარე ქალი და საოჯახო საქმე გააკეთოს. რაც შეეხება კერძებს, შინ ფაქტობრივად არ ვჭამ. მაგრამ რომ დამჭირდეს, ნებისმიერ საჭმელს გავაკეთებ. ეს საქმე მეხერხება.

— შენი აზრით, რამდენჯერ შეიძლება ადამიანს ეწვიოს სიყვარული?

— ვერ გეტყვი. ვფიქრობ, შესაძლოა — 2-ჯერ ან 3-ჯერ შეგიყვარდეს.

— მეორედ დაქორწინებას ხომ არ აპირებ?

— თავისთავად ცხადია, დავქორწინდები, მაგრამ ჯერჯერობით არ ვაპირებ, ცოტას მოვიცდი. სურვილი მაქვს, წინა შეცდომები გავითვალისწინო, მაგრამ რამდენად მოვახერხებ, არ ვიცი, რადგან ძნელია, ყველა წვრილმანი გათვალო.

— როგორი გოგონები მოგწონს?

— ნებისმიერი კარგი გოგო მისაღებია ჩემთვის. მთავარია, კარგი გარეგნობა ჰქონდეს. ვერ ვიტან ზანგებს. ერთხელ ვცადე, შევხვედროდი ზანგ ქალს და თითის დაკარება ვერ მოვახერხე. რაღაც უცნაური გრძნობა მეუფლება ამ დროს. თუმცა, „ულატკა", „შოკოლადის" ქალები მომწონს. ასევე მომწონს თეთრი, ხორბლისფერი და შავგვრემანი გოგონები. ხასიათს მნიშვნელობა არა აქვს. ხანდახან შესაძლოა, მივაქციო ყურადღება მის თვისებებს, ხანდახან, საერთოდ არ მაინტერესებს — სიტუაციის მიხედვით. „ერთჯერადი" ქალები ჩემს ცხოვრებაში, როგორც წესი, არ არსებობენ.

— ქალის გამო შარში ხომ არ გახვეულხარ ოდესმე?

— შარში არ გავხვეულვარ, მაგრამ ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებ. მე და პაატა სტუმრად ვიყავით ერთ გოგონასთან. მოხდა ისე, რომ დავიძინეთ და ონკანი ღია დაგვრჩენია. მეზობელთან წყალი ჩავიდა. ეს გოგონა ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა და დაზარალებულ მეზობელს ბინის პატრონისთვის დაურეკავს. ისიც შუაღამისას დაგვადგა თავზე. პაატამ ჩაცმა მოასწრო. მე იძულებული გავხდი, შიშველი, აივანზე გავსულიყავი. იმ გოგონამ როგორღაც მოიფიქრა და კარგა ხნის შემდეგ, „ადიალა" მომწოდა. კარგად რომ გავიცინე, ხელი ჩავიქნიე, ოთახში შევედი და ლოგინში ჩავწექი... სწორედ იმის გამო, რომ მსგავსი პრობლემები არ შემექმნას, გათხოვილ ქალებს არ ვწყალობ. მაგრამ საამისოდ სხვა მიზეზიც მაქვს: ჩემს თავს ქმრის ადგილზე ვაყენებ და ვხვდები, რამდენად არასასურველ სიტუაციაში ჩავაგდებ მამაკაცს... ქმრიან ქალთან

არასოდეს მქონია ურთიერთობა.

— სულ ახლახან, შენი მეგობრის — ზურა ხაჩიძის ქორწილში მეჯვარედ იყავი. ის თავისზე უფროსი ასაკის ქალზე დაქორწინდა. შენ თუ აქცევ ყურადღებას ქალის ასაკს?

– ვფიქრობ, სიყვარულმა ასაკი არ იცის. დიდ მნიშვნელობას არც მე ვანიჭებ. ხატიაც ჩემზე 3 წლით უფროსი გახლავთ. ძირითადად, აქცენტს 18-დან 25 წლამდე გოგონებზე ვაკეთებ. მომწონებია 30, 35 წლის ქალიც, მაგრამ მისი შებმა არასოდეს მიცდია. ამ ასაკის ქალები უფრო დამოძენებულნი არიან, ცხოვრებისეული გამოცდილებაც შედარებით მეტი აქვთ და უნდათ, ჭკუის დარიგება დამიწყონ, მე კი არ მიყვარს, როცა ქალი ჭკუას მარიგებს. მირჩევნია, მე ვდომინირებდე ქალზე და არა – პირიქით.

— მოლხენა თუ გიყვარს? სასმელს როგორ იტან?

– თუ კარგ ხალხთან და კარგ სიტუაციაში ვარ, მართლაც, კარგ დროს გავატარებ. ვიმღერებ და ვიცეკვებ კიდეც. საკმაოდ ბევრს ვსვამ, სასმელს კარგად ვიტან. თუ არავინ გამბარაზა, ყველაფერი მშვიდად ჩავლის ხოლმე.

— მოკლედ, შარიანი არა ხარ, ხომ?

– მე შარს არასოდეს ვეძებ, შარი თვითონ მეძებს ხოლმე. ნასვამ მდგომარეობაში მიყვარს მანქანით ხეტიალი. თუ ასეთ დროს საჭე ხელში მოვიგდე – მორჩა, ჩათვალეთ, რომ ის მანქანა დამტვრეულია...

— მუშტის მეშვეობით პრობლემა ხშირად გადაგიჭრია?

– კი, ასეთი შემთხვევებიც მქონია. სადაც სიტყვა არ ჭრის, იქ მუშტი უნდა ჩართო საქმეში. ჩხუბის კვალი სახეზე არასოდეს დამტყობია. ერთადერთხელ, 2000 წელს, ჩხუბის დროს, თავში დანა ჩამარტყეს და საკმაოდ სერიოზული ჭრილობა მომაყენეს...

— წყენას იოლად ივიწყებ?

– კი, შემიძლია, ადამიანს სულ რამდენიმე წუთში ვაპატიო წყენა. ბოდიშის მოხდაც შემიძლია, მაგრამ ამას ძალზე იშვიათად ვაკეთებ.

— ხშირად იტყუები?

– ტყუილი ნებისმიერ ადამიანს ახასიათებს და გამონაკლისი არც მე ვარ. თუმცა, ვინც კარგად მიცნობს, იოლად მიხვდება, როდის ვიტყუები და როდის – არა.

— გიყვარს, როცა გეფერებიან?

– რა თქმა უნდა, მოფერება ვის არ უყვარს?! ძალზე მომწონს, როცა დედა მეფერება. სულ დედასთან ვცხოვრობდი და მის გარეშე ერთ დღესაც არ ვჩერდებოდი. მაგრამ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა დედაჩემი სამუშაოდ საბერძნეთში წავიდა. მხოლოდ წელიწადში ერთხელ ახერხებდა ჩამოსვლას. ამის გამო, სულ მაკლდა დედის სითბო. ახლა, როცა დედა მეფერება, ვიტრუნები ხოლმე. ძალზე მომწონს ქალის ალერსიც. ამაზე უარს ვინ იტყვის?!.

— სიძუნწე თუ გახასიათებს?

– არასოდეს ვინახავ ფულს. რა თანხაც მაქვს, ყოველთვის ჯიბეში მიდევს. აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება, ძუნწი ვიყო? შემიძლია, ბოლო თეთრამდე დავხარჯო.

— ახლა შენი გული თავისუფალია?

– კი. ამ ეტაპზე, შეყვარებული არა ვარ და ძალზე ვწუხვარ. ამის გამო თითქოს უკმარისობის გრძნობა მეუფლება. თუ კარგი გოგო გამოჩნდება, ალბათ, შემყვარდება კიდეც.

ესეც „სასიძო“! რადგან ასე ელის სიყვარულს, იმედია, გოგონები იმედს არ გაუცრუებთ და გამოეხმაურებით. ვიცი, რომ ის ბევრი თქვენგანის კერპია. მასთან დაკონტაქტების მსურველებს შეუძლიათ, დამმესიჯონ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. თუ ძალზე მოვიწადინებთ, იქნებ, ყოველ ცოლ-ქმარს ქორწილიც ერთ დღეს გადაეუხადოთ... ■

სიცოცხლე – მოძრაობაშია!

ოსტეოქონდროზი, ოსტეოართროზი და სახსრებისა და ხერხემლის სხვა პათოლოგიები ფართოდ არის გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაში. ყოველი ადამიანისთვის ეს დაავადებები ასოცირებულია ტკივილის შეგრძნებასთან, მოძრაობის შეზღუდვასთან და საბოლოო ჯამში სიცოცხლის ხარისხის გაუარესებასთან.

ქონდროპროტექტორები უდავოდ რევოლუციური გადაწყვეტაა

სახსრების დაავადებებისა და ტრავმების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის

ტერაფლექსი (THERAFLEX) ეფექტური კომბინირებული ქონდროპროტექტორია

1 კაფსულა ტერაფლექსი შეიცავს:
გლუკოზამინის ჰიდროქლორიდს – 500მგ
ნატრიუმის ქონდროიტინის სულფატს – 400მგ

ამ კომპონენტთა ურთიერთქმედება უზრუნველყოფს რეგენერაციულ (აღმდგენ), ანთებისსაწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს.

ტერაფლექსი

- ახდენს სახსრის ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენის სტიმულირებას;
- აქრობს ანთებით პროცესს სახსარში;
- ამცირებს ტკივილის ინტენსივობას სახსრებსა და ხერხემალში;
- აუმჯობესებს სახსრების მოქნილობას;
- მოტეხილობების დროს აჩქარებს შეხორცების ძვლოვანი კორძის წარმოქმნას;
- აქვეითებს (ან ზღუდავს) მოთხოვნილებას არასტეროიდულ ანთებისსაწინააღმდეგო საშუალებებზე;
- აუმჯობესებს პაციენტის სიცოცხლის ხარისხს.

რეკომენდებული მინიმალური თერაპიული კურსი შეადგენს 6 თვეს.
პრეპარატის მიღებამდე გაეცანით ანოტაციას.

ტერაფლექსი – თავისუფლების ახალი დონე!

„საგმელ“-ი თქვენ და თქვენს ახლობლებს გისურვებთ ჯანმრთელობას და აქტიურ სრულფასოვან ცხოვრებას.

ჯანმრთელობის ალბომი

ჩემი ოჯახის აფთიაქი
აღმაშენებლის გამზ. 148III

SM

64 წლის ბებიაქალს ახალშობილის გაყიდვაში ადანაშაულებენ

თბილისის საოლქო სასამართლო მომავალ კვირას, თბილისის მე-5 სამშობიაროს ბებიაქალის – ნანული ქენქაძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების საკითხს განიხილავს. ტრეფიკინგში ბრალდებული ბებიაქალის ინტერესებს სასამართლოში ორგანიზაცია – „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" – დაიცავს. ნანული ქენქაძეს პროკურატურამ ბრალი 143-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით წაუყენა და დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში, მას 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენელთა თქმით, ბრალდებული, მძიმე ავადმყოფია და შინ უპატრონოდ დარჩენილი, ფსიქიკურად დაავადებული შვილი ჰყავს. ადვოკატების განცხადებით, საქმის გარემოებებით დადგენილია, რომ ახალშობილი, რომლის უკანონოდ გაყიდვის გამო ახლა ქენქაძეს პროკურატურა უყენებს ბრალს, დედის თანხმობით, შეძლებულ ოჯახშია გაშვილებული. „იმ ოჯახში ბავშვს გადარჩენისა და ნორმალური აღზრდის პირობები შეექმნებოდა. აქედან გამომდინარე, ბავშვის გაყიდვის შესახებ გარიგება სწორედ მისი შვილად აყვანის მიზნით განხორციელდა", – აღნიშნავენ ადვოკატები. მათი აზრით, ამ შემთხვევაში, საქმე ეხება სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს და არა იმ მუხლს, რომელიც პროკურატურამ ქენქაძეს წაუყენა. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის დამცველების მიერ დასახელებული მუხლი სასჯელის ზომად, თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, ადვოკატები აცხადებენ, რომ ნანული ქენქაძე უკანონო პატიმარია.

ახალშობილის უკანონო გაყიდვის ფაქტზე 64 წლის ნანული ქენქაძე და ბავშვის დედა – 20 წლის ივლიტა ჯავახიშვილი, შს სამინისტროს ტრეფიკინგთან ბრძოლის სამმართველოსა და ისანი-სამგორის რაიონის განყოფილების თანამშრომლებმა წლეულს 10 თებერვალს დააკავეს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, ქენქაძემ და ჯავახიშვილმა 20 დღის გოგონა საზღვარგარეთ გაყვანის მიზნით, 900 დოლარად გაყიდეს. ■

ლექტორის მკვლელობაში ბრალდებული აბიტურიენტი თავს უდანაშაულოდ აცხადებს

1985 წელს დაბადებული, თეიმურაზ კალატოზიშვილი განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით, უზენაესი სასამართლოს წინაშე წარდგა. პროკურატურა მას 66 წლის ლექტორის – ელეონორა იმედაშვილის მკვლელობაში ადანაშაულებს. ბრალდების თანახმად, კალატოზიშვილმა, რომელიც იმედაშვილთან რუსულ ენასა და ლიტერატურაში ემზადებოდა, დანაშაული შურისძიების მოტივით ჩაიდინა. საქმის მასალების მიხედვით, კალატოზიშვილს რუსეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება ჰქონდა მიზნად დასახული და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა რუსული ენის შესწავლა. ელეონორა იმედაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ლექტორი გახლდათ და კალატოზიშვილი მასთან, მომხდარ მკვლელობამდე, რამდენიმე თვის განმავლობაში დადიოდა. 2004 წლის 22 აპრილს, დაახლოებით დღის 12 საათისთვის, ის ჩვეულებისამებრ მივიდა მასწავლებელთან შინ. გაკვეთილის მსვლელობისას, ელეონორა იმედაშვილმა მას შესრულებული დავალება დაუწუნა და უხეშად მიმართა – შენ რუსულ ენას ვერასდროს აითვისებ და ერთმანეთს უნდა დავშორდეთო. კალატოზიშვილმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და გაბრაზებულმა, მასწავლებლის მოკვლა განიზრახა. იქვე, მაგიდიდან აიღო დანა და იმედაშვილს სხეულის სხვადასხვა ადგილას ზედიზედ რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. ელეონორა იმედაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. როგორც დაზარალებულის ერთ-ერთმა ახლობელმა დაკითხვისას აღნიშნა, გვამი დღის 3 საათისთვის აღმოაჩინეს. „ზუსტად იმ დღეს, ელეონორასთან საქმე მქონდა. ბავშვთან ერთად მივედი. კარზე კარგა ხანს ვაკაკუნე, მაგრამ არავინ რომ არ გამიღო, მეზობელს მივმართე. მასაც ძალიან გაუკვირდა, რომ ელეონორა კარს არ აღებდა, თქვა – წესით, შინ უნდა იყოსო. ბინის მეორე გასაღები ელეონორას მასთან ჰქონდა დატოვებული და გადავწყვიტეთ, კარი გაგვეღო. ბინაში რომ შევედით, ელეონორას გვამი იატაკზე, „ადიალაში" გახვეული დაგვხვდა", – აღნიშნა მოწმემ დაკითხვისას. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას გვამი საშინლად დასახიჩრებული დახვდა. როგორც სამართალდამცველებმა აღნიშნეს, მოკლულს ხელზე თითი ჰქონდა მოჭრილი. წინასწარი გამოძიების პერიოდში, კალატოზიშვილმა აღიარებითი ჩვენება მისცა სამართალდამცველებს. მაგრამ დღეს აცხადებს, რომ სრულიად უდანაშაულოა. აღსანიშნავია, რომ კალატოზიშვილი წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ. სასამართლოში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით ჩვენება მას ჯერ არ მიუცია. ■

პოლიციამ დამნაშავეებს სახლის სხვენზე მიაგნო

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა 18 თებერვალს დილით, დამნაშავეთა 4-კაციანი ჯგუფი დააკავეს. მანქანების გატაცებაში ეჭვმიტანილი პირები პოლიციელებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ზემო კახათში მცხოვრებ მოსიების ოჯახში დააკავეს. დაკავებისას, ბოროტმოქმედებმა პოლიციის თანამშრომლებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. მაგრამ ჩატარებული ოპერაციის შედეგად, ოთხივეს აყვანა მოხერხდა... ბოროტმოქმედები სახლის სხვენზე იპოვეს. ავტოფარეხში კი, თბილისში გატაცებული ავტომანქანა აღმოაჩინეს. დაკავებისას ბოროტმოქმედებისგან პოლიციამ ე.წ. „აუტმჩკები", დიდი რაოდენობით დოლარები და ნარკოტიკული ნივთიერება – მარიხუანა ამოიღო. სამართალდამცველთა თქმით, ამჟამად გამოძიება არკვევს, აქვთ თუ არა კავშირი აღნიშნულ ბოროტმოქმედთ იმ დანაშაულებრივ ფაქტებთან, რომლებიც ბოლო დროს, სამეგრელოს ტერიტორიაზე ხდებოდა. ■

მკვლელობაში ბრალდებულის დაკავებაში ქართველ სამართალდამცველებს ამერიკელი კოლეგები დაეხმარნენ

რამდენიმე დღის წინ, ამერიკის შეერთებული შტატებიდან საერთაშორისო ძებნილის, მკვლელობაში ბრალდებულის – 31 წლის გოჩა გაბედაურის ექსტრადირება განხორციელდა. ძებნილი, თბილისის აეროპორტში 19 თებერვალს ნიუ-ჯერსის შტატიდან სპეციალური რეისით ჩამოიყვანეს. ქართველ სამართალდამცველებს ეჭვმიტანილის დაკავებაში გამოძიების ფედერალური ბიურო დაეხმარა. გოჩა გაბედაურმა 2002 წლის მარტში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ელგუჯა ბექაური მოკლა. ქართველი სამართალდამცველები მას თითქმის 3 წლის განმავლობაში ეძებდნენ. ■

„მიფრთხილდით, ძმაო, დღეს სისხლი მღვრია!“

ყაჩაღური ბანდის განსაკუთრებით საშიში წევრები და სასტიკი ანგარიშსწორება ბოროტმოქმედთა შორის

90-იანი წლების საქართველოში მოთარეშე ეს ბანდიტური დაჯგუფება კრიმინალური სამყაროს ისტორიაში არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც შევიდოდა, განსაკუთრებით საშიში დამნაშავეთა ჯგუფის სტატუსით. შეძრწუნებული მოსახლეობა მას სისხლისმსმელთა ბანდას უწოდებდა. გამოძიების ოქმებიდანაც ჩანს, რომ ბანდის წევრები, რომლებიც თავდაპირველად, სხვადასხვა რაიონის, შემდეგ კი, დედაქალაქის მცხოვრებთ ესხმოდნენ თავს, იარაღიდან ცეცხლის გახსნას ნამდვილად არ ერიდებოდნენ. აყაჩაღებდნენ არა მარტო მოქალაქეებსა და მათ ოჯახებს, არამედ ორგანიზაციებსა და სავაჭრო დაწესებულებებსაც. ხშირ შემთხვევაში, წარმოუდგენელ სი სასტიკეს იჩენდნენ. განსაკუთრებით მაშინ, როცა დაზარალებულთა მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ. ასეთ დროს ბანდიტები უმოწყალოდ ხოცავდნენ ყველას, ვინც კი გზაზე გადაეღობებოდა და ცოტათი მაინც ეცდებოდა მათი მზაკვრული გეგმის ჩაშლას. ბანდის წევრთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალებში 14 სხვადასხვა დანაშაულის ეპიზოდი, 42 დაზარალებული პირისა და 8 მოკლულის გვარი ფიქსირდებოდა. თუმცა, აწიოკებული სოფლების მოსახლეობა გაცილებით მეტ მსხვერპლსა და გაუხმაურებელ ფაქტს ასახელებდა...

„სამართალდამცავებისთვის თითოეული დამნაშავის ვინაობა იყო ცნობილი, მათზე ძებნაც გამოცხადეს, მაგრამ ბანდას იმ დროისთვის ყველაზე გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტები მფარველობდნენ. ქურდებს საკმარისი გავლენა და მჭიდრო კავშირები ჰქონდათ ძალოვანი სტრუქტურების მაშინდელ ხელმძღვანელობასთან, ამიტომაც ბანდიტები წლების მანძილზე, ხელშეუხებელი რჩებოდნენ და აუღელვებლად განაგრძობდნენ თარეშს. ავტორიტეტები და პოლიციის შეფები კი მათი ნადავლიდან მიღებულ წილს ერთმანეთში ინაწილებდნენ. ერთხელ გამომძიებელმაც მითხრა პირად საუბარში, რომ არც ერთი დამნაშავე არ აიყვანეს მანამ, სანამ მათსა და ქურდებს შორის უკმაყოფილება არ მოხდა“, — ამბობს ბანდის ერთ-ერთი წევრის მიერ მოკლული პოლიციელის მამა.

34 წლის კობა ჯაფარიძე პოლიციის ოპერატიული მუშაკი გახლდათ. თბილისში მდებარე კომერციულ დაწესებულებაზე მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ, ცხელ კვალზე ადევნებულ პოლიციელებსა და ბოროტმოქმედებს შორის შეტაკება მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, ჯაფარიძემ თავისი ტაბელური იარაღიდან მხოლოდ ერთი გამაფრთხილებელი გასროლა მოასწრო. იმწამსვე, მას ბანდის წევრის — იმნაიშვილის მიერ ავტომატიდან გასროლილი ტყვია მოხვდა და სასიკვდილოდ დაჭრილი, საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

გამოძიების მასალებში დაფიქსირებულია წამების რამდენიმე ფაქტიც. როგორც ჩანს, ოჯახებზე ყაჩაღური თავდასხმების დროს, ბოროტმოქმედები მიზნის მისაღწევად ყველაფერზე მიდიოდნენ. მუქარა და ცემა თუ არ გაჭრიდა, სადიზმს მიმართავდნენ. მარტვილის რაიონის მკვიდრი ჯღარკავების ოჯახი სწორედ განსაკუთრებული სისასტიკის მსხვერპლი გახდა. ბანდა ოჯახს ღამის 3 საათისთვის დაესხა თავს. ხმაურზე გაღვიძებული ცოლ-ქმარი — გულნაზ და ომარ ჯღარკავები ორ ნიღბიან და ავტომატებით შეიარაღებულ ბოროტმოქმედს საძინებლის ზღურბლთან შეეფეთნენ. თავდამსხმელებმა ჯღარკავები ჯერ გაკოჭეს, პირი სკოჩით აუკრეს, ქმარს ცოლის თვალწინ წიხლებს ურტყამდნენ და იარაღით იმუქრებოდნენ; ფულს და ძვირფასეულობას ითხოვდნენ, მაგრამ ცოლ-ქმარი უარის ნიშნად თავს რომ იქნევდა, წამებაზე გადავიდნენ. ვიდრე ერთი თავდამსხმელი სახლს ჩხრეკდა, მეორე, ჯღარკავების დამორჩილებას ცდილობდა. გულნაზ ჯღარკავას გახურებული უთოთი დაშანთვა რომ დაიწყო, ქმარი მაშინვე გატყდა და ბანდიტებს კომოდის იმ უჯრაზე მიუთითა, სადაც ოქროულობასა და შვილის მიერ რუსეთიდან გამოგზავნილ დოლარებს ინახავდა...

რამდენიმე თვის შემდეგ, იმავე რაიონში მცხოვრები, ქაჩიბაიების ოჯახის დაყაჩაღებისას, ბანდიტებმა ოჯახის უფროსი — ნოდარ ქაჩიბაია მაშინ გამოასალმეს სიცოცხლეს, როცა მან საკუთარი სანადირო თოფით მათთვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა. ერთ-ერთმა ყაჩაღმა — ქაშიბაძემ მას „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან გულმკერდის არეში მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა.

მოგვიანებით, ყაჩაღებმა სისხლიანი კვალი დედაქალაქშიც დატოვეს...

ოფიციალური ცნობებით, ბანდა 1993 წლის აპრილში ჩამოყალიბდა. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ სამეგრელოს მხარის მკვიდრმა რამდენიმე ამბიციურმა ახალგაზრდამ ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება ძარცვა-ყაჩაღობებითა და რეკეტით გადაწყვიტა. ეს იდეა, როგორც გაირკვა, წარსულში ქურდობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვატარებისთვის ნასამართლევ 22 წლის გიგა

გვილავას გაუჩნდა. ციხეგამოვლილი და შავ სამყაროში ფეხშედგმული გვილავა უბნელ ახალგაზრდებში უდავოდ სარგებლობდა ავტორიტეტით. მას მართლაც ჰქონდა კავშირი კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებთან და არ ფარავდა, რომ ამ კავშირების გაღრმავებას ცდილობდა. ქურდული ორიენტაციისკენ ჰქონდა გეზი აღებული და ყოველივე ამის გამო, გარშემო მყოფი ახალგაზრდებისგან რიდსა და პატივისცემასაც გრძნობდა. ბანდის ორგანიზების შესახებ იდეა მან უახლოეს მეგობრებს გაანდო და მათაც გვილავა ერთხმად და ულაპარაკოდ აირჩიეს ჯგუფის ლიდერად.

ბანდა თავიდან 4 კაცისგან შედგებოდა, გვილავას გარდა მასში შედიოდნენ 22 წლის მერაბ ქარჩავა და ძმები – 20 წლის დავით და 18 წლის ვასილ წოწორიები. გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინეს ცეცხლსასროლი იარაღი – პისტოლეტები, ავტომატები და საბრძოლო მასალა, დაამზადეს ნიღბები და სამოქმედო გეგმის შედგენა დაიწყეს. რამდენიმე ოჯახის დაყაჩაღების შემდეგ (რასაც ორ შემთხვევაში შედეგად ადამიანის სიკვდილი, სხვა შემთხვევებში კი არაერთის სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვა), ბანდას სამი ახალი წევრი – კოპალაძე, ქაშიბაძე და იმნაიშვილი შეუერთდა. ჯგუფი უფრო ორგანიზებული და „მიზანდასახული“ გახდა. გადაწყვიტეს მხოლოდ, კერძო პირების დაყაჩაღებით არ შემოფარგლულიყვნენ და იერიში თბილისში არსებულ მსხვილ საწარმოებზეც მიეტანათ. ამისთვის თბილისში საცხოვრებლად სხვადასხვა ადგილას ქირაობდნენ ბინებს. წინასწარ ადგენდნენ გეგმებს, თუ რომელ ორგანიზაციაზე მოეწყოთ თავდასხმა, წინასწარ სწავლობდნენ ობიექტებს, ანაწილებდნენ როლებს – თავდასხმის დროს ვის რა მოქმედება უნდა განეხორციელებინა. მოქმედებდნენ შემდეგი გეგმით: ორგანიზაციაზე თავდასხმამდე მოქალაქეებისგან იტაცებდნენ ავტომანქანებს, რასაც ყაჩაღობის დროს იყენებდნენ, შემდეგ კი ქუჩაში ტოვებდნენ მათ.

1994 წლის აპრილ-ივლისის განმავლობაში ბანდამ ოთხი კომერციული დაწესებულებისა და ორი შემნახველი ბანკის განყოფილების დაყაჩაღება და სოლიდური ქონების გატაცება მოახერხა. ყაჩაღობებს მუდამ თან სდევდა სისხლის ღვრა და მსხვერპლი. თბილისში მდებარე ერთ-ერთ საიუველირო მაღაზიაზე განხორციელებულ ბანდიტურ თავდასხმას შეეწირა ამავე მაღაზიის დირექტორის – 44 წლის ტარიელ ინანეიშვილის სიცოცხლე, ხოლო შემნახველი ბანკის დაყაჩაღებას თანამშრომელი ქალი – მარინა კილაძე ემსხვერპლა.

1994 წლის აპრილში, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, გვილავა და ბანდის დანარჩენი წევრები წერეთლის გამზირზე ჩაუსხდნენ გ. ჯაოშვილს კუთვნილ „ვაზ 2106“-ში და ელიავას ბაზრობამდე მიყვანა სთხოვეს. გზაში მათ მძღოლს ცეცხლსასროლი იარაღი დაანახვეს, უთხრეს, რომ დაუყოვნებლივ მოკლავდნენ, თუკი მანქანიდან არ გადავიდოდა. ჯაოშვილმა მითითებულ ადგილზე მისვლისას ავტომანქანა გააჩერა და უხმოდ გადავიდა იქიდან. ბანდიტებმა კი გზა განაგრძეს. გატაცებული მანქანით დღის 2 საათისთვის თბილისში მდებარე ერთ-ერთ მუნიციპალურ,საიუველირო სავაჭრო საწარმოს მიადგნენ. შეიარაღებულები და ნიღაბაფარებულები შეიჭრნენ მაღაზიაში. თავდაპირველად, დაცვის თანამშრომელი განაიარაღეს, წაართვეს ტაბელური იარაღი და მაღაზიაში მყოფ ხალხს უბრძანეს, არ განძრეულიყვნენ. ამის შემდეგ გვილავა მაღაზიის დირექტორის – ინანეიშვილის კაბინეტში შეიჭრა და მისი და ოთახში მყოფი სხვა პირების დამორჩილების მიზნით იარაღიდან უმისამართოდ გაისროლა. ტყვია იქვე მყოფ მაღაზიის თანამშრომელს – გ. ნოზაძეს მარჯვენა ბარძაყის არეში მოხვდა და სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო. სწორედ ამ მომენტში გვილავამ შენიშნა, თუ როგორ წაიღო ზურგს უკან ხელი ინანეიშვილმა. იფიქრა, რომ დირექტორი საკუთარი იარაღის აღებას ცდილობდა და მაშინვე აღკვეთა მისი მოქმედება. ავტომატიდან ჯერით ესროლა რამდენიმე ტყვია და ადგილზე მოკლა იგი. ამასობაში ბანდის დანარჩენი წევრები მაღაზიის დახლებს აცარიელებდნენ. ოფიციალური მასალებით, სავაჭრო ცენტრიდან მათ 10.850 დოლარის ღირებულების ოქროს სამკაულები წაიღეს. მაღაზიიდან გასული ბანდიტები ისევ ჯაოშვილის ავტომანქანით მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან. მანქანა მათ მოგვიანებით დიღმის მასივში მიატოვეს, მოხსნეს ნაწილები და გაიქცნენ. მეორე დღეს გაძარცული „ჟიგული“ პოლიციამ იპოვა და ის კანონიერ მფლობელს დაუბრუნა.

რამდენიმე დღის შემდეგ ყაჩაღურმა ჯგუფმა თავდასხმა განახორციელა ტანსაცმლის მაღაზიაზე, სადაც ცეცხლსასროლი იარაღით მძიმედ დაჭრეს მაღაზიის ორი თანამშრომელი და სხეულის დაზიანება მიაყენეს ასევე მაღაზიაში მდებარე ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მეპატრონეს. წაიღეს 300 ათასამდე რუსული რუბლი, 270 დოლარი და ნახევარი საათით ადრე გატაცებული ავტომანქანა „ვაზ 2107“-ით მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

1994 წლის ივნისში ბანდამ შემნახველი ბანკის განყოფილება დააყაჩაღა. საქმის მასალების მიხედვით, განყოფილებიდან მათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონება – დაახლოებით 2 მილიონი რუბლი, 400 მილიონი კუპონი და 1.200 დოლარი გაიტაცეს. მიზნის მისაღწევად, მათ დაცვის პოლიციელების განიარაღება დასჭირდათ. ბანკის შენობაში წარმოებული გასროლების დროს ერთ-ერთი ტყვია მოხვდა მოლარეს – მარინა კილაძეს, რომელიც მიღებული დაზიანების შედეგად მეოთხე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

იმავე თვის მიწურულს ბანდამ საბურთალოს რაიონში მდებარე კიდევ ერთი კომერციული დაწესებულება დააყაჩაღა. თუმცა, თავდასხმის ფაქტს პოლიციის თანამშრომლები – ჯაფარიძე და ზარქუა შეესწრნენ. ბანდიტები არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას – დაეყარათ იარაღი და გ. ჩაფიძისგან გატაცებული ავტომანქანით გაიქცნენ შემთხვევის ადგილიდან. მოკლე მანძილის გავლის შემდეგ, იმავე რაიონში, მათ მანქანა გაუფუჭდათ და იძულებული გახდნენ, გადამხტარიყვნენ და ფეხით გაქცეულიყვნენ. შეცვივდნენ უახლოესი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში და იქიდან გაუხსნეს პოლიციის თანამშრომლებს ინტენსიური ცეცხლი. ამავე დროს, ბანდიტებმა საშიშროება შეუქმნეს ეზოში მყოფი მოქალაქეების სიცოცხლესაც. სასიკვდილოდ დაიჭრა პოლიციელი ჯაფარიძე, სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო კიდევ ერთმა სამართალდამცავმა და ეზოში შემთხვევით მყოფმა, სრულიად უდანაშაულო მოქალაქემ. ავტომატიდან ნასროლი ტყვიებით, ასევე, დაიცხრილა კორპუსის წინ მდგარი 7 მსუბუქი ავტომანქანა.

შეიარაღებული წინააღმდეგობის შედეგად, ბანდის წევრებმა პოლიციელთაგან თავის დაღწევა მოახერხეს. გავიდნენ ქუჩაში, იქ ერთ-ერთ მოქალაქეს, იარაღის მუქარით, წაართვეს ავტომანქანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. პოლიციის თანამშრომლებისგან თავის დაღწევის შემდეგ, ბანდიტებმა იარაღის გასახვევად მანქანას უკანა საზურგის შალითა მოხსნეს, მანქანა ნაძალადევის რაიონში მიატოვეს და თავად ფეხით მიიმალნენ.

მორიგი დანაშაული ბანდის ლიდერმა გვილავამ 1995 წლის თებერვალში ჩაიდინა. ღამით, ქარჩავასთან ერთად მყოფს, ერთ-ერთ სავაჭრო ჯიხურთან, ორ უცნობ ახალგაზრდასთან მოუხდა შელაპარაკება. გვილავა და ქარჩავა, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. გვილავამ უხეშად მიმართა უცნობ ახალგაზრდას,

რომელიც სავაჭრო ჯიხურის პირდაპირ იდგა და დასაკეც დანას ხელში ათამაშებდა – ხან შლიდა, ხან კეცავდა მას და თან მეგობარს ესაუბრებოდა. ახალგაზრდამ გვილავას უხეში მიმართვა – „შენ, ბიჭო, მაგ დანა შეინახე!“ – ვერ მოითმინა და აგრესიულად უპასუხა. ყოველივე ამის გამო გაღიზიანებულმა გვილავამ, გამოიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეძენილი „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი ამოიღო და ახალგაზრდას, დამიზნებით, ერთხელ ესროლა. 21 წლის ზურაბ გიგაურს ტყვია გულმკერდის არეში მოხვდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მან გულის მარჯვენა პარკუჭის გამჭოლი დაზიანება მიიღო და ადგილზე გარდაიცვალა. გვილავამ „ნაგანი“ გიგაურის მეგობრისკენ – დავით შარაბიძისკენაც მიმართა – შენც მოგკლავო, დაუყვირა და ჩახმახს ხელი გამოჰკრა, მაგრამ ტყვია მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ გავარდა. ამით ისარგებლა შარაბიძემ და გვილავას მივარდა, რათა მისთვის იარაღი წაერთმია. თუმცა, ზუსტად იმ მომენტში ქარჩავამ მიწაზე უკვე უსულოდ დავარდნილ გიგაურს ხელიდან დანა აცალა და ის ზურგში ჩაარტყა შარაბიძეს. შარაბიძემ, როგორც ექიმებმა აღნიშნეს, სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე დაზიანება მიიღო, მაგრამ დროული სამედიცინო დახმარების შედეგად მისი გადარჩენა შეძლეს. რაც შეეხება გვილავასა და ქარჩავას, ისინი შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ და მიიმალნენ.

გვილავას დანაშაულებრივი ქმედების მორიგი მსხვერპლი თავად ბანდის წევრი – თემურ იმნაიშვილი აღმოჩნდა. როგორც მოგვიანებით, დაკავებულმა ვასილ წოწორიამ სამართალდამცავებს დაკითხვისას განუცხადა, იმნაიშვილის მკვლელობის მიზეზი ბანდის ლიდერის ეჭვები იყო. მისი თქმით, გვილავამ ბოლო ხანს იმნაიშვილი გატაცებული თანხის არათანაბარ განაწილებაში შეამჩნია. გვილავა ეჭვობდა, რომ ის ჯგუფის დანარჩენ წევრებს ნაყაჩაღარი ფულის ნაწილს ხშირად უმალავდა. წოწორიას ჩვენებიდან:

„ჯგუფში გვილავა ყველასგან გამოირჩეოდა სიმკაცრითა და აგრესიულობით. ვინმეს რამე თუ შეეშლებოდა, არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდა... იმ დღეს მერაბის ნაქირავებ ბინაში ვიყავით მე, ქაშიბაძე, იმნაიშვილი, გვილავა და ქარჩავა. ჩემი ძმა და კოპალაძე ჩვენთან არ იყვნენ. მე „ზალაში“ ვიჯექი და ტელევიზორს ვუყურებდი, გვერდით ოთახში ბიჭები ლაპარაკობდნენ. მაშინ გავიგონე გვილავას სიტყვები – მიფრთხილდი, ძმაო, დღეს სისხლი მწყურიაო. ვიფიქრე, წამლის ქვეშაა-მეთქი და სერიოზულად არ მივიღე მისი ნათქვამი. ცოტა ხანში თემურ იმნაიშვილი გამოვიდა, ანერვიულებული იყო. მას უკან მოჰყვა გვილავა. ხელში გადაჭრილი სანადირო თოფი ეკავა. იარაღი გადატენა, თემურს მიუახლოვდა და ესროლა. ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად და უცებ მოხდა, რომ აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი. ამიტომაც არ დამიფიქსირებია, გიგამ რამდენჯერ ისროლა. თუ არ ვცდები ორჯერ ან სამჯერ... თემური იატაკზე დავარდა. როცა გავაცნობიერე, რაც მოხდა, სკამიდან წამოვხტი და გიგას დავუყვირე – რა ქენი-მეთქი? მან მიპასუხა – ვიცი, რასაც ვაკეთებ, შენ ნუ ჩაერევიო და იარაღი მეც დამიმიზნა. ეტყობოდა, რომ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო... თემური გვერდულად იწვა იატაკზე, ღია ფერის მაისური ეცვა და სულ დასისხლიანებოდა. მაშინ გავიფიქრე – ალბათ, ტყვიები მუცელში მოხვდა-მეთქი და კიდევ ერთხელ წამოვიწიე მის დასახმარებლად, მაგრამ ამ დროს გიგამ მაგიდიდან სამზარეულოს დანა აიღო და თემურს რამდენჯერმე ზედიზედ ჩაარტყა მუცლის არეში...“

თემურ იმნაიშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. გვილავა კი დანარჩენებთან ერთად იქაურობას გაშორდა და მიიმალა. მკვლელობის იარაღი, როგორც ჩანს, თან წაიღო, რადგან შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ, ბინაში ვერც გადაჭრილი თოფი იპოვა და ვერც სამზარეულო დანა. „იარაღი წაიღო თუ არა, არ ვიცი. მე მას არ ვაკვირდებოდი. არც ის ვიცი, სადმე გადაგდო თუ არა თოფი ან დანა. არც ერთი იარაღი მას შემდეგ მის ან სხვის ხელში არ მინახავს,“ – წერდა ვასილ წოწორია.

სწორედ ძმები წოწორიები იყვნენ პირველები, ვინც პოლიციამ ამ ბანდიდან დაიკავა, თუმცა ეს მხოლოდ 1997 წელს მოხდა. წინასწარ გამოძიებას მათ აღიარებითი ჩვენებები მისცეს და ჯგუფის დანარჩენი წევრებიც ამხილეს ჩადენილ დანაშაულებში. ბანდის ლიდერმა გვილავამ, რომელიც სამართალდამცავებმა ერთი თვის შემდეგ თბილისში დაიკავეს, დუმილის უფლება გამოიყენა. თუმცა, ყველაზე მძიმე მუხლებით ბრალი პროკურატურამ სწორედ მას წაუყენა. მოგვიანებით დაიკავეს ქარჩავა და კოპალაძეც. რაც შეეხება ქაშიბაძეს, მისი ადგილსამყოფლის დადგენა პოლიციამ ვერ შეძლო. როგორც ამბობენ, მან საქართველოს ფარგლების დატოვება და საზღვარგარეთ მიმალვა მოახერა.

საქმის წინასწარი გამოძიება და სასამართლო პროცესი ძალზედ რთული და დაძაბული აღმოჩნდა.

პროკურატურამ დაკავებულ პირებს 8 სხვადასხვა მუხლით წაუყენა ბრალი. ბრალდებულებმა ნაწილობრივ აღიარეს დანაშაული, თუმცა სასამართლოში აღნიშნავდნენ, რომ პროკურატურამ მათ ისეთ ფაქტებში დასდო ბრალი, რაც არ ჩაუდენიათ. ზოგიერთმა დაშინებულმა დაზარალებულმა ოჯახის უსაფრთხოების მიზნით გამოძიებისთვის მიცემული მამხილებელი ჩვენება სასამართლოში შეცვალა და განაცხადა, რომ თავდამსხმელების ამოცნობა არ შეუძლია. თუმცა, ამის მიუხედავად, ბრალდების მხარემ საკმარისი მტკიცებულება წარადგინა სასამართლოში, განსასჯელთათვის ბრალის დასადასტურებლად. საბოლოოდ, ხუთივე განსასჯელი დამნაშავედ ცნეს. მათგან გვილავას ყველაზე მკაცრი სასჯელი – 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ერგო. ქარჩავას – 18 წლით, დავით წოწორიას – 15 წლით, ხოლო ვასილ წოწორიასა და გურამ კოპალაძეს – 13-13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. აღსანიშნავია, რომ განზრახ მკვლელობების, ყაჩაღური თავდასხმებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების გარდა, ბანდას დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების – ჰეროინის შენახვასა და მის უკანონოდ მოხმარებაშიც დაედო ბრალი.

განაჩენით უკმაყოფილო მსჯავრდებულებმა საჩივრით შემდგომ ინსტანციას მიმართეს, თუმცა საკასაციო პალატამ განაჩენი უცვლელი დატოვა და რომელიმე მსჯავრდებულისთვის სასჯელის შემსუბუქებაზე მტკიცე უარი განაცხადა.

P.S. ბოროტმოქმედთა გვარები შეცვლილია

■

ფიბრო „ენსის“ გოგონები შოუბიზნესს იმიჯშეცვლილები დაუბრუნდებიან

„ენსის“ გოგონებს, როგორც თვითონ ამბობენ, არაფერში უმართლებთ. სამაგიეროდ, მსმენელებს ისინი მაინც უყვართ და მესიჯის სახით, ხშირად უგზავნიან კითხვას — სად დაიკარგეთო?.. სად დაიკარგნენ „ენსის“ გოგონები, რა შემთხვევაში ტირიან ხოლმე, რა სიახლეებია მათ ცხოვრებაში და რატომ ზარმაცობენ — ყოველივე ამას ინტერვიუდან შეიტყობთ. სამწუხაროდ, ჩვენი საუბარი ჯგუფის ერთ-ერთი წევრის — სოფო მასხულიას გარეშე წარიმართა: მას ცოტა ხნის წინ, მამა გარდაეცვალა...

ლიკა ქაჯაია

— შემოდგომაზე, როცა თქვენთან ინტერვიუს ჩასაწერად მოვედი, შემპირდით, რომ აღარ იზარმაცებდით, ამ დროისთვის სიმღერას ჩაწერდით და კლიპსაც გადაიღებდით...

ეკა: — ჩვენ ხომ ბედი არა გვაქვს: მუშაობა დაწყებული გვქონდა, მაგრამ სოფოს მამა გარდაეცვალა და სანამ 40 დღე არ გავა, გაჩერებულები ვართ.

— ეი. მუშაობა დაწყებულია სიმღერაზე, რომლის ტექსტიც უცნობს ეკუთვნის, ხომ?

— ეს სიმღერა რაღაცით არ მოგვეწონა, რაღაცები შეიცვალა და გადავწყვიტეთ, უცნობთან ერთად ჩაგვეწერა დუეტი, კლიპის გადაღებაზეც ვსაუბრობდით, მაგრამ...

— და მაინც, როდისთვის უნდა ველოდოთ „ენსის“ და უცნობის დუეტს?

ნათია: — მართალია, სიმღერა უცნობთან ერთად უნდა ჩაგვეწერა, მაგრამ რა მოხდება, ვერ გეტყვით. საერთოდ, ცუდად გვაქვს დაცდილი — რასაც წინასწარ ვიტყვით, არასდროს ახდება ხოლმე.

— ცრუმორწმუნეები ხართ? სცენაზე გასვლის წინ, რაიმე ჩვევა ხომ არა გაქვთ?

ეკა: — ისეთი ცრუმორწმუნე არა ვარ, რომ თუ კატა გადამირბენს გზაზე ან თუ მარცხენა ფეხი გადავდგი მარჯვენის მაგივრად, ამის გამო შინ დავბრუნდე... სცენაზე გასვლის წინ, პირჯვარს ვიწერ ხოლმე.

— სიმღერებს ვერ წერთ, კლიპებს ვერ იღებთ... მაშ, რას საქმიანობთ?

ნათია: — ამჟამად ვსწავლობ სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის ისტორიის ფაკულტეტის III კურსზე. ადრე მოდელიც ვიყავი, მაგრამ დღესდღეობით ამ სფეროში აღარ ვსაქმიანობ.

ეკა: — მე კონსერვატორიაში ვსწავლობ და 16 თებერვალს, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში საოპერო სცენაზე დებიუტი მქონდა *(მასკანის „სოფლის ღირსებაში“ ლოლას პარტია. — ავტ.)*.

— ერთმანეთს ვერ დამიხასიათებთ?

ნათია: — ეკა საოცრად ერთგული ადამიანია...

ეკა: რატომ იტყუები *(იცინის)*?

ნათია: — არა, მართალს ვამბობ. სამივე ძალიან ახლო მეგობრები ვართ. ერთმანეთში არასდროს მოგვდის კონფლიქტი, არაჩვეულებრივად ვეწყობით ერთმანეთს...

ეკა: — ორს შორის კონფლიქტი რომც მოხდეს, მესამე რისთვისაა?..

— უარყოფითი თვისებები არ გაქვთ?

ნათია: — ეკას უარყოფითი თვისება ის არის, რომ შეიძლება, უცებ გაგიბრაზდეს და უცებვე შეგირიგდეს.

— ეს უარყოფითი თვისებაა?

— უარყოფითი ის არის, რომ უცებ ფეთქდება.

ეკა: — თან, ვერავინ გაიგებს, რა მეწყინა... მაგრამ ჩემი გაბრაზება ორწუთიანია.

— სოფოზე რას იტყვით?

ნათია: — სოფო არაჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ გონებაგაფანტული, რაღაც რომ უთხრა, შეიძლება, მეორე წუთში აღარ გაახსენდეს.

— როგორ ფიქრობთ — ადამიანთან პირველად შეხვედრის დროს მიღებული შთაბეჭდილება ამართლებს თუ არა?

ეკა: პირველი ნახვისას შეიძლება, ვერ მიხვდე, რას წარმოადგენს. ამისათვის საჭიროა ადამიანის გაცნობა.

ნათია: — 2 დღის წინ მქონდა ასეთი შემთხვევა — ვიღაც გავიცანი და მითხრა: სხვანაირი მეგონე და რა უშუალო ყოფილხარო. ვიზუალურად ადამიანს ვერ შეაფასებ. ეკაზეც ხშირად მსმენია — „სტერვა“ არისო და რაღაც სისულელეები. იგივე — ჩემზეც. მაგრამ გაგვიცნობენ თუ არა, ეს შთაბეჭდილება უმალვე უქრებათ ხოლმე.

ეკა: — ყოველთვის იმის ხასიათზე ხომ არა ხარ, ვიღაცას უცინო. ყველას მიაჩნია — თუ გამოგელაპარაკა, ვალდებული ხარ, უპასუხო, ესაუბრო.

ნათია: — ჰგონიათ, რომ თავში აგივარდა რაღაც, მაგრამ ეს ჩვენზე შექმნილი ცრუშთაბეჭდილებაა.

— ეკა, როცა ნათია მოვიდა თქვენს ჯგუფში, უცებ მოგეწონათ?

— როგორც კი დავინახე, ძალიან მომეწონა — ძალიან გამხდარი და მაღალი იყო. სოფო კი — სხვას გულშემატკივრობდა...

ნათია: — თან, სხვებთან შედარებით,

ასაკითაც პატარა ვიყავი — 13 წლის. მერე სოფოს უთქვამს: კიდევ კარგი, ნათიას ნაცვლად, ის გოგო არ მივიღეთო.

— ერთმანეთის თანდასწრებით გიტირიათ?

— არ მიყვარს, როცა სხვასთან, თუნდაც მეგობრებთან ტირიან. ჩემს პრობლემებს სხვას არ მოვახვევ თავს, წუწუნს არ დავიწყებ. ტირილს ვიწყებ მაშინ, როცა მეგობრები ტირიან: ჩემს ტკივილს უფრო ავიტან, ვიდრე სხვისას.

— ვთქვათ, ერთ-ერთ თქვენგანს მამაკაცი მოეწონა, ერთმანეთის რჩევას გაითვალისწინებთ?

— კი, როგორ არა! მე თუ მამაკაცის მიმართ რაღაც გრძნობა გამიჩნდა, რა თქმა უნდა, ნათიას რჩევას გავითვალისწინებ, მაგრამ მაინც ჩემსას გავაკეთებ. ისე, ჩემი და ნათიას გემოვნება ერთმანეთს ემთხვევა.

— თუ ერთნაირი გემოვნება გაქვთ, ხომ შეიძლება, ერთი და იგივე მამაკაცი შეგიყვარდეთ?

ნათია: — რატომაც არა *(იცინიან)*?!.

ეკა: — შანსი არ არის...

— მამაკაცებში ფიზიკურ მონაცემებს ანიჭებთ უპირატესობას თუ ხასიათს?

ნათია: — აბა, მახინჯი რად მინდა?!. ვინც იმას ამბობს, რომ მთავარია, კარგი ხასიათი ჰქონდესო, მისი არ მესმის. ჯერ ფიზიკურად უნდა მომეწონოს.

ეკა: — ხასიათით მარტო მაშინ შეგიყვარდება, როცა ახლო ურთიერთობა გაქვს პიროვნებასთან და გარეგნობას ყურადღებას აღარ აქცევ.

— როგორი ბიჭები მოგწონთ?

— ბექჰემისნაირი, სიმპათიური. ადამიანს, პირველ რიგში, ლამაზი თვალები უნდა ჰქონდეს. ვგიჟდები მწვანე ფერის თვალებზე.

— რაზე ჩხუბობთ ხოლმე?

ნათია: — ძირითადად, კოსმეტიკის გამო.

ეკა: — იმიტომ, რომ ნათიაც და სოფოც 24 საათის განმავლობაში, ჩემს „კოსმეტიჩკაში" არიან ჩამძვრალნი. თან, ნორმალურად კი არ ხმარობენ — დაფშვნიან და მიყრიან ხოლმე.

ნათია: — ამ დროს, უნდა ნახო, რა წივილ-კივილი იწყება!..

— სიმღერის ჩაწერისას ან კლიპის გადაღებისას, რაიმე უჩვეულო ხომ არ გადაგხდენიათ თავს?

— სანამ „ენსი" ჩამოყალიბდებოდა, ჯგუფში — „სუპერგოგონები" ვიყავით. მის წევრებს ერთნაირი ფორმები გვქონდა — განსხვავება მხოლოდ ზომებში იყო და იმაშიც, რომ დაბლებს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვათ, მაღლებს — დაბალქუსლიანი. სასცენო ნომრებს შორის, ძალიან პატარა შუალედები იყო, ტანსაცმლის გამოსაცვლელად. გიჟებივით დავრბოდით. ერთ-ერთი ნომრის შემდეგ, გამოვიცვალე, სცენაზე გამოვვარდი და მივხვდი, რომ რატომღაც ეკოჭლობდი: თურმე, სიჩქარეში ცალ ფეხზე დაბალქუსლიანი, მეორეზე კი — მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩამიცვამს. მთელი 4 წუთის მანძილზე ცალი ფეხი ჰაერში მქონდა. ის გოგო კი, რომლის ცალი ფეხსაცმელიც ჩავიცვი, სცენაზე საერთოდ ვერ გამოვიდა.

— სოლო მომღერლობას უფრო მეტი წარმატება მოაქვს თუ დუეტს ან ტრიოს?..

— სოლო მომღერლობა კარგია იმ მხრივ, რომ შესაძლებლობა გაქვს, შენი ნიჭი მეტად წარმოაჩინო. თუმცა, ამისათვის მეტი ფინანსები გჭირდება. საერთოდ, საქართველოში ყველაფერი ძნელია. წარმოიდგინე, სამნი ვართ და მაინც გვიჭირს სიმღერის ჩაწერა.

— რას ნიშნავს მომღერლისათვის იმიჯის შეცვლა?

— თუ ყოველ წელს ერთნაირად გამოიყურები, მოსაბეზრებელი ხარ.

— თქვენც აპირებთ იმიჯის შეცვლას?



ეკა: — მაქსიმალურად ვცდილობთ, საინტერესონი ვიყოთ. მაგალითად, ნათია ხან ქერაა, ხანაც — შავგვრემანი. იმიჯის შესაცვლელად, ერთხელ თმაც კი შევიჭერი, თუმცა ამას აღარასოდეს გავაკეთებ.

— რატომ?

ნათია: — თმა შეჭრილი კი არა, გადახოტრილი ჰქონდა.

ეკა: — გრძელი თმით წავედი სალონში და უკან დაბრუნებულს, თავზე თმა თითქმის აღარ მქონდა. თანაც, რესტორანში აღვნიშნავდით ჩვენი ჯგუფის 5 წლისთავს. ნაცნობები ნათიას და სოფოს ულოცავდნენ, მე კი არ მესალმებოდნენ — ვერ მცნობდნენ. ეკა ვარ-მეთქი! — ვყვიროდი... თან, უაზრო მაკიაჟითაც დამამშვენეს სალონში. სანამ რესტორნამდე მივიდოდი, ტირილით გავსკდი. ჯობდა, პირი დამებანა და სახე მე თვითონ შემეღება.

— ნათია, როგორი რეაქცია გქონდა, როცა შენი მეგობარი ასეთ ფორმაში ნახე?

— თავიდან, ლამის ვერ ვიცანი. სახეზე ეჩნეოდა, რომ ძალიან ნერვიულობდა, ცუდ ხასიათზე იყო. ვუთხარი — გიხდება-მეთქი. გული გავუკეთე, მაგრამ კონკრეტი დამთავრდა თუ არა, სიმართლე გავუმხილეთ.

ეკა: — კუთხეში დამაყენეს და მცემეს *(იცინის)*...

— როგორ ფიქრობთ — ამხელა პაუზის შემდეგ, თაყვანისმცემლებმა დაგივიწყეს?

ნათია: — არა. გვირეკავენ ხოლმე და გვეკითხებიან — სად დაიკარგეთ? სცენა უნიჭოებითაა სავსე, ნიჭიერები კი არ ჩანხართ, იცოდეთ, არ დაიშალოთო. ეს ერთგვარ სტიმულს გვაძლევს.

— თქვენი აზრით, მართლა ასეთი ნიჭიერები ხართ?

ეკა: — ვერ ვიტყვი, რომელიმე ჩვენგანს სიმღერა უჭირს-მეთქი. ნათიას ძალიან კარგი ხმა აქვს. სოფოს კი, ისეთი დაბალი ხმა აქვს, რომ ეს გოგონებში დიდი იშვიათობაა. მეც, კარგი ხმა რომ არ მქონდეს, ოპერაში ვერ ვიმღერებდი. ნიჭიერები ვართ, მაგრამ ვაღიარებ — სიზარმაცეც არ გვაკლია.

— თქვენს თავს აქებთ — ეს კარგი თვისებაა თუ ცუდი?

— ნიჭი რომ არ გვქონდეს, სცენაზე მხოლოდ პოპულარობის მოსაპოვებლად არ დავდგებოდით. მე მიმაჩნია: თუ პროფესიონალი მომღერალი არა ხარ, რა გინდა სცენაზე? წადი სახლში, იქ შეიძლება ვინმეს გამოადგე... ზედმეტი თავმდაბლობაც არ ვარგა. რომ ვთქვათ, ნიჭიერები არ ვართ-თქო, — მაშინ სხვებიც უნიჭოებად მიგვიჩნევენ.

ნათია: — მაგრამ დღეს ქართულ სცენაზე საშინელება ხდება. პოპულარობის გულისთვის დგანან და პირს აღებენ...

ეკა: — სიმღერას ნელ-ნელა სწავლობენ, მანამდე კი, გემოვნებას გიფუჭებენ. ერთხელ მოუსმენ, ორჯერ, სამჯერ — გაგეცინება და მერე შენც ძალაუნებურად აჰყვები ხოლმე.

ნათია: — სცენაზე ბუმია, დევიზით — იმღერე და გახდი პოპულარული!

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

1. ზევსის ფარს ეგიდა ჰქვია.
2. ქევხა და მამასახლისი სინონიმებია.
3. სუკი სოფელია ოჩამჩირის რაიონში.
4. გამელოტების შიშს პელადოფობია ჰქვია.
5. მუსოლინი იტალიას ოცი წელი განაგებდა.
6. უკანასკნელი ლექსი ესენინმა ვოლფ ერლიხს მიუძღვნა.
7. ლეგენდარულ ტანკ „ტ 34-ს“ ქალაქ ხარკოვში აწყობდნენ.
8. კენედის მკვლელ ლი ჰარლი ოსვალდს რუსი ცოლი ჰყავდა.
9. მიონ გნილიჩკო ჩეხეთის ეროვნული ნაკრების მეკარეა ჰოკეიში.
10. მომღერალი ბობ მარლი 36 წლის ასაკში კიბოთი გარდაიცვალა.
11. მოლაპარაკე თუთიყუშებს საკუთარი ბინის მისამართს ასწავლიან.
12. ჩეხეთის დედაქალაქ პრაღის დამაარსებლად პრინცესა ლიპუშა ითვლება.
13. „იმპერია მოწვევით“ – ასე ეძახის გელა ჩარკვიანი ამერიკის შეერთებულ შტატებს.
14. ყირიმის მთების უმაღლეს მასივს ბაბუგან-იაილა ჰქვია. რომანყოში მისი მწვერვალია.
15. „რასია უდივიტელნაია სტრანა, შტობი ტი ნე დელალ, პალუჩაეტსა ავტომატ კალაშნიკოვა,“ – ამბობენ რუსები.
16. პანამის არხის მშენებლობისას იქ მომუშავე იმდენი ადამიანი გარდაიცვალა ყვითელი ციებისაგან, რომ მესაფლავეები გამდიდრდნენ.
17. გერმანიის მეფე ფრიდრიხ I ბარაბაროსა მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს დაიღუპა. იგი მცირე აზიაში, მდინარე სალეფზე გადასვლისას დაიხრჩო.
18. „ვინც სრულქმნილია, მას სდევს ბედის მსახვრალი ხელი,“ – წერდა აზერბაიჯანელი მგოსანი მოლა ფანაჰ ვაგიფი. ეს პოეტი კარგად იცნობდა საქართველოს. მის კალამს ეკუთვნის სამი ლექსი, რომელიც ქართველი ქალისადმი, თბილისისადმი და ერეკლე მეორის ძმის, ლევან ბატონიშვილისადმი არის მიძღვნილი.
19. სალამანდრას შეუძლია დაკარგული კიდურის რეგენერაცია (აღდგენა). ახალი კიდური არაფრით ჩამორჩება ძველს მოქნილობასა თუ სისწრაფეში.
20. ტელეწამყვანმა ნიკალაი დროზ-

ნარკომანი ქალები, სუბოტექსის საიდუმლო და "უწყინარი" ანაშა

„ტოქსიკომანია — მკვეთრად გამოხატული ავადმყოფური ლტოლვა ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი, რომლებიც უპირატესად ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს“ — ასეა განმარტებული სიტყვა — „ნარკომანია“ ენციკლოპედიაში. ნარკოტიკული ნივთიერებების მცირე დოზები იწვევს გუნება-განწყობილების ამაღლებას — ეიფორიას, დიდი დოზები კი — გაბრუებას, თრობას, ძილიანობას. ნარკოტიკების ხანგრძლივი მოხმარებისას, ორგანიზმი ეჩვევა მათ, რაც განაპირობებს ნარკოტიკულ საშუალებათა დოზების გაზრდის მუდმივ სურვილს. ნარკომანიას ახასიათებს ნარკოტიკებისადმი მიჩვევის პროცესში გამომუშავებული, გარკვეული ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, რომელიც შეიძლება იყოს ნეგატიური — დაძაბულობის, უსიამოვნო შეგრძნების, ცუდი განწყობის, ტკივილის მოსახსნელად და პოზიტიური — სასიამოვნო სუბიექტური განცდის შესანარჩუნებლად. ნარკომანიის გვიანდელ პერიოდში, ვითარდება ე.წ. ფიზიკური დამოკიდებულებაც: ნარკოტიკების მიღების შეწყვეტა იწვევს მძიმე ფიზიკურ შეგრძნებებს. ამ უსიამოვნო მდგომარეობის დასაძლევად, ნარკომანი კვლავ იღებს ნარკოტიკულ საშუალებას...

ნათია თენიეშვილი



„ნარკოტიკი“ ბერძნული სიტყვაა და გამაბრუებელს, დამარეტიანებელს ნიშნავს. ნარკოტიკული მცენარეები შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ჯერ აღაგზნებს, ხოლო შემდეგ თრგუნავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებები, რომლებსაც ნარკომანები ხმარობენ, არის: ოპიუმი, ოპიუმის დერივატები (მორფინი, კოდეინი, ჰეროინი), ჰაშიში (იგივე პლანი, ანაშა, მარიხუანა), კოკაინი და სხვა. ენციკლოპედიაში ასევე აღნიშნულია: „ნარკოტიკების ხანგრძლივად მიღება იწვევს ნარკომანის ფსიქიკის ცვლას. აღინიშნება ინტერესების შეზღუდვა, სულიერ მოთხოვნილებათა სიღარიბე, ეგოიზმი. ნარკომანიის შედეგად შეიძლება, განვითარდეს ფსიქიკური დაავადებაც, მაგალითად – ანაშის ხანგრძლივი მიღება ხშირად, რთულდება შიზოფრენიის მსგავსი მდგომარეობით, რასაც ახასიათებს სმენითი ჰალუცინაციები, დევნის ბოდვითი იდეები და სხვა“.

ნარკომანია არა ახალი და არა მხოლოდ ჩვენი რეალობის პრობლემაა. მოთხოვნილება ამ საკმაოდ ძვირად ღირებულ „სიამოვნებაზე“, მიუხედავად ჩვენში არსებული სოციალური გაჭირვებისა, წლიდან წლამდე მატულობს.

ქართველებს ყველაფერი გაზვიადებული გვჩვევია, არც უკულმართობაა ჩვენთვის უცხო. ამის ერთ-ერთ გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სამკურნალო საშუალება – სუბოტექსი – დღეს ჩვენში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ საშუალებად(!) იქცა... რა არის სუბოტექსი? როგორ ხდება ნარკომანების აღრიცხვა და რამდენად რეალურია ოფიციალური მონაცემები? ამ და სხვა კითხვებზე სახელმწიფო ნარკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი **გელა ლეჟავა** *გვიპასუხებს.*

– ნარკომანის აღრიცხვაზე აყვანა ხდება მაშინ, როცა პოლიციას ადამიანი ჩვენთან დიაგნოზის დასადგენად მოჰყავს. სხვა შემთხვევაში, ადამიანის აღრიცხვაზე აყვანა ძალიან იშვიათია. ამგვარად, აღრიცხულთა რაოდენობა დამოკიდებუ-

ლია იმაზე, თუ როგორ მუშაობს პოლიცია. აღირიცხებიან ის პირებიც, ვინც ჩვენთან მოდის სამკურნალოდ, ოღონდ – ანონიმურად, არა სახელითა და გვარით; თუმცა, ასეთი შემთხვევა ნაკლებია. ფაქტობრივად, ამ ორი კატეგორიის ჯამი ქმნის აღრიცხულთა ძირითად მაჩვენებლებს.

— რამდენად ასახავს აღრიცხულთა რიცხვი რეალურ მდგომარეობას?

– რა თქმა უნდა, არარეალურია, არ ასახავს რეალურ მდგომარეობას. თუმცა, ამაში მაინც ჩანს ტენდენცია. იმისათვის, რომ ეს ციფრები რეალური გახდეს, აღრიცხულთა რაოდენობა უნდა გავამრავლოთ 8-ზე ან 10-ზე. ოფიციალურად აღრიცხვაზე გვყავს დაახლოებით 8 ათასი ნარკომანი და 12 ათასი მომხმარებელი. ეს ციფრები უნდა გამრავლდეს 10-ზე და მივიღებთ რეალობასთან მიახლოებულ ციფრს...

— რა განსხვავებაა მომხმარებელსა და ნარკომანს შორის?

– მომხმარებელი არის ადამიანი, რომელიც პერიოდულად იღებს ნარკოტიკს, ნარკომანი კი – ის, ვისაც პრაქტიკულად არ შეუძლია ნარკოტიკის გარეშე, დამოკიდებულია მასზე და აქვს მოთხოვნილება, რომ ყოველდღე მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცუდად ხდება.

— შეიძლება თუ არა, ნარკომანიისაგან ადამიანის სრულად განკურნება?

– ითვლება, რომ ეს ქრონიკული დაავადებაა. ქრონიკული კი ნიშნავს იმას, რომ არ იკურნება. მაგრამ თუ ნარკომანი მკურნალობას ყველა წესის დაცვით ჩაიტარებს, შეიძლება, სიცოცხლის ბოლომდე აღარ მოიხმაროს ნარკოტიკი. ეს დაახლოებით ისეა – თუ ჰიპერტონიით დაავადებული ადამიანი დაიცავს რეჟიმს, შეიძლება, წნევამ სულ აღარ შეაწუხოს.

— ამბობენ, რომ ბოლო პერიოდში, წინა წლებთან შედარებით, ნარკომანი ქალების რიცხვი გაიზარდა. შეგიძლიათ, ეს დაადასტუროთ ან უარყოთ, თქვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით?

– საბედნიეროდ, საქართველოში ქალებს ჯერ კიდევ რცხვენიათ იმის, რომ ნარკოტიკებს იღებენ, ამიტომ ცდილობენ, არ მოხვდნენ ჩვენს დაწესებულებაში და პოლიციასაც დაუძვრნენ ხელიდან. პოლიციაც, ეტყობა, ჯერჯერობით გვერდს უვლის მათ და ლოიალობას იჩენს მათ მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი ქალების რიცხვმა იმატა, მაგრამ სტატისტიკაში ეს არ აისახება.

— საერთოდ, თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენთან ნარკომანი ქალი მოეყვანათ?

– კი, როგორ არა. საერთო რაოდენობის 3-4%-ია დაფიქსირებული. მაგრამ ეს ძალზე მცირეა და აბსოლუტურად არ ასახავს რეალობას.

— ძირითადად, რა ასაკის ადამიანები არიან ნარკოტიკის მომხმარებლები და წინა წლებთან შედარებით, მათი რიცხვი მატულობს თუ კლებულობს?

– რასაკვირველია, წინა წლებთან შედარებით, მათი რიცხვი მატულობს. ჩვენი აღრიცხვა არ ასახავს ზუსტ ციფრს, მაგრამ მატების ტენდენცია აშკარაა. ახლა ნარკოტიკის გასინჯვა უკვე სკოლის ასაკში იწყება. ერთეული შემთხვევებია, როცა სკოლის მოსწავლე მეტ-ნაკლები პერიოდულობით ან სისტემატურად იღებს ნარკოტიკს. მერე – 35-40 წლამდე ასაკის ადამიანებში, მატების ტენდენცია შეინიშნება; შემდეგ, 40 წელს ზემოთ – კლებულობს, რადგან ადამიანი ფიზიკურად ვეღარ უძლებს ამას და კვდება(!). სულაც არ არის აუცილებელი, რომ ზედმეტი დოზირების გამო მოკვდეს – უბრალოდ, სხვა დაავადებები კლავს. ნარკოტიკი განსაკუთრებით აზიანებს იმუნურ სისტემას და ნარკომანს უფრო იოლად ერევა სხვადასხვა დაავადება.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ადამიანმა გასინჯოს, რამდენჯერმე გაიკეთოს ნარკოტიკი, მაგრამ არ მიეჩვიოს მას და არ იქცეს ნარკომანად?

– შესაძლებელია. თუ ნარკოტიკის მოხმარება 10-ს არ აღემატება, მაშინ უფრო არსებობს იმის ალბათობა, რომ არ მიეჩვიოს. ამასთანავე, გააჩნია, რას იკეთებს. სიგარეტი ყველას გაუსინჯავს, მათგან ვიღაცამ დაიწყო მოწევა, ვიღაცამ – არა. მაგრამ ალბათობა იმისა, რომ გასინჯვის შემდეგ, ნარკოტიკის კეთებას დაიწყებ, უფრო დიდია, ვიდრე სიგარეტის მოწევისას. ნარკოგენულობა ჰეროინისა, სიგარეტთან შეუდარებელია. შეიძლება, დღეს მთელი კოლოფი სიგარეტი მოსწიო და ხვალ საერთოდ არც გაეკარო, რაც ჰეროინის შემთხვევაში, წარმოუდგენელია.

— ჰეროინი, კოკაინი და სხვა მსგავსი ნარკოტიკული საშუალებები საკმაოდ ძვირი ღირს. ჩვენში ცხოვრების დონე დაბალია, ნარკოტიკის მომხმარებელი კი უხვად გვყავს. როგორც ამბობენ, ბევრი, კუსტარული წესით დამზადებულ ნარკოტიკულ საშუალებას მოიხმარს...

– ჩვენში ყველანაირი ვარიანტი არსებობს: არიან ისეთები, ვისაც აქვს ჰეროინის საყიდელი ფული, ისინი, ვისაც არა აქვს ფული, მაგრამ შოულობს ნარკოტიკის 5 დოზას და ფულს ართმევს 7 კაცს... ეს ფულის შოვნის საკმაოდ გავრ-

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

დევმა (მას დღესაც მიჰყავს უპოპულარულესი გადაცემა „ცხოველთა სამყაროში“), მეორე კურსზე მიატოვა მოსკოვის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი და მკერავის პროფესიის შესწავლა დაიწყო. გამოცდაზე ისე კარგად შეკერა პალტო, რომ VII რანგის ოსტატობა მიანიჭეს. გამოცდების დამთავრების შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა უნივერსიტეტსა და ბიოლოგიას.

21. „განძის კუნძულის“ დაწერამდე სტივენსონმა ჯერ კუნძულის რუკა დახატა და მერე შეუდგა რომანის წერას. ნაწარმოების დასრულების შემდეგ მას ხელახლა მოუწია რუკის დახატვა, რადგან პირველ ნახატს ვერსად მიაგნო.

22. პირველი საჰაერო ბურთი საფრანგეთში სელის ქსოვილისა და ქაღალდისაგან ძმებმა ჟოზეფ და ეტილენ მონგოლფიეებმა 1783 წელს შექმნეს. საჰაერო ბურთის პირველი მგზავრები ცხვარი, იხვი და მამალი იყვნენ. მგზავრობა 8 წუთს გაგრძელდა.

23. ბოროდინოს ბრძოლაში პეტრე ბაგრატიონი სარდლობდა რუსეთის არმიის მარცხენა ფრთას, რომლის წინააღმდეგ იყო მიმართული ფრანგების მთავარი დარტყმა. მან მტრის 7 იერიში მოიგერია, მაგრამ მძიმედ დაიჭრა და ბრძოლას გამოეთიშა. დიდი მხედართმთავარი სოფელ სიმში (ახლანდელი ვლადიმირის ოლქი) გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. 1839 წელს კი ბოროდინოს ველზე გადაასვენეს.

24. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მეტეხის ხიდთან 1930-იან წლებამდე არსებობდა მეჩეთი, რომელიც თბილისის განაშენიანებას შეეწირა. ამ მეჩეთის დანგრევის შემდეგ, როგორც ამას ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები აღნიშნავენ, მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა, რომელიც მხოლოდ თბილისში შეიძლებოდა მომხდარიყო: მას შემდეგ თბილისელი სუნიტები და შიიტები ერთად ლოცულობენ.

25. ბაგრატ II რეგვენი საქართველოში 958-994 წლებში მეფობდა. როგორც ჩანს ზედწოდება, „რეგვენი“ ტახტზე ასვლის დროს მეტისმეტი ახალგაზრდობის გამო შეარქვეს.

ცელებული მეთოდია. ამისთვის საჭიროა, ამ საქმეში ახალბედების ჩაბმა, იმიტომ, რომ ახალბედას ჯერ კიდევ აქვს ფული, ან სახლში აქვს რაღაც, ვიღაცას ატყუებს და თანხას ასე შოულობს. აი, „საქმეში გასულ" ნარკომანს აღარც გასაყიდი აქვს რაიმე და არც მოსატყუებელი დარჩა ვინმე, მისი ერთ-ერთ საშუალება, „ბარიგობაა"... გარდა ამისა, არსებობს სხვა გზებიც. როცა ჩვენში ყაყაჩოს თესლი გაჩნდა, უამრავმა ადამიანმა დაიწყო ნარკოტიკების მომხმარება იმიტომ, რომ ძალიან იაფი იყო. რაც მთავარია, ბევრი ასაკოვანი ადამიანი, ვისაც უკვე 5, 10 წლის წინ, დანებებული ჰქონდა თავი, ისევ დაუბრუნდა ნარკოტიკს. არსებობს კიდევ, შინაურ პირობებში მოხარშული, თვითნაკეთი, კოკნარის კოქტეილი და უამრავი სხვა საშუალება... ჩვენში არ გამიგია, მაგრამ მოსკოვში ერთი პერიოდი, თაგვის საწამლავს ურევდნენ ჰეროინში, გამაბრუებელი ეფექტის გასაძლიერებლად. სუფთა ჰეროინი არსად არ არის, იმ ადგილის გარდა, სადაც მას ამზადებენ. ჰეროინის შემცველობა დოზაში 5-დან 30%-მდეა, დანარჩენი – ნარევია.

— ამ ბოლო დროს, ხშირად გვესმის ახალი ნარკოტიკული საშუალების — სუბოტექსის შესახებ, რომელზეც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ; ამბობენ, რომ იწვევს ძვლების დაშლას და ა.შ. თუ შეგიძლიათ, გვითხრათ, რა ტიპის ნარკოტიკია სუბოტექსი?

– ეს არის ხელოვნურად დამზადებული ოპიუმის სახესხვაობა, რომელიც დამზადებულია იმისთვის, რომ ხანგრძლივად იმოქმედოს ადამიანზე. სუბოტექსი აბის სახით გამოდის და მისით ნარკოტიკის ჩანაცვლება ხდება. საზღვარგარეთ არსებობს ჩანაცვლებითი პროგრამები, რომლებიც გამორიცხავს ნარკოტიკის მიღების ვენურ გზას. ამ პროგრამის მეშვეობით ხდება არა მხოლოდ მკურნალობა, არამედ რეაბილიტაციაც: ნარკომანს, ნარკოტიკული საშუალების ნაცვლად აძლევენ სუბოტექსს და ნელ-ნელა უკლებენ დოზას. სწორედ ამისთვის იყო ეს წამალი შექმნილი. მაგრამ როგორც ნებისმიერი წამალი, შეიძლება, საწამლავად გამოიყენო, ასევეა ამ შემთხვევაშიც. თუ სუბოტექსს ვენაში გაიკეთებ, სულ სხვა ეფექტს მიიღებ. ჩვენები ვენაში იკეთებენ – იმის მაგივრად, რომ დალიონ.

— რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას? როგორც გავიგე, სუბოტექსის კოლოფს ახატია გადახაზული შპრიცი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ვენაში გაკეთება დაუშვებელია.

– მართალია. ეს არ შეიძლება. ისე, სიმართლე გითხრათ, მე არც მინახავს ეს წამალი, რადგან ოფიციალურად ჩვენთან არ შემოდის. ეს არის კონტრაბანდა. ახლა განიხილება საკითხი – მოვახდინოთ თუ არა მისი რეგისტრაცია. ჯერ ვფიქრობთ, იმიტომ, რომ რეგისტრაციის შემთხვევაში, მის შემოტანას ფარმაცევტული ფირმები დაიწყებენ და თუ წინასწარ არ განვსაზღვრავთ, ვინ, როგორ და რამდენი უნდა მიიღოს, ეს ნარკოტიკის შემოტანის ლეგალურ გზად გადაიქცევა. ასე რომ, ამ საკითხს ბევრი და სერიოზული ფიქრი სჭირდება. ჯერ უნდა შემუშავდეს ჩანაცვლების პროგრამა და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება.

— ამბობენ, რომ სუბოტექსი სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან შედარებით იაფია და ესეც უწყობს ხელს იმას, რომ ბევრი ახალგაზრდა გახდა მისი მომხმარებელი. მართალია?

– მართალია, შედარებით იაფია, მაგრამ მასზე ასეთი დიდი მოთხოვნილება სხვა რამემ გამოიწვია. ჯერ ერთი, ეს არის ქარხნულად დამზადებული წამალი და შედარებით სუფთა, ვიდრე ჰეროინი, რადგან ამ უკანასკნელში რას ურევენ, კაცმა არ იცის... სუბოტექსი ხანგრძლივად მოქმედებს, ჰეროინი კი – „წესით", ყოველ 6 საათში უნდა იკეთო. სუბოტექსი აგრეთვე, შედარებით გვიან იწვევს მიჩვევას, ე.წ. „შეჯდომას" და გარდა ამისა, ძალიან დიდი რაოდენობით შემოდის ჩვენს ქვეყანაში. სამწუხაროდ, ასეა.

— მართალია თუ არა, რომ ჩვეულებრივი ანალიზის დროს, მაშინ, როცა ფიქსირდება ყველა ნარკოტიკული საშუალება, სუბოტექსი არ ჩანს?

– კი. ჩვეულებრივი ანალიზი კეთდება ტესტით: სპეციალური ქაღალდი, შარდში ჩადების შემდეგ, ფერს იცვლის და ამით დგინდება, არის თუ არა ადამიანის ორგანიზმში ნარკოტიკული ნივთიერება. სუბოტექსი კი, ძალზე ხშირად, უარყოფით შედეგს გვიჩვენებს და მის გამოსავლენად უფრო რთული ანალიზის ჩატარებაა საჭირო.

— რატომ ხდება ასე?

– ჩვენ ამ ლაკმუსის ქაღალდს საზღვარგარეთ ვყიდულობთ. ალბათ, სუბოტექსის მოხმარებას იქ ჯერ არ მიუღია ისეთი სოციალური მასშტაბი, რომ მისი გამოვლენის მეთოდი გაემარტივებინათ.

— დღეს საქართველოში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ძალზე გავრცელებულია ე.წ. მოსაწევი — პლანი. ამას საზოგადოება, ხშირად კი — მომხმარებელთა მშობლებიც, არ თვლიან საგანგაშოდ. რამდენად მართებულია ასეთი მიდგომა?

– ეს არის ეროვნული ტრაგედია. ხშირად გვესმის, რომ მოსაწევი არ არის სახიფათო და ამის დასადასტურებლად, ჰოლანდია მოჰყავთ. მაგრამ იქაც მიხვდნენ, რომ მავნებელია და უკვე გამოვიდა ლიტერატურა, სადაც წერია, რომ ნარკოტიკებისადმი ასეთმა მიდგომამ უბედურება მოუტანა ჰოლანდიას. დადგენილია, რომ ანაშის მწეველთა 40%, შემდეგ, მძიმე ნარკოტიკზე გადადის. ანაშის მოწევა იწვევს სერიოზულ ცვლილებებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, რადგან ამ დროს, ადამიანში ხდება ნერვული სისტემის ფორმირება და ნარკოტიკის ზემოქმედების შედეგად, მრუდდება და ჩლუნგდება სიამოვნებისადმი დამოკიდებულება, თვით სიამოვნების შეგრძნება; დუნდება, უქვეითდება ყურადღების კონცენტრირების უნარი; უსუსტდება მეხსიერება. ანაშის „პროფესიონალი" მწეველი იქცევა აბსოლუტურად დაჩლუნგებულ ადამიანად, რომელსაც ცხოვრებაში აღარაფერი აინტერესებს. ანაშა ადამიანს უსპობს ყოველგვარ სურვილს, რაიმე აკეთოს, ინტერესს იმისას, თუ რა აცვია თავად, ვინ რას იტყვის და ა.შ. მთელი უბედურება ის არის, რომ ანაშა ჩვენს მიწაზეც მოდის. ხარისხი მთლად ისეთი არ არის, როგორიც ვთქვათ, ინდოეთისა, მაგრამ მაინც ხარობს და ძალიან ბევრიცაა... არსებობს გაეროს ნარკოტიკებთან ბრძოლისა და კონტროლის ეროვნული ბიურო. მისი უფროსის მოადგილე ამას წინათ წერდა: ჩვენი აზრით, სამხრეთ აზია იმიტომ არის ასეთი ღარიბი და გაუბედურებული, რომ ყველა, ანაშას ეწევაო... ადამიანს ცხოვრებისადმი ყოველგვარი ინტერესი ეკარგება და ეს არის ძალიან ცუდი. ამას დაამატეთ ისიც, რომ ანაშის მწეველთა გარკვეული ნაწილი შიზოფრენიით ავადდება. შარშან ჩვენთან შიზოფრენიით დაავადებული 7 ადამიანი მოიყვანეს. ახალგაზრდები იყვნენ, პირველად მოსწიეს და... განგაში უნდა ავტეხოთ. არაფრით არ შეიძლება, ასე გაგრძელდეს. მთელ საქართველოს, ყველაზე მაღალმთიანი სოფლის თითოეულ მცხოვრებს უნდა გავაგებინოთ, რომ ეს საშინელებაა, დამღუპველია, რადგან ანაშას ყველაზე ხშირად იყენებენ. სკოლებში გამოკითხული ბავშვების 56%-ს აქვს გასინჯული(!). ჰეროინზე ნებისმიერი მშობელი ატეხს განგაშს. ანაშის გამო კი, თითქმის არ ნერვიულობენ. ამიტომ არის სახიფათო: ანაშის ყოველი მეორე მწეველი მერე აუცილებლად დაიწყებს ჰეროინის კეთებას... ■

როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როცა შვილი მისი ხელმეორედ დაქორწინების წინააღმდეგია?

ცნობილი ფაქტია, რომ შვილები ძალზე მწვავედ განიცდიან არაჯანსაღ ურთიერთობებს ოჯახში და თუკი მშობლები განქორწინებას გადაწყვეტენ, ეს ფაქტი ბავშვებისთვის ტრაგედიად იქცევა ხოლმე. თუმცა, ხშირად ისეც ხდება, რომ დედა ან მამა ახალი ოჯახის შექმნას ცდილობს. როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, თუ შვილი მისი ხელმეორედ დაქორწინების წინააღმდეგია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენს რესპონდენტებს მაინცდამაინც არ გასჭირვებიათ.

სოფო ყარალაშვილი

ავთო ვარსიმაშვილი:

— მშობელმა შვილი სიტუაციაში უნდა გაარკვიოს. უნდა უთხრას აბსოლუტურად ყველაფერი, აუხსნას, რა არის სიყვარული. საერთოდ, ბავშვი ისე უნდა აღზარდო, რომ ყოველთვის ესმოდეს შენი. თუ შვილი ვერ გიგებს, მაშინ გახსოვდეს, რომ არავის აქვს შენს ცხოვრებაში ჩარევის უფლება. შვილი გაიზრდება, გაიგებს, რა არის სიყვარული და თავის შეცდომასაც მიხვდება.

ნატო გელაშვილი:

— ძალიან ძნელი სათქმელია... სანამ მშობელი მეორედ გათხოვებას ან დაქორწინებას გადაწყვეტს, მანამდე ბავშვი ფსიქოლოგიურად უნდა შეამზადოს, თორემ, ამის გამო, მშობელმა შეიძლება შვილი დაკარგოს კიდეც. გააჩნია, რა ხნისაა ბავშვი. თუ მცირეწლოვანია, მაშინ მშობელმა უნდა გაითვალისწინოს შვილის აზრი, ხოლო თუ დიდია და უკვე დამოუკიდებელი, მაშინ მშობელს სრული უფლება აქვს, პირად ცხოვრებაზე იფიქროს.

ელდარ კურტანიძე:

— შვილს, როგორც მეგობარს, ისე უნდა დაელაპარაკო და აუხსნა ის, რამაც ამ ნაბიჯის გადადგმა გადაგაწყვეტინა. საერთოდ, პატარები ყველაფერს მტკივნეულად აღიქვამენ, ამიტომ უნდა მივეფეროთ, მივუალერსოთ. თუ ბავშვი მაინც წინააღმდეგია, ქორწინება ცოტა ხნით კიდევ უნდა გადაიდოს და ამ ხნის განმავლობაში, მომავალმა დედინაცვალმა ან მამობილმა ბავშვს სითბო უნდა დაანახვოს, აგრძნობინოს, რომ კარგ დედობას ან კარგ მამობას გაუწევს.

რუსა მორჩილაძე:

— მე, როგორც მშობელი, ამ შემთხვევაში, გავითვალისწინებ ჩემი შვილის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ზოგი ქალისთვის უმთავრესი, პირადი ცხოვრებაა. ღმერთმა არ დამაყენოს ასეთი ფაქტის წინაშე!..



ნოდარ ნათაძე:

— გააჩნია, ჭკვიანია თუ არა მშობელი. თუ ჭკვიანია, მაშინ შვილის აზრს გაითვალისწინებს. ისეთი მშობელი, რომელიც შვილის აზრს არ ითვალისწინებს, სულელია...

თათა ვარდანაშვილი:

— ანგარიში აუცილებლად უნდა გაუწიო შვილს, მაგრამ თუ გონივრულად მოიქცევი, პრობლემას იოლად გადაჭრი. დედამ უნდა აუხსნას ბავშვს: მიუხედავად იმისა, რომ იმ ადამიანთან ერთად ცხოვრება სურს, შვილს მაინც პირველ ადგილზე აყენებს. ყველაზე მეტად ბავშვებს ის აშინებთ ხოლმე, რომ მათი ადგილი სხვამ არ დაიკავოს დედის გულში. ■

გინდათ შედეგი? გააკეთეთ რეკლამა „გზაში“!

ქალბატონი მალი – ქართველი ჩინელი

რძალი და დედა

დედით ქართველი და მამით ჩინელი ქალბატონი მალი უკვე მრავალი წელია, თბილისში ცხოვრობს. მისი სრული სახელია ლიუ-ყანდარელი კუანვენი. ქართული გვარი მან ცნობილ მხატვართან — გივი ყანდარელთან ქორწინების შემდეგ მიიღო. ჩინური კი — იმ წინაპრებისგან, ვის სახელსაც საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელება უკავშირდება. პროფესიით მხატვარი ქალბატონი, ამჟამად თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ასწავლის ჩინურ ენას. ამავდროულად, შესანიშნავად ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს. ქალბატონი მალი ოჯახთან ერთად თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში ცხოვრობს და სასოებით უფრთხილდება ჩინელი წინაპრებისგან შემორჩენილ, საუკუნოვან ნივთებს.

ემა ტუხიაშვილი

— ჩემი წინაპრები ჩინეთის ერთ-ერთი უმდიდრესი სამხრეთი პროვინციის მთავარი ქალაქიდან — კანტონიდან არიან. სწორედ იქ დაიბადა პაპაჩემი, ლაო ჯონ-ჯაო. მისი წინაპრების სამხედრო წარსულის გამო, შეიარაღებულ ძალებში სამსახურს მიჰყო ხელი და 18 წლის ასაკში კაპიტნის წოდება მიიღო. სწორედ ამ პერიოდში, ჩინეთში რევოლუციურმა მოძრაობამ იმძლავრა და პაპაჩემსაც თურმე, გაუჩნდა ლტოლვა განსხვავებული აზრისკენ. პაპა, ჩემი დიდი ბებიისთვის ერთადერთი ვაჟი იყო, ამიტომ გადაწყვიტა, შვილი იქაურობისთვის გაერიდებინა და ნანჯოუს პროვინციის ჩაის ფაბრიკაში მოაწყო სამუშაოდ. 1893 წელს ჩინეთში ჩით მოვაჭრე რუსი კაპიტალისტი კონსტანტინ პოპოვი ჩავიდა. ორი თვე გაატარა პოპოვმა იმ ფაბრიკაში, სადაც პაპაჩემი მუშაობდა. ორი თვის შემდეგ კი შესთავაზა ლაოს, რომ კავკასიაში კერძოდ, ბათუმის მხარეში მდებარე მის მამულებში წაჰყოლოდა, რათა იქ ჩაის კულტურა მოეშენებინათ. თარჯიმანთან და 10 ჩინელ მუშასთან ერთად პაპაჩემი მართლაც გაემგზავრა ბათუმში და 3 წლის განმავლობაში მოახერხა, რომ ჩაქვში ჩაის ნერგების დიდი ორანჟერეა, 3 მამულში განთავსებული ჩაის ბუჩქის პლანტაციები და ჩინურ ყაიდაზე მოწყობილი, გადამამუშავებელი ჩაის ფაბრიკა აეშენებინა. მეორედ პაპაჩემი ბათუმში 1897 წელს დაბრუნდა. ახლა მას თან ახლდნენ: დედა, მეუღლე, და და 12 მუშა-ოსტატი, თავიანთ მეუღლეებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ლაომ მთელი თავისი ქონება ჩინეთიდან ბათუმში დიდი გემით ჩაიტანა და საქართველოში სულ 31 წელი იცხოვრა. 1900 წელს, პარიზში გამართულ მის მიერ მოყვანილი ჩაის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი მიენიჭა. რუსეთის მთავრობამ პაპას და მის ოჯახს ორსართულიანი სახლი აუშენა ჩაქვში. მისმა ექვსივე შვილმა ბათუმში მიიღო განათლება. თუმცა მრავალი წლის შემდეგ, ბაბუამ მაინც მიიღო საშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება.

— როგორც ვიცი, ბაბუათქვენის სახლი ჩაქვში ახლაც დგას. ვის ეკუთვნის ახლა ის?

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ბაბუის წასვლის შემდეგ, იმ სახლში 8 ოჯახი ცხოვრობდა. როდესაც საქართველოში ჩამოვედი, დიდი სურვილი მქონდა, რომ ამ სახლში ჩემი წინაპრების სახლ-მუზეუმი მომეწყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბევრი ნივთი გამქრალი იყო. მაგალითად, დაიკარგა ოქრო-ვერცხლით მოჭედილი საგვარეულო უნაგირი, უზარმაზარი შანდლები, ფაიფურის ტუმბოები და ჩინური მეთოდით დამზადებული, სპილოს ძვლის ორი ბურთი. ამბობენ, რომ ასლან აბაშიძემ ეს სახლი გაარემონტა, მაგრამ თავად არ მინახავს. წლების წინ, ჩინეთის ელჩი აქტიურობდა ამასთან დაკავშირებით და ჩვენსა და ბატონ ასლანს შორის შუამავლობდა კიდეც. იმასაც მოვკარი ყური, რომ აბაშიძეს ჩინეთის საელჩოსთვის, ბაბუა-ჩემის სახლში პარკეტის დასაგებად, 5.000 აშშ დოლარი გამოურთმევია. ისიც გვითხრეს — თქვენი წინაპრების ნაქონი ნივთები შენახული

ნონა თუშმალიშვილი ვაჟიშვილთან, რძალთან და შვილიშვილებთან ერთად

გვაქვს და რემონტის დასრულების შემდეგ, ისევ იმ სახლში მოვათავსებთო... რამდენიმე წლის წინ, მე და ჩემი მეუღლე ჩასული გახლდით ბათუმში და 4 დღის განმავლობაში ველოდით შეხვედრას აჭარის ყოფილ მეთაურთან, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო, ეს შეხვედრა არ შედგა.

— თქვენ რა ნივთები შემოგრჩათ წინაპრებისგან?

— ტრადიციისამებრ, ჩინეთში მემკვიდრეობაზე მეტი უფლება ვაჟებს ენიჭებათ, ამიტომ ნივთების უმეტესობა ჩემს ძმებსა და ბიძაშვილებს ხვდათ წილად. მე ბებიის ნაქონი, ოქროს ძაფებით მოქარგული, ტრადიციული ჩინური სამოსი მერგო, რომელიც ბებიას ბათუმში გადაღებულ ფოტოზე აცვია. გული მწყდება, რომ ლაო ჯონჯაოს ხელნაწერი დღიურები არ მერგო მემკვიდრეობით, რადგან იქ საკმაოდ საინტერესოდ არის აღწერილი მთელი მისი ცხოვრება.

— ქართული ენა თუ იცოდა თქვენმა ბაბუამ?

— ქართულად კი არა, რუსულადაც ცუდად ლაპარაკობდა, თურმე. მამიდისგან მსმენია, რომ ლაოს რუსულის გამო, ჩაქვში თურმე ანეკდოტები დადიოდა. წლების განმავლობაში პაპამ მამულებიც შეიძინა ჩაქვში, სადაც ჯიშიანი ცხენები და ძაღლები მოუშენებია. მასთან ხშირად ჩადიოდნენ სანადიროდ დიდგვაროვანი სტუმრები პეტერბურგიდან, თბილისიდან, ერევნიდან. ერთხელაც, ნადირობის დროს, ლაოს მსახურებისთვის უბრძანებია: Принесите мне собаки! გაოცებულან მსახურები: „თითქმის ყველა ძაღლი წამოვიყვანეთ და რაღას ითხოვსო. გაუვლიათ რამდენიმე კილომეტრი სახლამდე და იქ დარჩენილი ძაღლებიც მიუყვანიათ ბატონისთვის. გადარეულა, განრისხებულა ლაო, მხოლოდ დიდი დავიდარაბის შემდეგ გაურკვევიათ, რომ ბატონი თურმე ჩექმას (сапоги) ითხოვდა...

— იმ ოჯახებიდან, ვინც პაპათქვენთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში, თუ დარჩა ვინმე სამუდამოდ საცხოვრებლად ჩვენს ქვეყანაში?

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს იყო 2-3 მუშა, ვინც ადგილობრივ გოგონებზე იქორწინა და გვარიც გამოიცვალა. ერთი ასეთი ოჯახის შთამომავლები ახლა გურჯაანში ცხოვრობენ.

— თქვენმა მშობლებმა როგორ გაიცნეს ერთმანეთი?

— დედაჩემი პოლკოვნიკ ზაქარია თუშმალიშვილის ქალიშვილი გახლდათ. ერთხელ ის თავის მამასთან იყო ჩასული ბათუმში არდადეგებზე და იქ შეხვდა ახალგაზრდა ჩინელ ყმაწვილს — მამაჩემს. ლუი ვეჯოუსა და ნონა თუშმალიშვილს ერთმანეთი თავდავიწყებით შეუყვარდათ და აჭარის მთებში ცხენებით გაიპარნენ. თან



ნონა თუშმალიშვილს ლუი ვეჯოუ თავდავიწყებით შეუყვარდა

ახლდათ პაპაჩემის ოჯახის მოხუცი დენშჩიკი. სწორედ ის გახდა მამაჩემის ნათლია, რადგან ჯვრისწერამდე მან ქრისტიანობა მიიღო. სხვათა შორის, ის ეკლესია, სადაც ჩემმა მშობლებმა დაიწერეს ჯვარი, ახლა თურქეთის ტერიტორიაზე დგას... დედაჩემი იშვიათი სილამაზის ქალი იყო. სილამაზით იყო განთქმული ჩემი ბებიაც დედის მხრიდან, რომელიც დაღესტნელი დიდგვაროვანი, გვარად კრიმშამხალოვა გახლდათ. ამბობენ, რომ ბებიას მუქი ლურჯი თვალები, თეთრი კანი, დიდი შავი წამწამები და ბუნებრივად სპილენძისფერი თმა ჰქონია. ამასთან ერთად — იმდენად გრძელი, რომ თუ გაიშლიდა, ბებიას შლეიფივით მიჰყვებოდა...

— ქართული ალბათ დედამ გასწავლათ, არა?

— გაგეცინებათ, მაგრამ მამამ უკეთ იცოდა ქართული ენა, ვიდრე დედამ. ხოლო იმის გამო, რომ ოჯახში ყველას — მშობლებსაც და მამიდებსაც რუსული განათლება ჰქონდათ მიღებული, ამ ენაზე ვლაპარაკობდით. საქართველოსადმი სიყვარული კი მართლაც, ოჯახიდან მომდგამს. დედა და მამა სულ ერთსა და იმავე საკითხზე კამათობდნენ: დედა მიიჩნევდა, რომ მსოფლიოში არ არსებობს იმაზე ლამაზი ადგილი ვიდრე ალაზნის ველი და მთათუშეთია, მამა კი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ყველაზე ლამაზი, მთიანი აჭარაა. დედაჩემის ანდერძის შესაბამისად, მისი ნეშტი ორად გავყავით: ერთი ნაწილი ჩინეთში ასვენია, მეორე კი — წინანდალში, მამამისის გვერდით არის დაკრძალული.

ლაოს რუსულის გამო, ჩაქვში თურმე ანეკდოტები დადიოდა

— თქვენ ჩინეთში დაიბადეთ?

— ჩინეთში დავიბადე და გავიზარდე და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მეც პაპაჩემის, ლაოს მსგავსად, 22 წლის ასაკში ჩამოვედი პირველად საქართველოში. პეკინის სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი და გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ სწავლა თბილისში გამეგრძელებინა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის სამაგალითო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მანამდე კი, საბჭოთა საზღვრის გადმოკვეთა დიდ სირთულეს წარმოადგენდა. მაგალითად, დედაჩემმა მხოლოდ 30-წლიანი განშორების შემდეგ მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა. 2 წელი

10 ჩინელ მუშასთან ერთად პაპაჩემმა წლის განმავლობაში მოახერხა, რომ ჩაქვში ჩაის ნერგების დიდი ორანჟერეა, 3 მამულში განთავსებული ჩაის ბუჩქის პლანტაციები და ჩინურ ყაიდაზე მოწყობილი, გადამამუშავებელი ჩაის ფაბრიკა აეშენებინა.

ელოდა ვიზას და მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ მიიღო თბილისში ჩამოსვლის ნებართვა. ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების მოსანახულებლად კი მხოლოდ 3 თვე ეძლეოდა... როგორც გითხარით, მე თბილისში უპრობლემოდ ჩამოვედი. სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსზე ჩავირიცხე და ბებიასთან ვცხოვრობდი პლეხანოვზე.

— თქვენი მეუღლე აკადემიაში გაიცანით?

— იმ დროს გივი ასპირანტურაში სწავლობდა და ერთ-ერთ ჩვენს ლექტორს უწევდა ასისტენტობას. საკმაოდ მალე, გაცნობიდან ერთ წელიწადში ვიქორწინეთ, შემდეგ, ჩინეთში დაიწყო ე.წ. „კულტურული რევოლუცია“ და საზღვრის გადაკვეთა კვლავ გაჭირდა. 1962 წელს, როდესაც მე და გივის პირველი შვილი უკვე გვყავდა, ჩინეთში გამგზავრება გადავწყვიტეთ. მაგრამ ცოტა ხნით ადრე, დედაჩემისგან საკმაოდ უცნაური წერილი მივიღეთ. მისი შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: შენს ნათესავებს აქ შენი დანახვაც კი არ უნდათო. როგორც შემდეგ ამიხსნეს, ამ წერილის ქვეტექსტი ის იყო, რომ იმ დროს, ჩვენი ჩინეთში ჩასვლა გარკვეულ ხიფათთან იყო დაკავშირებული. მხოლოდ საქართველოში ჩამოსვლიდან 28 წლის შემდეგ შევძელი ჩინეთში დაბრუნება და ჩემი ოჯახის ნახვა.

— ძალიან მაინტერესებს, ქართული ენა სად ისწავლეთ?

— დედაჩემის მამიდა ძალიან მკაცრი ქალი გახლდათ. თბილისში ჩემი ჩამოსვლის დღიდან ცდილობდა, ჩემთვის ქართული ენა ესწავლებინა. საშინელი სახელმძღვანელო ჰქონდა, სადაც მხოლოდ ძველი ქართული სიტყვები ეწერა. როდესაც ჩემს დედამთილს ამ სიტყვებს ვეუბნებოდი, გაოცებული მიყურებდა და მეკითხებოდა: საიდან მოიტანეო?.. პირველი 2 წელი, ქართულად ერთ სიტყვასაც ვერ ვამბობდი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც შვილი შემეძინა და რამდენიმე თვით დედამთილთან საგარეჯოში მომიწია ცხოვრებამ, ქართულად ავლაპარაკდი.

— თქვენმა შვილებმა თუ იციან ჩინური ენა?

— ჩინური მათთვის არ მისწავლებია, მაგრამ ჩემი ვაჟი ფლობს ამ ენას, ქალიშვილი კი — არა. იმდენი უსიამოვნება მხვდებოდა ჩინურის ცოდნის გამო, რომ სულ არ მინდოდა, რომ ეს ენა ჩემს შვილებს სცოდნოდათ. ზოგჯერ „კაგებეში“ სჭირდებოდათ ჩემგან რაღაც. მახსოვს, მთხოვდნენ, რომ სხვისი წერილები მეთარგმნა, ჰონკონგში გავმგზავრებულიყავი სამუშაოდ... ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიტყვი, რომ როგორიც არ უნდა იყოს პოლიტიკური რეჟიმი, ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ არასდროს წავალ... ჩემმა შვილიშვილებმა კი, ყველამ იცის ჩინური ენა.

ლაო ჯონჯაოს სახლი ჩაქვში — ნინოშვილის ქ. №12

— ჩინური სამზარეულო სახელგანთქმულია მთელ მსოფლიოში. თქვენ, როგორც ოჯახის დიასახლისი, რომელს ანიჭებთ უპირატესობას — ქართულ სამზარეულოს თუ ჩინურს?

— ჩინეთიდან საკმაოდ ახალგაზრდა წამოვედი. ამიტომ შეიძლება, ქართული კერძები უკეთ გამომდის, ვიდრე ჩინური. თუმცა, თბილისში არსებული ჩინური რესტორნების მეპატრონეები ხშირად მთხოვენ დახმარებას, ზოგჯერ სურთ, რომ რაღაც ვუთარგმნო და ა.შ. მცდარია ის შეხედულება, რომ ჩინელები ამაზრზენ მწერებს მიირთმევენ. იქ, სადაც მე გავიზარდე, არც ველურ კატებს ჭამენ და არც შხამიან გველებს. ასეთ „დელიკატესებს“, მხოლოდ გურმანებთან ან განსაკუთრებულ ბანკეტებზე შეხვდებით. ჩინეთში სადილის მომზადებას შემოქმედებითად უდგებიან და პირველი კატეგორიის მზარეულს გაცილებით მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე პროფესორმასწავლებლებს. თუმცა, იმასაც ვეტყვით, რომ მე ისევე მიყვარს საცივი, როგორც ერთ-ერთი ტრადიციული ჩინური კერძი.

— ქალბატონო მალი, თქვენ გარდა, სად ცხოვრობენ ლაო ჯონჯაოს, ქართული ფესვების მქონე შთამომავლები?

— ჩემი უფროსი ძმა, რომელიც 83 წლისაა, ჩინეთში ცხოვრობს. გარეგნულად ტიპური ქართველი მამაკაცია. უმცროსი ძმა კი, რამდენიმე წლის წინ გარდამეცვალა. ლაოს სხვა შთამომავლები პარიზში, სიდნეიში, მოსკოვსა და ამერიკის სხვა ქალაქებში არიან მიმოფანტული...

დედაჩემის ანდერძის შესაბამისად, მისი ნეშტი ორად გავყავით: ერთი ნაწილი ჩინეთში ასვენია, მეორე კი — წინანდალში, მამამისის გვერდით არის დაკრძალული.

რა არის სიძუნწე?

„ვიდრე მდიდარ და არაძუნწ საქმროს არ „ვიშოვი“, არ გავთხოვდები“...

როცა საქმე სიძუნწეს ეხება, ნამდვილად ვერ დავიწუწუნებ, მკითხველები „ძუნწობენ“ და მესიჯებს არ მიგზავნიან-მეთქი. მაგრამ როგორც ჩანს, თქვენ ჩემზე სულ სხვაგვარი წარმოდგენა გქონიათ. აი, რას მწერს ერთ-ერთი თქვენგანი: „მარი, სიძუნწე იცი, რა არის? ის, რასაც მამაჩემი აკეთებს — ყოველთვის მახვეწნინებს, ფული მომეცი-მეთქი. ცხოვრებაც ძუნწია, ადამიანებისთვის ბევრს არ იმეტებს და შენც ძუნწი ხარ, იმიტომ რომ ცოტა მესიჯს აქვეყნებ“. ხედავთ, როგორი ბრალდება წამომიყენა!.. კარგი, რადგან ასეა საქმე, მესიჯებს აღარ „მოვუოშკავ“ და ამჯერად „გზავნილების“ „გაფართოებულ“ ვარიანტს შემოგთავაზებთ, მცირე სიახლესთან ერთად, რომელზეც მოგვიანებით ვილაპარაკებთ. ახლა კი, მოცემულ თემაზე თქვენ მიერ გამოგზავნილ ამბებს მივაპყროთ ყურადღება.

ფსიქოლოგების ერთ ჯგუფს საკმაოდ დეტალურად შეუსწავლია მამაკაცთა ქცევის წესები და ასეთი დასკვნა გამოუტანია: მამაკაცის ინტერესის სფეროში შედის 5 რამ: სექსი, ქალები, სექსი, ფულის შოვნა, სექსი...

მე თუ მკითხავთ, ამ ჩამოთვალს ასეთი სახე უნდა ჰქონდეს: სექსი, ავტომანქანა, ფეხბურთი, ფსიქოლოგი კი არა, ჟურნალისტი ვარ, ისევ პროფესიონალთა აზრს დავეყრდნოთ და ვნახოთ, რას გვიამბობენ ჩვენი რესპონდენტები.

მარი ჯაფარიძე

„თავის გამოსაჩენად ფული არ ენანება...“

„საქმე ის გახლავთ, რომ უკვე 10 წელია, გათხოვილი ვარ და დღემდე ვერ გამიგია, ძუნწია თუ არა ჩემი ქმარი. ყველაფერს დალაგებულად მოგიყვებით და იქნებ, თქვენ მაინც გამარკვიოთ. როდესაც შეყვარებულები ვიყავით, მაშინ ვოჩა სულ 21 წლის იყო, საკუთარი შემოსავალი არ ჰქონდა და მამაზე იყო დამოკიდებული. თუმცა, ფული სულ ჰქონდა. ჩემთვის არასოდეს არაფერს იშურებდა. რა უნდა მეთხოვა, რომ არ აესრულებინა, თუნდაც ამისთვის თანხის სესხება ყოფილიყო საჭირო. თუ კაფეში ან ბარში შევიდოდით, ბოლო კაპიკამდე ხარჯავდა ხოლმე. შემდეგ დაქორწინდით. გარკვეული პერიოდის შემდეგ შევნიშნე, რომ დაიწყო ფულის დამალვა. როცა ვთხოვდი, 10 ლარი მომეცი-მეთქი, მეტყოდა – სულ 10 ლარი მაქვს, 5 – შენ, 5 – მეო. ვნერვიულობდი, რომ მატყუებდა. რამდენჯერმე შევამოწმე მისი საფულე და ვნახე, რომ იტყუებოდა. გაცილებით იმაზე მეტი თანხა ჰქონდა ხოლმე, ვიდრე ამბობდა. შემდეგ თვითონ დაიწყო მუშაობა. არასდროს გვიჭირდა თავის გატანა, მაგრამ ვოჩა ისე ძუნწობდა, ლამის ჭკუიდან გადავსულიყავი. ჭკუა ვისწავლე: რა თანხაც მჭირდებოდა ხოლმე, ყოველთვის იმაზე ორჯერ მეტს ვთხოვდი და შესაბამისად, საჭირო თანხას ვიღებდი. არ გეგონოთ, სხვებთანაც ძუნწობდა. უამრავ კეთილ საქმეს აკეთებდა და ფულს დაუნანებლად იმეტებდა შორეული ნათესავის ოპერაციისთვის, ახლობლის ცხიდან გამოსახსნელად, დაუნანებლად გასესხებდა და თუნდაც, უკან აღარ დაებრუნებინათ, არ ენაღვლებოდა. ძალზე ძვირად ღირებული მანქანა იყიდა და ნებისმიერი წვრილმანისთვის, რომელიც მის „აუდის“ სჭირდებოდა, დაუნანებლად იხდიდა საკმაოდ დიდ თანხას. ფული არც იმისთვის ენანებოდა, რომ ნებისმიერი კახპისთვის მიეცა, რესტორანში ექეიფა და საუნაშიც ენებივრა. ბავშვები ათასგვარ წრეზე დამყავს. მთელი თვე უნდა ვეხვეწო, რომ გადასახადისთვის ფული მომცეს ან პალტო ვიყიდო. წვეულებაზე ყოველთვის ძვირფასი საჩუქრით ხელდამშვენებული მივდივართ ხოლმე. თავის გამოსაჩენად ფული არ ენანება. ათასგვარ სულელურ საქმეში დებს მოზრდილ თანხას. თუ მოიგებს, ხომ კარგი. თუ არა და, სულაც არ ნაღვლობს. გამოდის, მხოლოდ ჩემთან ძუნწობს. რატომ? ნუთუ ოჯახზე უფრო მნიშვნელოვანია ის ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალე? ჩვენი ნაცნობები არ დაიჯერებენ, რომ ძალზე ხშირად ვაკეთებ 1-2 ლარის ეკონომიას და ბაზარში გამყიდველს შესაძლოა, 10 თეთრზეც კი შევეჯაჭრო. იმიტომ კი არა, რომ ძუნწი ვარ და არ მემეტება, არა, ქმარი მყავს ძუნწი და ზედმეტ თეთრს ვერ ვაგდებინებ ხელიდან. იქნებ, ჩემი გზავნილი წაიკითხოს და დაფიქრდეს?.. პატივისცემით ეთო.“

„გზავნილების“ არსებობის 2 წლის მანძილზე ჩვეად მექცა, თქვენი მესიჯებიდან საინტერესო ფრაზების ამოწერა. შემდეგ, მათ თემატურად ვალაგებ ხოლმე. ამჯერად მინდა შემოგთავაზოთ ჩვენი მკითხველების აზრი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მოიპოვო ბედნიერება: 1. ვიცი, მაგრამ არ გეტყვით; 2. უნდა იყიდოთ სამი ზომით პატარა ფეხსაცმელი და ხშირ-ხშირად გაიხადოთ ფეხზე; ნახავთ, როგორ ბედნიერად

ივრძნობთ თავს. 3. ეს კითხვა ყოველდღე უნდა დაუსვათ საკუთარ თავს და პასუხი ფურცელზე დაწეროთ; 80 წლის ასაკში შესაძლოა, სწორი პასუხი იპოვოთ; 4. თავი უნდა დაანებოთ სმას და სიგარეტის მოწევას. 5. ერთი ღამე უნდა გაატაროთ ჯენიფერ ლოპესთან. 6. უნდა წახვიდეთ სასეფლაოზე და რამდენიმე საათის განმავლობაში იხეტიალოთ; მიხვდებით, რომ ბედნიერი ადამიანი ხართ. 7. უნდა მოიებნოთ მდიდარი საქმრო, რომელიც არ იქნება ძუნწი... ვფიქრობ, საინტერესო შეხედულებებია ბედნიერებაზე. შემდეგი რესპონდენტიც დაახლოებით იმ აზრის გახლავთ, როგორისაც ბოლო პასუხის ავტორი.

„ფულს კი არ თვლის, კუბამეტრობით ზომავს...“

„ცნობილია, რომ მამაკაცების უმეტესობა ძალზე ძუნწია. ზედმეტ თეთრს ვერ გააგდებინებ ხელიდან. გარეგნობით მაინცდამაინც არ ვბრწყინავ, მაგრამ თაყვანისმცემლების სიმცირეს მაინც არ ვუჩივი. თანაც, მათი უმეტესობა ძალზე შეძლებულია. მეგობრები მეკითხებიან ხოლმე — სად პოულობ ამ მდიდარ კაცებსო?.. მაგრამ რად გინდა? ისეთი ძუნწები არიან, რომ გაოცებული ვრჩები ხოლმე. რამდენიმე მათგანზე მოგიყვებით. გია 30 წლისაა. ჰყავს ბოლო მოდელის „მერსედესი“. ერთხელ, საღამოს 10 საათზე, თემქიდან მომავლებს, ეს ძვირფასი „პიპია“ გაგვიფუჭდა. მერე გავიგეთ, რომ ბენზინი გასთავებია. გიამ მითხრა — შენ შინ გაგიშვებ, მანქანას მე მივხედავო. მთელი ნახევარი საათი ველოდით „მარშრუტკას“. 3 ლარი არ გაიმეტა იმისთვის, რომ ტაქსით გავეშვი შინ!.. მეორედ ისევ გიასთან ერთად ვიყავი, თან ჩემი მეგობარი გოგონა მახლდა. 8 მარტი იყო და რესტორანში დაგვპატიჟა. ყვავილების მაღაზიასთან შეჩერდა და 5-ლარიანი თაიგული — გაქუცული მიმოზა და ნარცისები იყიდა, თანაც — მარტო ჩემთვის, თითქოს ჩემი მეგობარი, მამაკაცი იყო და არა — ქალი. არადა, იცით, რამდენი ფული აქვს? ფულს კი არ თვლის, კუბამეტრობით ზომავს. კარგად რომ დავფიქრდი, მივხვდი, რომ მასთან ბედნიერი არ ვიქნებოდი. ამის გამო, მთელი ჩემი ყურადღება მეორე თაყვანისმცემლისკენ მივმართე. მიუხედავად იმისა, რომ ისიც საკმაოდ შეძლებულია, დღესასწაულებზე 5-10-ლარიან სუნამოს მჩუქნიდა ხოლმე. ერთხელ ვთხოვე — მობილურზე დეპოზიტი შემივსე-მეთქი, — და 5 ლარი შეუტანია ჩემს ანგარიშზე... სამგიეროდ, საუბრისას არ ძუნწობდა და „ორმეტრიან“ ენას გადმოაგდებდა ხოლმე და სიყვარულს მეფიცებოდა. ბოლოს ვიფიქრე — წადი, შენი-მეთქი! — და ისიც მივატოვე. გამოჩნდა სხვა. თავდაპირველად, ძალზე გულუხვი იყო. ძვირფას საჩუქრებს მიძღვნიდა, 10-15 გოგოს ერთად გვეპატიჟებოდა ხოლმე რესტორანში, ისეთ ფურორს ახდენდა ჩემს დაქალებზე, რომ მეც აღფრთოვანებული ვიყავი მისით. როდესაც ჩემი თანაგრძნობა და კეთილგანწყობა მოიპოვა, მერე გაძუნწდა. ჯიბეში ხელს არ ჩაიყოფდა, თუ რამდენიმე ლარს დამახარჯავდა, მერე ისე წუწუნებდა, რომ ლამის, მისი ცოდვით, მეტირა. მეტსახელად წუწურაქს ვეძახდი და ამას არც მას ვუმალავდი. სულაც არ ანაღვლებდა, ჩაიცინებდა ხოლმე... იცით, სიყვარული — სიყვარულია, მაგრამ ძუნწი კაცი ძალზე ძნელი ასატანია. ამიტომ მასაც დავშორდი. ვიდრე მდიდარ და არაძუნწ საქმროს არ „ვიშოვი“, არ გავთხოვდები, თუნდაც, სიბერემდე გაუთხოვარი დავრჩე. ერთი, მაგათიც...“

გრცხვენოდეთ, მამაკაცებო! თურმე, სულ თქვენი წუწურაქობის ბრალი ყოფილა, ამდენი გაუთხოვარი ქალი რომ დადის. მაგრამ ჯობს, ისევ ამის გამო შეგრცხვეთ, ვიდრე ჩვენი შემდეგი რესპონდენტის დღეში აღმოჩნდეთ. ვიდრე მის ნაამბობს გადმოგცემდეთ, თავს უფლებას მივცემ, მამაკაცებს ერთი რჩევა შემოგბედოთ იმ შემთხვევისთვის, თუ გინდათ, იცოდეთ, როგორ უნდა დაადგინოთ, რომ თქვენსა და თქვენს ცოლს შორის, ვიღაც მესამე გაჩნდა.. თუ თქვენი მეუღლე ილიმის, როცა ეუბნებით, რომ შეგაგვიანდებათ; ამ ბოლო დროს, ძალზე ალერსიანი გახდა, მაგრამ ინტიმური ურთიერთობისას „ძუნწობს“; თქვენს ნებისმიერ შენიშვნაზე ეუფლება ქალთა უფლებების დასაცავად ბრძოლის სურვილი; აღარ გთხოვთ სადმე წაყვანას და მეგობარი გოგონას კომპანიით კმაყოფილდება, დროა, „დამწვრის სუნი“ იგრძნოთ და გაარკვიოთ, რა ხდება... თავის გულის დარდს ამჯერად 35 წლის გოგი გვიზიარებს.

„რატომ დასჭირდა სხვა კაცი?“

„17 წლის ვიყავი, ცოლი რომ მოვიყვანე (რა მეჩქარებოდა?). წლების მანძილზე ჩემი მეუღლე ძალზე დამჯერი, თბილი და ალერსიანი იყო. ჩემთვის სულსაც არ იშურებდა. მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც, გაძუნწდა. ჩემთან დაწოლაზე უარს ამბობს. თუმცა, საღამოს სულ ფისოს და ცუგრიას მეძახის. ყოველთვის ეჭვიანობდა, შინ გვიან თუ დაბრუნდებოდი, აყალმაყალს მიტეხდა ხოლმე. წინათ კმაყოფილი იყო ამით, რომ მთელ დღეს, შვილებსა და ქმარზე ზრუნვაში ატარებდა. ახლა ატეხილია — მუშაობა უნდა დავიწყო, სამსახური მიშოვეო. ერთ საეჭვო რეპუტაციის ქალს დაუმეგობრდა და ვერ შევასმინე, რომ ვეუბნები — აქ მოსული არ დავინახო-მეთქი! პირველად რომ ვნახე ეს ქალბატონი (მია ჰქვია), ჩემს ცოლს ვუთხარი — ეს ბოზი სადან მოათრიე-მეთქი?!. გამებუტა. მაგას ქმარ-შვილი ჰყავს, მზე და მთვარე მათზე ამოსდის, ამას როგორ ამბობ?!. გადავწყვიტე, მენახა, როგორი პატიოსანი და ოჯახის მოყვარული ქალი იყო. ერთხელ, შინიდან სწორედ ისეთ დროს გავედი, როცა ისიც წასასვლელად აიბარგა. ცოლიც იქვე იყო, როცა შევთავაზე — მეც მივდივარ და ბარემ, მანქანით წავიყვანთ-მეთქი. უკვე შებინდებული იყო. ბევრი ხვეწნა არ დამჭირვებია იმისთვის, რომ მყუდრო ადგილზე, მანქანაშივე... მოკლედ, ხომ მიხვდით, რაც მოხდა?.. აი, ასეთი „პატიოსანი“ დაქალი ჰყავს ჩემს ცოლს. ჩემი მეუღლის ბოლოდროინდელმა საქციელმა დამფიქრა და ეჭვიანობა დავიწყე. სამსახურიდან ყოველ წუთში ვურეკავდი შინ, ვამოწმებდი, არსად ვუშვებდი, მტკიცედ და მკაცრად მოვითხოვდი, რომ საწოლში თავისი ფუნქცია და მოვალეობა შეესრულებინა. ძალზე დიდ წინააღმდეგობას ვაწყდებოდი. ისევ მია მოვიშველიე, ძალზე დავუახლოვდი, ეამრავ ფულს ვახარჯავდი, ვუმტკიცებდი, მიყვარხარ-მეთქი. ასე გასტანა მთელი 8 თვის განმავლობაში. ბოლოს ვუთხარი — ცოლად მოგიყვანდი, მაგრამ ოჯახი როგორ დავანგრიო? საამისო მიზეზიც არ მაქვს-მეთქი. იმ წუთში არაფერი მითხრა. როგორც ჩანს, კარგად დაფიქრდა და ორიოდე კვირის შემდეგ, ისევ ამ საკითხზე ჩამოაგდო საუბარი: — მართლა გინდა ჩემი ცოლად შერთვაო? — მკითხა. გულმა რეჩხი მიყო, რაღაცნაირად, შინაგანად მივხვდი, რომ ძალზე მნიშვნელოვანი ამბავი უნდა შემეტყო. რა თქმა უნდა-მეთქი! — ვუპასუხე და ხელები, სახე და ტანი ერთიანად დავუკოცნე. ადგა და სულ „გადმალაგა“ სათქმელი: — შენს ცოლს საყვარელი ჰყავს, თანაც, უკვე კარგა ხანიაო, — და ამას ისიც მოაყოლა, თუ სად, რა სიხშირით ხვდებოდნენ ერთმანეთს. უდარდელი სახე მივიღე, მაგრამ ახლაც მიკვირს, გულმა როგორ არ მიმტყუნა. რატომ დასჭირდა სხვა კაცი-მეთქი? — შენი ცოლი ამბობს, რომ ძალზე ძუნწი ხარ, მაგრამ მე ამას ვერ ვგრძნობ, ჩემთან ხელგაშლილი ხარ, ამიტომ ნამდვილი მიზეზი ჩემთვისაც უცნობიაო... წარმოიდგენიათ?.. იმ საღამოსვე, ყველგვარი სკანდალის გარეშე დავტოვე ოჯახი და დღემდე არ შევრიგებივარ ცოლს. არც ვაპირებ. ბრძანდებოდეს თავის ხელგაშლილ საყვარელთან ერთად. ვაი, მაგათ პატრონს!..“

მკითხველები ხშირად მწერენ მესიჯებს, რომელიც მოცემულ თემასთან კავშირში არ გახლავთ. მიამბობენ თავიანთ საწუხარზე, საინტერესო თავგადასავალსა თუ კურიოზულ შემთხვევებზე. ვფიქრობთ, „თემატურის“ გარდა, „თავისუფალ“ გზავნილებსაც უნდა დავუთმოთ ადგილი და ამერიდან, ასეც მოვიქცევთ.

„...ვინაიდან მალული სიყვარულის ნაყოფი ვიყავი...“

„25 წლის, გასათხოვარი გოგო ვარ. გავიზარდე კახეთის ერთ-ერთ რაიონში. მყავს ერთი, 3 წლით უფროსი ძმა, დედა და მამა. ერთი წლის წინ კი შევიტყვე, რომ ისინი ჩემი ნამდვილი მშობლები არ არიან. გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ამის შესახებ მათაც ჩემთან ერთად გაიგეს. ყველაფერი კი, რაიონულ სამშობიარო სახლში დაიწყო: რაიკომის მდივანი მაშინ გახლდათ ვინმე სერგო (სახელი შეცვლილია), ძალზე მექალათანე კაცი. წლების განმავლობაში, მისი საყვარელი ყოფილა თბილისელი ქალბატონი. ვინაიდან ბატონ სერგოს ოჯახი ჰყავდა, მათი ურთიერთობა ძალზე გასაიდუმლოებული ყოფილა. ეს ქალბატონი დაფეხმძიმებულა. სერგოს უცდია, საყვარელი, ბავშვის მოცილებაზე დაეთანხმებინა, მაგრამ არაფერი გამოსვლია. როდესაც მშობიარობის დრო მოახლოვდა, რაიონში, სამშობიარო სახლში დააწვინეს და შეეძინა გოგონა – ე.ი. მე. ამავე სამშობიაროში წინადღეს, კიდევ ერთ ქალბატონს უმშობიარია და მასაც გოგო შესძენია. ბავშვი ჯანმრთელი ყოფილა, მაგრამ არავინ იცის, რა მიზეზით, პირველსავე ღამეს დაღუპულა. მედპერსონალს დედისთვის არ გაუმხელია. უფიქრიათ – ჯერ მეუღლეს და დედამთილ-მამამთილს ვუთხრათო. ამასობაში მე დავბადებულვარ და ვინაიდან მალული სიყვარულის ნაყოფი ვიყავი, გადაუწყვეტიათ, ბავშვები გაეცვალათ. გარდაცვლილი გოგონა დამარხეს, მე კი იმ ქალბატონის, ჩემი გამზრდელი დედის შვილად გამასაღეს. ამის შესახებ მხოლოდ სამმა ადამიანმა იცოდა: რაიკომის მდივანმა, სამშობიაროს მთავარმა ექიმმა და იმ ქალმა, ვინც გამაჩინა. ასე რომ, ჩემს მშობლებს ეჭვიც არ შეჰპარვიათ, რომ სამშობიაროდან თავიანთი შვილი, სისხლი და ხორცი წაიყვანეს... გავიდა წლები. სამშობიაროს მთავარი ექიმი მოხუცდა. ამასობაში, ბატონი სერგო გარდაიცვალა. ჩემს ნამდვილ დედას კი, ჩემი მოძებნის სურვილი გაუჩნდა. ჩამოსულა რაიონში და მიუკითხავს სამშობიაროს ყოფილი მთავარი ექიმისთვის. მას არაფრის დიდებით არ გაუმხელია ჩვენი ოჯახის ვინაობა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი, მისი მეუღლე მოვიდა ჩვენთან სტუმრად და დედას უთხრა – ჩემს ქმარს შენი ნახვა უნდაო. დედას ძალზე გაუკვირდა, მაგრამ უკვე ლოგინად ჩავარდნილ, ავადმყოფ მოხუცს მიაკითხა. სწორედ მაშინ გაუმხილა დედას საიდუმლო. მახსოვს, როგორი დაზაფრული მოვიდა შინ, რამდენიმე დღის განმავლობაში ტიროდა, ჩვენ კი ხმას არ გვცემდა. შემდეგ დამიძახა და ყველაფერი დაწვრილებით მიამბო. ჩემი პირველი რეაქცია ის იყო, რომ შინიდან წამოვედი და რამდენიმე კვირით გადავიკარგე. თბილისში, ჩემს ჯგუფელ გოგონასთან ვიმალებოდი. შემდეგ მივხვდი, რომ არასწორად მოვიქეცი და უკან დავბრუნდი. ვერ მოვისვენე და ნამდვილი დედის მოძებნა გადავწყვიტე. ისევ მთავარი ექიმი დავიხმარე, დედას მივაგენი, მაგრამ ის საბერძნეთში წასულა. ახლა მის ნათესავებს ვეხვეწები, იქაური კოორდინატები მომცენ, მაგრამ ამაოდ ვცდილობ – არავინ არაფერს მეუბნება. ვიცი, თქვენი ჟურნალი საბერძნეთში მყოფ ქართველებში საკმაო პოპულარობით სარგებლობს. იქნებ, დედაჩემმა წაიკითხოს, ამბავი ეცნოს და დამიკავშირდეს. გმადლობთ“.

ცნობილია, რომ ყველაზე ხშირად იტყუებიან პოლიტიკოსები, მონადირეები და ომის მონაწილეები. ბატონი სიკო სწორედ სამამულო ომის ვეტერანი გახლავთ და თავის საგმირო საქმეებს თურმე ისე ჰყვება, რომ ნებისმიერი მსმენელი სულგანაბული უსმენს.

სიკო ძიას მედლები

„მინდა, ჩემს მეზობელ სიკოზე გიამბოთ. ის უკვე საკმაოდ მოხუცებულია, თუმცა არასდროს უშვებს ხელიდან შანსს, რომ თავს გადახდენილი ამბები მოსაუბრეს, ვინ იცის, მერამდენედ მოუყვეს. განსაკუთრებით ბედნიერი მაშინ გახლავთ, თუ უცხო ადამიანს ესაუბრება. სიკო გურული გახლავთ და ყველგან – შინ, გარეთ, სათხარში – მედლებით მკერდდამშვენებული დადის. როდესაც ჰკითხავთ – ამდენი მედალი რისთვის მოგცესო? – გმირობისთვისო, – გიპასუხებთ და აი, ასეთ ამბავს მოგიყვებათ:

– კაცო, გაგანია ომია, მეც სხვებივით, სამშობლოს დასაცავად ვარ წასული. ჰოდა, დღისით მგარი იერიში გადავიტანეთ, გერმანელების 5 ტანკი და უამრავი ჯარისკაცი გავანადგურე და საღამოს, ტყვიების ზუზუნი რომ შეწყდა, სანგარში მოვთავსდი. თოვდა, ციოდა, მაგრამ დაღლილს მალე ჩამეძინა, თუმცა, დროდადრო მეღვიძებოდა და „კასკაზე“ დადებულ თოვლს ვიშორებდი ხოლმე. ღრმა ძილში რომ წავედი, ვიგრძენი, რომ ვიღაც მაჯანჯღარებდა. გავახილე თვალები და რას ვხედავ? მარშალი ჟუკოვი არ დამდგომია თავზე?!. წამოვხტი და „ჩესტი“ ავუღე. როგორ ხარ, სიკო ძია, ხომ არაფერი გიჭირსო?

– Никак нет, товарищ Жуков-მეთქი, – ვუპასუხე. მერე ბოდიში მომიხადა გაღვიძებისთვის და მითხრა – სტალინს უნდა შენთან ლაპარაკი. ჯიბეში ჰქონდა ტელეფონი, ამოიღო და ციფერბლატზე ოცდაათი ციფრი მაინც აკრიბა. მერე ყურმილი მომაწოდა. სტალინის ხმა გავიგონე – სიკო ძია, შენ ხარო? – დიახ-მეთქი, – გავიჭიმე. – მოსკოვში ჩამოდი, სასწარფოდ შენი ნახვა მინდაო. ყურმილი დავკიდე და ჟუკოვს ვუთხარი – სასწრაფოდ თვითმფრინავი გამოიძახეთ, სტალინთან მივდივარ-მეთქი... რამდენიმე საათის შემდეგ, უკვე მოსკოვში ვიყავი. შემიყვანეს სტალინთან კაბინეტში. ოთახი ძალიან დიდი იყო და კარიდან სტალინი არც კი მოჩანდა. 15 წუთი მოვუნდი ოთახის თავიდან ბოლოში გასვლას. სტალინი წამოდგა, გადამეხვია: – სიკო ძია, შენი ნახვა ძალზე გამიხარდაო, – მითხრა. მერე მაგიდის ქვეშიდან ორი ემალის ვედრო გამოიღო, რომელიც სულ მედლებით იყო სავსე. წყალი რომ შეასხა ადამიანს, ისე, ორივე ხელით შემომაყარა: – სიკო ძია, ეს მედლები სულ შენია, სულ შენიაო... აი, ამდენი მედალი საიდან მაქვს. იცოდა დიდმა სტალინმა გმირების დაფასება...

აი, ასეთი ფანტაზიორი სიკო ძია გვყავს, გურულებს.“

ახლა კი, მოკლე მესიჯები, სიძუნწესა და ზოგიერთ სხვა საკითხზე.

„პრაშჩაი“, პაემანი!“

„სიძუნწე საშინელებაა, მაგრამ მაინც ვიძუნწებ და დათოს არავის დავუთმობ...“

გაქვთ სურვილი გამოიყურებოდეთ ლამაზად?!

გთავაზობთ!!!

წონაში დაკლებას
კომფორტული მეთოდით
5-დან 12კგ.-მდე
ყოველგვარი ვარჯიშისა
და შიმშილის გარეშე.

თქვენ მოგემსახურებათ
კვალიფიციური სპეციალისტი.

ტელ.: 893-20-33-76
მდივანი: 76-66-04
ბ-ნი. კობა

„სიძუნწე ყველაზე ამაზრზენი თვისებაა, რომელიც ადამიანს ახასიათებს. ეთერი“.

„ჩემი მამამთილი ისეთი ძუნწია, რომ სახლში საცვლების ამარა დადის. რატომ? ტანისამოსი რომ არ გაუცვდეს. თამუნა.“

„ძუნწი ადამიანი, მით უმეტეს – კაცი, მაგრად ტეხავს. ერთხელ, შატალოზე წავედით: მეათეკლასელი გოგო, 2 მეათეკლასელი ბიჭი და მეთერთმეტეკლასელები. შევედით კაფეში, სადაც გოგონებს მოგვეწონა, ბიჭებს არ დაევასათ. რაღაცები შევუკვეთეთ. წამოსვლისას ბიჭებმა თქვეს – სხვაგან წავიდეთ, აქ მაგარი „ბანძი“ ადგილიაო. ისინი გარეთ გავიდნენ. ჩვენ გვეგონა, რომ დანახარჯი გადაიხადეს, მაგრამ ოფიციანტმა დაგვიძახა – სად მიდიხართ? ფულს ვინ გადაიხდისო?.. ბიჭებისთვის დაძახება „გაგვიტყდა“ და იძულებული გავხდით, ჩვენ გადაგვეხადა“.

„ზაქრო შ-შვილო, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ძუნწი ხარ... იცით, რა ქნა?.. მე და ჩემმა ერთმა მეგობარმა ბუფეტში შევიყვანეთ მხოლოდ 2 ოცდაათთეთრიანი, „არაფრის შემცველი“, უყველო ხაჭაპურის საყიდლად. მიუხედავად იმისა, რომ საფულე ფულით ჰქონდა გატენილი, 2 გოგონას მხოლოდ ერთი ხაჭაპური გვიყიდა და სრული სერიოზულობით გვითხრა – შეგიძლიათ, ფული კვირის ბოლოს დამიბრუნოთო. ძალზე შერცხვენილნი და გაოგნებულნი დავრჩით. ხმაც არ ამოგვიღია. აბა, ასეთი ძუნწი ადამიანი გინახავთ? ზაქრო, მიცანი? მარი ვარ“.

„ერთი ჩემი ჯგუფელი მიწის თხილის დიდი მოყვარული გახლავთ. ჰოდა, რომ იყიდის, ჯიბეში იყრის და ჩუმად ჭამს. თან ქურდულად გამოგვხედავს ხოლმე, ხომ არ მიყურებენო. სიძუნწეა, აბა, რა ჯანდაბაა? იყოს და ჭამოს! მისის „ჯინსი“.

„იცით, რა არის სიძუნწე? ის კი არა, ზამთარში თოვლს რომ არ ასესხებ ადამიანს, არამედ როცა ყველაფერი გენანება – ერთი გაღიმება, ერთი „გამარჯობა“, ერთი მილოცვა, ცოტა ღიმილი, ცოტა სითბო და ბევრი გრძნობა. ელისო“.

„ერთხელ პაემანზე მივდიოდი. წვიმდა. მაგრად გავიპრანჭე. ფული დამენანა და ტაქსი არ დავიქირავე. გზაზე ვიდექი და სამარშრუტო ტაქსის ველოდი. ერთმა მანქანამ ისე გაიარა, რომ... „პრაშჩაი“, პაემანი. აი, სიძუნწე! თეკუნა“.

„ახლა ღამის 3 საათია. როგორც ყოველთვის, არ მეძინება. მოსვენებას არ მაძლევს შენზე ფიქრი. ისევ ისე ძალიან მიყვარხარ, როგორც 2 წლის წინ, მაგრამ ჩემი უბედურება ის კი არ არის, რომ უძილობა მჭირს, არამედ ის, რომ ძუნწი ხარ. დიახ, ნათია ფ-ვა, შენ სიყვარულის სიძუნწე გჭირს. „გამისწორე“.

„აი, ჩემი ქმრის ნათესავები ისეთი ძუნწები არიან, რომ შინ არ ჭამენ საჭმელს. სულ ჩემთან არიან და მეც ხშირად ვრჩები შიერი. აბა, ეგენი რას დაგიტოვებენ?“

„ჩემი ერთი დაქალი არაფერს აჩუქნის, მეორე – მესიჯს არ მიგზავნის... ოხ, ეს სიძუნწე!“

„გათხოვილი ვარ და ვცხოვრობ საკუთარ, ორსართულიან სახლში. მყავს ერთი მული. ათასგვარ გასართობს ვიგონებთ ხოლმე. განსაკუთრებით გვიყვარს ის ოთახი, სადაც ბუხარია. იმ ოთახის ფანჯრიდან წინა სახლში ჩემი ქმრის ძმაკაცის ფანჯრები მოჩანს. მე და ჩემი მული ხშირად ვუთვალთვალებთ და კარგადაც ვხალისობთ ხოლმე, თუმცა ერთი პრობლემაა, ბუხარი ხშირად არ ანთია და იმ ოთახში საყინულეა. მე და თაკო ხშირად ვეხვეწებით ჩემს ქმარს, რომ ბუხარი აგვინთოს. ის კი არც მეტი, არც ნაკლები, შეშას „უმოტავს“. ამაზე მეტი სიძუნწე გინახავთ?“

„ერთი სიტყვაძუნწი მალხო გავიცანი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სულ მასზე ვფიქრობ. მასზე ფიქრს მაშინ დავანებებ თავს, როცა გავიგებ, რატომ არის ასეთი მეტიჩარა და ძუნწი! მოდი, შევხვდეთ. ია.“

„ძუნწი მაშინ ვიქნებოდი, ამ ბოლო 6 თეთრით თქვენთვის მესიჯი რომ არ გამომეგზავნა. სიყვარულში ნუ იძუნწებთ, ბიჭებო... პატარა ქალი“.

„ლალი გ-ია, ძალიან მაგრად მიყვარდი. შენი უარის შემდეგ იცი, როგორ იოლად დაგივიწყე? ყინულზე დავწერე შენი სახელი და მერე გავადნე... გიორგი“.

„ლიპუშა, ვერ წარმოიდგენ, რა უსაზღვროდ მენატრები. ახლა შენგან ძალიან შორს ვარ. ვიცი, „გზის“ ამ ნომერს აუცილებლად წაიკითხავ. მინდა იცოდე, რომ ყველა ლამაზი ოცნება შენზე ფიქრებმა დაჩრდილა. მიყვარხარ. მეშინია სიკვდილის. შენი სიყვარული თუ გადამარჩენს. არ მიმატოვო, მინდა, მხოლოდ ჯანმრთელობა გისურვოთ შენ და ჩვენს პატარას. მიყვარხარ“.

„მარი, გთხოვ, 24 თებერვლის „გზის“ ნომერში თაიანეთელ თიკას დაბადების დღე მიულოცო ნიკასგან. თუ ეს არ მოხდება, მას სამუდამოდ დავკარგავ“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. 2 კვირის წინ შემოგთავაზეთ თემა – ჩემი სიდედრი შენსას სჯობია. სიდედრებმა შემომიტიეს – სიძეები რომ ალაპარაკეთ, ჩვენ რა დავაშავეთო?.. ამიტომ გულს ნუ დავწყვეტთ მათ და მომდევნო ნომრის თემად – ჩემს სიძეს შემოგთავაზებთ. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მაშ ასე, სიტყვა ეძლევათ სიდედრებს. მე კი მომდევნო ხუთშაბათამდე გემშვიდობებით.

■

სახის კანს თამბაქო და ხსნალი ყავა ვნებს

არ არსებობს ქალი, რომელსაც სიბერის არ ეშინია. ბუნებრივია, ახალგაზრდობის გახანგრძლივებასთან ცდილობს. თუ გსურთ, ამ ამოცანას გაართვათ თავი და წლები თქვენს გარეგნობას ნაკლებად დაეტყოს, უპირველესად სახის კანზე უნდა იზრუნოთ. ამას საუკეთესოდ, პროფესიონალთა დახმარებით შეძლებთ. აი, რას გვირჩევს ექიმი-კოსმეტოლოგი და დერმატოლოგი მანანა ყურაშვილი:

ეკა მინდაძე

– სახის კანი სარკესავით ირეკლავს ქალის ჯანმრთელობას. მისი გაღიზიანება შეიძლება, ბევრმა მიზეზმა გამოიწვიოს, განსაკუთრებით, თუ ნაღვლის ბუშტი გაწუხებთ: ასეთ შემთხვევაში, კანზე ჩნდება გამონაყარი ან პიგმენტური ლაქები. კანისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, თუ როგორ იკვებებით. სასარგებლოა დიდი რაოდენობით ბოსტნეულის, ხილ-



ის ნატურალური წვენებისა და მინერალური წყლის მიღება. მოერიდეთ ისეთ საკვებს, რომელიც აღიზიანებს ღვიძლს და კუჭ-ნაწლავს. ესენია: ცხარე, მჟავე, ნიგვზიანი კერძები, ღორისა და ცხვრის ხორცი. რაც შეეხება ყავას – მინდა შეგახსენოთ, რომ უნალექო ყავა გაცილებით მავნებელია კანისთვის, ვიდრე ნალექიანი. ამრიგად, შეგიძლიათ, ზომიერების ფარგლებში – დღეში 2 ჭიქა ნალექიანი ყავა მიირთვათ. სახის კანისთვის ძალზე მავნებელია თამბაქოს



მოწევაც. თუ გსურთ, კარგი სახის კანი გქონდეთ, სამუდამოდ უნდა თქვათ უარი თამბაქოზე. სხვათა შორის, კანზე, თამბაქოს გამონაბოლქვიც ცუდად აისახება. გარდა ამისა, ცუდ შედეგს იძლევა დიეტა, რაც დღეს ძალზე მოდაშია ჩვენში. ყოვლად დაუშვებელია რაციონიდან პურის ამოღება. დიეტა უნდა იყოს სწორად შერჩეული. აუცილებელია ოთხჯერადი კვება და ყოველდღიურად, ბოსტნეულისა და ხილის მიღება. ეცადეთ, მიიღოთ A, B და C ვიტამინის შემცველი საკვები. კანისათვის სასარგებლოა: მანდარინი, კოროლიოკი, ლიმონი, მწვანე ხახვი, ბულგარული წიწაკა, წითელი ვაშლი და ოხრახუში. კარგი იქნება, თუ ოხრახუშს, ფაფისმაგვარი მასის სახითაც დაიდებთ სახეზე. ეს მასა შემდეგნაირად უნდა დამზადოთ: აიღეთ ოხრახუში, გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, გახსენით ადუღებულ წყალში, დაუმატეთ ზეითუნის ზეთი; მიღებული მასა უნდა იყოს ფაფის სისქის. სახეზე წაისვით და გაიჩერეთ 20 წთ. ეს ნიღაბი სახეზე გაჩენილ ლაქებსაც აცილებს. გირჩევთ, ხილი, რომელსაც მირთმევთ, პარალელურად ნიღბის სახითაც დაიდოთ სახეზე. ძალიან კარგია გახეხილი სტაფილოც, მაგრამ ვიდრე არ გაიგებთ, თუ რა ტიპის კანი გაქვთ, მისი ნიღბის დადებას მოერიდეთ.

თუ გსურთ, დაადგინოთ, როგორი ტიპის კანი გაქვთ, ჩაიტარეთ შემდეგი პროცედურა: დაიბანეთ სახე, 2 სთ-ის შემდეგ აიღეთ ქაღალდის ხელსახოცი, დაიდეთ მთელ სახეზე და მსუბუქად დაჭირეთ ხელი. თუ 20 წთ-ის შემდეგ, ხელსახოცს არანაირი ლაქა არ დაემჩნა, ეს, თქვენ მშრალი კანი გაქვთ, ხოლო თუ ქაღალდს ლაქა გაუჩნდება – ცხიმიანი; ნორმალური კანი ხელსახოცზე შეიძლება აღიბეჭდოს არა ხშირი ცხიმიანი ლაქებით, არამედ ალაგ-ალაგ. გარდა ამისა, მშრალი კანი, როგორც წესი, იქერცლება, ის უფრო თხელი და მგრძნობიარეა, არ უყვარს წყალი და ყოველთვის ესაჭიროება მალამო, იმისათვის, რომ დაჭიმულობა შესუსტდეს. მალამოს წასმა განსაკუთრებით მშრალი კანისთვის აუცილებელია დაბანის შემდეგ. ნორმალური კანი წყალსაც იტანს და უკრემობასაც. ცხიმიან კანზე უფრო ხშირია გამონაყარი. ამგვარი ტიპის კანი უფრო სქელია. შეიძლება, ადამიანს ცხიმიანი კანი ჰქონდეს, მაგრამ მაინც იქერცლებოდეს. ამ შემთხვევაში, საჭიროა დატენიანება სპეციალური ნიღბებით. მაგალითად, აიღეთ საფუარი, დაამატეთ წყალბადის ზეჟანგი და სქელი მასა დაიდეთ 15 წთ-ით, ხოლო შემდეგ ჩამოიბანეთ. მშრალი კანისთვის – საფუარში დაამატეთ რძე, იმდენი, რომ მასა არაჟნის სისქის იყოს. თუ საფუარს რძის მაგივრად, წყალში გახსნით, მოუხდება ნორმალური ტიპის კანს.

თუ წვეულებაზე მიდიხართ, აიღეთ 1 ს/კ ცილა და დაამატეთ რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი. ეს ნიღაბი დაიდეთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი კანი ცხიმიანია. დადების წესი ასეთია: ერთ ფენას რომ დაიდებთ, ოდნავ შეშრება თუ არა, მეორე დაიდეთ; იგივე გაიმეორეთ რამდენჯერმე; ნიღაბი 20 წთ-ის განმავლობაში გაიჩერეთ, შემდეგ ჩამოიბანეთ და ვიდრე მაკიაჟს დაიდებთ, რაიმე კრემი წაისვით.

ზამთრის პირობებში, თუ გინდათ, რომ თქვენი კანი ჯანსაღად გამოიყურებოდეს, აუცილებელია – განსაკუთრებით, მშრალი და ნორმალური კანისთვის, – მაკიაჟის წასმამდე, დამატენიანებელი კრემის წასმა. საღამოს კი, როგორც არ უნდა გეზარებოდეთ, ყველაფერი უნდა მოიცილოთ წყლით ან სპეციალური, სახის გამწმენდი რძით.

სახის კანისთვის აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია მასაჟი. ამისთვის, აიღეთ პირსახოცი, დაასველეთ მლაშე წყალში, გაწურეთ; შემდეგ, ორივე ხელით გაჭიმეთ და ქვემოდან ყელზე რამდენჯერმე მიირტყით. ამგვარი მასაჟი გაიკეთეთ დღეგამოშვებით. მასაჟის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წთ-ს. ამის შემდეგ, ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

მინდა შეგახსენოთ, რომ სახეს ყელი მოსდევს, ამიტომ, ნუ დაივიწყებთ ყელს და დეკოლტეს... შეგიძლიათ, რა ნიღაბსაც სახეზე დაიდებთ, ზუსტად იგივე წაისვათ ყელსა და გულმკერდზეც.

დაბოლოს, აუცილებელია, ყველა ადამიანმა წელიწადში ერთხელ მაინც, სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტაროს, რადგანაც თითოეული ორგანოს ფუნქციონირება პირველ რიგში, სახის კანზე აისახება. ■

გაცივება ციფრებითა და ფაქტებით

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

გაცივებათა 50% გამოწვეულია რინოვირუსებით, რომლებიც ცხვირის ლორწოვან გარსზე ბინადრობენ. ამიტომაც ზოგიერთი ექიმი გვირჩევს, ქუჩიდან დაბრუნებისას მარტო ხელები კი არ დავიბანოთ, არამედ ცხვირის ღრუც გამოვირეცხოთ.

თითქმის ყველა ენაზე „გაცივება“ იწარმოება სიტყვებისაგან: „სიცივე“, „ყინვა“ — თუმცა, სინამდვილეში, ყინვა არც ისე საშიშია. გაცივებისა და ხველის გამომწვევი ის ვირუსებია, რომლებიც წლის ცივ პერიოდში უფრო შედეგიანად უტევენ ადამიანებს. ბოლო 100 წლის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ გაცივებას ხელს უწყობს დაბალი ტენიანობის შენობაში ხანგრძლივად ყოფნა, ჰაერის ცუდი ცირკულაცია, ადამიანთა თავყრილობები. დღეს კი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ გაცივების სეზონურობა დაკავშირებულია... ცხვირის გადაცივებასთან. დაბალი ტემპერატურა აქვეითებს მის დაცვისუნარიანობას. შესაძლოა, ცხვირზე თბილი კაშნეს მოხვევა კარგი პროფილაქტიკური საშუალება იყოს.

● გაცივება კოცნით არ გადადის! გაცილებით იოლია ინფექციის გავრცელება კარის სახელურიდან, თუ გაცივებულმა თქვენ სიახლოვეს დაახველა, ან დააცემინა, ანდა ცხვირის მოწმენდის შემდეგ, ხელით შეეხო სახელურს. თუ ჯანმრთელი ადამიანი დაინფიცირებულ სახელურს ხელს მოჰკიდებს, შემდეგ კი თვალს ან ცხვირს მოისრესს, ვირუსები მაშინვე გადაინაცვლებენ ახალ „მასპინძელთან“.

● ვირუსებთან საბრძოლველად კარგი იარაღია სარეცხი მანქანა. ამერიკელმა მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ იმ ოჯახებში, სადაც ყველაფერს 60 გრადუსზე მაღალ ტემპერატურაზე რეცხავენ, ინფექციები 30%-ით უფრო იშვიათად ვრცელდება, ვიდრე იმ ოჯახებში, სადაც დაშზოგავ, გრილი წყლით რეცხვას ამჯობინებენ. დაადგინეს აგრეთვე, რომ ავადობას 25%-ით ამცირებს მათეთრებლის გამოყენება.

● განვითარებულ ქვეყნებში მოზრდილთა 54% დარწმუნებულია, რომ გაცივებასა და გრიპს ანტიბიოტიკებით უნდა ვუმკურნალოთ.

ეს მცდარი, უფრო მეტიც — საშიში აზრია. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პაციენტთა 50%-ს ანტიბიოტიკები უსაფუძვლოდ ენიშნება. ვირუსების წინააღმდეგ ბრძოლაში კი, ეს პრეპარატები უძლურია.

● გაცივება და გრიპი სიმპტომებით ძალზე ჰგავს ერთმანეთს. მაგრამ გრიპის დროს, ტემპერატურის მატება უფრო ხანგრძლივი და შესამჩნევია. მკურნალობის პრინციპიც ორივე შემთხვევაში მსგავსია, მაგრამ გრიპის დროს წამლების მიღება უფრო ხანგრძლივადაა საჭირო.

● გაცივებისას, შემთხვევათა 25% ტემპერატურის მატებით ხასიათდება. საჭიროა თუ არა მისი დაწევა? ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იტანს ადამიანი სიცხეს. ტემპერატურის მატება ნიშნავს ორგანიზმის დამცავი ძალების მობილიზებას — მაშასადამე, იგი საჭიროა. თუმცა, დღეისათვის არ არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ ტემპერატურის ხელოვნურად დაწევა გამოჯანმრთელების პროცესს აფერხებს.

შევინარჩუნოთ ბრძოლის უნარი

გაცივების მკურნალობა გულისხმობს მისი სიმპტომების შემსუბუქებას. ვირუსები ადამიანის ძველთაძველი თანამგზავრებია და მათ მიერ პერიოდულად გამოწვეული ინფექციები, როგორც ჩანს, ორგანიზმს სჭირდება იმუნიტეტის საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში შესანარჩუნებლად. ასეა თუ ისე, მეცნიერებას ჯერ არ ძალუძს ამ სენთან გამკლავება — მკურნალობითა თუ მის გარეშე, გაცივება 7-14 დღის განმავლობაში წიწკნის ორგანიზმს.

ყველა ოჯახში აქვთ გაცივების საწინააღმდეგო, საყვარელი საშუალება, ძირითადად — ხალხური რეცეპტები: ზოგი თაფლიან-ლიმონიან ჩაის სვამს, ზოგი — ჟოლოსმურაბიანს; ადამიანს შვებას ჰგვრის ნებისმიერი გემრიელი ცხელი სასმელი, მაგალითად — წვნიანი. ცხვირის დახშობისას კი, საკმაოდ ეფექტურია, ცხარე სანელებლებით შეზავებული კერძები.

ფრანგი ფიზიკოსი ბლეზ ...	ან, ..., გან, დონ, ენ	ალ. ბასილაიას საესტრადო ანსამბლი	რეპტილია	წვრილი ნართი	პეტა უილსონი სერიალში „...“	ბალანი ცხენის კისერზე	საერთ... საჯ... ფედ...
ნაბიჯი ბალეტში	ფუტკრის სახლი	სახელმწიფო აზიაში	„... დაიჭირავს სიკვდილსა“	თანამედროვე სამურაი	პალმის ნაყოფი	სამზარეულო ჭურჭელი	გამის ნოტი	წყალქვეშა... კლდე

აცრა ქალებისათვის

ამერიკელი და გერმანელი მეცნიერები სულ მალე დაასრულებენ მუშაობას პროფილაქტიკურ ვაქცინაზე, რომელიც დაეხმარება ადამიანებს ერთ-ერთი უძველესი და საშიში მტრის — პაპილომის ვირუსისგან თავის დაღწევაში. პაპილომის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაუტარდება ყველა გოგონას და ეს სავალდებულო იქნება სქესობრივი ცხოვრების დაწყებამდე.

პაპილომავირუსები დედამიწაზე უკვე 22 მილიონი წელია, არსებობენ. მთელი მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება მიპყრობილია გენიტალიური პაპილომავირუსული ინფექციისაკენ. ეს იმითაა განპირობებული, რომ:

- ინფიცირებულთა რიცხვი მსოფლიოში ბოლო 10 წლის განმავლობაში 10-ჯერ გაიზარდა.
- პაპილომავირუსული ინფექციის ზოგიერთი ფორმის დიაგნოსტირება რთულია.
- საშვილოსნოს ყელის ონკოლოგიური დაავადებები 100%-ით სწორედ პაპილომავირუსითაა პროვოცირებული. ეს შემაშფოთებელი ვარაუდი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოითქვა და აბსოლუტურად დადასტურდა ბოლოდროინდელი გამოკვლევებით.

თავის დაცვა უფრო იოლია, ვიდრე მკურნალობა. მსხვერპლის ორგანიზმში მოხვედრისას, პაპილომავირუსი შეიძლება მშვიდობიანად მოქმედებდეს: შემთხვევათა 60%-ში იმუნური სისტემა დამოუკიდებლად უმკლავდება მას. მაგრამ თუ ვერ გაუმკლავდა, მაშინ ადამიანი ან ვირუსის მატარებელი ხდება, ანდა მას უვითარდება დაავადება, რომელმაც, სხვათა შორის, ყოველგვარი მკურნალობის გარეშე შეიძლება რეგრესი განიცადოს.

სადღეისოდ, პაპილომავირუსთა 100-ზე მეტი ტიპია ცნობილი. მათგან 30 აზიანებს შარდსასქესო ორგანოებს და გადაეცემა სექსუალური კონტაქტის გზით — ეს პაპილომავირუსით დასნებოვნების ერთადერთი გზაა (ვირუსი არ გადაეცემა დედიდან შვილს). მას, ვინც არ იცავს თავს შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტების დროს, ამ ინფექციით დასნებოვნების დიდი ალბათობა აქვს. სპეციალისტთა გამოთვლით, ქალების 30% ინფიცირდება აქტიური სქესობრივი ცხოვრების დაწყებიდან 3-4 თვის შემდეგ.

ვირუსის კიდევ ერთი თავისებურება ის გახლავთ, რომ მისი აღმოჩენა შეუძლებელია სისხლში, ნერწყვსა და სპერმაში. სად „ცხოვრობს" პაპილომავირუსი, მეცნიერთათვის ჯერჯერობით უცნობია.

როგორ აღმოვაჩინოთ ვირუსი. თუ გენიტალიური პაპილომავირუსული ინფექცია კლინიკური ფორმით ვლინდება, იგი „შეუიარაღებელი თვალითაც" ჩანს და იწვევს უსიამოვნო შეგრძნებებს სქესობრივი კონტაქტის დროს. გარეთა სასქესო ორგანოებზე, საშოსა და საშვილოსნოს ყელზე ვითარდება მახვილბოლოიანი ან ბრტყელი კონდილომები (კანის ეპითელიუმისა და შემაერთებელი ქსოვილის ჭარბი ზრდის პროდუქტი — წანაზარდი). თუმცა, ასეთი გამოვლინებები შედარებით იშვიათად გვხვდება. უფრო ხშირია პაპილომავირუსული ინფექციების სუბკლინიკური და ლატენტური ფორმები, რომლებიც მკვეთრად გამოხატული სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს.

ლაბორატორიული დიაგნოსტირებისთვის გამოიყენება პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდი, რომლითაც აღმოაჩენენ პაპილომავირუსის გენეტიკურ მასალას.

თუ დაავადების დიაგნოზი დადგინდა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ პაპილომავირუსით დაავადებულთა მხოლოდ 5%-ს უვითარდება საშვილოსნოს ყელის კიბო. დიდი მნიშვნელობა აქვს ვირუსის ტიპს. მე-6 და მე-11 ტიპებს დაბალი ონკოგენური რისკი აქვთ — მათი აღმოჩენისას, ქალს უბრალოდ ურჩევენ, რომ სისტემატურად იმყოფებოდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

ძალზე საშიშია მაღალი ონკოგენური რისკის მქონე ვირუსთა ჯგუფი, რომელთაგან ყველაზე მეტადაა გავრცელებული მე-16 და მე-18 ტიპები. სწორედ მათ საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული ზემოთ აღნიშნული პროფილაქტიკური ვაქცინა.

როგორ ვიმკურნალოთ. დღემდე, პაპილომავირუსული ინფექციის სამკურნალოდ იყენებდნენ ლორწოვანი გარსის მოწვის მეთოდებს — კრიოთერაპიას, ლაზერო და ელექტროკოაგულაციას. ბოლო დროს დაიწყეს წამლებით მკურნალობა, რაც ორგანიზმის იმუნური პასუხის გაძლიერებისკენაა მიმართული. თუმცა, ასეთი თერაპიის ეფექტურობა 50%-ს არ აღემატება.

ყველაზე პერსპექტიული გზაა, ვაქცინის გამოყენება. მან უკვე გაიარა კლინიკური გამოცდების 2 სტადია. ექიმები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ გზით დაიცავენ ქალებს მაღალი ონკოგენური რისკის მქონე პაპილომავირუსებით დასნებოვნებისგან და დაამარცხებენ საშვილოსნოს ყელის კიბოს, რომელიც გავრცელების მიხედვით, ონკოლოგიურ დაავადებებს შორის მეორე ადგილზეა. სავარაუდოდ, ეს შედეგი უკვე 3 წლის შემდეგ გვექნება.

მეცნიერები სამკურნალო ვაქცინაზეც მუშაობენ, მაგრამ ეს უფრო რთული ამოცანაა.

რისკის ფაქტორები. ადამიანის პაპილომავირუსის გააქტიურებას ხელს უწყობს:

- იმუნიტეტის დაქვეითება;
- სიგარეტის მოწევა;
- ჰერპეს-ვირუსის არსებობა ორგანიზმში — ეს ვირუსი თრგუნავს იმუნურ სისტემას.
- ხშირი, დაუცველი სქესობრივი კონტაქტები შემთხვევით პარტნიორებთან.
- ორალური კონტრაცეპტივების მიღება (პაპილომავირუსის გენეტიკურ მასალაში არსებობს უბანი, რომელიც ზოგიერთ ჰორმონთან ურთიერთქმედებაში შედის). თუმცა, ახალი თაობის კონტრაცეპტივებში ეს საშიშროება საკმაოდ მცირეა.

ცხოველთა სამყაროში. მეცნიერებმა ადამიანის პაპილომავირუსი აღმოაჩინეს არა მხოლოდ ადამიანის მსგავს მაიმუნებში, არამედ სპილოებში, კატებში, თუთიყუშებსა და დელფინებში. თაგვის ორგანიზმში კი, ვირუსი არ იბუდებს, რაც ლაბორატორიული კვლევისთვის მეტისმეტად არახელსაყრელია. ■

| | | |

როგორ ვებრძოლოთ მემთვრალეობის ცოდვას?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს მემთვრალეობის ცოდვასთან დაკავშირებით. გვესაუბრება იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი კონსტანტინე გიორგაძე.

შორენა მერკვილაძე

— შესაძლებელია თუ არა, რომ ადამიანმა მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით სძლიოს მემთვრალეობის ცოდვას და საბოლოოდ განიკურნოს მისგან?

— ადამიანი ვერ შეძლებს მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით მემთვრალეობის ცოდვისგან განკურნებას, რადგან როგორც აღვნიშნეთ, მემთვრალეობა არის ეშმაკისგან შეპყრობილობა — ე.ი. ლოთობის ცოდვით დაცემული ადამიანი ბოროტი ძალის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. სწორედ ბოროტი ძალა არ მისცემს ადამიანს საშუალებას, რომ დასძლიოს ეს ცოდვა (შესაძლოა, დროებით მართლაც, აღარ დალიოს სასმელი, მაგრამ ეშმაკის შთაგონებით კვლავ მიუბრუნდება). ამიტომ, თუკი მემთვრალეობის ცოდვაში მყოფ ადამიანს, მცირე ხნით გაუნათდება გონება და ამ სენისგან განკურნებას გადაწყვეტს, აუცილებლად უნდა მივიდეს ეკლესიაში და ესაუბროს ღვთისმსახურს, რომელიც მას ასწავლის ამ ცოდვისგან საბოლოოდ გათავისუფლების ყველა გზას.

— აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მემთვრალე ადამიანთა დიდი ნაწილი რეალობას მოწყვეტილია და ილუზიურ სამყაროში ცხოვრობს, ამიტომ მათთვის ძნელია, გააცნობიერონ ამ ცოდვის სიმძიმე და დამღუპველი ზემოქმედება, შესაბამისად, არც ამ ცოდვის მონანიებასა და მემთვრალეობისგან განკურნების სურვილი გაუჩნდებათ. რა გზა რჩება ამგვარ ვითარებაში მყოფ ადამიანთა შესაწევნად?

— ერთადერთი გზა ასეთ ვითარებაში მყოფ ადამიანთა კვლავ უფლის გზაზე დასაყენებლად, არის მათი ახლობლების, უპირველესად, ოჯახის წევრების მზრუნველობა. ახლობლებმა უნდა ილოცონ მათთვის გაძლიერებულად, შეუკვეთონ სპეციალური პარაკლისი ლოთობის სენით დაავადებულთათვის, გასცენ მათ სახელზე მოწყალება და აღასრულონ სხვა საეკლესიო წესები, რომლებიც დაწესებულია წმინდა ეკლესიის მიერ მემთვრალეობის ცოდვის წინააღმდეგ (ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა გააკეთონ მოძღვრის კურთხევითა და მისი რჩევა-მითითებების გათვალისწინებით). დაუშვებელია მემთვრალეთა შეგონება ჩხუბითა და კამათით, რადგან, ეს უარეს შედეგს გამოიღებს, თუმცა სამწუხაროდ, ახლობლები უმეტესად სწორედ ამგვარად ცდილობენ მათზე ზემოქმედებას...

— არსებობს ღვთისმშობლის ხატი — „შეუსმელი ბარძიმი“, რომელიც მემთვრალეობის ცოდვით დაცემულთა მკურნალად და შემწედ ითვლება. რა უნდა ვიცოდეთ ღვთისმშობლის „შეუსმელ ბარძიმად“ წოდებულ ხატთან დაკავშირებით?

— „შეუსმელ ბარძიმად“ წოდებული ხატის გამოცხადება 1878 წელს მოხდა. ტულის გუბერნიაში ერთ-ერთი გადამდგარი ჯარისკაცი, ვინმე სტეფანე, მემთვრალეობის ცოდვით იყო დაცემული. მან მთელი ქონება გაანიავა ლოთობის გამო. მემთვრალეობისგან დასნეულდა კიდეც, მაგრამ სმას მაინც აგრძელებდა. ერთ საღამოს, ძილში ეუწყა,

დიდმარხვა

უძღები შვილის კვირა

დიდმარხვისთვის მოსამზადებელი პერიოდის მეორე კვირას ეწოდება „უძღები შვილის კვირა“, რომელიც წლეულს, 27 თებერვალს დაიწყება და 6 მარტამდე გასტანს. ამ კვირის დასასრულს დაწესებულია ხორციელის კვირა (წლეულს 6 მარტს გახლავთ) — ხსენება საშინელი სამსჯავროსი.

უძღები შვილის კვირის დასაწყისში, საკვირაო წირვაზე იხსენიება იგავი შეცდომილ ძეზე. იგავი გვხვდება ლუკას „სახარებაში“. იგი შემდეგი შინაარსისაა: ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა. უმცროსმა ძემ მამას თავისი კუთვნილი ქონება სთხოვა. მამამ თხოვნა შეუსრულა. ვაჟი შორეულ ქვეყანაში წავიდა და თავისი კუთვნილი ქონებაც წაიღო. მან თავაშვებული ცხოვრება დაიწყო და მთელი ქონება გაფლანგა, ამას ისიც დაემატა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც იმყოფებოდა, შიმშილობა დაიწყო, ამიტომ ძალიან გაუჭირდა თავის რჩენა და გადაწყვიტა, კვლავ მამასთან დაბრუნებულიყო, პატიება ეთხოვა თავისი შეცდომის გამო. შინ დაბრუნებულ შეცდომილ ძეს მამა სიხარულით მიეგება, შემდეგ თავისი მონები იხმო და უბრძანა, რომ მისთვის საუკეთესო ხბო დაეკლათ და ლხინი გაემართათ. თან დასძინა: ეს ჩემი ძე მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდაო.

როდესაც უფროსი ძე მინდვრიდან დაბრუნდა, ლხინის ხმა ესმა და ლხინის მიზეზი იკითხა, როდესაც მიზეზი შეიტყო, მამას ძალიან გაუნაწყენდა და უთხრა: რამდენი წელია, გემსახურები და ჩემთვის ერთი თიკანიც არ მოგიცია, რომ მეგობრებთან მელხინა, უმცროს ძეს კი, რომელმაც მთელი თავისი ქონება უაზროდ გაფანტა, ნასუქი ხბო დაუკალიო. მამამ კი უპასუხა: შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ და ყოველივე ჩემი შენშია, მაგრამ უნდა ვხარობდეთ და ვმხიარულობდეთ, ვინაიდან შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდაო.

ქრისტიანული მოძღვრებით, შეცდომილი ძის იგავში, მამა წარმოადგენს უფალს, ხოლო შეცდომილი, უძღები ძე — მონანულ ცოდვილს. შეცდომილი ძის იგავის გახსენებით, წმინდა ეკლესია შეგვახსენებს, რომ რაოდენ ცოდვილიც არ უნდა იყოს ადამიანი, თუკი მას გულწრფელი სინანულის გრძნობა გაუჩნდება და ცოდვათა მონანიებას გადაწყვეტს, უფალი ყოველთვის სიხარულით და სიყვარულით მიიღებს და აპატიებს შეცდომებს — ისევე, როგორც შეცდომილი ძე მიიღო მისგან უარყოფილმა მშობელმა.

უძღები შვილის კვირა, ბოლო კვირიაკეა, როდესაც ხორცის ხმევა შეიძლება (ოთხშაბათის და პარასკევის გარდა). ამ კვირიაკეს დასასრულს — კვირა დღეს ეწოდება ხორციელის კვირა. კვირა საღამოს, ვახშმის შემდეგ აიკრიბება ხორცი სუფრიდან — ე.ი. ამის შემდეგ, მორწმუნენი ხორცს აღარ იხმევენ აღდგომის დღესასწაულამდე.

უძღები შვილის კვირიაკეს, შაბათს (წლეულს ეს დღე 5 მარტს უწევს) წმინდა ეკლესიის მიერ დაწესებულია მიცვალებულთა საყოველთაო მოხსენიების დღე. ■

რომ უნდა ჩასულიყო ქალაქ სერპუხოვის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში, სადაც ღვთისმშობლის ხატი — „შეუსმელი ბარძიმი“ იყო დაბრძანებული და მისთვის სავედრებელი პარაკლისი აღევლინათ. როდესაც იგი მონასტერში ჩავიდა, აღმოჩნდა, რომ ამგვარი ხატის შესახებ არავინ არაფერი უწყოდა. ბოლოს, სადიაკვნოს შესასვლელში დაბრძანებული ხატის უკანა მხარეს ნახეს წარწერა — „ბარძიმი შეუსმელი“. ხატი გამოაბრძანეს და სამადლობელი პარაკლისი აღავლინეს. უკან დაბრუნებული სტეფანე სრულიად განიკურნა მემთვრალეობისგან და შემდეგ, შეამკო ეს ხატი. „შეუსმელი ბარძიმის“ მეოხებით კიდევ მრავალი ასეთი კურნება აღესრულა. განდიდდა ხატის სახელი, მოგვიანებით კი შეიქმნა „შეუსმელი ბარძიმის“ ხატის დაუჯდომელი ლოცვაც. ამასთანავე დადგინდა, რომ ამ ხატის წინაშე მემთვრალეთა შესაწევნად აღვლენილიყო ლოცვა. ღვთისმშობლის „შეუსმელ ბარძიმად“ წოდებული ხატი, ყველა მემთვრალეობის ცოდვაში მყოფმა ადამიანმა უნდა შეიძინოს, იქონიოს შინ, ილოცოს ამ ხატის წინაშე — შესთხოვოს შემწეობა და განკურნება, რათა ამ ხატის მეოხება საკუთარ თავზე გამოსცადოს (თუკი მემთვრალეობის ცოდვით დაცემული ადამიანი ამ ყველაფერს თვითონ არ გააკეთებს, შესაძლოა, ეს გააკეთონ მისმა ახლობლებმა).

— როგორც საუბრისას აღნიშნეთ, ლოთობის შედეგად მემთვრალეთა ნაწილს ეწყება „თეთრი ცხელება“. რამდენად შესაძლებელია ამ სენისგან განკურნება ეკლესიური გზით?

— როგორც ვიცით, ეს დაავადება იწვევს კანკალს, მოჩვენებებს, ილუზიებს. ბევრმა ადამიანმა არ იცის, რომ ამ სულიერ დაავადებას იწვევს ბოროტი ძალა — ანუ ეს არის ბოროტისგან შეპყრობილობა, რომლისგან განკურნებაც მხოლოდ ეკლესიური გზითაა შესაძლებელი, რადგან წმინდა ეკლესიაში დემონთან ბრძოლის სხვადასხვა საშუალება არსებობს. ამიტომაც ვერ ხერხდება ამ დაავადებისგან მხოლოდ სამედიცინო ჩარევით ადამიანის სრული განკურნება; სამკურნალო პრეპარატებმა მხოლოდ სნეულების მძაფრი შეგრძნება შეიძლება მოხსნან.

— რომელ წმინდანს შეიძლება ვევედროთ მემთვრალეობით შეპყრობილთათვის?

— მემთვრალეობით შეპყრობილთათვის შეიძლება ვევედროთ მეხუთე საუკუნეში მოღვაწე მეუდაბნოე, წმინდა მამა მოსე შავს. ■

ქაჯთული ჰიტლერის ძიერწყევული ავტოჩი - 40-იანი წლების პოეტური პოჰეიის „ლვიძლი შვილი“



კაცი, რომელიც „მამულის სიყვარულის ცრემლებს“ ფიცულობდა, „ქვეყნის დარდს და ნაღველს ხანჯალივით გულში“ იტარებდა, 60 წლის ასაკში გადაიცვალა. მაგრამ წლების წინ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტმა ალეკო შენგელიამ დატოვა „ანდერძი“: „დავიღუპო — ნუ მიტირებ დანანებით.../ ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი./ ჩემი ქვეყნის ლამაზებო, საქართველოს მანანებო,/ დამაყარეთ გაზაფხულის ყვავილები!“ მისი ბევრი ლექსი სიმღერად იქცა. „რა სცოდნიათ ამ პატარა ნამის ღილებს“, „ვფიცავ მიწას, ვაჟას გულზე დაყრილ მიწას“ — ამ სტრიქონების წაკითხვისას, უნებლიეთ, ნაცნობ და საყვარელ მელოდიას წაიღიღინებ...

ალეკო შენგელიას გასახსენებლად, მის ძმისშვილს, კარდიოლოგიის კლინიკის ხელმძღვანელს, პროფესორ გიზო შენგელიას ვეწვიეთ.

ნუცა თოფჩიშვილი

— ბაბუაჩემი, სოფრომ შენგელია პირველი გილდიის კომერსანტი, ძალზე მდიდარი კაცი გახლდათ. მთელ დასავლეთ საქართველოში, თბილისში, რუსეთში სახლები და სავაჭროები ჰქონდა. გამორჩეულად სენაკი უყვარდა, სადაც დაფუძნდა და 6 შვილი გაზარდა. მისი ცოლი ულამაზესი ქალი — დომნა გეგელია გახლდათ... მოგვიანებით, ალეკო შენგელიამ სწორედ დედას მიუძღვნა ეს სტრიქონები: „იმ პატარა სიყვარულის ცრემლებს ვფიცავ,/ იმ თეთრ აკვანს, დედაჩემის ცისფერ თვალებს...“ განსწავლულმა და სწავლა-განათლებას დიდად დაწაფებულმა სოფრომ შენგელიამ შვილებს კარგი განათლება მიაღებინა და მათ უცხოეთში გაგზავნასაც აპირებდა სწავლის გასაგრძელებლად. მაგრამ 1921-მა წელმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ე.წ. გასაბჭოებამ ბაბუაჩემი კაპიტალის გარეშე დატოვა. 1929 წელს, „ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდისთვის“ დააპატიმრეს. 1934 წელს დაბრუნდა ციმბირიდან, მაგრამ 1937-ს ვეღარ გადაურჩა: ისევ დააპატიმრეს და მას მერე, აღარც გამოჩენილა... დარჩა ობლად, განათლების უფლებააყრილი, „შავრაზმელის“ 6 შვილი. ბიჭებმა თბილისს მოაშურეს (ზოგმა, მამისსახელშეცვლილმაც) და სწავლა აქ განაგრძეს.

— იმდროინდელი თბილისის ქუჩებში ცოცხალი გალაკტიონი, ტიციანი, პაოლო დადიოდნენ. მათთან შეხვედრამ ხომ არ განაპირობა, პოეზიის მაგიურ სამყაროში ალეკო შენგელიას გადაშვება?..

— თბილისი ძმებს კონკის ხრიგინით, კინტოს კურტუმოს ქნევით, ლამაზი ქალებითა და პოეზიის ოხშივარით დახვდა. ეს ოხშივარი ეცათ და თითო ლექსი ყველამ დაწერა. მაგრამ პოეზია და ლიტერატურა ალეკომ და ილიამ აირჩიეს; მიხეილმა — მამაჩემმა, მისი მამის სურვილის შესაბამისად, ექიმობა გადაწყვიტა; გიორგიმ პოლიტექნიკურში ჩაბარა... ძნელი დრო იყოს. გისოსების მეორე მხრიდან მომზირალი ჩეკისტები გამწარებული ფიქრობდნენ, როგორ მოევლოთ ამ „ლოთბაზარა“ „გრაალის მცველთათვის“... მამაჩემთან და ალეკოსთან ერთად ცხოვრობდა ლადო ასათიანი; მათ ოთახში ხშირად იკრიბებოდნენ: მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია, გაბრიელ ჯაბუშანური და სხვები.

— თუ შეიძლება, ალეკო შენგელიასა და ლადო ასათიანის ურთ-

ალეკო, ლუსია და ილია შენგელიები დედასთან, დომნა გეგელიასთან ერთად (1941 წლის 22 დეკემბერი)

იერთობის შესახებ უფრო ვრცლად მოგვიყვევით...

— მაშინ რომანტიზმი მოდაში იყო და ახალგაზრდა ალეკო და ლადო რომანტიკული, საკმაოდ ბოჰემური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. იმ უბანში მცხოვრებ ლამაზ ქალებთან ინტრიგებიც ჰქონდათ. ამის გამო, ლექსებიც იწერებოდა, კაფიაობაც იმართებოდა. რუსთაველზე „თავიანთი“ ხეებიც ჰქონდათ: იყო „ლადოს ხე“, „ძმები შენგელიების ხეები“... შედარებით პრაგმატული, მამაჩემი აღმოჩნდა, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის პარალელურად, ეკონომისტადაც მუშაობდა და ხელს უმართავდა მათ, მატერიალური თვალსაზრისით... ლადოსა და ალეკოს ურთიერთობა კამათშიც გადაიზრდებოდა ხოლმე. მათი ახლო ურთიერთობის დამადასტურებლად, ერთ ფაქტსაც მოვიყვან. ერთხელ, მამაჩემის *(პროფ. მიხეილ შენგელია. — ავტ.)* ხელმძღვანელობით, დასავლეთ საქართველოში ხალხური მედიცინის შემსწავლელი ექსპედიცია გაემგზავრა. როდესაც ლეჩხუმში ჩავედით, ბარდნალაში ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმში შევედით, სადაც ექსპონატებს შორის, ალეკოს ხელით დაწერილი, ლადოსადმი მიძღვნილი ლექსი აღმოვაჩინეთ.

— ბატონო გიზო, თქვენ ბრძანეთ — ალეკოს ძმამ, ილიამაც პოეზია არჩიაო. რა ბედი ეწია მას?

— ილია 20-იან წლებში დასუსხული, პოეტური თაობის შვილია. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი ლექსი დაწერა ილიამ, რამდენი დახია, რამდენი ბუხარში შეუძახა... დარჩა მხოლოდ მისი ხელით ლამაზად გადაწერილი კრებული სათაურით — „მე მიყვარს“. აქედან იწყება ილია შენგელია-პოეტი. მის პირად არქივში გალაკტიონის, ტერენტი გრანელის, ალექსანდრე აბაშელის და თითქმის ყველა „ცისფერყანწელის“ სათუთად გადაწერილი ლექსებიცაა. პოეზიასთან ძალიან მწყრალად უნდა ყოფილიყავი, რომ იმ დროს ლექსი დაგეწერა და ამ, სულით ხორცამდე პოეტების არაფერი გცხებოდა... ბოლშევიკურ რეჟიმსა და იდეოლოგიასთან შეურიგებელი ილია, წითელმა არმიამ უფრო გააღიზიანა. 1942 წელი ტრაგიკული აღმოჩნდა მისთვის — ტყვედ ჩავარდა. დაიწყო საკონცენტრაციო ბანაკები, „ქართული ლეგიონი“ *(გერმანელების მიერ საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად ჩამოყალიბებული. — ავტ.)*... როდესაც ბერლინში თავისუფალ ტყვეობაში იმყოფებოდა, იქ გამოცემულ ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია — „სიმბოლიზმი საქართველოში“. სტატია დაწერა ზეპირად, ყოველგვარი ლიტერატურის გარეშე; მასში განხილული ჰქონდა გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ტერენტი გრანელისა და „ცისფერყანწელების“ შემოქმედება. იმდენად სხარტად, ლამაზად და ლაკონიურად იყო დაწერილი, რომ მას, გერმანიაში მყოფი გრიგოლ რობაქიძე გამოეხმაურა... ომის დამთავრების შემდეგ, ტყვეები საბჭოთა მხარეს გადაეცა და ილია და მისი ძმა გიორგი, რომელთანაც ტყვეობის წლები ერთად გაატარა, ციმბირში გადაასახლეს. დაკითხვისას გამომძიებელმა უთხრა — ქართველმა კაცმა სტალინს როგორ უღალატეო?! — რაზეც ილიამ მოურიდებლად მიუგო — მე კი არა, სტალინმა უღალატა საქართველოსო!.. ამის გამო, პირდაპირ ურანის საბადოზე გაუშვეს, სადაც ადამიანი მხოლოდ 1-2 თვე თუ ძლებდა...

დედასა და ძმასთან — მიხეილთან ერთად

— რეპრესირებული მამის, გადასახლებული ძმების პატრონს, თავად ალეკო შენგელიას არ შეხებია რეპრესიული მანქანა?

— ალეკო ალბათ, იმან გადაარჩინა, რომ მამის სახელი გამოცვლილი ჰქონდა — პეტრეს ძე იყო. ბუნებითა და მთელი არსებით დისიდენტი, განწყობას აშკარად არ გამოხატავდა. მას საკმაოდ კონიუნქტურული ლექსებიც ჰქონდა, გარკვეული ხარკიც მოიხადა კომუნისტების წინაშე და არც მალავდა ამას. მისი ყველაზე დიდი ნიჭი, ლირიკულ პოეზიაში გამოვლინდა.

— „ჩემი ქვეყნის ლამაზები, საქართველოს მანანებოს“ ავტორი



მწერალ-აკადემიკოსი დომნა შენგელაია ალეკო შენგელიასთან ერთად

შეუძლებელია, მშვენიერი სქესის წარმომადგენლების თაყვანისმცემელი არ ყოფილიყო...

— რასაკვირველია, მოყვარული იყო და ლამაზ ქალს უყურადღებოდ არც ტოვებდა. ეს ხშირად, მის ლექსებშიც მჟღავნდებოდა. ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. მიუხედავად ენაბრგვინლობისა, საკმაოდ მახვილი სიტყვა ჰქონდა და მისი ფრაზები იუმორით აღსავსე იყო. ერთხელ სუფრასთან ჩემს მეგობრებს მის ფრაზებს ვახსენებდი და მეც ვბორძიკობდი ლაპარაკისას — ფაქტობრივად, დავცინოდი. ალეკომ თავს არ აკადრა, რომ შეემჩნია და ეთქვა — მე დამცინისო; მისმინა, მისმინა და ბოლოს მითხრა — თუ ატყობ, ბოლო დროს ენას რომ უკიდებო?.. ამასობაში, სუფრას ახალგაზრდა ქალბატონები შემოესწრნენ. ალეკო უკვე ავადმყოფობდა და მათ დანახვაზე წამოიძახა — აი, ასეთი სილამაზე თუ მოგარჩენს კაცსო!.. ქალბატონების სადღეგრძელო კი ასე დალია — თქვენს სამკურნალო თვისებებს გაუმარჯოსო!..

— ალეკო შენგელიას ლექსებზე

დაწერილი სიმღერები ჰიტებად იქცა. თავად თუ მოესწრო ამას?

— თავად მხოლოდ ერთს მოესწრო: „ჩემი ლამაზი ქვეყანა“ ძალზე პოპულარული იყო... როდესაც ალეკო რესტორანში შევიდოდა და მის ლექსზე აჟღერებული სიმღერა შემოესმებოდა, ძალიან სიამოვნებდა. პოეტისთვის ამაზე მეტი პატივისცემა რა უნდა იყოს?! როდესაც გიორგი ცაბაძემ დაწერა სიმღერა — „საქართველოს მანანებო“ — და მას ყველა მღეროდა, ალეკო ცოცხალი აღარ იყო. ჩვენ ბატონ გოგის დიდი მადლიერების გრძნობის გამოსახატავად დავურეკეთ, მან კი გვიპასუხა — ეს ლექსი იმდენად მომეწონა, რომ მუსიკა ერთი ამოსუნთქვით დავწერეო... ასეთი ცნობილი კომპოზიტორისგან ეს დიდი შეფასება იყო. მართალია, ეს სიმღერა ალეკოს გარდაცვალების შემდეგ დაიწერა და ის ამას ვერ მოესწრო, მაგრამ მისი ახლობლები და ძმისშვილები ხომ ვადევნებდით თვალყურს ამ პროცესს!.. ერთხელ, ტელეეთერში ამ სიმღერის გადაცემისას, „საქართველოს მანანებოს“ ტექსტის ავტორად სხვა პოეტი დაასახელეს, რამაც ძალზე გაგვაღიზიანა. ტელევიზიის შესაბამის რედაქციაში დავრეკეთ და ვთხოვეთ, შეცდომა გაესწორებინათ. ბოდიში მოგვიხადეს, დაგვპირდნენ, გამოვასწორებთო, მაგრამ მგონი, ეს არც უფიქრიათ. ალბათ, ასეთი ბედი თან დაჰყვება ზოგიერთ პოეტს. ზოგი, ნაკლები ღირებულების პოეზიით უფრო პოპულარული ხდება, ზოგი კი, ლამაზი პოეზიის ავტორი — ნაკლებად პოპულარული. მსგავსი მაგალითი ბევრი ვიცით.

— სიცოცხლეში მისდამი ყურადღებას თუ იჩენდა ხელისუფლება?

— ყურადღებით დიდად განებივრებული არ ყოფილა. თუმცა, სიცოცხლის ბოლოს, საუდის (საავტორო უფლებების დაცვის სააგენტო) დირექტორად დანიშნეს. წლების მანძილზე, არც ერთ ორგანოსა თუ დაწესებულებაში არ მუშაობდა, თავისუფალი პოეტი იყო და ბოჰემურად ცხოვრობდა. ალბათ, ეს სტიმულის მიმცემიც იყო მისი შემოქმედებისთვის, მაგრამ მაინც გულდაწყვეტილი მეჩვენებოდა... თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ მწერალთა არც ერთ თავყრილობას მის გარეშე არ ჩაუვლია. განზე ვერ ტოვებდნენ.

— როგორც ვიცით, ცოტა ხნის წინ, ალეკო შენგელიას დაბადებიდან 90 წელი შესრულდა. ხელისუფლებიდან ვინ გაიხსენა ეს თარიღი?

— შარშან სენაკში, სოფრომ შენგელიას სახლში, სადაც ალეკო შენგელია და მისი ძმები დაიბადნენ, ადგილობრივი ხელმძღვანელობის, მწერალთა კავშირისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სენაკის თეატრში გამართეს ალეკო და ილია შენგელიების ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი თეატრალიზებული საღამო, რომელზეც ადგილობრივმა და თბილისიდან ჩასულმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. სახლზე კი, გაკეთდა მემორიალური დაფა — სოფრომ, ალეკო, ილია, მიხეილ შენგელიების სახელებით...

ჯუნგლი- ჯანმრთელი და გონიერი ბავშვი!

მინერალებით

ცხოველის ფორმის გემრიელი და სახალისო საღეჭი ტაბლეტები თქვენი პატარებისთვის

- შეიცავს ვიტამინებსა და მინერალებს ეფექტური კომბინაციით
- გამოიყენება ჰიპო- და ავიტამინოზების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის
- ასტიმულირებს გონებრივ და ფიზიკურ აქტივობას
- აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას
- ამაღლებს იმუნიტეტს
- შეიცავს იოდის დღიურ ნორმას, რაც ხელს უწყობს იოდის დეფიციტის თავიდან აცილებას

ჰელს ლაინი®

სამკურნალო დოზები და პრეპარატის მიღების ხანგრძლივობა რეკომენდებულია დადგინდეს ექიმის მიერ

ჯუნგლი 30 და 100 ტაბლეტი ფლაკონში
რეგისტრაციის № R0003298

ჯუნგლი მინერალებით 30 და 60 ტაბლეტი ფლაკონში
რეგისტრაციის № R0003303

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

SAGMEL საგმელი მწარმოებელი: საგმელი, ნიკაგო, ა.შ.შ

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი ალმაცნობლის გამზ. 148/1

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა ჰქვია ნოტების დასადგმელს გერმანულად?



ა) ტრიბუნა;
ბ) კომოდი;
გ) პულტი.

2. რომელი გაზეთი გამოდის ალასკაზე?



ა) „ტუნდრა თაიმსი“;
ბ) „ჩუქჩინსკიე ნოვოსტი“;
გ) „დემოკრატია“.

3. რითი ჭედავენ დოლის ცხენებს?



ა) ალუმინის ნალებით;
ბ) ნიკელის ნალებით;
გ) თუჯის ნალებით.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მამთვალყურეობა ძმისა ცრაკვის შემდეგ

„ნაკიანი წელი დასრულდა და ისევ ვინამე, რომ ყვლავ ვპოვებ ბედნიერებას!"

გაზეთები ჯერ კიდევ გასული წლის თებერვალში იუწყებოდნენ იმის შესახებ, რომ ჯულია ორმონდმა საიუბილეოდ (ორმონდი 1965 წლის 4 იანვარს დაიბადა) საკუთარ თავს შესანიშნავი საჩუქარი მოუმზადა — ის შვილს ელოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჯულიას მოლოდინი არ გამართლდა. 2004 წლის ივნისის პრესაში არანაირი ცნობა ამის შესახებ არ გამოჩენილა. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ სერიოზული მიზეზების გამო ბავშვი მკვრადშობილი დაიბადა...

ჯულიამ ეს ტრაგედია მძიმედ გადაიტანა, მაგრამ დეპრესიას ვაჟკაცურად გაუმკლავდა. საბედნიეროდ, ნაკიანი წელიც დასრულდა და ახლა ჯულია ორმონდი მომავალს იმედის თვალით შეჰყურებს.

ჯულია მრავალშვილიანი ოჯახის მეორე ბავშვი იყო. მისი მამა ჯონ ორმონდი დიზაინერია. მან ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა და 30 წლის ასაკში, უკვე მილიონერი იყო. მომავალი ვარსკვლავის უღრუბლო და უზრუნველი ბავშვობა მაშინ დასრულდა, როდესაც მშობლების განქორწინების შემდეგ, ჯულია, მისი უფროსი და და დედა მშობლიურ ეპსონში მდებარე მდიდრულ სახლს და უმცროს ძმებს გამოემშვიდობნენ (სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამი ვაჟიშვილი საცხოვრებლად მამასთან დარჩა) და ლონდონის ერთ-ერთ მოკრძალებულ ბინაში დასახლდნენ. მამა ქალიშვილებს ფულს უგზავნიდა, დღესასწაულებზე თავისთან ეპატიჟებოდა, მაგრამ ჯულია თავს დაჩაგრულად და უფლებაშელახულად გრძნობდა და შემდეგ, ამ გრძნობას აღარასოდეს მიუტოვებია. რატომ უნდა სარგებლობდნენ მამაკაცები განსაკუთრებული პრივილეგიებით?! ალბათ ამგვარი ფიქრების გამო იყო, რომ ჯულიამ დედას არც მეტი, არც ნაკლები, კრენლის კერძო სკოლაში შეყვანა მოსთხოვა, სადაც ძირითადად, სამხედრო პირებს ამზადებდნენ და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ფიზიკა-მათემატიკურ დისციპლინებსა და სპორტს ეთმობოდა. დედა — მოკრძალებული ლაბორანტი — დიდხანს ცდილობდა შვილის დარწმუნებას, რომ მამაკაცური გატაცება თავიდან ამოეგდო, მაგრამ საბოლოოდ მაინც დანებდა, რადგან მიხვდა, რომ გოგონასთან დავას აზრი არ ჰქონდა.

სულ მალე, დედა გაოცებული დარჩა, როდესაც აღმოაჩინა, რომ ჯულია მხოლოდ კლასის საუკეთესო მოსწავლე კი არ იყო, ის ჰოკეისაც მშვენივრად თამაშობდა და მიზანშიც შესანიშნავად ისროდა...

მისი თეატრალური დებიუტი სასკოლო სპექტაკლში — „ბიჭები და თოჯინები" შედგა, სადაც ჯულია ბიჭის როლს თამაშობდა, რადგან თოჯინას მსგავსი გოგონების როლი არაფრად ეპიტნავებოდა. მისი უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ მამაკაცთა სქესის წარმომადგენელ თანატოლებს არაფერში ჩამორჩენოდა, მაგრამ სკოლის დამთავრებამდე სულ ცოტა ხნით ადრე, აღმოაჩინა, რომ ოფიცრის ესოდენ მომხიბლავი სამხრეები აღარ იზიდავდა და მისი ჭეშმარიტი გატაცება დიზაინი და მსახიობობა იყო. თავდაპირველად გადაწყვიტა, მამის კვალს გაჰყოლოდა და სამხატვრო კოლეჯში შევიდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ კოლეჯი მიატოვა და მტკიცედ გადაწყვიტა, ცხოვრება სცენისათვის მიეძღვნა. სრულიად მოულოდნელად, გოგონას არჩევანს ჯონი ორმონდმაც მხარი დაუჭირა და მას ლონდონის დრამატული ხელოვნების აკადემიაში სწავლის საფასურის გადახდაც კი შესთავაზა, მაგრამ დამოუკიდებლობისადმი სწრაფვა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ჯულიამ მამის დახმარებაზე უარი განაცხადა.

საღამოობით, ინგლისელი მილიონრის თეთრწინსაფრიანი ქალიშვილი, ჰიტროუს აეროპორტის კაფეში ლანგრებს დაატარებდა, პატარა მაღაზიის დახლთან სიგარეტსა და შოკოლადს ყიდდა და სწავლისათვის საჭირო ფულს ასე შოულობდა. პირველ წარმატებასაც სწორედ სამსახ-

„ციმბირელი დალაქი"
ნიკიტა მიხალკოვი დიდხანს ფიქრობდა — კიმ ბესინჯერს, ჯოდი ფოსტერს, მერონ სთოუნსა და ჯულია ორმონდს შორის — რომლისთვის მიენდო ჯეინის როლი

„საბრინა"
„როდესაც რიმეიკის გადაღებას ვიწყებდით, ჯერ კიდევ ვერ ვხვდებოდი, თუ რამხელა კვალი დატოვა ოდრი ჰეპბერნმა ამერიკელთა გულებში სწორედ ამ როლით. პრემიერის შემდეგ ხმირად მსმენია: — თქვენი ახალი ვერსიის ნახვაც კი არ მინდოდა... მაგრამ მომეწონა"

ურში მიაღწია: მას შემდეგ, რაც ჯულია ორმონდი ხაჭოს რეკლამაში გადაიღეს, ის უბრალო ინგლისელთათვის ნაცნობი სახე გახდა.

იყო თუ არა რორი ედვარდსი ჯულიას პირველი სიყვარული? ეს მხოლოდ ერთეულებმა თუ იციან. შესაძლოა, მათაც კი არაფერი იციან, რადგან, პირადი ცხოვრების დეტალების გახმაურებისადმი მისი სიძულვილი საქვეყნოდაა ცნობილი. მაგრამ ფაქტია, რომ ჯულია ცოლად რორი ედვარდსს გაჰყვა, რომელთან ერთადაც, აკადემიის დამთავრების შემდგომ, სცენაზე პირველი ნაბიჯები გადადგა. მათმა ქორწინებამ 5 წელიწადს გასტანა, შემდეგ კი ჟურნალისტების გულის გასახეთქად ერთმანეთს სკანდალების გარეშე დაშორდნენ. პრესას ხელჩასაჭიდებლად მხოლოდ რორის ერთი აგდებულად წამოსროლილი განცხადება დარჩა, რომელიც ედვარდსმა ჯულიასათვის ლონდონის დრამატულ კრიტიკოსთა პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით გააკეთა.

ჯულია ამ პრემიას ისე ელოლიავებოდა, თითქოს „ოსკარი" მიეღოსო, — განაცხადა რორიმ და ჟურნალისტებმაც დაასკვნეს, მათი ქორწინება სამსახიობო ასპარეზზე მეტოქეობამ დაანგრიაო.

მანამდე კი ცოლ-ქმარმა თეატრის გარდა, რამდენიმე ფილმშიც ერთად ითამაშა. სერიალში „ახალგაზრდა ეკატერინე", სადაც ჯულია ორმონდმა რუსი იმპერატრიცას შესანიშნავი სახე შექმნა, ედვარდსმა ეკატერინეს ფავორიტის, გრაფი ორლოვის ერთ-ერთი ძმა განასახიერა.

როდესაც განქორწინებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, რეპორტიორი ჯულია ორმონდს მისი შესანიშნავი განწყობილებისა და ხალისიანი გამოხედვის შესახებ კითხვებს უსვამდა, იმედი ჰქონდა, რომ პასუხად მსახიობის ახალი რომანის შესახებ საინტერესო ინფორმაციას მოიპოვებდა, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, სრულიად მოულოდნელი და განსხვავებული პასუხი მიიღო: „ჩემთვის ჯანმრთელ საკვებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მიირთვით ხილი, ბოსტნეული, დალიეთ ბევრი წყალი, კარგად გამოიძინეთ, აკრძალეთ ნიკოტინი, ალკოჰოლი, ყავა და სასურველი ფორმის მიღწევა იოლი საქმე იქნება, ამაში სიცილი და მედიტაციაც დაგეხმარებათ".

„ციმბირელი დალაქის" პრემიერის შემდეგ, ნიკიტა მიხალკოვთან და ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად

მსახიობი დიდი ხნის მანძილზე ირწმუნებოდა, რომ მის ცხოვრებაში უმთავრესი ადგილი სამუშაოს უკავია. ჯულია ორმონდი პროფესიულ რისკს არასოდეს გაურბის და ამით საკუთარ შესაძლებლობათა განსაზღვრას ცდილობს. როდესაც ჯულია სიდნეი პოლაკს „საბრინას" რიმეიკში მონაწილეობაზე დათანხმდა, ზოგიერთმა კრიტიკოსმა ფრიად სკეპტიკური პროგნოზი იწინასწარმეტყველა, რადგან ეს როლი თავის დროზე თავად გენიალურმა ოდრი ჰეპბერნმა განასახიერა. მიუხედავად ამისა, ჯულია სახიფათო ავანტიურაში მაინც გადაეშვა. ფილმის წარმატების შემდგომ, იგივე კრიტიკოსები ორმონდის წარმატების საიდუმლოებაში გარკვევას შეეცადნენ და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მისი წარმატების გასაღები, როლის განსხვავებული ინტერპრეტაციის უნარსა და უნიკალურ შრომისმოყვარეობაში უნდა ვეძიოთ.

როდესაც ჯულია ორმონდი ნიკიტა მიხალკოვის ფილმში — „ციმბირელი დალაქი" ჯეინის როლის სათამაშოდ ემზადებოდა, ადგილობრივი ამერიკული აქცენტის ასათვისებლად გმირის სამშობლოში გაემგზავრა და სურათში სწორედ ისე ალაპარაკდა, როგორც ამას რეჟისორი მოითხოვდა.

ჯულიას უდიდესი შრომისმოყვარეობისა და დაძაბული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, უცნაური იქნებოდა, რომ ლამაზი, ნიჭიერი მსახიობის გული სამუდამოდ დაღუმებულიყო.

ცოტა ხნის წინ, ჯულია მეორედ გათხოვდა. მისი რჩეულის, ამერიკელი ჯონ რუბინის შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რაც თავად ჯულიამ განუცხადა ჟურნალისტებს: — „ჯონი მამაჩემის მსგავსად დიზაინერია, მაგრამ მამისგან განსხვავებით, ის კომპიუტერული დიზაინის სფეროში მუშაობს". პირად ცხოვრებაზე უფრო მეტის თქმა მსახიობმა, არც ამჯერად ისურვა.

როდესაც გასული წლის თებერვალში ცნობილი გახდა, რომ ჯულია ბავშვის გაჩენას ელოდა, მსახიობმა ჟურნალისათვის — People გამონაკლისი დაუშვა და გულახდილად აღიარა: — ორსულობა უდიდეს ნეტარებას მანიჭებს, ამაზე მუდამ ვოცნებობდიო, მაგრამ სამწუხაროდ, ბედისწერამ ჯულიას უმძიმესი განსაცდელი მოუმზადა...

ერთ-ერთ ადრეულ ინტერვიუში ჯულია ორმონდმა განაცხადა: „დღესდღეობით ქალებს ძალიან უჭირთ, მაგრამ ჩემს თაობას ძალზე გაუმართლა, ჩვენ შვილის გაჩენა 30-40 წლის ასაკშიც შეგვიძლია. ეს ის ასაკია, როდესაც წარმატებას უკვე მივაღწიეთ და ახლა შეგვიძლია, რომ მთელი ყურადღება ოჯახს დავუთმოთ".

იმედია, ჯულია ორმონდს ეყოფა ძალა, რომ გამბედაობა მოიკრიბოს და კიდევ ერთხელ გარისკოს... ■

მოლოდინი „ორსულობა უდიდეს ნეტარებას მანიჭებს"...

ჯონ რუბინთან ერთად — ამ ლამაზ წყვილს ყველაფერი ჯერ კიდევ წინ აქვს...

ანტონიო მანდერასი „ზოროს ლეგენდით“ კმაყოფილია

ანტონიო ბანდერასი მოხარულია, რომ სურათში „ზოროს ლეგენდა“ მან უფრო მოწიფული გმირის სახე შექმნა, ვიდრე ფილმში – „ზოროს ნიღაბი“. მისი აზრით, წინა პერსონაჟი „ძალზე ბავშვური“ იყო. ანტონიოს მიაჩნია – ფილმის გაგრძელების მეორე დადებითი მხარე ის არის, რომ კეტრინ ზეტა-ჯონსთან ერთად გაცილებით მეტ დროს ატარებს. „ახალ სურათში, რა თქმა უნდა, მრავალი თავგადასავალი იქნება, ზოროს მომხიბვლელობაც ხომ სწორედ ამაშია. მაგრამ ამ ფილმში ასახული გრძნობები უფროსებისთვის უფრო გასაგებია, ვიდრე ბავშვებისათვის“, – ამბობს მსახიობი.

სურათის რეჟისორის მარტინ კემპბელის აზრით, ამჯერად კეტრინ ზეტა-ჯონსს გაცილებით საინტერესო როლი აქვს, ვიდრე პირველ ფილმში ჰქონდა. „ზოროს ლეგენდაში“ ზეტა-ჯონსის გმირს თავად ზოროზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ■

ჰოლი ბერი ნეფერტიტის როლში

ჰოლი ბერი ისევ აპირებს მარკ ფოსტერთან თანამშრომლობას. ეს ის რეჟისორია, რომლის ფილმში – „მონსტრების მეჯლისი“ მონაწილეობამ მსახიობს „ოსკარი“ მოუტანა.

კინემატოგრაფისტთა ყურადღება ამჯერად, ფარაონ ეხნატონის მეუღლემ, ეგვიპტის დედოფალმა ნეფერტიტიმ მიიპყრო. ჰოლი ბერი ამ ფილმში მონაწილეობას და სურათის პროდიუსერობას აპირებს. „ამჟამად მარკი დაკავებულია, ამიტომ შესაძლოა, ეს ჩემი მომდევნო სურათი არ



აღმოჩნდეს, მაგრამ გადაღებებს 2006 წლის დასაწყისში აუცილებლად დავიწყებთ. ეს იდეა ორივეს ძალიან მოგვწონს“, – ამბობს მსახიობი. შეგახსენებთ, რომ მარკ ფოსტერი „ოსკარზე“ წარდგენილი კიდევ ერთი ფილმის – „ჯადოსნური ქვეყანა“ – რეჟისორია. მაყურებელი მალე იხილავს მის მომდევნო სურათს – „დარჩი“, რომელშიც მთავარ როლს იუენ მაკგრეგორი განასახიერებს. ■

ჯორჯ კლუნის მაჭანკლის როლი არ მოსწონს

ჯორჯ კლუნი ფრიად უკმაყოფილოა მაჭანკლის იარლიყით, რომელიც მას ჟურნალისტებმა მიაწებეს: ბრედ პიტისა და ჯენიფერ ენისტონის განშორების შემდგომ, პრესაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ კლუნი არა მარტო ემოციური ტრავმის მოშუშებაში ეხმარება მეგობარს, არამედ ახალგაზრდა მარტოხელა ქალებსაც აცნობს, რომლებიც მზად არიან, პოპულარულ მსახიობს ნაღველი გაუქარვონ. „დედაჩემი ერთადერთი ქალია, რომელიც ბრედს გავაცანი!“ – განაცხადა კლუნიმ. შემდეგ კი, როდესაც მიხვდა, თუ რა აზრებს აღძრავდა ეს ფრაზა ჟურნალისტთა გონებაში, დასძინა: – დედაჩემის სახელის ხსენებისას ფრთხილად იყავითო...

მაგრამ ჟურნალისტებს შიშის საფუძველი ნამდვილად არა აქვთ: ყველამ იცის, რომ ჯორჯ კლუნი უწყინარი ადამიანია. მისი მოთმინებიდან გამოყვანა ანიმაციური ფილმის – „ამერიკის რაზმი: მსოფლიო პოლიცია“ – ავტორებმა ტრეი პარკერმა და მეტ სთოუნმაც კი ვერ მოახერხეს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ჯორჯ კლუნი, მრავალი მისი კოლეგის მსგავსად, საკმაოდ ბრიყვულად გამოიყურება.

„გულდაწყვეტილიც კი დავრჩებოდი, ამ მულტფილმში რომ არ მოვხვედრილიყავი, – თქვა კლუნიმ ერთ-ერთ ინტერვიუში. – ეს ბიჭები ჩემი მეგობრები არიან. პიროვნების რაობა იმაშიც გამოიხატება, რომ ამგვარი ხუმრობის ობიექტად იქცე,“ – დასძინა მსახიობმა. ■

კრისტინა აგილერა თსოვდემა

მომღერალი კრისტინა აგილერა თავის ბოიფრენდ ჯორდან ბრატმანზე დაინიშნა. ვარსკვლავი გავლენიან შოუბიზნესმენთან შეუღლებას დათანხმდა, მაგრამ ქორწილის თარიღი ჯერაც უცნობია. მომღერლის აგენტის მეგან პროფეტის განცხადებით, იუველირ სტივენ უებსტერის ნახელავი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ბრატმანმა მომავალ მეუღლეს 11 თებერვალს აჩუქა. შეგახსენებთ, რომ აგილერას სადებიუტო ჰიტმა – Genie in a Bottle პირველად 1999 წელს გაიჟღერა, 2000 წელს კი მომღერალმა „გრემი“ მიიღო, „საუკეთესო ახალბედა მსახიობის“ ნომინაციაში. კრისტინა აგილერას უკანასკნელი სინგლი – Car Wash, რომელიც მან, მისი ელიოტთან ერთად ჩაწერა, შარშან ნოემბერში გამოვიდა. ■

ჟერარ დეპარდიე თილმში შვილთან ერთად ითამაშებს

საფრანგეთში მორის დრიუონის რომანის – „დაწყევლილი მეფეების“ ახალი სატელევიზიო ეპოპეის გადაღებები დასრულდა. რეჟისორ ჟოზე დაიანის სურათი ხუთი 90-წუთიანი სერიისაგან შედგება. სერიალის პრემიერა საფრანგეთის ტელევიზიით შემოდგომაზე შედგება. ფილმში ჟერარ დეპარდიე და მისი შვილები – გიომი და ჟიული მონაწილეობენ. ფილმის უკანასკნელი ეპიზოდის გადაღებისას, პარიზის ახლოს მდებარე, ცნობილ ციხესიმაგრე პიერფონს თავად საფრანგეთის კულტურის მინისტრი რენო დონედიე დე ვაბრი ეწვია, რომელმაც განაცხადა, რომ „ეროვნული საგანძურის“ მხარდასაჭერად, საფრანგეთის ისტორიულ ადგილებში, რაც შეიძლება მეტი ფილმი უნდა გადაიღონ.

აღსანიშნავია, რომ „დაწყევლილი მეფეების“ ძირითადი ნაწილის გადაღებები რუმინეთში მიმდინარეობდა. ■

მეგ რაიანი ახალი რომანტიკული კომედიის მოლოდინშია

მეგ რაიანი დიდი ხნის ნანატრ, რომანტიკულ კომედიაში – „მთელი ცხოვრების როლი“ – ითამაშებს. ფილმი ბრიტანელ რეჟისორსა და ჰოლივუდის მსახიობ ქალზე მოგვითხრობს, რომელთა გზები ბროდვეიზე გადაიკვეთა. ამ სურათზე მუშაობა რამდენიმე წლის წინ კომპანია „სონიმ“ დაიწყო, მაგრამ შემდეგ, ფილმი „დისნეის“ გადაულოცა და ელიოტ ბარნეტის სცენარიც შეიცვალა. სიუჟეტის ახალი ვერსია ასეთია: ბრიტანელი რეჟისორი შექსპირის პიესის დასადგმელად ბროდვეის მიაშურებს, მაგრამ ინვესტორები აიძულებენ, რომ მთავარ როლზე კინომსახიობი ქალი მიიწვიოს. სწორედ მას განასახიერებს მეგ რაიანი. მისი პარტნიორის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

მაყურებელი მეგ რაიანს იცნობს რომანტიკული სურათებით: „კეიტი და ლეო“, „თქვენთვის წერილია“, „უძინარნი სიეტლში“, „ფრანგული კოცნა“ და სხვა. ■

მისი ელიოტმა დანიის დედოფალი განარისხა

ცნობილმა რეპერმა ქალმა, მისი ელიოტმა დანიის დედოფლის, მარგარეტ მეორის გულისწყრომა დაიმსახურა. ის ლოგოტიპი, რომელიც მისი საკუთარი ტანსაცმლის ხაზისათვის – Respect ME – შექმნა, ძალზე საეჭვოდ წააგავს მისი უდიდებულესობის მონოგრამას. ელიოტის სპორტული ტანსაცმლის ხაზი ცნობილ ლეიბლ Adidas-თან ერთად შეიქმნა. „ადიდასის“ პიარმენეჯერის ენ პატცის განცხადებით, კომპანია მსგავსებას აღიარებს, მაგრამ ამაში შეშფოთების საფუძველს ვერ ხედავს, რადგან მისი ელიოტს ხშირად „ჰიპ-ჰოპის დედოფალს“ უწოდებენ, ამიტომ ლოგოტიპზე გვირგვინის განთავსება სავსებით გამართლებულია: ლოგოტიპი, აბრევიატურაზე – ME – დაკიდებულ გვირგვინს წარმოადგენს. თავის მხრივ, მარგარეტ II კატეგორიულად მოითხოვს ლოგოტიპის გამოყენების აღკვეთას. „ადიდასმა“ პრობლემა სანახევროდ გადაჭრა: ფირმამ მისი ელიოტის ტანსაცმლის დანიაში გაყიდვა შეაჩერა. ■

სემუელ ჯექსონის რეკორდი

ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა სემუელ ჯექსონმა რეკორდი დაამყარა – მისი მონაწილეობით გადაღებული ფილმების ჩვენების შემოსავალმა მსოფლიო მასშტაბით, 6 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამერიკულ კინემატოგრაფში ამგვარი შედეგისთვის ჯერ არავის მიუღწევია. სემუელ ჯექსონი ფილმებში 70-იანი წლებიდან მონაწილეობდა, მაგრამ სუპერვარსკვლავად მხოლოდ 90-იან წლებში იქცა. სარეკორდო თანხა სწორედ ბოლო ათწლეულში გადაღებულმა 60-მა ფილმმა მოაგროვა, საერთოდ კი, მსახიობმა 80-ზე მეტ სურათში ითამაშა. ჩვენი მაყურებლისათვის სემუელ ჯექსონი ცნობილია ფილმებით: „ჯუნგლების ციებ-ცხელება“ , „კრიმინალური საკითხავი“, „მკვლელობის ჟამი“; მონაწილეობდა ჯორჯ ლუკასის „ვარსკვლავურ ომებში“. მსახიობის ჰონორარი, თითოეულ ფილმში, 8-10 მლნ დოლარს შეადგენს. ჯექსონი ცოლთან, ტანია რიჩარდსონთან და ქალიშვილ ზოიასთან ერთად ენჩინოში (კალიფორნია) ცხოვრობს. ■

ელტონ ჯონმა თვითმფრინავების რეკლამირებას მოჰკიდა ხელი

ელტონ ჯონის სახე ერთ-ერთი ამერიკული ავიაკომპანიის ოცამდე თვითმფრინავს დაამშვენებს. მომღერლის პორტრეტი „ბოინგ 717“-ის ბორტზე კომპანია AirTran-მა განათავსა, რომელიც ამგვარად, მგზავრებისათვის თანამგზავრული რადიოს მოსმენის შესაძლებლობას უწევს რეკლამირებას.

გაწეული შრომის საზღაურად, ელტონ ჯონმა თვითმფრინავის ორმეტრიანი მოდელი და 50-ათასდოლარიანი ჩეკი მიიღო, რომელიც საქველმოქმედო ფონდს – Elton John Aids (შიდსთან ბრძოლის ფონდს) – გადასცა. როგორც ამბობენ, პირადად ელტონ ჯონმაც საკმაოდ სოლიდური თანხა მიიღო. თვითმხილველთა თქმით, თვითმფრინავის ბორტზე დახატული, ელტონის თავის ზომა „თავისუფლების ქანდაკების“ თავის ზომას უახლოვდება. ■

ლუბა ელიავილი

საბელისწერო ვოიაჟი

(დასაწყისი იხ. გზა №7)

ცოტა ხნის წინ „მარტოხელა დედად“ ქცეული ნატალია თევზაძე, მეტსახელად ბატი ტასიკო, ბედნიერი ბილეთის მფლობელი ხდება — ლატარიაში ავტომანქანა BMW-ს მოიგებს და თავის ორ შვილთან — 16 წლის ჯაბასა და 4 წლის ლიზისთან ერთად, თურქეთში გაემგზავრება დასასვენებლად. იმავე სასტუმროში, ახალგაზრდა წყვილი — ელგუჯა და ნათია ქორიძეები თავიანთ პატარა შვილებთან და ძიძასთან — ლიკასთან ერთად, ტინეიჯერები — ანკა და ბადრი, ჭაღარა მამაკაცი ვახტანგ აბაშმაძე დაბინავდებიან. ქმრის — ვასიკოს ღალატითა და მასთან განშორებით მიღებული ემოციით ჯერ ისევ გულდამძიმებული ნატალია-ტასიკო ცდილობს, დატკბეს „სამიათასდოლარიანი სამოთხით“. მაგრამ მოულოდნელად, საშინელი ამბის მომსწრე და უნებლიე მონაწილეც გახდება: თამაშისას, ნავმისადგომზე ასული პატარა ლიზი, წყალში მოტივტივე, ახალგაზრდა გოგოს გვამს აღმოაჩენს.

— იქ ქალია, წყალში! — ავძახე თურქს ინგლისურად, თან ხელს ნავმისადგომისკენ ვიშვერ. წესრიგის დამცველი სიტყვებზე მეტად, ჩემი გამომეტყველებით ხვდება, რომ რაღაც ცუდი ამბავია და კოშკურიდან ეშვება. ლიზის, ნომერში მივარბენინებ. ვცდილობ, დავავიწყო დილას ნანახი კოშმარი. ფანჯრიდან ვხედავ, როგორ ამოჰყავთ ნაპირზე დამხრჩვალი გოგონა და ჩემს ეჭვს პლაჟიდან მობრუნებული ჯაბაც მიდასტურებს. დიახ, ახალგაზრდა ქალიშვილი სწორედ ანკაა, ის ქართველი ანიმატორი, რომელიც ჯაბამ ჩამოსვლის საღამოს გაიცნო და რომელთანაც ყოველ ღამე სიამოვნებით ცეკვავდა დისკოთეკაზე...

ვფიქრობ, სრულიად ზედმეტია თქვენთვის იმის განმარტება, რომ დამხრჩვალი გოგონას აღმოჩენის მომენტიდან, ჩვენი ბედნიერი დასვენება დასრულდა. არ იფიქროთ, რომ სახლში დაბრუნებამ მოგვიწია. სასტუმროს ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ეს უსიამოვნო შემთხვევა დაგვევიწყებინა, „ბიჩ ფართიც“ კი მოგვიწყო, რომ პლაჟთან დაკავშირებული უსიამოვნო განცდები გაეფანტა ჩვენთვის. უფრო სწორად, როგორც ელგუჯა ქორიძემ აგვიხსნა, გეგმით გათვალისწინებული „ბიჩ ფართი“ მთავარი მენეჯერის გადაწყვეტილებით, არ გადადიო, მაგრამ მის გამართვას ნავმისადგომზე მოერიდნენ და მოქმედება ჭრელ ბუნგალოებთან გადაიტანეს. უკვე გითხარით, რომ სანაპიროზე სამი ტენტგადაფარებული ჩალის ჩარდახია მოწყობილი, იმ შემთხვევისათვის, თუ ვინმეს ღამის რომანტიკულად გატარება პლაჟზე მოუნდება. ამჯერად ჩარდახების ფერადი ტენტები ჭერისაკენ აკეცეს და გემრიელი კერძები პირდაპირ ჩალის იატაკზე მიმობნეულ ფერად ბალიშებზე ფეხმორთხმულებს მოგვართვეს. ზღვიდან გრილი ნიავი უბერავს და ტენტებაკეცილ ჩალის ქოხებში ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს ჩარდახიანი ტივით მიცურავ ზღვაში. სხვა დროს, ალბათ, პლაჟზე მოწყობილ ღამის პიკნიკს მართლაც, ჩავატანდი გემოს, მაგრამ ამჯერად, ლუკმა ყელში არ გადამდიოდა. ჩვენს ყვითელტენტიან „ტივზე“ ქორიძეების ოჯახი, მე, ჯაბა და ბატონი ვახტანგ აბაშმაძე ვისხედით. ბატონი ვახტანგი ის ჭაღარათმიანი „ინგლისელი ჯენტლმენი“ გახლავთ, რომელმაც გზაში მიიქცია ჩემი ყურადღება. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მართლაც, გალანტური კავალერი აღმოჩნდა და ბალიშებზე ფეხმორთხმულს, ერთი წამითაც არ მომკლებია მისი ყურადღება, ინგლისელ ჯენტლმენთან სხვა საერთო ნამდვილად არაფერი აღმოაჩნდა. ის კი არა, პროფესიით ფსიქიატრმა, ინგლისურიც ცუდად იცის. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ჩვენს უხალისო კომპანიას, მთავარი მენეჯერის მზეთუნახავი ცოლი შემოუერთდა. ჯაბამ რუსულზე უკეთ ინგლისური იცის და ამიტომ ნიკოლთან ინგლისურად გაბა ბასი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი მენეჯერი საიდი და მისი ცოლი ნიკოლი, რომელიც სასტუმროს საინფორმაციო სამსახურს ხელმძღვანელობს, მსგავს ღონისძიებებზე აქამდე, მხოლოდ მისალმებითა და შესავალი სიტყვის თქმით შემოიფარგლებოდნენ. ახლა კი, სიტუაციის სირთულის გათვალისწინებით, ჩვენთან ერთად მთელი ღამის გატარება გადაწყვიტეს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ნიკოლი სწორედ ჩვენს სევდიან კომპანიას შემოუერთდა და საცეკვაოდ ჯაბა გაიწვია.

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, იმ დღეს, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ორი აღმოჩენა გავაკეთე და ძალიან მინდა, გაგიზიაროთ: პირველი და უმთავრესი: თუ იცით, რატომ გამოიყურებიან უცხოელი კაპიტალისტები სიბერეში ასე ახალგაზრდულად და მხნედ? არა მხოლოდ იმიტომ, რომ „კაის ჭამენ, კაის სვამენ“ და კარგად ისვენებენ, არამედ პირველ რიგში იმიტომ, რომ დარდს გულს არ აკარებენ და სხვისი პრობლემებით თავს არ იცხელებენ. ამდენ ტურისტში, მოწყენილი და დაძაბული მხოლოდ ჩვენი ჯგუფი იყო. დანარჩენები ისე იქცეოდნენ, თითქოს ამ დილით, ზღვამ დამხრჩვალი თოლია გამორიყა და არა მათი სამი დღის ნაცნობი, ხალისიანი ანიმატორი გოგონა. მაგრამ იქნებ, ვცოდავ და მათმა უმეტესობამ არც იცის ანკას სიკვდილის ამბავი?.. მე და დანარჩენი ქართველები, რომლებისთვისაც ამ კოშმარის მოყოლა დილასვე მოვასწარი, მთავარი მენეჯერის ოთახში დაგვიბარეს და მოკრძალებით გვთხოვეს, მომხდარი სამწუხარო ამბავი ტურისტებისთვის არ გაგვემხილა: დაღუპულს ვერაფერს ვუშველით, ტურისტებს კი, დასვენება ჩაშხამდებათო, — გამოგვიცხადა ადმინისტრაციამ. „ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს სასტუმროს იმიჯზე“ — დაზეპირებულივით იმეორებდა მთავარი მენეჯერი საიდი და უმწეოდ შლიდა ხელებს. ჯაბა გაალიზიანა ამ სიტყვებმა. ბატონმა ელგუჯამ კი აგვიხსნა, რომ ხალხში გავრცელებული ჭორის თანახმად, ამ სასტუმროს წილი, საკონტროლო პაკეტი, დსთ-ის წევრი, შუააზიური სახელმწიფოს ერთ-ერთ პირველ პირს ეკუთვნის. ჩვენი მთავარი მენეჯერი, საიდი, ხსენებული პირის გარე ბიძაშვილია და ამის წყალობით ხვდა წილად უზრუნველი ცხოვრება ანტალიაში... ელგუჯა ქორიძის გონივრული ვარაუდით, ასეთი გარე ბიძაშვილი ხსენებულ გავლენიან პირს მრავლად ჰყავს და ისი-

ნი ალბათ, ჩასაფრებულები არიან და ელიან, როდის შეემთხვევა საიდს იაღლიში ბიზნესში, რომ აღმოსავლური წესისამებრ, „ხალიფას“ მოახსენონ და საიდისთვის ნაბოძები წყალობა, მის მაგივრად, თავად მოირგონ მხრებზე „შაჰის ხალათივით“... მართალია, თავის ვარაუდებში ბატონი ელგუჯა შუააზიურ სახელმწიფოსაც ზუსტად ასახელებდა და მის პრეზიდენტსაც გვარით მოიხსენიებდა, მაგრამ მე გეოგრაფიასთან ბავშვობიდან მწყრალად გახლდით და გამოგიტყდებით, დღესაც არ ვიცი, სად არის, მაგალითად, დუშანბე, ბიშკეკი, ასტანა და ვერც ის დავიმახსოვრე, ეს ჩვენი საიდ ჩული-ყული თურქმენია, უზბეკი თუ ტაჯიკი. ცოლი კი, ნამდვილი ევროპელი ჰყავს. ნიკოლს ყველაფერი დახვეწილი და ლამაზი აქვს: მოვლილი წაბლისფერი კულულები, ოდნავ ხრინწიანი, დაბალი რეგისტრის, მკერდისმიერი ხმა, ვიწრო თეძო, ძველეგვიპტური ნახატივით გაშლილი მხრები და გრძელი ფეხები. სახელიც კი უცხო აქვს — ნიკოლი. მე და ნათია ქორიძე დიდხანს ვბჭობდით, ფრანგია იგი, იტალიელი თუ ესპანელი.

პლაჟისაკენ გავიხედე. ბლუზის მელოდიაზე, ჯაბა და ნიკოლი რიტმულად ირწევიან ქვიშაში მიმობნეულ ფეხსაცმელებს შორის. მოცეკვავეები მალე მიხვდნენ, რომ პლაჟზე ყველაზე მოხერხებული, ფეხშიშველი ცეკვაა და ქოშები ზოგმა დაკეცილ ქოლგებს მიუწყო ძირში, ზოგმა კი იქვე, ქვიშაზე დაყარა. ნიკოლი ჯაბაზე თითქმის ნახევარი თავით მაღალია, ჯაბა კი, ნამდვილად არ არის დაბალი ბიჭი. ნიკოლი თუ ამ სიმაღლე იყო, არასდროს შემიმჩნევია, ეტყობა, სულ უქუსლო ფეხსაცმელს იცვამს, რომ საშუალო ტანის ქმრის გვერდით ნორმალურად გამოჩნდეს... ფიქრიდან ანიმატორი ბესოს ხმამ გამომარკვია:

— ტასო დეიდა, ჯაბა სად არის? — ამომძახა ბესომ.

— პლაჟზეა, ნიკოლთან ცეკვავს, — ვუპასუხე და სუსტი განათების მიუხედავად, შევნიშნე, რომ სახეზე ფერი არ ედო. მისკენ უხერხულად მიბრუნებული, ხილის ლანგარს წამოვედე და ვაშლები, ატმები და მანდარინები იატაკზე დამეფანტა.

— ტასო დეიდა, ჯაბას გადაეცით, ხვალ დილამდე მნახოს. კორტზე დაველოდები, — დამიძახა ბესომ და სიბნელეში გაუჩინარდა. მე იატაკზე მიმოფანტულ ხილს ვაგროვებ. ბატონი ვახტანგი მეხმარება, ელგუჯა ქორიძე კი, ლანგარს გვაწოდებს, მოგროვილი ხილის დასალაგებლად. მწვანე აბრეშუმის ბალიშის უკან გადავარდნილი ბოლო მანდარინის ასაღებად რომ დავიხარე, ვარდისფერი ბურთულა შევნიშნე. ხელი წავატანე. მრგვალ, ფერად რეზინზე ჩამოკიდებული, პატარა ვარდისფერი დათუნია აღმოჩნდა, რომელიც ანკას პირველ დღეს ზურგჩანთაზე ეკიდა, მერე კი, თავისი ლამაზი, ცეცხლისფერი თმის ცხენისკუდად შესაკრავად იყენებდა. გულმა ცუდი მიგრძნო. ეს დათუნია ანკას გუშინ საღამოსაც ეკეთა, ლიზი რომ წაიყვანა თავის ბოლო მინიდისკოთეკაზე. ნეტავ, როგორ აღმოჩნდა საღამოს ათის ნახევრის შემდეგ, საწყალი ანკა ამ ბუნგალოში?.. ავფორიაქდი. ვარდისფერი დათუნია მუჭში დავმალე და წასვლა დავაპირე.

— რა მოგივიდა, ტასი? როგორი გაფითრებული ხარ? — მხარზე ხელი მომხვია ბუნგალოში შემობრუნებულმა ჯაბამ.

— ცუდად ხომ არა ხართ? — ახლა ნიკოლმა გამოიჩინა მზრუნველობა.

— მომეჩვენა, რომ ბავშვის ტირილი გავიგონე. ავალ, ლიზის დავხედავ, — ნიკოლის გასაგონად, ინგლისურად ვიმართლე თავი.

— წარმოუდგენელია, მეორე სართულიდან აქ გაგეგონათ ბავშვის ხმა, დამშვიდდით, — სანდომიანად მიღიმის ნიკოლი.

— მესამეზე: ჩვენ მესამე სართულზე ვცხოვრობთ, — ვუხსნი და უეცრად ვხვდები, რომ ნიკოლი მართალს ამბობს: ლიზი, ბატონი ელგუჯას წინადადებით, მათ ლუქსში მყავს დატოვებული, მეორე სართულზე, ოთოსთან და კატოსთან ერთად. დაძინებული ბავშვები ძიძას — ლიკას ჩავაბარეთ. ნეტავ, ნიკოლმა რატომ იცის ასე კარგად, რომელ სართულზე დავტოვე ბავშვი?.. თუ იქნებ, მისი, როგორც მთავარი მენეჯერის ცოლის მოვალეობაა, ყველაფერი იცოდეს სასტუმროს ბინადრების შესახებ?..

— დავინახე, როგორ შეგყავდათ დაძინებული ბავშვი ნომერში, — თითქოს ჩემი ფიქრი გამოიცნო მენეჯერის მეუღლემ. — ვიცი, რა ძნელია, ბავშვის სხვასთან დატოვება. მეც დედა ვარ, ჩემი გოგონა, ზულეიკა ჯერ ორი წლისაც არ გამხდარა.

ნანახი მყავს, სალათისფერ საბანაო კოსტიუმში გამოწყობილი, ორიოდე წლის გოგონა, რომელიც ძიძას ჰყავდა ჩამოყვანილი ბავშვების აუზზე. ნიკოლი ძიძას, ბავშვთან დაკავშირებით, ინსტრუქციებს აძლევდა. სწორედ მაშინ მივაქციე ყურადღება მენეჯერის ლამაზ ცოლ-შვილს.

საზოგადოებას დავემშვიდობე და სასტუმროს შენობაში შევედი.

ჯაბამ მძინარე ლიზი აიყვანა. მომეჩვენა, რომ ბავშვი ნამტირალევი იყო.

— ღამით ცოტა იჭირვეულა, — მიდასტურებს ჩემს აღმოჩენას ლიკა. უეცრად ვხედავ — თვალები ლიკასაც დაწითლებული აქვს. ეტყობა, ანკას ამბავი ადარდებს ან იმის გამო იტირა, რომ ყველა ერთობა და თვითონ სხვისი შვილების სამწყემსად არის წამოსული, ან იქნებ, უიღბლოდაა შეყვარებული?.. ახალგაზრდებს რას გაუგებ?!. როდესაც ბავშვი საწოლში ჩავაწვინეთ და ჯაბამ მზრუნველად გადაიფარა საბანი, მერეღა გავხსენი შეკრული მუშტი და შვილს ვარდისფერი დათუნია ვუჩვენე. იმ დროისათვის, უკვე ორივე ვხვდებოდით და ერთმანეთს არ გავუმხილეთ საშინელი ეჭვი, რომ ჩემ მიერ ბუნგალოში ნაპოვნი დათუნია სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა იმას, რომ ანკა არ გამხდარა უბედური შემთხვევის მსხვერპლი — იგი ვიღაცამ დაახრჩო...

იმ დილითაც, ჩვეულებისამებრ, უთენია გავახილე თვალი და გამახსენდა, რომ ჯაბასთვის ბესოს დანაბარები არ გადამეცია.

შეცდომა სასწრაფოდ უნდა გამოვასწორო. ჯაბას გაღვიძება არც მიფიქრია, ვიდრე ლიზის სძინავს, სასწრაფოდ ჩავიცვი და კორტისაკენ გავიქეცი. ბესოს, როგორც ჩანს, რაღაც უჭირს. უკეთესი იქნება, ამ პრობლემაში თავად გავერკვე, ვიდრე ჯაბა გავხვიო შარში. მართალია, ჯაბა ჩემს გონებრივ შესაძლებლობებს არ ენდობა და ბატად მთვლის, მაგრამ არც მთლად მასეა საქმე... სანამ ბესოს შევხვდები, ბარემ იმასაც გაგიმხელთ, თუ რის გამო შემარქვა ჯაბამ ბატი ტასიკო ან, უფრო სწორად, რატომ აღარ ვაპროტესტებ ჩემზე ამგვარ არასახარბიელო შეხედულებას და თავად დამეთანხმებით, რომ ჩემს ადგილას ათიდან ცხრა ქალი ასეთსავე

სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მიმაჩნია, რომ არც მამაკაცები იქნებოდნენ გამონაკლისი, მაგრამ ახლა ამაზე ნუ ვიდავებთ. როგორც ამბობენ, თავზე დადგმულ რქებს ყველაზე გვიან ის აღმოაჩენს ხოლმე, ვინც ამ რქებს ატარებს. ჩემს შემთხვევაშიც, სწორედ ასე მოხდა.

იმასაც ამბობენ, რომ ოჯახურ ცხოვრებაში კრიზისული, მეექვსე და მეთორმეტე წლებია. ამ შემთხვევაში, ჩემი ქმარი ყოჩაღად მოიქცა და პირველი ათი წელი მართლაც, სამაგალითო მეუღლე გახლდათ. მეათე წელს, მზერა შეეცვალა, აბაზანაში ღიღინი დასჩემდა და ჩემთვის მოულოდნელად, საჩუქრების მორთმევა დაიწყო. იქნებ, ვინმემ მითხრას — უკეთესობისკენ შეცვლილა და რას ერჩიო! საყვედურს არ ვიღებ, რადგან არც ვერჩოდი, სულაც პირიქით ვიქცეოდი. სიხარულით ვხვდებოდი უჩვეულო ყურადღების ნიშნებს და გულწრფელად მეგონა, რომ ახალი თაფლობის თვე დაგვიდგა. ისე მინდოდა ამ ვერსიის დაჯერება, რომ არც იმ ფაქტს შევუცბუნებივარ, რომ თაფლობის თვის მთავარი ატრიბუტი — ინტიმური ურთიერთობა — საჩუქრების მატებასთან ერთად, კლებისკენ წავიდა, სანამ „ოპტიმალური მინიმუმის“ ზღვართან არ გაჩერდა... გაგეცინებათ და, გულნატკენმა, ისიც ვიფიქრე, რომ ეს მოვლენა, ასაკთან დაკავშირებული პრობლემის გაჩენას ნიშნავდა და ერთი-ორჯერ, მაქსიმალურად დელიკატურად, „ვიაგრაც“ კი ვუხსენე ძვირფას ვასიკოს. ჩემს ამგვარ გამოსვლებს ქმარი იდუმალი ღიმილით ხვდებოდა და მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა ცოლქმრული მოვალეობა, როდესაც მე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჩამოვაგდებდი სიტყვას, როგორც შემდეგ აღმოჩნდა — მხოლოდ იმისათვის, რომ იმპოტენციასთან დაკავშირებული ჩემი ფიქრები გაეფანტა და რაიმე სხვა ეჭვის საბაბი მოესპო. იმ „ოპტიმალური მინიმუმისთვისაც“, თვეში ერთხელ, სწორედ იმის გამო იწუხებდა თავს. მისი ემოციური გაცივების ცეცხლოვანი მიზეზი — ეშხიანი და უკომპლექსო ბუღალტერი ნატალი — კვირაში ერთხელ, სახლშიც მეჯდა და ჩემი ხელით ყავასაც ვუდუღებდი... ჩემი, ათი წლით ახალგაზრდა სეხნიისაგან განსხვავებით, მე ძალიან დაკომპლექსებული გახლავართ და ამიტომ გიამბობთ ამ ამბავს ასე მიკიბულ-მოკიბულად. ყველაფერს თავისი სახელი რომ დაერქვას, გეტყვით: ქმარი მღალატობდა და თანაც, ისეთი ინტენსივობით, რომ ჩემთან მობრუნებულს, არც სურვილი და აღარც არაქათი ჰქონდა „სასიყვარულო თამაშებისათვის“.

იმ „მშვენიერ“ დღეს კი, როცა ეს ამბავი გაირკვა ან, როგორც ჯაბა იტყოდა — „გაიასნდა“, მშვიდად ვიჯექი შინ და ცუდს არაფერს ველოდი. ტელეფონის ზარმა სახლის ლაგება შემაწყვეტინა და ამიტომ, ჩემი ნათქვამი „ალო“, ზედმეტად მკაცრად გაისმა.

— უკაცრავად, ქალბატონო, ნუგზარი ტუღუში გაწუხებთ, მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილების გამომძიებელი, — ჩახრინწული ხმა არ მესიამოვნა, თანაც, არ მიყვარს, ადამიანები საკუთარ სახელს არასწორად რომ ამბობენ, ამიტომ ხმას ფოლადი შევმატე:

— გისმენთ, ბატონო ნუგზარ. „რ“-ს, ხაზგასმით მკვეთრად გამოვთქვამ. ის კი მშვიდად განაგრძობს:

— ქალბატონო ნატალია, თქვენს მეუღლესთან მინდა გასაუბრება. ამ ერთი თვის წინ, კუს ტბაზე თქვენი მანქანის გატაცებასთან დაკავშირებით.

— იპოვეთ? — გავხალისდი მე. საქმე ისაა, რომ სწორედ ერთი თვის წინ, ჩემი მეუღლე სახლში ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა და სევდიანი ხმით მამცნო, რომ მისი მანქანა ავტოსადგომიდან გაიტაცეს. მე რატომღაც ჩავთვალე, რომ ინციდენტი მისი სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. კუს ტბის ხსენებაზე, ცოტა დავიბენი, მაგრამ არ შევიმჩნიე და სმენად ვიქეცი:

— არ გვიპოვია, მაგრამ უკეთ რომ ვეძებოთ, თქვენი ჩვენებები გვჭირდება. თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, ბატონი ვასილი მობრძანდეს. თქვენს ინტერესშია, დამყაჩაღებლები დეტალურად აღგვიწეროთ. გვინდა, ანალოგიურ დანაშაულზე დაკავებული პირების ფოტოები ვაჩვენოთ.

გესმით, ხალხო, როგორი საინტერესო ინფორმაცია მოდის ჩემამდე! მე სულელს კი, გული სიბრალულით მევსება და თავში მხოლოდ ის აზრი მიტრიალებს, როგორ გაწვალდა ჩემი საბრალო ქმარი, რომელიც თურმე, ყაჩაღობის მსხვერპლია და ძალიან რომ არ ვინერვიულო, ამ ამბავს მიმალავს... მისი კეთილშობილებით გულაჩუყებულმა, დაუფიქრებლად ვიკითხე:

— მე რომ მოვიდე მის მაგივრად, შეიძლება?

— რასაკვირველია. დროს თუ დამიზუსტებთ, საშვსაც დავუშვებ ნატალია აბრამიაზე. თქვენი ჩვენება ნამდვილად ძალიან შეგვიწყობს ხელს ძიების წინ წაწევაში. ეს კუს ტბაზე მანქანის გატაცების მეოთხე შემთხვევაა. მძარცველები შეყვარებულ წყვილებს უსაფრდებიან და მანქანებსა და ძვირფასეულობას ართმევენ...

ვაი, შენს ნატალიას! ვიდრე ჩემი თანხმობით გახარებულმა გამომძიებელმა ერთად არ ახსენა ნატალია აბრამია, კუს ტბა და შეყვარებული წყვილი, ჩინური თოჯინასავით ყველაფერზე ღიმილით ვიქნევდი თავს, ბოლო ინფორმაციის გაგონებაზე კი, ამ გამოშტერებულ თავში თითქოს ურო ჩამცხეს...

— თქვენ ამბობთ, რომ ჩემი მეუღლე ღამით, კუს ტბაზე ნატალია აბრამიასთან ერთად იყო, როცა მანქანა წაართვეს? — ვიკითხე უცნაურად ჩახლეჩილი ხმით.

— განა თქვენ ნატალია არ ბრძანდებით, მისი მეუღლე? — ახლა უკვე გამომძიებლის გაოცების ჯერი დადგა. ენა ისე დაება, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ეს წუთია, ოჯახი დამინგრია.

— მე ნატალია თევზაძე გახლავართ, ქალიშვილობის გვარი — ფარცხალაძე. აბრამია მისი ბუღალტერია, — არ დავამადლე განმარტება ოფიციალურ პირს და ტელეფონი გავთიშე. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ არ მინდოდა, უცხო ადამიანს ჩემი ღრიალი მოესმინა...

ნახევარი საათი მოთქმით ვიტირე საყვარელი ქმარი და მერე, მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე. აკურატულად ჩავულაგე ჩემოდნები და შინ დაბრუნებულს, უკვე სადარბაზოში გადგმული დავახვედრე.

ამგვარად, გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, თუ რაოდენ მოსახერხებელია, როცა ცოლს და საყვარელს ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ, ვასიკოს შემთხვევაში არ გამართლდა. შესაძლოა, ასეთი რადიკალური ზომებისათვის არც მიმართა, ამ შემთხვევას ჩემი ძვირფასი მეორე ნახევრის უამრავი საეჭვო საქციელისთვის რომ არ აეხადა ფარდა. მაგალითად, 7 მარტს, მისი ოთახის დალაგებისას, „ისი პარის“ შავ ქაღალდში გახვეულ სუნამოს მივაგენი. სულმა წამძლია — ფრთხილად გავხსენი და ჩემდა გასახარად, ვანკლიფის და არპელის „მარმარი“ აღმოვაჩინე. მთელი 8 მარტი, სასიამოვნო სიურპრიზის მოლოდინში ამაოდ გავატარე. ვასიკო დილას ისე წავიდა, არც გავუღვიძებივარ. საღამოს ათ საათზე, ლოდინით გაბეზრებულმა, მის უჯრაში ჩავიჭყიტე და სუნამო აღარ დამხვდა. ალბათ, ყვავილებთან ერთად მომართმევს, შინ დაბრუნებული-მეთქი, — გავიფიქრე და ყოველი შემთხვევისათვის, სამსახურში დავურეკე.

— ბატონ ვასილს უცხოელი სტუმრები ჰყავს ქალაქგარეთ წაყვანილი. მთხოვა, გადმოგცეთ, რომ შეაგვიანდება, — მომახსენა მისმა მდივანმა, ქალბატონმა ციცინომ. „არ აცლიან ცოლის გახარებას ჩემს საწყალ ქმარს“, — გავიფიქრე სევდიანად და ბედს შეგუებულმა, ძილს მივეცი თავი იმ იმედით, რომ თაიგული და სუნამო დილით, საწოლთან დამხვდებოდა. გაღვიძებულს, სააბაზანოდან ვასიკოს ხალისიანი ღიღინი შემომესმა. საჩუქარი არსად ჩანდა. სამზარეულოში „გავმაგრდი“ და სააბაზანოდან გამოსულ ქმარზე სწორედ

ამ მნიშვნელოვანი „სტრატეგიული“ პოზიციიდან განვახორციელე შეტევა.

— ვის აჩუქე სუნამო? — დავაცხერი თავზე მოულოდნელად.

— ვინ განარისხა ჩემი ძვირფასი მეუღლე? — პროვოკაციას არ აჰყვა ვასიკო. თავის გამშრალება შეწყვიტა, სველი პირსახოცი ხელზე გადაიფინა, ოდნავ წინ გადმოიხარა და სმენადქცეული, კარგად განსწავლული ოფიციანტის პოზაში გაირინდა.

რეზინის „შლოპანცებში“ სველფეხებწაყოფილი, თმაგაბურძგნილი, აბანოს თეთრ ხალათში გამოწყობილი ვასილ თევზაძე, მკლავზე ლურჯი პირსახოცითა და იდიოტური ღიმილით სახეზე, ძალზე სასაცილოდ გამოიყურებოდა. მეც თავი ვერ შევიკავე და გავიღიმე, რითიც მნიშვნელოვნად დავთმე საბრძოლო პოზიციები.

— გუშინ შენს უჯრაში სუნამო ვიპოვე, ჩემი საყვარელი „მარმარი“. მეგონა, 8 მარტს მაჩუქებდი, — ჩემდა უნებურად, ხვეწნის დამამცირებელი ინტონაცია გამერია ხმაში.

— ჩემი ნაწყენი, პატარა ცოლი... — ენა მომიჩლიქა ვასიკომ და ჩემი თავი მკერდზე მიიხუტა. სველი ხალათის შეხება არ მესიამოვნა, მისი ინტონაციაც ზედმეტად ყალბი მეჩვენა.

— ვის აჩუქე სუნამო სარვამარტოდ? — მკაცრად მინდოდა, მეთქვა, მაგრამ სველ ხალათზე თავმიდებულს, ტირილი უფრო გამომივიდა.

— მაპატიე, 8 მარტი დღესასწაულად არ ჩამითვლია, შევცდი. სუნამო შენ გიყიდე, 15-ში, დაბადების დღეზე მინდოდა მორთმევა. სახლში რომ არ გეპოვა, სამსახურში შევინახე. მაინც არ გამომივიდა სიურპრიზი... ახლა სხვა რა დამრჩენია — სარვამარტოდ მოგართმევ და დაბადების დღეზე სხვა რამეს გაჩუქებ.

გესმით, ხალხო? ისე მინდოდა ამ სისულელის დაჯერება, ეჭვიც კი არ გამჩენია, ჩემს უდარდელ ქმარს ერთი კვირით ადრე რატომ გაახსენდა ჩემი დაბადების დღე და არც ის დაეზარა, რომ უკვე სახლში მოტანილი სუნამო სამსახურში წაეღო!.. ვასიკო ორ საათში მომადგა, წითელი ვარდებითა და შავ ქაღალდში შეხვეული „მარმარით“ ხელში. საჩუქარს რომ ვხსნიდი, მომეჩვენა, თითქოს სხვა ყუთი იყო, რადგან უჯრაში ნაპოვნში როცა ჩავიჭყიტე, ქაღალდი ოდნავ გამეხა, ამჯერად კი, შესაფუთი ფურცელი თითქოს მთელი იყო... ამ ეჭვის კარგად გაანალიზება ვასიკომ არ მაცალა, კისერში მაკოცა და ნაჩუქარი სუნამო თავისი ხელით დამასხა... სწორედ ამ დღიდან მოუხშირა საჩუქრების ჩუქებასა და საბაზანოში ღიღინს ჩემმა ქმარმა.

ერთ კვირაში, ჩემს დაბადების დღეზე მოულოდნელად გამოცხადებულმა ბუღალტერმა ნატალიმ, ფირმის თანამშრომლების სახელით, სამზარეულო კომბაინი მომართვა.

— როცა სამსახურში გავიგეთ, რომ თქვენი დაბადების დღეა, წვრილმანი სისულელეების ჩუქებას ვამჯობინეთ, საერთო საჩუქარი მოგვერთმია, — შინაურულად მექაქანებოდა ნატალი და ჩემი საყვარელი სუნამოს სურნელს მაფრქვევდა. მაშინ ეს ამიტომ არ მესიამოვნა: არ მიყვარს, წვეულებაზე ვინმეს ჩემნაირი სუნამო რომ ასხია. „მარმარიც“ თბილისში მაინცდამაინც პოპულარული არ არის და იმიტომ მომწონს... ეს შემთხვევა მაშინ გამახსენდა, როცა გამომძიებელმა ნატალი აბრამია მიხსენა. ახლა უკვე თითქმის ზუსტად ვიცოდი, ვისთვის წაუღია ერთი წლის წინ სარვამარტოდ სუნამო და რატომ დაბრუნდა გამთენიისას შინ ჩემი ძვირფასი მეორე ნახევარი. ხოლო თუ ეს ასეა და რომანი ერთი წელიწადია, გრძელდება, მხოლოდ რადიკალური ზომების მიღებაა საჭირო-მეთქი, — მივიღე გადაწყვეტილება, ჩემოდნები კარში გავდგი და როგორც საინფორმაციო გამოშვებებში უყვართ თქმა, „დაველოდე მოვლენების განვითარებას“.

მოვლენები კი, ჩემთვის ძალზე არასასურველად განვითარდა: ვასიკომ ჩემოდნები მანქანაში ჩატვირთა და მისი და ნატალის ახალ ბუდეში გადაბარგდა. შინ მხოლოდ ერთხელ მობრუნდა, იმის სათქმელად, რომ პატივს მცემს მე, უყვარს შვილები და თუ რაიმე პრობლემა შემექმნა, ყოველთვის მქონდეს მისი იმედი.

მე თავმოყვარეობა სულ დავივიწყე და ვუთხარი, რომ ჩემი პრობლემა ისაა, მის გარეშე ცხოვრება რომ ვერ წარმომიდგენია. მან სიბრალულით სავსე თვალები მომაპყრო, რითიც სულ მომითავა ხელი და გამოიცხადა:

— ტყუილში ცხოვრებას ისევ სჯობს, ორივემ ჩვენ-ჩვენი გზა ვნახოთ. იმედი მაქვს, ბავშვები სწორად გამიგებენ და ამაში შენც დამეხმარები. — ამ გულისამრევად ბანალური „გამოსვლის“ შემდეგ, საბაზანოდან თავისი ელექტროსაპარსი გამოიტანა და გაუჩინარდა.

ლიზი ამ უსიამოვნო ამბებს მოვარიდე და ვუთხარი, რომ მამა საზღვარგარეთ გაემგზავრა. რაც შეეხება ჯაბას — როგორც გაირკვა, მან ბევრი რამ იცოდა მამამისის სასიყვარულო თავგადასავლის შესახებ... ჩემმა დაქალებმაც ერთად მოაღეს პირი... საბოლოოდ გაირკვა, რომ ერთადერთი ბრიყვი, რომლისთვისაც ეს ამბავი მოულოდნელი იყო, მე გახლდით. ერთი კვირით ყველას გავებუტე. მერე მივხვდი ჩემი საქციელის უაზრობას, უდრტვინველად დავმორჩილდი ბედს და ჩემს ახალ მეტსახელსაც შევეგუე.

ასე გავხდი მარტოხელა ქალი, მეტსახელად ტასიკო. ახალ იმიჯთან შესაგუებლად, სიგარეტის მოწევაც დავიწყე, ლატარიის გათამაშებაშიც მივიღე მონაწილეობა და ავტომანქანაც მოვიგე. თუმცა, ეს ყველაფერი თქვენ უკვე იცით. დიახ, ეს იყო ჩემი პირველი ნამდვილი წარმატება, ქმართან გაყრის შემდეგ. სხვათა შორის, ახლა საქართველოში ტელევიზიით სიგარეტის რეკლამირება აკრძალულია. მე სიგარეტის ლატარიის უკანასკნელი გათამაშების პრიზიორი გავხდი — ასე ვთქვათ, ბოლო შანსი გამოიყენე...

გაგრძელება იქნება

„რონალდ, თვალით აღარ დამენახვო!"

ცოტა ხნის წინ, დიდი იმედგაცრუება იწვნია ირლანდიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ ნიკ კოლგენმა, რომლის ახალმა გუნდმა – „დანდი იუნაიტედმა" შოტლანდიის პრემიერლიგაში „გლაზგო რეინჯერსთან" შეხვედრისას 1:7 წააგო. „უარესი რა უნდა დაემართოს კაცს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თავის ახალ კლუბში მხოლოდ მეორე მატჩს ატარებს?! – ამბობს კოლგენი. – თუმცა, ასეთია ფეხბურთი და მის კანონებს ვერ შეცვლი. მე უფრო რთულ სიტუაციებშიც აღმოვჩენილვარ". „დანდი იუნაიტედის" გოლკიპერი ნამდვილად არ აზვიადებს: 5 თვის წინ, კოლგენი ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბ „ბარნსლის" კარს იცავდა, როდესაც ლიგის თასის გათამაშებაში „მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრისას, ასევე 7 გოლი გაუშვა (მისმა გუნდმა ის მატჩიც ანგარიშით 1:7 დათმო). ამასთან, „სიტის" კარში მაშინაც „რეინჯერსის" ამჟამინდელი გოლკიპერი რონალდ ვატერეუსი იდგა. „ძალზე სამარცხვინოა, – ამბობს კოლგენი, – სწორედ ეს კიპერი იდგა კარში მაშინაც, როცა ინგლისში 7 გოლი გამიტანეს. მატჩის შემდეგ ვატერეუსს ვუთხარი – შენი დანახვაც აღარ მინდა-მეთქი!.."

■

როცა საქმეში „ვუდუს ჯულტი" ერევა...

ცოტა ხნის წინ, „ფულჰემის" მესვეურებმა განაცხადეს, რომ მას შემდეგ, რაც სენეგალელმა ნახევარმცველმა პაპ ბუბა დიოპმა კლუბის სტადიონ „გრეივენ კოტეჯზე" ვუდუს რიტუალი ჩაატარა, გუნდს პრემიერლიგაში წარმატება თან სდევს. შარშან დეკემბერში, დიოპს თავისი კლუბის საშინაო არენის მინდორსა და კარის ძელებზე, „ვუდუს კულტის" მსახური ქურუმის მიერ დამზადებული, „წმინდა ნივთიერება" მიუსხურებია, რომელიც პირუტყვის სისხლის, რაღაც კეთილსურნელოვანი ნივთიერებისა და მიწის ნარევს წარმოადგენდა. სწორედ ამ რიტუალის შემდეგ, „ფულჰემმა" საკუთარ მოედანზე ათიდან მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო. „ჩემს ქვეყანაში მაგია ჩვეულებრივი საქმიანობაა, – ამბობს ფეხბურთელი, – ამას მეც მიჩვეული ვარ და ჯადოსნობას „ფულჰემის" დასახმარებლად ყოველთვის გამოვიყენებ. რიტუალი ჩავატარე და ამან ნამდვილად გვიშველა.

თუ წაგება გახშირდება, პროცედურას კვლავ გამოვიყენებ". აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ხერხით სენეგალელებმა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სასტარტო მატჩში მიაღწიეს წარმატებას, როდესაც ფრანგები დაწყევლეს და მინიმალური ანგარიშით – 1:0 გაიმარჯვეს. „ფულჰემის" ხელმძღვანელობასა და ქომაგებს კი, ეჭვი არ ეპარებათ, რომ საკუთარ არენაზე გუნდის წარმატებულ გამოსვლას სწორედ სენეგალური მაგიის აქტი განაპირობებს. თუმცა, თავად დიოპი ჯადოქრობისთვის არავისგან მადლობის გადახდას არ ითხოვს: „ფულჰემის" ერთგული ვარ და ყოველთვის დავეხმარები ამ გუნდს, თუ მისი საქმეები ისე არ წავა, როგორც საჭიროა".

■

ჯანიჯამ პროფესიონალური კარიერა დაასრულა

ბუენოს-აირესის ერთ-ერთი რადიოარხისთვის მიცემულ ინტერვიუში 38 წლის კლაუდიო კანიჯამ განაცხადა, რომ დიდ ფეხბურთს ეთხოვება. არგენტინის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა კარიერა 20 წლის წინ, „რივერ პლეიტში" დაიწყო. თამაშის უჩვეულო მანერის გამო სამშობლოში მას „ფრინველი" უწოდეს. 1988 წელს კლაუდიო იტალიაში გადაბარგდა, სადაც 7 სეზონის განმავლობაში, „ვერონას", „ატლანტასა" და „რომას" ღირსებას იცავდა. საგულისხმოა ისიც, რომ მის ცოლს ძალიან მოეწონა რომში ცხოვრება, რის გამოც კლაუდიოს, არგენტინაში დაბრუნების საშუალება არ ეძლეოდა, თუმცა თავად, ყველაზე მეტად სწორედ სამშობლოში თამაში სურდა. 1993 წელს, ის დოპინგის მოხმარებაში ამხილეს და 13-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, მაგრამ უკვე 1994 წელს, აშშ-ში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა. მოგვიანებით, კანიჯა ბუენოს-აირესში დაბრუნდა და რამდენიმე სეზონის მანძილზე, დიეგო მარადონასთან ერთად „ბოკა ხუნიორსში" თამაშობდა. ამ პერიოდში მისი ცოლი იტალიაში ცხოვრობდა და თან, კატეგორიულად სთხოვდა მეუღლეს ევროპაში დაბრუნებას. „ბებერ კონტინენტს" კლაუდიო მართლაც, დაუბრუნდა, ოღონდ, აპენინის ნახევარკუნძულის ნაცვლად, შოტლანდიაში დაბინავდა და „გლაზგო რეინჯერსში" გააგრძელა თამაში. კანიჯა 2002 წლის მუნდიალზეც იმყოფებოდა, თუმცა, არგენტინის ეროვნული ნაკრები ისე დაბრუნდა სამხრეთ ამერიკაში, რომ ის მინდორზე არც ერთხელ არ გამოჩენილა. ბედის ირონია გახლდათ ისიც, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის ერთ-ერთ მატჩში, სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა ფორვარდმა მსაჯის მიმართ ნათქვამი უცენზურო ფრაზისთვის წითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა. ყველაზე უკეთ კი, კლაუდიომ თავისი გოლეადორული ნიჭი 1990 წლის მსოფლიო პირველობაზე გამოავლინა, რომელიც იტალიაში მიმდინარეობდა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიისა და არგენტინის მერვედფინალურ შეხვედრაში, მარადონას ფენომენალური პასის წყალობით, სწორედ კანიჯამ გაიტანა ერთადერთი გოლი და დროზე ადრე გაამგზავრა ყვითელმაისურიანები ოკეანის გაღმა.

■

დევიდი ჯენდოს ოსტატიც ყოფილა

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დევიდ ბექჰემს სულ უფრო ცოტა დრო რჩება ფეხბურთისთვის. ამჯერად იგი ცნობილი უალკოჰოლო სასმლის სარეკლამო ვიდეორგოლში მაყურებელს აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატის როლში მოევლინა. დევიდი კენდოს სავარჯიშო ხმლით (ბამბუკის ჯოხით) მოხდენილ მოძრაობებს აკეთებს, რითიც, როგორც ჩანს, ძალზე კმაყოფილია. ამბობენ, რომ სულ მალე, ინგლისელ ვარსკვლავს ფეხბურთსა და შოუბიზნესს შორის არჩევანის გაკეთება მოუწევს, რადგან „რეალის“ ახალმა

თავკაცმა, ვანდერლეი ლუქსემბურგომ მას კატეგორიულად აუკრძალა კინოში გადაღება. მიუხედავად ამისა, „სამეფო კლუბის“ ნახევარმცველმა მაინც გააფორმა ხელსაყრელი კონტრაქტი, ბრაზილიელი კი, მას საწვრთნელი რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში, საჯარიმო სანქციით ემუქრება. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, ბექჰემებს მესამე შვილი შეეძინათ. ■

რომარიო პლაჟზე ითამაშებს

პლაჟის ფეხბურთის ბრაზილიის კონფედერაციის მესვეურებმა რომარიოს, ქვეყნის ნაკრების ლიდერობა სთხოვეს, სპორტის ამ სახეობის პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც მაისში რიო-დე-ჟანეიროში შედგება. მარტში კი, ბრაზილია ტურნირის შესარჩევ ეტაპს უმასპინძლებს, რომელშიც ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის 8 ქვეყნის გუნდი მიიღებს მონაწილეობას. „რომარიოს ნაკრებში მიწვევა რამდენიმე მიზეზმა გადამაწყვეტინა, — ამბობს პლაჟის ფეხბურთელთა ბრაზილიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ჟორჟე ფერეირა ალვეში. — პირველ რიგში, ის ისეთი მოთამაშეა, რომელსაც კაცი ძნელად თუ მოძებნის; ამასთანავე, რომარიო ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში, რაც ჩვენს მატჩებზე მაყურებელთა მოზიდვას და სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს“. აღსანიშნავია, რომ თავად რომარიოს უყვარს ზღვის სანაპიროზე მეგობრებთან ერთად ფეხბურთის თამაში. ■

ეს რა ბავშვური ოინბაზობაა!

ხანდახან ფეხბურთელები ბავშვებივით იქცევიან, რის მაგალითადაც „სამპდორიისა“ და „ლაციოს“ ამასწინანდელი შეხვედრაც გამოდგება: ამ მატჩში რომაელთა სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა, ხოლო თავის გამოჩენის სურვილი ერთბაშად ორ მოთამაშეს — პაოლო დი კანიოსა და სიმონე ინძაგის გაუჩნდა. თავდაპირველად, ნიშნულთან ინძაგი მივიდა, მაგრამ დი კანიო წამსვე იქ გაჩნდა და მას ხელიდან ბურთი გამოსტაცა. ამის შემდეგ ფეხბურთელები მსუბუქად წაძიძგილავდნენ კიდეც, ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ თერთმეტმეტრიანი დარტყმა პაოლომ შეასრულა. ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი „ინტერისა“ და „რომას“ დაპირისპირებისას, როდესაც პენალტი მილანელთა სასარგებლოდ დაინიშნა. თუმცა, თავიანთი რომაელი კოლეგებისგან განსხვავებით, თეთრმეტმეტრიანი დარტყმის შემსრულებლის ვინაობა სინიშა მიხაილოვიჩმა და ადრიანომ უფრო მშვიდობიანად — თითების საშუალებით, ერთგვარი ბავშვური „კენჭისყრის“ — „ქვა, მაკრატელი, ქაღალდი“ — გამოყენებით გაარკვიეს. ერთი სიტყვით, ნიშნულთან ადრიანო მივიდა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. მოგვიანებით, მიხაილოვიჩმა ბრწყინვალედ შეასრულა ორი საჯარიმო დარტყმა და თავის გუნდს 2:0 მოაგებინა. „ადრიანოსთან რომ გამმართლებოდა, ხომ ჰეთთრიკს შევასრულებდი, — უკმაყოფილებას ვერ ფარავდა შეხვედრის შემდეგ სინიშა. — ჩვენ იმდენი კარგი ფეხბურთელი გვყავს, რომ მეორე საჯარიმოს შესრულების წინ, „ქვა, მაკრატელი, ქაღალდის“ თამაშმა უკვე ზე რობერტოსთან მომიწია“. სხვათა შორის, „ინტერის“ თავკაცი რობერტო მანჩინი არცთუ ისე აღუფრთოვანებია თავისი გუნდის მოთამაშეთა ოინბაზობას. „არა მგონია, რომ „ქვა, მაკრატელი, ქაღალდი“ საუკეთესო საშუალება იყოს იმ ფეხბურთელის გამოსავლენად, რომელმაც საჯარიმო ან თერთმეტმეტრიანი დარტყმა უნდა შეასრულოს“, — განაცხადა მილანელთა მთავარმა მწვრთნელმა.

■

ოსკარის ისტორია: ფავორიტები, სკანდალები, ფულისები...



27 თებერვალს, ამერიკის კინოაკადემია 77-ედ დაავჯილდოებს კინოს სამყაროს წარმომადგენლებს ყველაზე პრესტიჟული ჯილდოთი — „ოსკარის“ პრემიით.

„ოსკარის“ მოოქრული ქანდაკება კინემატოგრაფიის სფეროში ნებისმიერი მოღვაწის საოცნებო ჯილდოა, პრიზების გადაცემის ყოველწლიური ცერემონია კი, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ტელეშოუა მთელ მსოფლიოში.

უკანასკნელად, 2004 წლის საიუბილეო ცერემონიას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. ეჭვი იმის შესახებ, რომ „აკადემიკოსთათვის“ დაგზავნილი ახალი კინოფილმების ასლები „მეკობრეთა“ ხელში ხვდებოდა, კარგა ხანია, რაც არსებობს; 2004 წლის იანვარში კი გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ვიდეომეკობრეობისათვის ხელშეწყობის ბრალდებით კინოაკადემიის წევრი, მსახიობი კარმაინ კარიდი დაკავა. და საერთოდაც, „ოსკარების“ მთელი ისტორია ამავდროულად დიდძალი ფულისა და ხმაურიანი სკანდალების ისტორიაცაა.

ბიძია ოსკარი

პროფესიონალური პრემიის დაარსების იდეა ამერიკული კინოაკადემიის მესვეურთ (კინემატოგრაფიული ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია) 1927 წლის მაისში, ამ ორგანიზაციის დაარსებისთანავე გაუჩნდათ. იდეის ავტორთა მიზანი „კინოს კულტურული, საგანმანათლებლო და ტექნიკური სტანდარტების ამაღლება“ იყო. იმავე წელს 36 ახალგამომცხვარი „აკადემიკოსი“, აკადემიის პირველი პრეზიდენტის, მსახიობ დუგლას ფერბენკსის მეთაურობით, ლოს-ანჯელესის სასტუმრო Biltmore-ში შეიკრიბა. მათ გადაწყვიტეს, განსაკუთრებით გამორჩეული კოლეგები ყოველწლიურად დაეჯილდოებინათ. ამ შეკრებაზე სტუდია MGM-ს არტ-დირექტორმა სედრიკ გიბონსმა, ცნობილი ქანდაკების ჩანახატი შექმნა, რომელიც კინოფირის გორგოლაჭზე მდგომ, მახვილზე დაყრდნობილ რაინდს გამოხატავდა. ამ ესკიზის მიხედვით, მოქანდაკე ჯორჯ სტენლიმ ბრინჯაოს 37 სმ-იანი ქანდაკება ჩამოასხა და მარმარილოს პოსტამენტზე განათავსა. მარმარილო და ბრინჯაო მოგვიანებით თეთრმა პლასტიკატმა, შემდეგ კი, კალისა და ტყვიის (ბრიტანიუმი) მოოქრულმა შენადნობმა შეცვალა.

თავდაპირველად, ამ ქანდაკებას საკუთარი სახელი არ გააჩნდა და მას უბრალოდ აკადემიის პრემიას უწოდებდნენ. სახელწოდების – „ოსკარის“ წარმოშობის შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს. მათ შორის ყველაზე პოპულარულია ლეგენდა იმის შესახებ, რომ ბიბლიოთეკარმა მარგარეტ ჰერიკმა, რომელიც შემდგომ აკადემიის უცვლელი აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ, ესკიზის დანახვისთანავე წამოიძახა: – „ეს ხომ ზედგამოჭრილი ბიძია ოსკარია!“ ამ სიტყვებს კინოვარსკვლავ ბეტ დევისსაც მიაწერენ, რომლის პირველ ქმარს ოსკარი ერქვა და კიდევ ოსკარის მრავალ ნათესავსა თუ ახლობელს, რომელთა რაოდენობა ასეულს აჭარბებს.

„ოსკარი“ დიდი ხნის მანძილზე პრემიის მხოლოდ შინაურულ სახელად რჩებოდა. პრესაში ჯილდოს „ოსკარი“ მხოლოდ 1934 წელს უწოდეს. 5 წლის შემდეგ კი ეს სახელი „აკადემიკოსებმაც“ ოფიციალურად ცნეს. განვლილი 75 წლის მანძილზე 2500-მდე მოოქრული ფიგურა დამზადდა, რომელთა უმრავლესობამ თავისი მფლობელი იპოვა, რამდენიმე ეგზემპლარი კი უპატრონოდ დარჩა.

კინოაკადემიამ პირველი ლაურეატები ლოს-ანჯელესის სასტუმრო Hollywood Roosevelt-ის საკონფერენციო დარბაზში 1929 წლის 16 მაისს დაასახელა. ცერემონიაზე დასასწრები ბილეთის

ფილმმა „ქარწაღებულნი“ „ოსკარების“ პირველი რეკორდული რაოდენობა მიიღო

ფასი 10 დოლარი იყო. დარბაზში მყოფმა ორასორმოცდაათმა ადამიანმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ისინი ისტორიას ქმნიდნენ. ჯილდოების გადაცემის ცერემონია მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა და ადგილობრივი პრესისათვის სრულიად შეუმჩნეველი დარჩა... მაგრამ უკვე მომდევნო წელს დაჯილდოებისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ადგილობრივმა რადიოსადგურმა ერთსაათიანი პირდაპირი ტრანსლაცია წარმატებით ჩაატარა და ამის შემდგომ

ცერემონიის ორგანიზატორებს პრესის მხრიდან უყურადღებობაზე აღარასოდეს დაუჩივლიათ.

საინფორმაციო მხარდაჭერამ აკადემიკოსებს ახალი საფიქრალი გაუჩინა. პრობლემის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ინტრიგა შეენარჩუნებინათ და გამარჯვებულთა ვინაობა ცერემონიის დაწყებამდე საიდუმლოდ შეენახათ. თავდაპირველად, აკადემია კენჭისყრის შედეგებს ლოს-ანჯელესის წამყვან გაზეთებს ჩვეულებრივ, ცერემონიის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გადასცემდა ხოლმე. საღამოს გაზეთების გაყიდვა 11 საათზე ადრე არ იწყებოდა, ამ დროისათვის კი ცერემონია თითქმის დასრულებული იყო. ცენტრალური და აღმოსავლეთ შტატების მოსახლეობას უკვე ღრმა ძილით ეძინა და კენჭისყრის შედეგებს მხოლოდ მეორე დილით იგებდა. 1940 წლიდან კი გაზეთმა – The Los Angeles Time-მა საღამოს გამოშვების გაყიდვა უფრო ადრე დაიწყო და გამარჯვებულთა ვინაობა ნებისმიერმა მკითხველმა 9 სთ-ზე უკვე იცოდა. შოუს პირდაპირმა რადიოტრანსლაციამ ეშხი დაკარგა, რასაც აუდიტორიის დაკარგვაც მოჰყვა. ამიტომ, უკვე 1941 წელს კომპანია Pricewater-house-მა (შემდგომში Pricewaterhouse-Coopers) აკადემიის დაკვეთით კენჭისყრის პროცედურაზე კონტროლი დააწესა და დალუქული კონვერტების საყოველთაოდ ცნობილი სისტემა შეიმუშავა, რომელთა შინაარსი მხოლოდ ცერემონიის დროს ხდება ცნობილი. სწორედ ამ ეფექტური სისტემის დამსახურებაა, რომ კონვერტის საზეიმოდ გამოტანას, გახსნის გაჭიანურებულ პროცესს და წამყვანის მრავლისმეტყველ პაუზას დღეს მთელი მსოფლიო სუნთქვაშეკრული ადევნებს თვალყურს. „ოსკარების“ გადაცემის უკანასკნელი ცერემონია აშშ-ის 70-მა მილიონმა მცხოვრებმა და მსოფლიოს 90 ქვეყნის ნახევარმილიარდიანმა ტელეაუდიტორიამ იხილა.

დღესდღეობით „ოსკარის“ პრემიას ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია (ქანდაკების თვითღირებულება 250 დოლარია. ლაურეატები საზეიმო პირობას დებენ, რომ აშშ-ის ტერიტორიაზე პრიზს თავად კინოაკადემიის გარდა, არავის მიჰყიდიან), მაგრამ სინამდვილეში, ეს პრიზი მრავალი მილიონი დოლარი ღირს. სტუდიები ნომინაციაზე წარდგენილი ფილმების რეკლამისათვის დამატებით 500.000 დოლარს ხარჯავენ. „ოსკარი“ სარეკლამო სააგენტოებისა და ტელევიზიებისთვისაც ძვირად ფასობს, მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასი ის მაინც ოქროს ქანდაკების ბედნიერი მფლობელებისთვისაა, რადგან პრემიის მოპოვებისთანავე რეჟისორების, მსახიობების, ოპერატორების, კომპოზიტორების, პროდიუსერთა, მემონტაჟეთა და კინოწარმოებაში მომუშავე ნებისმიერი პროფესიონალის „საბაზრო ღირებულება“ წარმოუდგენლად იზრდება.

ამგვარი სტატუსის მოპოვებას დიდი დრო დასჭირდა. პირველ ცერემონიებს დღევანდელ გრანდიოზულ შოუსთან საერთო არაფერი ჰქონდა და მყუდრო კორპორაციულ ბანკეტებს უფრო წააგავდა. იმ დროს ხომ კინო სხვაგვარი იყო. 1929 წელს ერთ-ერთი პირველი ჯილდო კინოსტუდია Warner Brothers-მა 1927 წელს გადაღებული პირველი ხმოვანი ფილმისათვის – „ჯაზის მომღერალი“ მიიღო. ეს ფაქტი ბევრმა სიმბოლურად მიიჩნია: როგორც კი ხმა ამოიღო, კინემატოგრაფმა საკუთარ თავს მაშინვე პრემია დაუწესაო.

ყველა დროის „ოსკარი“

გასული საუკუნის 30-იან წლებში – იმ დროს, როდესაც ამერიკამ უდიდესი კრიზისი გადაიტანა, ევროპაში კი

დღეისათვის „ოსკაროსან“ რეკორდსმენ ფილმთა სამეული ასე გამოიყურება: „ბენ გური“ (მარცხნივ და ქვემოთ), „ტიტანიკი“ (50-ე გვერდზე ქვემოთ) და „ბეჭდების მბრძანებელი“ — მესამე ნაწილი (50-ე გვერდზე, ზედა ფოტო). კინომოღვაწეთა შორის კი დიდი უპირატესობით უოლტ დისნეი (ზემოთ) ლიდერობს.

დენთის სუნი დატრიალდა – ამერიკულ კინოს მძიმე დღეები დაუდგა. უკან დარჩა ურთულესი წლები, როდესაც უმსხვილესი სტუდიების ხელმძღვანელებს ორ ფრონტზე უწევდათ ბრძოლა. ისინი ერთი მხრივ ჰოლივუდში ახალაღმოცენებულ პროფკავშირებს ებრძოდნენ, მეორე მხრივ – კი ე.წ. „ჰეისის კოდექსს“, რომელიც რელიგიური ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად მიიღეს. კოდექსის გარშემო „მორალური უმრავლესობა“ დაირაზმა და ფაქტობრივად, ცენზურის განხორციელება იკისრა.

მიუხედავად ამისა, 30-იანი წლების დასასრული ამერიკელთა აზრით, ყველა დროის საუკეთესო ფილმის „ქარწაღებულნის“ გამოსვლით აღინიშნა, რომელმაც „ოსკარების“ ისტორიაში პირველი რეკორდი დაამყარა. 1939 წელს სურათი „ოსკარის“ 13 ნომინაციაზე წარადგინეს და აქედან 8 ნომინაციაში გაიმარჯვა. დღეისათვის ორივე რეკორდი უკვე მოხსნილია, მაგრამ „ოსკარების“ ამგვარი მოსავალი ახლაც შთამბეჭდავად გამოიყურება.

„ქარწაღებულნის“ შემდეგ, კიდევ 7 ფილმი იყო წარდგენილი 13 ნომინაციაზე. 2 სურათი – „ყველაფერი ევას შესახებ“ (1950) და „ტიტანიკი“ (1997) – 14 ნომინაციაზე. „ოსკრების“ რეკორდული რაოდენობა – 11 პრიზი – სამმა ფილმმა მოიპოვა. ესენია: – „ბენ გური“ (1959), „ტიტანიკი“ (1997) და „ბეჭდების მბრძანებელი“ – მესამე ფილმი (2004).

30-იან წლებში კინოსტუდიებმა „ოსკარზე“ გამიზნული „პრესტიჟული“ კინოსურათების გამოშვება დაიწყეს. ეს იყო სრულმასშტაბიანი სარეკლამო კამპანიითა და სტუდიის ყველა რეზერვის გამოყენებით გადაღებული, ცნობილი მწერლების სცენარების მიხედვით შექმნილი მსხვილბიუჯეტიანი ფილმები ძვირად ღირებული დეკორაციებით, სპეცეფექტებით და რაღა თქმა უნდა, კინოვარსკვლავთა მონაწილეობით, რადგან ამერიკული კინოს შემოსავლის უდიდესი ნაწილი სწორედ მათი დამსახურებაა. ამგვარი ხარჯების გაღება მხოლოდ ჰოლივუდის „დიდი ხუთეულის“ შემადგენელ სტუდიებს – Paramount Pictures-ს, MGM-ს, Warner Brothers-ს, RKO-სა და 20th Century Fox-ს შეეძლოთ. პოტენციური „ოსკაროსანი“ ფილმის შექმნაში მთავარი როლი რეჟისორის ნაცვლად, უკვე პროდიუსერს ეკისრებოდა.

40-იან წლებში „ოსკარის“ ტრიუმფული სვლა მეორე მსოფლიო ომმაც კი ვერ შეაჩერა. ბუნებრივია, რომ ამ წლებში პრემიის მთავარი პრეცედენტები სოციალური ყოფის ამსახველი ფილმები იქნებოდა, მაგრამ ჯილდოს მისაღებად სულაც არ იყო აუცილებელი, რომ სურათი უთუოდ ანტიფაშისტური ყოფილიყო. ასე მაგალითად, 1940 წელს ჩარლი ჩაპლინის „დიდი დიქტატორი“ 2 ნომინაციაზე იყო წარდგენილი, მაგრამ პრემიის გარეშე დარჩა (იმ წელს მთავარი პრიზი სტეინბეკის რომანის მიხედვით შექმნილმა ფილმმა – „მრისხანების მტევნები“ მიიღო. „ყველა დროის საუკეთესი ფილმის“ კიდევ ერთმა პრეტენდენტმა, ორსონ უელსის სურათმა – „მოქალაქე კეინი“, რომელიც 9 ნომინაციაზე იყო წარდგენილი, მხოლოდ ერთი „ოსკარი“ მიიღო საუკეთესო სცენარისათვის. მაშინ, როდესაც აპოლიტიკური უოლტ დისნეი „ოსკარების“ უხვ მოსავალს იმკიდა. საბოლოოდ მან, როგორც სტუდიის მფლობელმა, „ოსკარების“ უნიკალური კოლექცია – 29 მოოქრული ფიგურა – შეაგროვა. მისი ფილმები სხვადასხვა ნომინაციაში 64-ჯერ იყო წარდგენილი, რაც „ოსკრების“ ისტორიაში კიდევ ერთი რეკორდია.

1952 წელს დაჯილდოების საზეიმო ცერემონია პირველად გადაიცა ტელევიზიით, რამაც „ოსკარსა“ და მთლიანად ამერიკულ კინოინდუსტრიას ახალი სიცოცხლე შთაბერა: იმ ფაქტს, რომ 1952 წლის საუკეთესო ფილმად სესილ დე მილის – ფილმი „მსოფლიოს უდიდესი შოუ“ აღიარეს, ბევრი სიმბოლურად თვლიდა. სკეპტიკოსთა მოსაზრების მიუხედავად, რომლებიც ტელევიზიას „კინოს მესაფლავედ“ მიიჩნევდნენ, ტელევიზიამ კინო ვერ განდევნა. პირიქით – ახალმა საინფორმაციო საშუალებამ კინოინდუსტრიას მძლავრი სარეკლამო მხარდაჭერა აღმოუჩინა, რაც პირველ რიგში, მოოქრულ ქანდაკებათა გადაცემის ცერემონიის ტელეტრანსლაციაში გამოიხატა.



50-იანი წლების კიდევ ერთი მონაპოვარი ახალი ნომინაცია – „პრიზი საუკეთესო უცხოური (არაინგლისურენოვანი) ფილმისათვის“ იყო, რომლის პირველი ლაურეატი ფედერიკო ფელინის კინოსურათი – „გზა“ გახდა. ეს ათწლეული მდიდრული ისტორიული ფილმების ტრიუმფით დასრულდა, რომელთა შორის ყველაზე ცნობილმა სურათმა – „ბენ გურმა“ 12 ნომინაციიდან 11 „ოსკარი“ მოიპოვა.

მელვარე 60-იანმა წლებმა ეკრანებზე ახალი მოდა მოიტანა. კინოაკადემიის პრიზის მოსაპოვებლად ტიპური ჰოლივუდური ბლოკბასტერების მხარდამხარ წარმატებით იბრძოდა დროის სულისკვეთების გამომხატველი კამერული კინოც, რომელთა უმრავლესობა სწორედ „დიდი ხუთეულის“ წიაღში შეიქმნა. 1966 წელს საუკეთესო მხატვრული ფილმის წოდების მოსაპოვებლად კინემატოგრაფიის 3 უდავო შედეგრი იბრძოდა. ესენია: მიქელანჯელო ანტონიონის „ბლოუ-აფ“ (ინგლისი), მაიკლ ნიკოლსის „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?“ და ფრედ ცინერმანის „ყველა დროის ადამიანი“ (ინგლისი), რომელმაც საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც (რობერტ ბოლტის პიესის მიხედვით გადაღებული ფილმი „უტოპიის“ ავტორის, თომას მორის შესახებ მოგვითხრობს).

დასასრული შემდეგ ნომერში

GM-ის ტექნოლოგიური სიმფონია

ამერიკულმა კორპორაციამ – General Motors – კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „საკუთარ სახლში“ არავის დაუთმობს პოზიციებს, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საქმეში. ამის მკაფიო მაგალითია კონცეპტუალური მოდელი – GM Sequel. ეს ავტომობილი სრულამძრავიანია და გარეგნულად რამდენადმე მოგვაგონებს Volkswagen Touareg-ს. მაგრამ მოწინავე ტექნიკურ მიღწევათა თვალსაზრისით, ამ ჯერჯერობით ექსპერიმენტულ მანქანას ბადალი არ ჰყავს. პირველი ის გახლავთ, რომ Sequel-ის ელექტროძრავებს ენერგია წყალბადის მეშვეობით მიეწოდება. მთელი შუქოპტიკა თხევადკრისტალებიანია. რაც შეეხება სალონს – აქ

ნამდვილ რევოლუციასთან გვაქვს საქმე: კონსტრუქტორების ძალისხმევით, საერთოდ არ ჩანს ტრადიციული ცენტრალური კონსოლი, რომელიც უკანაა გადაწეული. ამის შედეგად, ხელსაწყოებზე ასახული მაჩვენებლები არა მარტო მძღოლის, არამედ უკანა სავარძელზე მსხდომი მგზავრებისთვისაცაა ხელმისაწვდომი. კონდიციონერისა და აუდიოსისტემის სამართავი ბლოკები, კარებზე განთავსებულ სამკლავურებშია ჩამონტაჟებული. თვით სამკლავურები სილიკონის ნარევისგანაა დამზადებული და ავტონომიური განათებით აღჭურვილი. ანალოგიური სილიკონური ჩანართები ახლავს თან საბარგულის ძირსაც. ტრადიციული საჭე თავისუფალია ყოველგვარი მექანიკური შეერთებისგან. ბორბლებზე ფიზიკური ზემოქმედების ნაცვლად, მას ელექტრონული სიგნალი გადაეცემა (ტექნოლოგიის სახელწოდებაა By-Wire). ამავე პრინციპით მოქმედებს „გაზისა“ და მუხრუჭის პედლები.

თუმცა ამ მანქანის ძარა (სიგრძე – 4,994 მ) ალუმინისგანაა დამზადებული, მისი მასა არცთუ ისე მცირეა – 2170 კგ. ეს ტექნიკური „საკაზმით“ აიხსნება. მაგრამ მაინც, 100 კმ/სთ სიჩქარეს Sequel 10 წმ-ზე ნაკლებ დროში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 145 კმ/სთ-ია. ერთჯერადი გამართვა 480 კმ გარბენს ჰყოფნის. წყალბადით დატუმბული 3 ცეცხლგამძლე კონტეინერი ავტომობილის იატაკის ქვეშაა მოთავსებული. ■

ჰიბრიდულძრავიანი Mercedes

კორპორაციამ – DaimlerChrysler ამ ცოტა ხნის წინ გამართულ დეტროიტის ავტოსალონზე ახალი – S კლასის ჰიბრიდულძრავიანი „მერსედესი“ წარმოადგინა. 8-ცილინდრიანი დიზელისა და 2 ელექტროძრავათი აღჭურვილი ამ წარმომადგენლობითი ავტომობილის ჯამური სიმძლავრე 300 ცხ.ძ-ს შეადგენს. მანქანა 7-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. აკუმულატორები საბარგულშია მოთავსებული. 100 კმ/სთ სიჩქარეს ახალი „მერსედესი“ 7,6 წმ-ში ავითარებს, 100 კმ გარბენზე 7 ლ საწვავს ხარჯავს.

აღნიშნული სამოდელო რიგის ფლაგმანის ოფიციალური პრემიერა წლევანდელ შემოდგომაზე, ფრანკფურტის ავტოსალონზე შედგება. შემდეგ, ეს მანქანა სერიულ წარმოებაში ჩაეშვება და ცოტა ხანში, დილერებს მიაწვდიან. პირველად ბაზარზე გამოჩნდება ვერსიები: S 350 (6 ცილინდრი, 272 ცხ.ძ.) და S 500 (8 ცილინდრი, 380 ცხ.ძ.). 2006 წლის დამლევისთვის, მათ შეემატება S 450 (325 ცხ.ძ.), ამავე წლის შემოდგომაზე კი – 12-ცილინდრიანი S 600. გათვალისწინებულია აგრეთვე, სატიუნინგო მოდიფიკაციების – S 55-ის და S 65-ის, აგრეთვე სრულამძრავიანი ვერსიის – 4Matic გამოშვება, რომლებსაც ცნობილი ფირმა – AMG შეიმუშავებს. დიზელისძრავიანი მოდიფიკაციების სიმძლავრე, 224 ცხ.ძ. (320 CDI) და 314 ცხ.ძ. (V8 CDI) იქნება. კომპანიის საწარმოო გეგმაშია კიდევ ორი მოდელი – კუპე SL და CDI-ის მოწინავე, 12-ცილინდრიანი ვერსია. ავტომწარმოებელთა დაპირების თანახმად, ახალი SL კლასი ყველაზე უსაფრთხო იქნება. ის აღჭურვილი იქნება სისტემით – Presafe II, რომლის ძირითად ელემენტს ღამის ხედვის ხელსაწყო შეადგენს. ამ სისტემის წყალობით, მანქანა მძღოლის ჩაურევლად ამუხრუჭებს, როგორც კი გზაზე ადამიანის სილუეტი გამოჩნდება. ■

სტუდიიდან გაქცევის მცდელობა, სასურველი მამაკაცის ტიპი და "საქმროს" თაყვანისმცემელთა დამშვიდების ხერხი

სულაც არ გამკვირვებია, როდესაც შევიტყვე — პირველი არხის საინფორმაციო პროგრამის წამყვანი, ბელა გიორგაძე ქორწილისთვის ემზადებაო. გადავწყვიტე, გამერკვია — რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს გავრცელებული ცნობა და თუ რეალური იყო, ვის გაბედნიერებას აპირებდა ბელა... ინტერვიუსთვის დავუკავშირდი, შემდეგ შინ ვესტუმრე. ბუნებრივია, არც პროფესიონალური ცხოვრება დაგვრჩა ყურადღების მიღმა...

მარი Хაფარიძე

— მას შემდეგ, რაც პარლამენტმა მიიღო კანონი საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნის შესახებ, „პირველ არხზე" დაიწყო რეფორმა. ნელ-ნელა გადავდივართ ახალ ფორმატზე. განხორციელდა ბევრი ახალი პროექტი. შეიცვალა აგრეთვე, საინფორმაციო პროგრამის ფორმატი, სტუდია და მუშაობის სტილი. გაჩნდა საინფორმაციო გამოშვებები ეროვნული უმცირესობების ენებზე. ვფიქრობ, საზოგადოებრივი ტელევიზია მალე მიიღებს დასრულებულ სახეს. საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადიდ, აქცენტი სოციალურ საკითხებზე კეთდება. ვცდილობთ, სიუჟეტი გაკეთდეს იმ პრობლემებზე, რომლებიც ხალხს აწუხებს. ჩვენთან ჩამოსული იყვნენ ბი-ბი-სის ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობდნენ „პირველი არხის", საზოგადოებრივ ტელევიზიად გარდაქმნის პროცესში. სწორედ მათი რეკომენდაცია იყო, რომ აქცენტი სოციალურ პრობლემატიკაზე გადაგვეტანა.

— წლების განმავლობაში ერთგულობ „პირველ არხს" და ზოგიერთი სხვა ჟურნალისტივით, ტელევიზიიდან ტელევიზიაში არ „მოგზაურობ"...

— სხვათა შორის, რამდენიმე ხნის წინ, საკმაოდ სერიოზული ტელეკომპანიისგან მივიღე შემოთავაზება, მაგრამ უარი ვთქვი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ვინანე ჩემი გადაწყვეტილების გამო, მაგრამ ახლა, ნამდვილად აღარ ვნანობ: ტელევიზიაში მიმდინარე რეფორმებში მონაწილეობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

— წინათ, კორესპონდენტად გვევლინებოდი. წამყვანად მუშაობა შენი სურვილი იყო?

— ნაწილობრივ — ჩემი, ნაწილობრივ — ხელმძღვანელობის. თუმცა, კორესპონდენტობაზე იოლი არც წამყვანის ამპლუაა. პირველად ეთერში რომ უნდა გავსულიყავი, ძალზე შემეშინდა. მთელი ტექპერსონალი, რეჟისორები და ჟურნალისტები მამხნევებდნენ — აბა, შენ იცი, აბა, შენ იცი!.. საინფორმაციოს დაწყებამდე, ეკრანზე ჩნდებოდა საათი, მერე მიდიოდა გადაცემის „ქუდი"... საათის წიკწიკის ხმა რომ გავიგონე, სკამიდან წამოვდექი, დავიწყე მიკროფონის მოხსნა და თან თვალებით გასასვლელს ვეძებდი... მესმის ყვირილის ხმა — რას აკეთებ?! სად მიდიხარ?! ეთერში ხარო!.. წარმოგიდგენიათ? ისე შემეშინდა, რომ სტუდიიდან გავდიოდი... მაშინ ჩვენთან მუშაობდა ზაალ უდუმაშვილი — თავისი საქმის პროფესიონალი და არაჩვეულებრივი ადამიანი. შიგნით, სტუდიაში იდგა ჩემს გასამხნევებლად და ახლაც მახსოვს, მისი გაოცებული გამოხედვა, როცა მე სტუდიიდან გასვლა დავაპირე... მაშინ ეს ყველაფერი ჩემთვის კოშმარი იყო, ახლა უკვე კურიოზია. ყველაფერს შეჩვევა უნდა, მაგრამ ახლაც ძალზე ვღელავ ყოველი ეთერის წინ.

— ცხელი წერტილიდან თუ გაგიკეთებია რეპორტაჟი?

— არა, ცხელ წერტილში არასოდეს მიმუშავია, რადგან ასეთ შემთხვევებში, ტელევიზიის ხელმძღვანელობა აქცენტს მამაკაც ჟურნალისტებზე აკეთებდა ხოლმე.

— სურვილი ხომ არ გაგჩენია, რომ რეზერვისტად წასულიყავი?

— რეზერვისტად ვერ წავალ, უბრალო მიზეზის გამო — ვერ შევძლებ, ვერ გავუძლებ იმ დატვირთვას, რომელიც მათ აქვთ. არ მიყვარს იარაღთან ურთიერთობა. არც დილით ადრე ადგომაზე ვგიჟდები, არც 8 კილომეტრის სირბილი მხიბლავს, ქარში, თოვლსა და სიცივეში. აღარაფერს ვამბობ ბუქნებზე. თუმცა, ძალზე აღფრთოვანებული ვარ იმ ქალბატონებით, ვინც თავიანთი სურვილით მიდის ჯარში. მივესალმები მათ ვაჟკაცობას და ვეცდები, შეძლებისდაგვარად გავუწიო პროპაგანდა.

— ყველა ჟურნალისტისთვის სავალდებულო რომ გახდეს ოსიაურში წასვლა, მაშინ რას იზამ? სადაც ყველა, შენც იქ?

— თუ ასეთი აუცილებელი და სავალდებულო გახდება რეზერვისტობა და ამის გამო, სამსახურის დაკარგვის საშიშროების წინაშე დავდგები, ავდგები და გავთხოვდები. ოჯახს შევქმნი და ჟურნალისტობას თავს დავანებებ. პატრულ ქალბატონებსაც უზომოდ ვცემ პატივს, მაგრამ ჩემი პროფესია მირჩევნია. ომი, ბრძოლა და იარაღი, ჩემი საქმე არ გახლავთ, რადგან ბუნებით ძალზე მშვიდი ვარ.

— ახლა მოდაშია ისეთი კონტრაქტები, სადაც არსებობს პუნქტი, რომლის მიხედვითაც, რამდენიმე წლით გათხოვება იკრძალება. ასეთი კონტრაქტი რომ შემოეთავაზებინათ შენთვის, რამდენწლიან მორატორიუმზე დასთანხმდებოდი?

— თუ ის საქმე ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება და საჭიროდ ჩავთვლი მსხვეპრლის გაღებას, 1-2 წელზე დავთანხმდები. მეტი არ მინდა.

...სხვათა შორის, იმის შემდეგ, გელამ ცოლი მოიყვანა და ქორწილი სულ ახლახან – 23 იანვარს ჰქონდა

— ჩვენს ჟურნალში „სა-პატარძლოს“ ამპლუაში იყავი და მაშინ ამბობდი — ოჯახის შექმნას რომ გადავწყვეტ, აუცილებლად ჩემს ძმას — გელას დავეკითხებიო. მაშინ გელამაც ბევრი გამოხმაურება მიიღო მკითხველებისგან. ახლაც იმავე აზრის ხარ?

– სხვათა შორის, იმის შემდეგ, გელამ ცოლი მოიყვანა და ქორწილი სულ ახლახან – 23 იანვარს ჰქონდა. მათ დიდი ხანია, ერთმანეთი უყვარდათ და ძალზე ლამაზი ურთიერთობაც ჰქონდათ, რაც ასევე ლამაზად დაგვირგვინდა. ახლა, სამსახურის შემდეგ, სულ შინ მოვიჩქარი, რადგან რძალი მელოდება. ქორწილში ყველა მეუბნებოდა – ახლა შენი დრო დადგა, გათხოვებაზე იფიქრეო. მეც მინდა, ლამაზ სიყვარულზე აგებული ოჯახი მქონდეს. ყველაზე დიდი მოვალეობა ქალისთვის ის გახლავთ, რომ იყოს კარგი მეუღლე და დედა. თუ ოჯახს შევქმნი და არჩევანის წინაშე დავდგები – დიასახლისობა თუ სამსახური, – ძალზე იოლად დავთმობ სამსახურს და არჩევანს ოჯახის სასარგებლოდ გავაკეთებ.

— ამბობენ, ბელა თხოვდებაო. მართალია?

– არა, ეს ჭორია. ამ ეტაპზე, ნამდვილად არ ვაპირებ გათხოვებას. ეს ამბავი ჩემს ყურამდეც მოვიდა, მაგრამ გარწმუნებთ, არანაირი საფუძველი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე. მომავალში რა იქნება, არავინ იცის. არ მინდა, დავასახელო ის ადამიანი, ვისზეც ჩემთან დაკავშირებით ჭორაობენ, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ მისი თაყვანისმცემელი ქალბატონები მირეკავენ ხოლმე და მეკითხებიან – ბელა ხართ? მასზე მართლა თხოვდებითო?.. რომ ვპასუხობ – არა-მეთქი, – მშვიდდებიან...

— როგორ მამაკაცს ისურვებდი მეუღლედ?

– საქმიანს. ისეთს, ვინც ნაკლებს ლაპარაკობს და მეტ საქმეს აკეთებს. კაცი თავისი სიტყვის პატრონი უნდა იყოს.

— გელას ქორწილში პატარძლის თაიგულის დაჭერა არ გიცდია?..

– არა, რადგან ასეთი რაღაცების არ მჯერა. თუმცა ვაღიარებ, რომ რამდენჯერმე დამიჭერია პატარძლის თაიგული. მაგრამ ხომ ხედავ – არ ამართლებს და ისევ გასათხოვარი ვარ.

— როგორ ფიქრობ — „რთული“ ადამიანი ხარ?

– მე რომ მკითხო, სულაც არა ვარ „რთული“. მაგრამ მეგობრები საპირისპიროს ამბობენ. თუმცა, იმასაც აღიარებენ, რომ ამავე დროს, ძალზე საყვარელი ვარ.

— მოდი, ისევ შენს პროფესიას დავუბრუნდეთ. გაიხსენე ყველაზე საინტერესო რესპონდენტი.

– უყოყმანოდ გეტყვი, რომ ერთერთი ყველაზე გამორჩეული რესპონდენტი ზურაბ ჟვანია გახლდათ. ყველა რესპონდენტი თავისებურად საინტერესოა. რადგან კითხვებს უსვამ, ე.ი. მისგან კონკრეტულ პასუხებს ელი. რამდენად კარგად გაართმევს თავს, ეს მის უნარზეა დამოკიდებული. ბატონი ზურაბი ძალზე საინტერესო მოსაუბრე გახლდათ. მის ნაუბარს დამონტაჟებაც კი არ სჭირდებოდა... სამწუხაროდ, ახლა სიუჟეტების მომზადება აღარ მიწევს. ამიტომ არ ვიცი, ახალი მთავრობის წევრები როგორი რესპონდენტები არიან. მაგრამ ჩემი კოლეგებისგან გამიგონია, რომ კახა ბენდუქიძე ძალზე საინტერესო რესპონდენტი და არაორდინარული პიროვნებაა. ამავეს ამბობენ ენერგეტიკის მინისტრზე ნიკა გილაურზეც – საკმაოდ მხიარული ყმაწვილი ყოფილა. კიდევ აღვნიშნავდი ყოფილ პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს. მას ძალზე კარგი იუმორის გრძნობა აქვს და მოზომილი ადამიანია. რამდენჯერმე ვახლდი ბატონ ედუარდს უცხოეთში ვიზიტისას. ჟურნალისტები თვითმფრინავში ცალკე სალონში ვიყავით ხოლმე. ვიზიტის მსვლელობისას, მას შეკითხვებით არ ვაწუხებდით, რადგან ვიცოდით, რომ თვითმფრინავში ჩვენთან შემოვიდოდა, მინიბრიფინგს ჩაატარებდა და ჩვენს შეკითხვებს პასუხს გასცემდა. თუმცა, საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტის დროს, გაცილებით კმაყოფილი ვბრუნდებოდი ხოლმე, რადგან შედარებით მეტი თავისუფალი დრო გვქონდა და ვასწრებდით ქალაქის დათვალიერებას. პრეზიდენტს კი, ყოველი წუთი დათვლილი ჰქონდა და გარეთ ცხვირის გაყოფასაც ვერ ვახერხებდით ხოლმე.

— რამდენადაც მახსოვს, „მეორე არხის“ საინფორმაციო სამსახურში დაიწყე საქმიანობა.

– დიახ, ნამდვილად ასეა. მაშინ „მეორე არხის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი და „ტაიმ-აუტის“ წამყვანი გახლდათ ნატო ონიანი. იმ პერიოდში, ორივე გადაცემა საკმაოდ მაღალრეიტინგული გახლდათ. ყოფილა შემთხვევა, როცა პრესკონფერენციის დაწყება იმის გამო დაგვიანებულა, რომ „მეორე არხის“ ჟურნალისტი ჯერ არ იყო მისული. გვირეკავდნენ ხოლმე – სად ხართ, რატომ აგვიანებთ, უთქვენოდ არ ვიწყებთო. ძალზე მეამაყებოდა. თანაც, მაშინ ასაკითაც პატარა გახლდით, მუშაობაც ახალი დაწყებული მქონდა და ვფიქრობ, იმ წლებმა ჩემს ჟურნალისტად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა.

ბელა გიორგაძე (მარცხნივ): თუ ასეთი აუცილებელი და საჭიროებულო გახდება რეზერვისგობა და ამის გამო, სამსახურის დაკარგვის საშიშროების წინაშე დავდგები, ავდგები და გავთხოვდები...

ამ რუბრიკაში, ბუნებრივია, გამოცდილ თამადებს ვიწვევთ ხოლმე. ამჯერად კი, სრულიად განსხვავებულ პერსონაჟს — 8 წლის გიორგი გაჩეჩილაძეს წარმოგიდგენთ. კარგი მომლხენისა და თამადის შონზოს (ზურა გაჩეჩილაძის) შვილს, პატარა გიორგის, თამადობის პირველი გაკვეთილებიც აქვს მიღებული, საკუთარი ძალებიც მოუსინჯავს (ცხადია, თავისი მეგობრების წრეში) და ჭამა-სმის დიდად მოყვარულიც გახლავთ...

„პატარა შონზო“ თამადობით შეუვარებულს თავს აწონებს

ეკა მინდაძე

— გიორგი, შენი აზრით, როგორი უნდა იყოს თამადა?

— თამადამ ბევრი სადღეგრძელო უნდა იცოდეს. გარდა ამისა, მას უნდა შეეძლოს სუფრის დალოცვაც.

— მეგობრებმა იციან, რომ კარგი თამადა ხარ?

— დიახ *(იცინის)*. ჩემს მეგობრებში ყოველთვის მე ვარ თამადა. რომ არ ამირჩიონ, ყველას ვცემ...

— გიყვარს თამადობა?

— დიახ. მე იმდენად მომწონს თამადობა, რომ თუ სუფრაზე პირველი არ ვარ, იმ სუფრიდან მალე მოვდივარ.

— სასმელებიდან, ღვინის გარდა, რა გაგისინჯავს?

— ღვინის გარდა, დამილევია შამპანურიც. აი, არაყი ჯერ არ გამისინჯავს, იმიტომ, რომ არ მასმევენ. სულ იმას მეუბნებიან — შენთვის ჯერ არ შეიძლებაო.

— მაინც რამდენბავშვიან სუფრაზე გითამადია?

— ვყოფილვარ 10-ბავშვიანი სუფრის თამადაც. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე 5-კაციანი სუფრა მე წავიყვანე.

— შენს დაბადების დღეზე ვინ არის ხოლმე თამადა?

— ჩემს დაბადების დღეზე, ვინაიდან მაგიდები ცალ-ცალკე არის გაშლილი, მე არ ვთამადობ. რომ იყოს ერთიანი, გრძელი მაგიდა გაშლილი, ალბათ, თამადა მე ვიქნებოდი.

— სუფრაზე რომელი ჭიქით გიყვარს დალევა?

— ძალიან მიყვარს ლამაზი ჭიქით დალევა, მაგრამ დედაჩემი არ მაძლევს ამის უფლებას, მეუბნება — გატეხავო. ჩემი აზრით, ჭიქას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ლამაზი ჭიქით იტყვი, სადღეგრძელოც ლამაზი გამოვა.

— მამიკო როგორი თამადა არის?

— ძალიან კარგი. ისიც თავის მეგობრებში ყოველთვის უცვლელი თამადაა. მეც არაერთხელ მომისმენია მისი თამადობისთვის. როცა ის მეგობრებთან ერთად პიკნიკზე მიდიოდა, ყოველთვის თან დავყვებოდი. მამიკოს ძალიან გრძელი სადღეგრძელოები უყვარს. ერთხელ 10-წუთიანი სადღეგრძელო თქვა.

— ბევრს სვამს?

— დიახ, ძალიან ბევრს სვამს.

— გიყვარს, მამიკო რომ ნასვამი ბრუნდება შინ?

— არა. იმიტომ, რომ ბევრს მაწვალებს. ბევრჯერ მიტირია კიდეც! ერთხელ ჯოხიანი კანფეტი მეჭირა ხელში, მან კი ისე გამომტაცა ხელიდან, რომ თითი კინაღამ მომტეხა.

— თუ აწონებ თავს სუფრაზე კარგი თამადობით შენს შეყვარებულს?

— დიახ. ერთხელ მქონდა შემთხვევა, რომ ჩემს ნათამადებ სუფრას ის გოგო ესწრებოდა, რომელიც მეც მიყვარს.

დიდი შონზო და პაგარა შონზო

— მოეწონე, როგორც თამადა?

— რა ვიცი, მგონი კი.

— როგორია შენი შეყვარებული? საერთოდ, როგორი გოგონები მოგწონს?

— არ ვიტყვი, იმიტომ რომ დამცინებენ. ერთადერთი შემიძლია გავამხილო — ის, რომ მას ქერა თმა აქვს.

— კერძებიდან გამორჩეულად რომელი გიყვარს?

— ძალიან მიყვარს მწვადი და ქაბაბი. ვგიჟდები ხახვმოყრილი ღორის ხორცის მწვადზე, ოღონდ — მაყალზე შემწვარზე. კიდევ მიყვარს შემწვარი კარტოფილი და ხორცის სალათა. ხილიდან გამოვარჩევ ნესვს და ატამს. სასმელებიდან კი — „ფანტა“, „პეპსი“ და „სპრაიტი“ მიყვარს. საერთოდ, მიყვარს გემრიელი საჭმელები, მაგრამ ჩემი წონის გამო, ხშირად დიეტაზე ვარ. განსაკუთრებით დედა მიშლის ბევრის ჭამას. საღამოს 7 საათის შემდეგ კი, ვაშლის გარდა, არაფერი მეჭმება.

— თუ ეხმარები ხოლმე მშობლებს ამა თუ იმ კერძის მომზადებაში?

— დიახ. ძალიან მიყვარს მამასთან ერთად მაყალზე მწვადის შეწვა.

— ქეიფის დროს, ბავშვები სასაცილო სიტუაციაში ხშირად აღმოჩენილხართ?

— კი. მახსოვს, ერთხელ, ჩემი ძმაკაცის დაბადების დღეზე, სუფრაზე ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა ფეხზე ადგომისას, ჩემ წინ დადგმულ ჭიქას, სადაც ალუბლის წვენი ესხა, ხელი გაჰკრა და წვენი სულ მე გადამესხა. ამის გამო, მე გიჟივით დავუწყე ყვირილი. მაგრამ რამდენიმე წუთში, სიბრაზემ საერთოდ გამიარა. მე ხომ სუფრაზე ვიყავი და ამიტომაც არ მაქვს უფლება, ჩემ გამო სხვასაც ჩავუშხამო დროს ტარება. ■



ტელეჟურნალისტ ნანუკა ჟორჟოლიანს პაემნებზე სიარული არ უყვარს. თუ ვინმე შეუყვარდა, შეუძლია ეს პირველმა გაამხილოს. ნანუკამ თხუთმეტი წლის ასაკში გაბედული ნაბიჯი გადადგა და გათხოვდა. თუმცა, მისი ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. დანარჩენს კი თავად მისი ნაამბობიდან შეიტყობთ.

1.400 ლარის დამჭკნარი ყვავილები და კიდევ... 160 ლარის ყვავილების ვალი

მერი კობიამვილი

— ნანუკა, იქნებ, სიყვარულისთვის ახსნა მოგეძებნა...

— მისი განმარტება ორი სიტყვითაც შემიძლია — ნდობა და კარგი ურთიერთობა.

— ერთი ნახვით შეყვარებისა გჯერა?

— მგონი, ნამდვილი სიყვარული ასე იწყება. თავიდან ქალსა და მამაკაცს შორის გარკვეული ველი იქმნება. დანარჩენი კი შემდეგ ურთიერთობებზეა დამოკიდებული.

— შენ თუ შეგყვარებია ბიჭი ერთი ნახვით?

— მე ყოველთვის ასე მიყვარდება ხოლმე. მაგრამ რატომღაც ყველა მათგან ცუდი დასასრული ჰქონდა. ალბათ ამას ჩემი სამსახურიც განაპირობებს. სულ რომ იდეალური ოჯახური ურთიერთობა მქონდეს, ღამის თორმეტ საათზე რომ დამირეკავენ სამსახურიდან და მეტყვიან, ხუთი დღე უნდა გახვიდე ქალაქიდანო, რომელი კაცი მოითმენს? თუმცა ყველაფერს ჩემს სამსახურს ვერ დავაბრალებ. პრობლემა ჩემს ხასიათშიც არის.

— ძალიან რთული ხასიათი გაქვს?

— ჩემნაირ ადამიანთან სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება რთულია. მიღებული სტერეოტიპები ჩემთვის დანგრეულია. შემიძლია, პირველმა ვუთხრა მამაკაცს, რომ მიყვარს. ქალურობა ჩემში ნაკლები დოზითაა. როცა მამაკაცი ხედავს, რომ ქალი აქტიური და ლიდერია, შიში ეუფლება. თან ყველაფერთან ერთად, მე ძალიან თბილი ვარ. საყვარელ ადამიანს შეიძლება დღეში 100-ჯერ დავურეკო და მოვიკითხო. ალბათ ეს დამღლელიცაა. ამ ყველაფრის მიუხედავად, მე არ ვფიქრობ, რომ ჩემში რაიმე უნდა შევცვალო. ჩემნაირ გიჟს აუცილებლად ვიპოვი, ანუ ისეთს, ვისაც ჩემი არც სითბო მოჰბეზრდება და არც ლიდერის ხასიათი. ერთი სიტყვით, გიჟს ვეძებ *(იცინის)*.

— შენი წარსული სასიყვარულო ამბების შესახებ მოგვიყევი.

— პირველად, ჩემი მარიამის მამა ნიკა გეგუჩაძე შემიყვარდა. თოთხმეტი წლის ვიყავი, ნიკა რომ გავიცანი. ძალიან მომეწონა. 15 წლის ასაკში ამიხსნა სიყვარული. ერთ საღამოს მეგობრები შევიკრიბეთ. გარეთ საშინლად წვიმდა. მახსოვს, ყველანი ფანჯრიდან ვიყურებოდით, ნიკას მოსვლა რომ არ გამოგვპარვოდა. გულში საშინლად ვბრაზობდი, რომ იგვიანებდა. როცა გამოჩნდა, შევნიშნეთ, რომ უბეში რაღაცას მალავდა. ოთახში გალუმპული შემოვიდა. მე კი მშრალი იები მომართვა. იმ საღამოს ამიხსნა სიყვარული. იმ დღეებში დედაჩემი თბილისში არ იყო. დავურეკე, ჩქარა ჩამოდი, რაღაც ამბავი უნდა გიამბო-მეთქი. გულგახეთქილი ჩამოვიდა. მაშინვე ვუთხარი, სიყვარული ამიხსნესმეთქი. მახსოვს, ამას რომ ვამბობდი, სულ წითელი ვიყავი. არავის რჩევას ყური არ ვათხოვე და თხუთმეტი წლის გავთხოვდი.

— ასეთი პატარა რომ გათხოვდი, მშობლები არ შეგეწინააღმდეგნენ?

— ნიკა ოჯახში ყველას მოსწონდა. მაგრამ თავისთავად, ჩემი ასაკის გამო მირჩევდნენ, რამდენიმე წელი მოგვეცადა. ჩემი გათხოვება განსაკუთრებით მტკივნეულად მამაჩემმა აღიქვა, მაგრამ ბოლოს ყველა შეეგუა.

— ოჯახის დანგრევის მიზეზი რა გახდა?

— ოჯახისთვის ორივე ძალიან პატარები ვიყავით. ერთმანეთი გვიყვარდა და ვფიქრობდით, რომ ყველა პრობლემას მოვაგვარებდით. ქალიშვილი მეზრდება. თუ მეტყვის, ბიჭი მიყვარს, მასთან ბედნიერად ვგრძნობ თავს და უნდა გავთხოვდეო, ვურჩევ, ეს ნაბიჯი არ გადადგას. უნდობლობის გრძნობა გამიჩნდა.

— მამაკაცებს რატომ არ ენდობი?

— მე, პირველ რიგში, საკუთარ თავს არ ვენდობი. ჩემი აზრით, ცხოვრების რაღაც ეტაპი მარტომ უნდა გაიაროს. მეორე ნახევარი კარიერის შექმნაში ხელს აუცილებლად შეგიშლის. დარწმუნებული ვარ, ნიკა დღეს ჩემი მეუღლე რომ ყოფილიყო, ჩემი ცხოვრების რეჟიმს ვერ გაუძლებდა, ოჯახის დანგრევის მიზეზად კი ჩემი სამსახური დასახელდებოდა. მართალია, ევროპელებად ვითვლებით, მაგრამ მამაკაცების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქალს წინსაფარი უნდა ეკეთოს, სამზარეულოში უნდა იტრიალოს და სახლში მტვერი წმინდოს. ამიტომ ქალს თუ ჩვეულებრივ ცხოვრება უნდა, გარკვეული ეტაპები მარტომ უნდა გაიაროს.

— მეორედ გათხოვებას აღარ გეგმავ?

— ალბათ, მეორედ მაშინ გავთხოვდები, როცა ჟურნალისტობა მომბეზრდება.

— ჟურნალისტობა რომ არ მოგბეზრდეს?

— ჩემი ხასიათი კარგად ვიცი. ერთი და იგივე საქმე სამ წელიწადზე მეტხანს არ მიკეთებია.

— „რუსთავი 2“-ში რამდენი წელია, რაც მუშაობ?

— ორი.

— ეი. ერთი წლის მერე, გათხოვებაზე ფიქრი უკვე შეგეძლება.

— ამ ლოგიკით რომ ვიმსჯელოთ კი. მაგრამ ახლა კატასტროფულად არ მინდა, რომ ქმარი მყავდეს. დიდი პროფესიული გეგმები მაქვს. სექტემბერში იურიდიულზე ვაპირებ ჩაბარებას. დიდი გოგო რომ გავიზრდები და კაბინეტური სამსახური მექნება, გათხოვებაზე მაშინ

პირველად, ჩემი მარიამის მამა ნიკა გეგუჩაძე რომ შემიყვარდა, თოთხმეტი წლის ვიყავი

ვიფიქრებ.

— როგორ მამაკაცს ისურვებდი შენ გვერდით?

— მინდა, რომ ჩემზე ვაჟკაცი იყოს. არ მიყვარს სტანდარტული ტიპის ხალხი: საღამოს სახლში განსაზღვრულ დროს რომ მოდიან, პლედს რომ იფარებენ და გაზეთს რომ კითხულობენ. ასეთი მამაკაცები ჩემს სიმპათიას ვერ მოიპოვებენ.

— შენი რესპონდენტი თუ მოგწონებია ოდესმე?

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სიმპათიური რესპონდენტი მყოლია, არც ერთი მათგანი არ შემყვარებია.

— მათი მხრიდან თუ გიგრძნია სიმპათია? რომელიმე მათგანთან პაემანზე თუ ყოფილხარ?

— რესპონდენტებისგან კომპლიმენტი მიმიღია. ზოგს სამჯერაც გაუმეორებია, მაგრამ ეს სასიყვარულო ურთიერთობაში ნამდვილად არ გადაზრდილა. ერთსაც ვიტყვოდი, ჩვენი ტელეკომპანიის ჟურნალისტს ვინც მუშაობის პროცესში ნახავს, არა მგონია, მასთან სასიყვარულო ურთიერთობების დამყარება მოუნდეს.

— რომანტიკული საჩუქარი თუ გაუკეთებია შენთვის ვინმეს?

— ერთი თაყვანისმცემელი მყავდა. ერთ დღეს, უამრავი ყვავილი მომიტანა. მეხუთე სართულზე ვცხოვრობ. სადარბაზო, მესამე სართულიდან დაწყებული, ყვავილებით იყო სავსე. ყველა ლარნაკში ყვავილები ეწყო. მამაჩემი გინებით იღვიძებდა. სახლი აყროლებულიაო, ამბობდა. ოთხი-ხუთი დღის მერე, მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურაში დამიბარეს. სანამ იქ მივიდოდი, ტვინი ვიჭყლიტე იმაზე ფიქრით, თუ რა სიუჟეტის გამო მიბარებდნენ პროკურატურაში. იქ მისულს გამომიცხადეს, ყაჩაღობის თანამონაწილე ხართო. თურმე ნუ იტყვით და, ჩემს თაყვანისმცემელს კოლმეურნეობის მოედანზე შეუძენია ყვავილები. 1.400 ლარი კი გადაუხდია, მაგრამ 160 ლარის ყვავილები ვალად წამოუღია. მე კი ყაჩაღობის თანამონაწილედ ვითვლებოდი, რადგან უკვე დამჭკნარი ყვავილები ჩემს სახლში ინახებოდა. რასაკვირველია, იმ ბიჭმა ყველაფერი მოაგვრა.

— ასეთი საჩუქრის შემდეგ, მის მიმართ გრძნობა თუ გაგიჩნდა?

— ასეთი თავგანწირვა ჩემი ობიექტური ჩვენებით დაუფასდა. მასთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს.

— შენ იმ ჟურნალისტთა შორის ხარ, ვინც უკრაინის რევოლუციას აშუქებდნენ. იქ თუ გაგიჩნდა თაყვანისმცემელი?

— კიევში კეთილგანწყობას გამოხატავდნენ ჩემი ეროვნების მიმართ, თუმცა პერსონალური კომპლიმენტები არ მიმიღია.

— მოდი, იმ გოგონებს ურჩიე რამე, ვინც პირველად აპირებს პაემანზე წასვლას.

— პირადად მე, გაპრანჭულ ადამიანებს ვერ ვიტან. ამიტომ ვურჩევდი პაემანზე წასვლის წინ, ძალიან ნუ გაიპრანჭებიან. ყველაფერს ბუნებრიობა სჯობს. კიდევ ერთ რამეს ვურჩევდი გოგონებს: თუ ვინმე შეუყვარდებათ, ჩვენში გამეფებული სტერეოტიპებს ყურადღებას ნუ მიაქცევენ და პირველები გამოუტყდნენ ბიჭებს სიყვარულში.

— სიყვარულისთვის დრო გრჩება?

— რა თქმა უნდა, ისევე როგორც ყველა ჩემს თანამშრომელს.

— ანუ შეყვარებული გყავს?

— კი, ოღონდ, ვერ გაგიმხელთ, ვინ არის.

— უძლებს შენს რეჟიმს?

— ხან კი, ხან — ვერა. თუმცა ისიც ძალიან დატვირთულია.

— შენი რჩეული ჟურნალისტია?

— ეგღა მაკლია, ჟურნალისტი მიყვარდეს. ოჯახში ორ ჟურნალისტს რა გაუძლებს? თან ჩვენთან ყველას უკვე ოჯახი აქვს ან შეყვარებული ჰყავს. სხვა ტელეკომპანიაში მომუშავეს კი ვერ შევიყვარებ. კონკურენტი მეგობარიც არ მყავს. ჩემი შეყვარებული ჩემი სამსახურის გამო პროტესტს არ გამოთქვამს. მასზე იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან ჭკვიანი და პროგრესული ადამიანია. ■

საბერძნეთიდან დაბრუნებული ლექს-სენი და ბიგ თიკო

თავად მომღერლების თქმით, ქართული შოუბიზნესი დღეს მკვდარია, მაგრამ ისინი აქტიურად მუშაობენ ახალ სიმღერებსა და ალბომებზე, უბრალოდ, ახლა კლიპების პრეზენტაციები „მოდაში აღარ არის“...

რეპერი ლექს-სენი სულ სტუდიაშია ჩაკეტილი და ახალ სიმღერებს წერს. ის და ბიგ თიკო ახლახან დაბრუნდნენ საბერძნეთიდან, სადაც ქალაქ სალონიკში კონცერტი გამართეს. მათი თქმით, კონცერტმა წარმატებით ჩაიარა, ახლა კი, ლექს-სენი ახალ — მესამე ალბომზე მუშაობს, რომელშიც 10 სიმღერა შევა. მათ შორის, მხოლოდ ერთი დუეტია, რომელსაც ლექსო თავის ძმასთან, მინდოზასთან ერთად ასრულებს. ახალი სიმღერებიდან ერთ-ერთზე, რეპერი კლიპსაც გადაიღებს, თუმცა ამისთვის კონკრეტულად რომელ სიმღერას შეარჩევს, ჯერ გაურკვეველია. ■

ნინისა და თაკოს ჰიტმული სიმღერა

ბავშვობის მეგობრები ნინი ბადურაშვილი და თაკო გაჩეჩილაძე კიდევ ერთ დუეტზე მუშაობენ. სიმღერის ავტორები, ლევან ჩიჩუა და რეპერი ძვალი არიან. როგორც მომღერლები ამბობენ, აღნიშნული სიმღერა ნაკლებად მელოდიური, თუმცა ძალიან რიტმულია. თუ როგორ შეაფასებს მათ მორიგ დუეტს მსმენელი, ამას მოგვიანებით შევიტყობთ. სიმღერაზე კლიპის გადაღებაც იგეგმება, რომლის რეჟისორიც ლაშა ცერიაშვილი იქნება. ■

გიგა მიქაბერიძის ანიმაციური ჯიპი

მომღერალმა გიგა მიქაბერიძემ, რომელიც ბოლო დროს, დიდი აქტიურობით არ გამოირჩევა, ჩაწერა ახალი სიმღერა – „შენთვის ვმღერი მე ამდენს“. მასზე ახალი ანიმაციური კლიპის გადაღება მიმდინარეობს. კლიპის მხატვარ-ანიმატორი, ზაურ შენგელიაა, ხოლო იდეა მომღერლის პროდიუსერს, მამუკა ღლონტს ეკუთვნის. ამჟამად, გიგა ასრულებს მუშაობას თავის მესამე სოლო ალბომზე, რომელშიც არც ერთი დუეტი არ იქნება. ალბომში შესული სიმღერების ტექსტები და არანჟირებები თავად მომღერალს ეკუთვნის. კლიპს გიგას ფანები სულ მალე იხილავენ ტელეეთერში, ხოლო ალბომის გამოსვლა ზაფხულისთვის არის დაგეგმილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ მომღერალი და მისი პროდიუსერი სოლო კონცერტის გამართვასაც აპირებენ, თუ როდის – ამას მოგვიანებით შევიტყობთ. ■

ნახმატება მოსკოვში და დაბრუნება „იუმორინაში"

ცნობილი პაროდისტი ლევან შენგელია უკვე თვეზე მეტია მოსკოვში საქმიანობს. როგორც გაირკვა, იგი ტარიელ ონიანის ძმის რესტორანში მუშაობს. მას იქ ყოველ საღამოს, საკუთარი მრავალმხრივი ნიჭის გამოსავლენად, გარკვეულ დროს უთმობენ. როგორც შევიტყვეთ, იქაური ქართველები ლევანის შემოქმედებით აღფრთოვანებულები არიან და ყოველ საღამოს რესტორანში მის მოსასმენად მიდიან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 27 თებერვალს, პაროდისტი სამშობლოში დაბრუნდება, რადგან პირველი მარტიდან, „იუმორინის“ რეპეტიციები იწყება, სადაც ლევანი ერთ-ერთი მთავარი გმირი იქნება. თუ სად განაგრძობს იგი თავის კარიერას კონცერტების შემდეგ, ამას თავად ლევანის ჩამოსვლის შემდეგ შევიტყობთ. ■

„მზიური ველის სერენადა" ნორჩი მომღერლის შესრულებით

გასულ კვირას ერთ-ერთ კლუბში პატარა მომღერლის თათია სანიკიძის სიმღერის პრეზენტაცია გაიმართა. ეს არის ოფიციანტების ცნობილი სიმღერა კინოფილმიდან „მზიური ველის სერენადა“. აღნიშნულ სიმღერაზე კლიპის გადაღებაც იგეგმება, თუმცა ვინ იქნება რეჟისორი, ეს ჯერჯერობით გაურკვეველია. აქვე აღვნიშნავთ, რომ თათია ყოფილი „ბასტიბუბუელია.“ ახლა კი მისი პედაგოგი, ქალბატონი მანანა მორჩილაძე გახლავთ. ნორჩი მომღერალი აგრძელებს მუშაობას ახალ სიმღერებზე, რომლებსაც სულ მალე მოვისმენთ. ■

111 მედალი – 32 ქართველი ოლიმპიელის მონაგარი



ჩვენი ქვეყნის სპორტული წარსულის ყველაზე საამაყო ფაქტების ამსახველი მასალა საქართველოს ოლიმპიურ მუზეუმშია თავმოყრილი. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ოლიმპიური მედლების ასლები, სპორტული სამოსი, რითიც ჩვენი თანამემამულეები საერთაშორისო თამაშებზე ასპარეზობდნენ და ყველა ამ მოვლენის ამსახველი კადრები ფოტომუზეუმში ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა განთავსებული. გარდა ამისა, მუზეუმში ბევრ სხვა საინტერესო ნივთსაც იხილავთ — მაგალითად, ძველი ქართული თხილამურების ფორმა გაგაოცებთ, რომლებსაც დასაყრდენი ჯოხების ნაცვლად სახელურები აქვს. საინტერესოა ასევე ჯვალოს ნაჭრისგან შეკერილი, კრივის ხელთათმანები, რომელთაც ქართველი მოკრივეები მე-19 საუკუნეში იყენებდნენ და რაც მთავარია, ულამაზესი ქვებით გაწყობილი სამკაული, რომელიც იაპონიის იმპერატორს ქართველი ფეხბურთელისთვის, კახა კაჭარავასთვის უსახსოვრია.

ემა ტუხიაშვილი

დავით კინწურაშვილი, *საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი:*

– 1989 წელს, როდესაც საქართველოში ოლიმპიური კომიტეტი დაარსდა, გადავწყვიტეთ, რომ ერთად მოგვეყარა თავი ყველა იმ მასალისთვის, რომელიც ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის მონაწილეობას ასახავდა. მართალია, სპორტული მუზეუმი სპორტის სასახლეში გაცილებით ადრე არსებობდა, მაგრამ ჩვენ გვსურდა, რომ ოლიმპიური მიღწევები ცალკე წარმოგვეჩინა. მხოლოდ 1991-92 წლებში მოახერხა ქალაქის მუნიციპალტეტმა, რომ მუზეუმისთვის შენობა გამოენახა და ის ადგილი დაგვითმო, სადაც მანამდე ინდკერვის საწარმოები იყო განთავსებული. მოგეხსენებათ, რომ ოლიმპიური კომიტეტი ყოველთვის ღარიბი ორგანიზაცია იყო, ამიტომ კიდევ ერთი საზრუნავი, შენობის რემონტისთვის საჭირო თანხების მოძიება იყო. დახმარებისთვის საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მივმართეთ. ამ კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი სამარანჩი თავად ჩამობრძანდა თბილისში 1992 წელს და დახმარებაც აღგვითქვა. სწორედ მისი დახმარებით მოეწყო საქართველოს ოლიმპიური მუზეუმი და ამის შესახებ ყველა დამთვალიერებელს მუზეუმის შესასვლელთან ჩამოკიდებული აბრა ამცნობს. ოფიციალურად მუზეუმი მხოლოდ 1995 წლის პირველ სექტემბერს გავხსენით და საზეიმო ცერემონიას საერთაშორისო ოლიმპიური ასოციაციის ხელმძღვანელი ჟან როგი ესწრებოდა. დაარსებიდან დღემდე, ტრადიციად გვაქვს დამკვიდრებული, რომ სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრებამდე, საზეიმო ვითარებაში მუზეუმში ფიცს დებენ, რომ სამშობლოს საამაყოდ ბოლომდე იბრძოლებენ, რასაც შემდეგ საკუთარი ხელმოწერით ადასტურებენ.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებლები, პარიზი, სორბონის უნივერსიტეტი, 1894 წ.

— ვიდრე ოლიმპიური მუზეუმი შეიქმნებოდა, ქართველებს უკვე მრავალი ოლიმპიური ჯილდო ჰქონდათ მოპოვებული. როგორ აგროვებდით მუზეუმისთვის საჭირო ნივთებს, ფოტოებს და ა.შ.?

– მასალების შესაგროვებლად თითქმის 2 წელი დაგვჭირდა. დიდი დახმარება თავად ოლიმპიელებმა გაგვიწიეს, სახლიდან მოჰქონდათ ჯილდოები, სიგელები, ფოტოები და სამოსი, რომლითაც ამა თუ იმ თამაშზე გამოდიოდნენ. ძალიან დაგვეხმარა მუზეუმის შექმნაში გაზეთ „ლელოს“ არქივში არსებული მასალა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა კი, ამ ორგანიზაციის შექმნის ამსახველი მასალები გამოგვიგზავნა.

— ყოფილი საბჭოთა კავშირი თუ მონაწილეობდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბების პროცესში?

– საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 1894 წელს პარიზში სორბონის უნივერსიტეტში დაარსდა, მაგრამ არც რუსეთს და არც საბჭოთა კავშირს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა 1952 წლამდე არ მიუღია. შესაბამისად, არც ოლიმპიური კომიტეტის წევრ სახელმწიფოდ ითვლებოდა, თუმცა რუსეთს საკუთარი წარმომადგენელი – გენერალი ალექსეი ბუტოვსკი – საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მაინც ჰყავდა. საბჭოთა ხელმძღვანელობა ოლიმპიურ თამაშებს ბურჟუაზიულ გადმონაშთად მიიჩნევდა. 1948 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც ლონდონში იმართებოდა, საბჭოთა კავშირმა კიდევ ერთხელ მიიღო მიწვევა. გადაწყვეტილების მიღებამდე,



პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი: დავით ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა)

პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი – მზია ჯუღელი (სპორტული ტანვარჯიში)

სპორტული დამსახურების ხელმძღვანელობა სტალინს დაეკითხა, მან კი გარანტიები მოითხოვა: ომი მოვიგეთ და ოლიმპიადიდანაც გამარჯვებულები დავბრუნდებითო? მართალია იმ დროს, საბჭოთა კავშირს კარგი სპორტსმენები ჰყავდა და მიღწეული შედეგებით მსოფლიო რეკორდსმენები იყვნენ, მაგრამ საერთაშორისო ასპარეზზე მათ არავინ იცნობდა. ჩვენი თანამემამულე ნინო დუმბაძე თავისი შედეგებით, მსოფლიო რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში ჯერ კიდევ 1938 წელს იყო, მაგრამ მსოფლიომ ეს მხოლოდ 1949 წელს აღიარა, როდესაც კიდევ ერთხელ გაიმეორა წლების წინ მიღწეული რეკორდი. 1951 წელს საბჭოთა კავშირმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში გაწევრების გადაწყვეტილება მიიღო და 1952 წელს ჰელსინკიში მე-15 ოლიმპიურ თამაშებზე თავისი სპორტსმენები გაგზავნა, რომელთაგან 16 ქართველი იყო. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები კი დავით ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა), რაფაელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა) და მზია ჯუღელი (სპორტული ტანვარჯიში) გახდნენ. ამის შემდეგ, საქართველოს წარმომადგენლები ყველა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდნენ და საბჭოთა კავშირის სახელით მოასპარეზე გუნდში 10-დან 18-მდე ქართველი ყოველთვის იყო. არადა, 14 რესპუბლიკის წარმომადგენელს უნდა გასჯიბრებოდი, ნაკრებში ადგილი რომ მოგეპოვებინა, მაგრამ რუსები თავიანთ ხალხს უფრო წყალობდნენ. საუკეთესო რუს სპორტსმენზე ერთი თავით უკეთესი მაინც უნდა ყოფილიყავი, ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის უფლება რომ მოგეპოვებინა.

— ყველაზე კარგი შედეგები რომელ ოლიმპიადაზე უჩვენეს ქართველებმა?

– ეს გახლდათ 6 ოქროს მედალი, რომელიც ჩვენმა თანამემამულეებმა 1972 წელს მიუნხენში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვეს.

— გენეტიკური, ტრადიციული თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ესა თუ ის ერი ალბათ, განსაკუთრებით ძლიერი იყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ქართველებს ყველაზე უკეთ რა გამოგვდიოდა?

– ქართველი კაცისთვის არ არსებობს სპორტის სახეობა, რომელსაც ვერ დაეუფლება, იქნება ეს საპარაშუტო სპორტი თუ აფრონსობა, მთავარია, მას გასაქანი მისცე. ტრადიციულად კი, ყველაზე ძლიერები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში ვართ. ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი, რომ ომიდან დაბრუნებული ვაჟკაცები, ძალების აღდგენას ერთმანეთთან ჭიდაობით ცდილობდნენ. შემიძლია, კუთხურობის თვალსაზრისით დავყო სპორტის ამა თუ იმ სახეობისაკენ მიდრეკილება. მაგალითად, კახელები და რაჭველები ყოველთვის კარგი მოჭიდავეები იყვნენ, მეგრელები და გურულები – კარგი მორბენლები და ფეხბურთელები, სვანები კი – საუკეთესო მთამსვლელები. ცოტა ხნის წინ, ჩემთან ორი წარმოსადეგი ახალგაზრდა ყმაწვილი მოვიდა, როგორც მითხრეს, კახეთიდან, ქვემო ალვანიდან იყვნენ, ზვიადაურებიც სწორედ იმ სოფლიდან არიან. კახელი ბიჭები ჩინური ტანვარჯიშის სპეციალისტებს ეძებდნენ, რადგან სპორტის ამ სახეობის საფუძვლიანად შესწავლა სურდათ. გადავირიე კაცი: კახეთი „ძიუდოს სამშობლოა“ და ამ ჩინურმა ტანვარჯიშმა რატომ დაგაინტერესათ-მეთქი.

— ცოტა ხნის წინ, პრეზიდენტმა საქართველოში კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი დააბრუნა...

– თუ სპორტის განვითარებისთვის სასიკეთო ძვრები არ განხორციელდა, სპორტსმენების ქვეყნიდან მიგრაციის პროცესი კვლავ გაგრძელდება. 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის კახიაშვილი უკვე 39 წლის იქნება. გამოდის, რომ თავისი საუკეთესო წლები კახიმ სხვა ქვეყნის სახელით უკვე იასპარეზა. არც იმის თქმა შემიძლია, რომ საქართველოში ყოფნისას კახიაშვილს ხელშეწყობა არ ჰქონია. ბიზნესმენების დახმარებით ჩემს კაბინეტში პირადად გადავეცი კახი კახიაშვილს 10.000 დოლარი, რომ თბილისში ბინა ეყიდა, მაგრამ მხოლოდ ბინა მისი სპორტული კარიერისთვის საკმარისი არ იყო. კახიაშვილმა შემდეგ ეს ბინაც გაყიდა და მაინც წავიდა საბერძნეთში. აბსოლუტურად ყველა სპორტული ბაზა სავალალო მდგომარეობაშია. მართალია, ქალაქის სპორტის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მთავრობისგან სპორტის განვითარებისთვის საჭირო თანხებს მიიღებს, თუმცა ამ ეტაპზე ჯერ სასიკეთო არაფერი გაკეთებულა. რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით იმ 75 ტატამს, რომელიც პრეზიდენტის მეცადინეობით უცხოეთიდან ჩამოიტანეს.

— სულ რამდენი ოლიმპიური ჩემპიონი გვყავს ქართველებს?

– პირადად მე, ორი სახის სტატისტიკას ვაწარმოებ. ოფიციალური მონაცემებით, ქართველებს 32 ოლიმპიური ჩემპიონი გვყავს, თუმცა სხვადასხვა ქვეყნის სახელით ოლიმპიური ჩემპიონობა კიდევ 10 ქართველ სპორტსმენს აქვს მოპოვებული. საერთო ჯამში კი ეს არის 111 ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი. ■

ამ კომიტეტის თავმჯდომარე ბაგონი სამარანჩი (მარჯვნიდან მესამე) თავად ჩამობრძანდა თბილისში 1992 წელს და დახმარებაც აღგვითქვა

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(28 თებერვალი - 6 მარტი)

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: თუ ჭკვიანურად არ მოიქცევით, ამ კვირაში, შეიძლება კარიერაში წინსვლის საკმაოდ მნიშვნელოვანი შესაძლებლობა გამოგეცალოთ ხელიდან. ოჯახის წევრებს თქვენს პრობლემებს თავზე ნუ მოახვევთ.

მამაკაცი: პირად ურთიერთობებში სირთულეები გაგიჩნდებათ. მათ თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული სიფხიზლე გმართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინანსური პრობლემებიც შეგექმნებათ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: უსახსრობას არ უჩივით, კვირის ბოლოს კი, სიურპრიზი გელით. სასიყვარულო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოხდება, მაგრამ არც ამჟამინდელი მდგომარეობით ხართ უკმაყოფილო.

მამაკაცი: საქმეები ისე გაანაწილეთ, რომ კვირის დასაწყისში მეტი დატვირთვა გქონდეთ. თუ წარსულის შეცდომებს გაითვალისწინებთ, დიდ უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ქალი: ადრე დაწყებული საქმე ამ კვირაში დამთავრდება და კარგ შემოსავალსაც მოგიტანთ. თავი შეიკავეთ საზიარო თანხების ხარჯვისაგან და გაუფრთხილდით ოჯახის ბიუჯეტს.

მამაკაცი: საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან არაჩვეულებრივი წარმატებით სარგებლობთ და წინ რომანტიკული თავგადასავალიც გელით. შეიძინეთ სუნამო, რომელიც საზეიმო განწყობილებას შეეფერება.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: სასიყვარულო ფრონტზე ურთიერთობის გამწვავებაა მოსალოდნელი. ამ კვირას, პრაქტიკულად უფულოდ ატარებთ და თქვენი ყველა უსიამოვნების მთავარი მიზეზიც სწორედ ესაა.

მამაკაცი: გასაკეთებელი საქმეების ნუსხა უნდა ჩამოწეროთ და თანმიმდევრულად შეუდგეთ მის შესრულებას. ამ კვირაში, შეიძლება ძველმა სიყვარულმა შეგახსენოთ თავი.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: საქმეებში მეგობრები და ოჯახის წევრები გეხმარებიან. შესაძლოა, ეს დახმარება საქმიანი კონტაქტების დამყარებაში გამოიხატოს. იყავით მაქსიმალურად მობილიზებული და წარმატებაც არ დააყოვნებს.

მამაკაცი: ოჯახის წევრები სანერვიულოს არ გაკლებენ და მათთან ურთიერთობისას დიდი მოთმინება და რკინის ნერვები გჭირდებათ. მდგომარეობა მალე გამოსწორდება და თქვენს ცხოვრებაში ყველაფერი უკეთესობისკენ შემობრუნდება.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ნებისმიერ საქმეში დიდი ყურადღება გამოიჩინეთ. ვარსკვლავები აქტიურობას არ გირჩევენ. მოერიდეთ ჭარბი რაოდენობით კოსმეტიკური საშუალებების გამოყენებას: თქვენთვის სასურველ მამაკაცს ბუნებრიობა ყველაზე დიდ ღირსებად მიაჩნია.

მამაკაცი: ყურადღებით იყავით – რატომღაც ყველა, თქვენს მოტყუებას ცდილობს. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა კოლეგებთან. დაეხმარეთ ახლობლებს. ერიდეთ სიბნელეს და მარტოობას. პირად ცხოვრებაში მოსალოდნელია სასიამოვნო სიახლე.

მამაკაცი: მოულოდნელად მიიღებთ ფულს. ერიდეთ მაქინაციებს, სარისკო და სავაჭრო საქმეებს. არ გაგიმართლებთ კარტის თამაშისას. სამაგიეროდ, ადვილად მოხიბლავთ მანდილოსნებს.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: სამსახურში პრობლემები გელით, თუ სიფიცხეს გამოიჩენთ და კარგად არ გაერკვევით, რას მოითხოვენ თქვენგან, ამიტომ შექმნილი მდგომარეობის ობიექტურად შეფასებას შეეცადეთ.

მამაკაცი: ვარსკვლავები უმეტესი დროის ოჯახურ გარემოში გატარებას გირჩევენ. ნუ დაიშურებთ ენერგიას სახლის ინტერიერის კეთილმოწყობისთვის, შეიძინეთ ფლოსტები და დატკბით ოჯახური სიმყუდროვით.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: პრობლემები, რომელიც აღარ გახსოვდათ, კვლავ შეგახსენებთ თავს. გამოიჩინეთ სიფრთხილე და ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ. ერიდეთ კონფლიქტებს და აგრესიულ ქმედებებს. არ დაგეგმოთ მეგობრებთან შეხვედრები.

მამაკაცი: ახალი წინადადება, რომელსაც ძველი მეგობარი შემოგთავაზებთ, სარფიანი აღმოჩნდება. ნუ დაკარგავთ დროს, იმოქმედეთ და წარმატებაც არ დააყოვნებს.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: საინტერესო გარემოში მოხვდებით და კარგადაც გაერთობით. მიეცით თავს უფლება, მოიქცეთ ისე, როგორც გული გიკარნახებთ – ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ყვავივით 200 წელი ხომ არ ცოცხლობს?!

მამაკაცი: ყველა საქმე მოიცდის – დროა, დასვენებაზე იფიქროთ. შორეულ ადგილას გამგზავრებას თუ გადაწყვეტთ, მეგზურად აუცილებლად ქერა ქალი აირჩიეთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ცხოვრება სასიამოვნო სიურპრიზს გიმზადებთ. იყავით მზად ახალი ცხოვრების დასაწყებად. გადაწყვიტეთ, რა გჭირდებათ სრული ბედნიერებისათვის და იმოქმედეთ. იღბალი თქვენ მხარესაა.

მამაკაცი: დაისვენეთ და იფიქრეთ საკუთარ სიამოვნებაზე, მაგრამ საოჯახო ბიუჯეტის შევსებაზეც იზრუნეთ. კვირის ბოლო დღეებში, შეეხმიანეთ მეგობრებს. ნუ დაიშურებთ კომპლიმენტებს მანდილოსნებთან ურთიერთობისას.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: თავი დაანებეთ სარკასტულ შენიშვნებს და მწარე კომენტარებს. გააკონტროლეთ ემოციები და დაიფასეთ ოჯახის წევრების მოთმინება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას რაღაც იცვლება – მეტი სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინეთ.

მამაკაცი: ამ კვირაში, პირნათლად უნდა შეასრულოთ თქვენი მოვალეობები – საჭირო გეზიდან ნებისმიერი გადახვევა ან სამსახურის გაცდენა, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაგიჯდეთ.



37-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ა.

ანეკდოტები

***

რუსი დედა ქალიშვილს გათხოვების წინ ჭკუას არიგებს:

— შვილო, არასოდეს დაუწყო მამაკაცს კამათი... მაშინვე ისტერიკა მოუწყვე!

***

„ახალი ქართველი“ ნაშასთან ერთად წევს.

— ძვირფასო, მე შენგან ბიჭი მინდა.

— რაზეა ბაზარი?! ხვალ შენთან ბიჭი მოვა და გეტყვის, რომ ჩემგანაა.

***

ბიზნესმენის ვაჟს მასწავლებელი ეკითხება:

— ვასიკო, ცარიელი ადგილები რატომ გაქვს გამოტოვებული საკონტროლო ნაწერში?

— მასწ, ეს რეკლამისთვისაა!

***

ახალბედა გინეკოლოგი პირველ მშობიარობაზეა. როცა ყველაფერი დასრულდა, პროფესორს აზრი ჰკითხა. იმას გაღიმა:

— დასაწყისისთვის ძალიანაც კარგია ყველაფერი, კოლ-ლეგა, ოღონდ, დაიმახსოვრეთ, რომ უკანალზე ბავშვს უნდა დაუტყაპუნოთ და არა დედას...

***

— ჩემო კარგო, ამიერიდან ჩვენ ძვირფას ბინაში ვიცხოვრებთ.

— ბინას ვყიდულობთ?

— არა, ქირას გვიორმაგებენ...

***

— როგორ უნდა მოიქცეთ, თუ მუსლიმანი კაციჭამია დაგესხმებათ თავს?

— უნდა დაიღრუტუნოთ.

***

— ოფიციანტ, სად არის ჩემი შეკვეთილი კერძი? ნახევარი საათია, ველოდები, სადაცაა ჩამეძინება, — ნერვიულობს პენსიონერი.

— გაგაღვიძებ, ბაბუა-ჯან, გაგაღვიძებ...

***

ყავარჯნიანი ცალფეხა ინვალიდი ქირურგიულ კლინიკას მუშტს უღერებს:

— ჩემი ფეხი აღარ იქნება ამ დაწესებულებაში!

***

„ახალ ქართველს“ ეკითხებიან:

— რა გესიამოვნათ ამერიკაში ყოფნისას?

— ვალუტის გადახურდავება არ მჭირდებოდა.

***

შინ დაბრუნებულ მოხუც მიხოს კარს მისი მეგრელი სიძე უღებს და ეუბნება:

— ჰა, ბებერო ბრიყვო, კიდო დასალევად იყავი, არა, წათრეული მაგალითად?

— არა, ჯოო. სმენის აპარატი ვიყიდე! — დაენძრა სიძეს.

***

— ექიმო, რა ნიშნებით უნდა დადგინდეს სკლეროზის განვითარება?

— მე თქვენ გუშინ უკვე გითხარით ამის შესახებ...

***

— ბრალდებულო, ახლა მოჰყვეთ, როგორ გახსენით სეიფი.

— ააქ?!. შეუძლებელია: დარბაზში ბევრი კონკურენტია.

***

— ექიმო, ღვიძლი მტკივა.

— გაიხადეთ.

— რატომ, არ გჯერათ?

***

— ეეჰ!.. ვერაფერი გამიგია... გუშინ სახლში მივედი და კარადაში შიშველი კაცი დამხვდა.

— წარმომიდგენია, შენს ცოლს რა ღღე დაადგებოდა.

— საქმეც მაგაშია... უცოლო ვარ.

***

ორი დიდი ხნის უნახავი მეგობრის საუბრიდან:

— ექიმმა მითხრა, რომ მაქვს სკლეროზი, რევმატიზმი, ასთმა, სტენოკარდია.

— კარგი, ახლა მითხარი, რა არ გაქვს?

— კბილები.

***

— თქვენ უფრო ხშირად უნდა იბანაოთ.

— ექიმო, თითქმის ყოველდღე ვბანაობ.

— მაშინ აბაზანაში გამოცვალე წყალი!..

***

ერთმა კაცმა გადაწყვიტა, განსვენებული სიდედრის საფლავისთვის ქვა ეყიდა:

— გაქვთ რაიმე მოზრდილი და იაფი?

— გვაქვს, მაგრამ მას სხვა სახელი აწერია.

— არა უშავს, ჩემი სიდედრი მაინც ვეღარ წაიკითხავს.

***

მიხოს ცოლი ხშირად ათეთრებდა კირით კედლებს. როცა მარომ ისევ დაიწყო კედლების ღებვა, მიხომ დაუყვირა:

— კაი, რა, გეყო, დედაკაცო, კედლების თითხნა... ვერა ხედამ, რო ოთახი დაპატარავდა!

***

— სად უფრო იაფია დასვენება — ზღვაზე თუ მთაში?

— სახლში!.. სახლში!..

***

— შვილო, წუხელა ისევ დავფრინავდი სიზმარში.

— ბებო, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ შენი წამლები სხვა ყუთშია!..

***

ავტობუსში ძუკუს თანამგზავრი ეუბნება:

— უკაცრავად, თქვენ ჩემს მარაოზე ზიხართ.

— მართლა? მეც არ გამიკვირდა, რატომ მიბერავს, მაგალითად.

***

ოფიციანტი:

— თუ შეიძლება, თავი ასწიეთ, სალათს შეგიცვლით...

***

მიხო თავის ღორს უკანა ფეხებს მოაჭრის. ფირუზა ეკითხება:

— მიხო... რატომ მააჭერი ფეხები?!

— მევასება, ცხვირი „ოცდაოთხივით“ რო აქვს აწეული.

კონსტიტუციურად ღარიბი თუ კონსტიტუციურად ძდიდარი?

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ სიმდიდრე და სიღარიბე, არა იმდენად მატერიალური კატეგორიებია, რამდენადაც სულიერი მდგომარეობა. ფსიქოლოგიაში არსებობს თეორია, რომლის თანახმადაც, ადამიანები კონსტიტუციურ მდიდრებად და კონსტიტუციურ ღარიბებად იყოფიან. თანაც ამას არანაირი კავშირი არა აქვს მათ რეალურ შემოსავალთან — შესაძლოა, ყველაფერი პირიქითაც კი იყოს. უბრალოდ, კონსტიტუციურად მდიდრებს ფულთან შედარებით მსუბუქი დამოკიდებულება ახასიათებთ, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, საარსებო სახსრის გარეშე დარჩენა ემუქრებათ. აი, კონსტიტუციურად ღარიბები კი, წინასწარ გულდასმით გეგმავენ ყოველგვარ ხარჯს და საკუთარი სიმდიდრიდან სიამოვნებას ნაკლებად იღებენ. ბუნებრივია, ჭეშმარიტი ფინანსური კეთილდღეობისგან ეს ორივე უკიდურესობა შორს დგას. ცხოვრების როგორი სტილი გაქვთ თქვენ? ამ კითხვაზე პასუხს ქვემოთ მოყვანილი ტესტი გაგცემთ. ყოველ შეკითხვაზე, შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხის ვარიანტი.

1. შეგიძლიათ თუ არა, ყოველთვის ზუსტად დასახელოთ ის თანხა, რომელიც იმ დღეს ჯიბეში გიდევთ (თან გაქვთ)?

ა) ზუსტად ამის თქმა გამიჭირდება;

ბ) როგორც წესი, შემიძლია და საკმაოდ მცირე თანხაში ვცდები ხოლმე;

გ) ყოველთვის შემიძლია ზუსტი ციფრის დასახელება.

2. ჩვეულებრივ, მაღაზიაში რა მიზნით შედიხართ ხოლმე?

ა) იმედი მაქვს, რომ საინტერესო რამეს წავაწყდები და მისი შეძენით საკუთარ თავს ვასიამოვნებ;

ბ) როგორც წესი, რაც წინასწარ მაქვს დგენილი, მხოლოდ იმის შესაძენად შევდივარ ხოლმე;

გ) ფასების გასარკვევად შევდივარ ხოლმე.

3. რა მდგომარეობაშია თქვენი საბანკო ანგარიში?

ა) ანგარიში საერთოდ არა მაქვს გახსნილი ან თუ მაქვს, მასზე მხოლოდ სიმბოლური თანხა დევს;

ბ) ვცდილობ, ჩემი შემოსავალი აჭარბებდეს გასავალს და ამას ვახერხებ კიდეც;

გ) ძალზე იშვიათად გამომაქვს ფული ანგარიშიდან, ამიტომ საკმაოდ სოლიდურ თანხას მოვუყრე თავი.

4. მათხოვრებს განიკითხავთ ხოლმე?

ა) ვცდილობ, შეძლებისდაგვარად ყველა მათხოვარს დავეხმარო;

ბ) ზოგჯერ განვიკითხავ მათ, ვინც ჩემში თანაგრძნობას აღძრავს;

გ) პრინციპულად არ გავცემ მოწყალებას: ამ გზით ხომ სიღარიბის პრობლემის აღმოფხვრა შეუძლებელია.

5. გიყვართ თუ არა საჩუქრების მიძღვნა?

ა) მიხარია, როცა ჩემი საჩუქარი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე, ვისთვისაც ის არის განკუთვნილი;

ბ) ახლობლებს დიდი სიამოვნებით ვუძღვნი საჩუქრებს;

გ) საჩუქრის შერჩევა, იოლი საქმე არ გახლავთ, ამიტომ ეს პროცესი საკმაოდ მთრგუნავს.

6. გქონიათ თუ არა შემთხვევა, როცა ფული არარაციონალურად დაგიხარჯავთ?

ა) მსგავსი რამ ხომ ყველას შეიძლება შეემთხვეს, ასე რომ, არც მე ვარ გამონაკლისი და არაერთხელ აღმოჩენილვარ ამ დღეში;

ბ) მქონია მსგავსი შემთხვევა, ოღონდ დიდი თანხა არ დამიხარჯავს;

გ) მსგავსი რამ რამდენჯერმე შემმთხვევია და დღემდე მწარედ მახსენდება ხოლმე.

7. ეკონომიურად მოიხმართ თუ არა ელექტროენერგიას ყოფაში?

ა) ამგვარი ეკონომია წვრილმანობად მიმაჩნია;

ბ) ვცდილობ, ელექტროენერგიის უაზროდ ხარჯვა არ დავუშვა;

გ) ამაზე გამუდმებით ვზრუნავ.

8. ხომ არ გიჭირთ ფულის გასესხება?

ა) კარგ ნაცნობს უყოყმანოდ ვასესხებ ფულს;

ბ) თუკი დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად ჩამასესხებენ, ფულის გასესხება არ მიჭირს;

გ) ფულის გასესხებისგან თავს ვიკავებ. ტყუილად ხომ არ ამბობენ: თუ არ გინდა მეგობარი დაკარგო — ფული არ უნდა ასესხო.

9. რამდენად ხშირად მიირთმევთ დელიკატესებს?

ა) ყოველთვის, როცა ამის შესაძლებლობა მაქვს, პირის ჩატკბარუნებაზე უარს არასოდეს ვამბობ;

ა) არცთუ ისე ხშირად;

გ) ჩემი აზრით, დელიკატესები სადღესასწაულო სუფრას უნდა ამშვენებდეს და მისი ყოველდღიურად ჭამა ოვივა, ყოველ საღამოს ფეიერვერკი რომ მოიწყო.

10. რას ანიჭებთ უპირატესობას ტანსაცმლის შეძენისას?

ა) პრესტიჟულ მარკასა და მოდურ ფასონს;

ბ) პრაქტიკულობასა და ელეგანტურობას;

გ) ხელმისაწვდომ ფასს.

დაამატეთ ქულები: პასუხის ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 1 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 2 ქულა, „გ“ ვარიანტში — 3 ქულა.

ტესტის შედეგები

15 ქულაზე ნაკლები: ხელგაშლილი ადამიანი ბრძანდებით. ცხოვრებით ტკბობის უნარიც გაქვთ, ოღონდ, როცა საამისოდ საჭირო თანხას ფლობთ, მაგრამ სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა ყოველთვის არ გაქვთ. საქმიანი წამოწყებისადმი მსგავსი მიდგომა ზედმეტად სარისკოა და არც დიდ პერსპექტივას გიქადით. ზედმეტი არ იქნება, თუკი ცოტა მეტ წინდახედულებას გამოიჩენთ. თქვენთვის კეთილდღეობის ფორმულა ბენჯამინ ფრანკლინმა გამოიყვანა: „დახარჯეთ იმაზე ნაკლები, ვიდრე შოულობთ, — აი, თქვენი ფილოსოფიური ქვა“.

15-20 ქულა: არც მფლანგველობით გამოირჩევით და არც სიძუნწით. ცხოვრების ასეთი ჰარმონიული სტილი, ფინანსურ კეთილდღეობას გიქადით.

20 ქულაზე მეტი: თქვენ ანგარიშიანი, ეკონომიური და ნუ გეწყინებათ და, ძუნწიც კი ბრძანდებით. ფულის ხელიდან გაშვება ძალიან გიჭირთ, სარისკო საქმეებს ახლოსაც არ ეკარებით. მართალია, მსგავსი ქმედებით წაგებას თავს არიდებთ, მაგრამ სამაგიეროდ, არც დიდი მოგების იმედი უნდა გქონდეთ.

მამაკაცს ყისერში ჟანგიანი ლურსმანი აღმოაჩნდა

კალიფორნიელი მამაკაცი, რომელსაც ცოტა ხნის წინ კისრის არეში გაურკვეველი ხასიათის ტკივილები დაეწყო, სახტად დარჩა, როცა შე-

იტყო, რომ ამის მიზეზი ჟანგიანი ლურსმანი ყოფილა.

ტკივილებით შეწუხებულმა 29 წლის სტივ ვილაგომეზმა კლინიკას მიაკითხა. რენტგენული გამოკვლევის პასუხი – სადაც აღინიშნებოდა, რომ კისრის არეში უცხო სხეული ფიქსირდებოდა – პაციენტმა შეცდომად მიიჩნია და სამედიცინო დახმარებაზე უარი თქვა. ამ მდგომარეობაში მან კიდეც ოთხი თვე დაყო. არავინ იცის, რა ბედი ეწეოდა სტივს, რომ არა მისი ერთ-ერთი მეგობარი, რომელმაც შესთავაზა, ეჭვების გასაფანტავად, კისერზე მაგნიტი მიემაგრებინა. სტივისდა გასაოცრად, მაგნიტი სხეულზე მჭიდროდ მიეკრო – უკვე ეჭვგარეშე იყო, რომ იქ ლითონის საგანი მართლაც მდებარეობდა. შეშინებული სტივ ვილაგომეზი თავპირის მტვრევით გაიქცა კლინიკაში და ნებაყოფლობით ჩაჰბარდა ესკულაპებს, რომელთაც ოპერაციის შედეგად სხეულიდან 5 სმ-იანი, დაჟანგული ლურსმანი ამოუღეს.

ამ უცნაურ ამბავში კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ თავად პაციენტს წარმოდგენა არა აქვს, საიდან მოხვდა იქ ლურსმანი. სტივ ვილაგომეზი, ერთ-ერთი საფეხბურთო გუნდის მწვრთნელია და ვარაუდობდა, რომ კისერი ვარჯიშის დროს დაიზიანა.

■

ტურისტებს ყინულის სასტუმრო უმასპინძლებს



ავსტრიის ერთ-ერთ სამთო-სათხილამურო კურორტზე ყინულის სასტუმრო გაიხსნა. გიგანტური ქოხი 30 სტუმარს იტევს და საკუთარი ბარი, სამზარეულო და საუნა აქვს. ყინულის კონსტრუქცია ოთხმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ერთობლივი ძალებით ააგო. ძვირფასი ინტერიერის მქონე აპარტამენტები, რომელთა უმეტესობას 6 მ-იანი სიმაღლის ჭერი აქვს, დამთვალიერებელთა აღტაცებას იწვევს. სასტუმრო ოთახისა და საბანკეტო დარბაზის კედლებში ღრმა ნიშებია დატანებული, რომლებიც სკამების მაგივრობას სწევს. იქვეა ასევე თოვლისგან დამზადებული მაგიდები. ყინულის კედლებს, მათში ამოკვეთილი სხვადასხვაგვარი ფიგურა და ორნამენტები ალამაზებს. როგორც პროექტის ერთ-ერთი ავტორი ბრუნო გიუნტერი ამბობს, მან ბოლოს და ბოლოს, თავისი ბავშვობის ოცნება აისრულა. „ყინულის სახლში ყოველთვის სიმყუდროვეა – მაშინაც კი, როდესაც გარეთ 20 გრადუსი ყინვაა“, – აღნიშნავს გიუნტერი. ის, რომ საწოლები ყინულისაა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დამსვენებლებიც ყინულის ლოლუებად გადაიქცევიან – მომსახურე პერსონალი მათ ცხვრის ტყავის მატრასს და ძალზე თბილ, ბუმბულის საძილე ტომრებს სთავაზობს.

სასტუმროს მშენებლობას დაახლოებით ერთი თვე დასჭირდა. ტურისტებს იგი გაზაფხულამდე უმასპინძლებს.

■

სამეფო გვარდიელები პოროვასსკვლავები გახდნენ

დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ მეორის პირადი დაცვის ხუთმა ოფიცერმა პორნოგრაფიულ ფილმში მიიღო მონაწილეობა. ახალგამომცხვარი ვარსკვლავები კინემატოგრაფის დარგში საკმაოდ ნიჭიერები აღმოჩნდნენ. მათ არა მარტო მთავარი როლები ითამაშეს, არამედ ფილმის რეჟისორობაც, ოპერატორობაც და სცენარისტობაც თავად იტვირთეს. სამეფო გვარდიელებმა გადასაღებ მოედნად ერთ-ერთი ყაზარმა აირჩიეს, გოგონების ხანმოკლე კასტინგის შემდეგ, ყველაზე შესაფერისზე შეაჩერეს არჩევანი და გასართობი პორნოფილმი გადაიღეს. ფილმის გადაღების დასრულების შემდეგ, საკუთარი პრომოუშენით დაკავებულმა მსახიობებმა ვიდეოფირები დაცვის წევრებს შორის გაავრცელეს. ჯარისკაცები ხალისით შეხვდნენ ახალ ფილმს და არც ქებადიდება დაუშურებიათ სურათის შემქმნელების მისამართით.

დედოფალს ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია, ამიტომ ამ ეტაპზე უცნობია, თუ რა სადამსჯელო ზომებს გამოიყენებს ის დაცვის ოფიცრების მიმართ.

■

ფოტოკუთხიზები



6750/6

სიახლე!

მხიარული „ატრაქციონი" თქვენი პატარებისთვის

ყველაზე საბავშვო ჟურნალი